

სარგის კაკაბაძე

ქართული სახელმწიფოეპაროღის გენეზისის საკითხები.

I.

ი ბ ე რ ი ა.

ქართველი ხალხის ძველი ისტორიის გასაკვებად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხების გარკვევას, როგორც დაკავშირებულია ქართული სახელმწიფოებრივ ცხოვრებისთვის საფუძვლის ჩაყრასთან ქართველების ისტორიულ შიდა-ქართლში დამკვიდრების შემდეგ და ამ საფუძველზე თანდათან განსაზღვრულ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ანაგებთა განვითარებასთან. ცდა ამ ანაგებთა ზოგიერთ ხაზების გაგებისა არა ერთხელ ყოფილა წამოყენებული (დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ს. გორგაძე, განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილი). ცალკე საკითხების გასარკვევად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ნიკ. მარის მიერ დაწყებულ და წარმოებულ ლინგვისტურ მუშაობას იათეტურ ენათმეცნიერების ნიადაგზე. მაგრამ არსებულ ისტორიულ მასალებისაგან ბევრი კიდევ საჭიროებს ჯეროვან გამოყენებას, სხვა კიდევ მოითხოვს ხელახლად გადამუშავებას. ამიტომაც ახალი ცდები ქართულ სახელმწიფოებრიობას გენეზისის საკითხების გარკვევისა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამას მოითხოვს ჩვენი ისტორიული მეცნიერების აქტუალური და მისი მომავლის განვითარების ინტერესები.

საკითხი ქართულ სახელმწიფოებრიობის პირველ საფეხურების ჩამოყალიბებისა არსებითად დაკავშირებულია შიდა-ქართლის ტერიტორიასთან, კერძოდ მცხეთის რაიონთან, სადაც, ისტორიულ ხანისთვის უძველეს უტყუარ ცნობებით, ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ხალხისობა თავიდანვე მტკიცე და განვითარების მხრივ შემდეგ არ შეჩერებულ კულტურულ ცხოვრების გზას დაადგა. ქართულ სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხების გარკვევას ცდა ამიტომ შიდა-ქართლის, უკეთ მცხეთის უძველეს ისტორიისა და სოციალურ-კულტურულ სტრუქტურის შესწავლიდან და გაგებიდან უნდა იქმნას დაწყებული. ჩვენც აქედან დავიწყეთ და უპირველეს ყოვლისა შევჩერდეთ მცხეთის რაიონზე, ქართულ სახელმწიფოებრიობის ამ ისტორიულ აკვანზე, უძველეს ხანაში მის კულტურულ, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, განვითარებისთვის დაჰახასიათებელ ხაზების განხილვით.

სახელი მცხეთა ჩვეულებრივ დაკავშირებულია მესხების ტომის სახელთან. უკანასკნელ მას მეცნიერული განმარტება მასცა ნ. მარჩა (История термьяна Абхаз, Изв. И. Ак. Н. 1912, 704), ნ. მარჩი უკავშირებდა ერთმანეთს ტერმინს მესხ, მოს-ოხ, ბაზგ, ა-ბაზ-გ ა-ფხაზ და ამბობდა: „От тех же согласных (მასქ, მასქ-უთ-ქ—სომხური გამოთქმა მასკუთების სახელისა), воспринятых как трехгласный корень мсх, при том с по'демом с в ц, с помощью суффикса ет в эмфатической форме образовано название древнейшего города Грузии мцхета, очевидно, насаждения абхазов=абазхов, собственно их прародителей мосхов, а не картов. С картским префиксом са, образующим названия места, от того же „корня“ имеем самцхе. название страны, привнесенной на западе к Тави и Кларджии“.

ივ. ჯავახიშვილი იმეორებს არსებითად ნ. მარჩის აზრს და ამლეგს მას ისტორიულს განმარტებას. ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა საკითხს, „თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აღმ. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა დროს თვითმეულ ქართველ ტომს“, ამბობს: „რაკი ამ სამეფოს (იბერიის) დედაქალაქს მცხეთა ერქვა, უეჭველია უძველეს დროს, მაშინ როცა ქართველი ტომები კავკასიაში შეხიზნულან, უმთავრესი პოლიტიკური მნიშვნელობა მესხების ტომს უნდა ჰქონოდა, იმიტომ რომ საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქის სახელი მცხეთი ანუ მცხეთა მესხეთს ანუ მესხების ბინასა ნიშნავს; მესხების სახელის ამ გვარივე სახე „მცხე“ იმ ქვეყანის სახელწოდებაშია შერჩენილი, სადაც შემდეგ მესხების მცირედი ნაწილი ცხოვრობდა, „სამცხე“-ში (სა-მცხე): აქაც, როგორც სიტყვა „მცხეთა“-ში, „მცხე“ მესხებსა ნიშნავს. შემდეგ მესხებს პოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგავთ და იბერნი გაბატონებულან და მთელი სამეფოსათვის თავიანთი სახელი მიუნიჭებიათ. ეს უეჭველია პირველ საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ სტრაბონის დროს პირველ საუკუნის დასასრულს ქრ. წ. იბერია უკვე ჩვეულებრივი და, როგორც ეტყობა, დიდის ხნითგან განმტკიცებული სახელი იყო. დასასრულ პირველი ადგილი ქართვემა დაიჭირეს; ცნობები იმის შესახებ, თუ როდის გაბატონდნ ისინი, არ მოიპოვება, მაგრამ დაახლოვებით II—III საუკუნეში უნდა მომხდარიყო ეს ამბავი“ (ქართ. ერ. ისტორია, I, 89).

მხედველობაში მისადებია ის გარემოება, რომ აქ სათანადოდ არ არის გარკვეული ტომობრივ ტერმინების სხვადასხვაობა, მესხები და იბერები პირდაპირ ქართველ ტომებად არიან აღიარებული, ე. ი. არსებითად ერთი და იგივე, მხოლოდ სხვადასხვა ფორმაციის სახელების მატარებლად და ამიტომაც, ნ. მარჩის აზრზე დაყრდნობით, მხო-

ლოდ დადასტურებულია ტერმინების კარგად ცნობილი თანდათან ცვა-
ლებადობა: მცხეთა=მესხეთი, მერმე იბერია კლასიკურ მწერლებისა და
შემდეგ ქართველების ქვეყნის ადგილობრივი გამოთქმა—ქართლი.

ვინაიდან ტერმინი იბერია არის ბერძნულ-ლათინური გამოთქმა
ადგილობრივ სახელწოდებისა, სიტყვა ქართლი კიდევ ქართულ ენის
ნიადაგზეა წარმოშობილი, ამიტომ ტერმინის მცხეთა=მესხეთისთვის
გვერდის ავლითაც, საჭირო ხდება, ამ სახელწოდებათა ისტორიულ
მნიშვნელობის გასათვალისწინებლად, მათი შეთანხმება ჯერ კიდევ
საძიებელ და გასარკვევ, მაგრამ წყაროებში მაინც არსებულ რეალებ-
თან, რათა ამით შესაძლებელი გახდეს სწორი პერსპექტივის წამოყე-
ნება ქართველი ტომის საბოლოოდ ჩამოყალიბების საკითხში.

რომ საკითხი მართლაც ძლიერ რთულია, ეს სჩანს თუნდაც ტერ-
მინის „მცხეთას“ ჰაგალითზე. ნ. მარრის მიერ წამოყენებული ფილო-
ლოგიური ახსნა ამ სახელწოდებისა ივ. ჯავახიშვილმა ისტორიულ
პერსპექტივის შესადგენად გამოიყენა და ამიტომ, როგორც ვნახეთ,
მცხეთის დაარსება ტერმინის იბერიის წარმოშობაზე აღრინდელ დროს
მიაკუთვნა და ვინაიდან ტერმინი იბერია პარველსაუკ. ქრ. წ., მისივე
სიტყვით, დიდის ხნითგან განმტკიცებული სახელი იყო, ამიტომ სახე-
ლი მცხეთაც, როგორც მესხების ბატონობის მაჩვენებელი, პირველ
საუკუნეზე „გაცილებით უფრო ადრე“ უნდა შემოსულიყო. მაგრამ ამ
მოსაზრების წინააღმდეგია ის გარემოება, რომ მცხეთა, როგორც იბე-
რიის სატახტო ქალაქი, არ აქვს მოხსენებული სტრაბონსაც კი და
როგორც ასეთი არ იხსენიება კარგა ხანს მის შემდეგაც. ამ გარემოე-
ბამ, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, ათქმევინა ლ.
მელიქსეთბეგს, — „თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოე-
ბას, რომ თვით „ქართლ. მოქცევის“ ცნობებით საწარმართო დროის
მთელი რიგი ქართველი „მეფეები“, როგორც, მაგ., ფარნავაზ, საურ-
მაგ, მირიან, არსოკ საერთოდ სცდილობენ მხოლოდ და მხოლოდ არ-
მაზის დასამაგრებლად და დასამშვენებლად, მცხეთის არსებობა კი მათ
ფიქრათაც არ მოსდით, უეჭველად ის დასკვნა უნდა მივიღოთ, რომ
შეუძლებელია მცხეთა „ქალაქი“ არსებულყოფილიყო არამც თუ „პირ-
ველ საუკუნეზე (ქრ. წინ) გაცილებით უფრო ადრე“, როგორც ფიქ-
რობს ბ. ივ. ჯავახიშვილი, არამედ ქრისტეს შემდეგ ერთი საუკუნის
განმავლობაშიაც და ასეთი დანასაკვი აუცილებელი უნდა იყოს ჩვენ-
თვის მით უმეტეს, თუ ჩვენ უპირატესობას მივსცემთ ქრისტეს თანა-
მედროვე და უოველ შემთხვევაში პირველი საუკუნეების კლასიკურ
მწერლების ცნობებს წინაშე მე-9—11 საუკუნეთა ქართულ წყაროების
ზღაპრული ნაამბობთა“ (მცხეთა-ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო,
ჟურნ. „მომავ“. № 2, 1921 წ.).

თავისთავად იგულისხმება, რომ რეალურად კლასიკურ მწერალთა ცნობებზე დამყარებით სხვანაირი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. მაგრამ ეს გარემოება ჯერ კიდევ საკითხს საბოლოოდ ვერ სწყვეტავს. საქმე ის არის, რომ მცხეთა, როგორც ადგილის საკუთარი სახელი, დაკავშირებულია ქართველთა პირველ მეფის აზოს სახელთან. „ესე აზო — ვკითხულობთ „მოქც. ქარ.“-ში — წარვიდა არან ქართოდ მამისა თვისისა და წარმოიყვანა რეა სახლი და ათნი სახლნი მამამკლძეთანი და დაჯდა ძეულ მცხეთას და თანა ჰყუანდეს კერპნი ღოად გაცი და გაიძ და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა“ (Опис. рус. сѣвн. грам. II, 709). მათიანესაც აგრეთვე მცხეთის დაარსება გადააქვს უძველეს ხანა-ში. ქართლოსი მათიანეთი „მოვიდა პირველად ადგილსა მას სადა შე-ერთვის არაგვი მტკვარსა და განვიდა მთასა მასზედა, რომელსა ეწოდე-ბის არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა და იშენა ჴუნ ზედა სახლი და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქარ-თლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი ხუნანიდგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა“ (ქ. ცხ. I, 19). ქართლოსის უფროსი შვილი მცხე-თას „დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქუიან არმაზი და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკუ-რისა და არაგვისასა და უწოდა სახელი თვისი მცხეთა“ (იქვე, 20). მა-ტიანეც ამ გვარად მცხეთის დაარსებას უძველეს დროს აკლავს, ქარ-თულ მოსახლეობის ამ ადგილას გაჩენის პირველ ხანას. განსხვავება „მოქც. ქარ.“ და მათიანეს შორის ამ შემთხვევაში არის ის, რომ ქარ-თელების მოსვლისას „მოქც. ქართლ“. მცხეთას, როგორც გეოგრაფიულ ტერმინს, უკვე არსებულად გულისხმობს („აზო დაჯდა ძეულს მცხე-თას“), მაშინ როდესაც მათიანეს მიხედვით თვით სახელიც მცხეთა შემდეგ დროინდელ წარმომავლობისად სჩანს.

საკითხის გასარკვევად ჩვენ შევუდგეთ ფაქტიურ ცნობების შესწავ-ლას. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში პირველ წყაროდ მათიანე ვერ გამოდგება თუნდაც იმიტომ, რომ კ. პატკანოვის შემდეგ ჩვენი მათია-ნის უძველეს ნაწილს, როგორც საისტორიო წყაროს, სახელი გატე-ხილი აქვს და ბოლო დრომდის ის ითვლებოდა მე-11 საუკუნის ნაწარ-მოებად. საჭიროა, მაშასადამე, ამ მიზნით გამოყენებულ იქმნას კლასიკურ მწერალთა ცნობები.

უძველესი ცნობა მცხეთის რაიონის შესახებ, რომელიც ჩვენ მო-გვეპოვება, მიეკუთვნება 6^თ წ. ქრ. წ., როდესაც პომპიუსის ლაშქრო-ბამ რომაელები მოიყვანა იპერიაში. პომპიუსის ამ ლაშქრობის შესახებ ცნობები შენახული აქვს დიო კასიუსს (მე-2—3 საუკ. ქრ. წ.). თუმცა დიო კასიუსი თანამედროვე არ იყო ამ ამბებისა, მაგრამ, როგორც სჩანს,

მას ხელთ ჰქონია ფრიალ კარგი და სანდო წყარო. შეიძლე ა ამ წყაროს წარმოადგენდა იმ თეოფანეს ნაწერები, რომელიც სტრაბონის სიტყვით თან ახლდა პომპეიუსის მისი ლაშქრობათა დროს და იყო ალბანიაშიც (Geogr. XI, 1). ამას შეიძლება უჩვენებდეს ის გარემოება, რომ სტრაბონი ამ თეოფანეს სიტყვით იხსენიებს მახონებსა და ალბანელებს შორის გელ-ებს და ლეგ-ებს. ამავე ცნობას ვეღეს და ლეგების შესახებ იმეორებს ტაციტიც, რომელიც ამასთანავე გადმოგვცემს იმნაირ დეტალებს პომპეიუსის ლაშქრობის შესახებ იბერიასა და ალბანიაში, რომელიც ცხადად ამტკიცებს ტაციტის და დიო კასიუსის წყაროს იგივეობას ამ შემთხვევაში (შეად. ტაციტი, Annales VI, 33—34, Latium., Известия... II, 234—235). თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ გაჰოდის, რომ დიო კასიუსს ხელთ ჰქონდა პომპეიუსის იბერიაში ლაშქრობათა შესახებ ამისი თანხმე პირის დაწერილი ცნობები, რაც დიო კასიუსის გადმოცემასაც, თავისთავად იგულისხმება, დიდად ავტორიტეტულად ხდის.

დიო კასიუსი, მოგვითხრობს რა პომპეიუსის გალაშქრებაზე იბერიის ჰელის არტოგის (ანუ ქართული გამოთქმით არტაგის) წინააღმდეგ, გადმოგვცემს:

...καὶ ἐφ' ὃ καὶ πρὸς τῇν πό-	(პომპეიმ) მოასწრო მისელა (თვით)
λιν τῇν Ἀκρόπολιν ὀχυρὰς	ქალაქამდის, რომელსაც ზედაქა-
μύνην προχωρήσας, πρὶν καὶ	ლაქი ერქვა, სანამდის არტოგმა
ἀντιπαρασταὶ τὴν Ἀρτάχην, ὅτε	გაიგო მისი მოახლოების შესახებ.
παρῆν. (Lat. I, 613)	

ამ გვარად იბერიის სატახტო ქალაქს ერქვა პომპეიუსის დროს Ἀκρόπολις, რაც გადთარგმნით ნიშნავს ზედაქალაქს. ცხადია, აქ იგულისხმება შემდეგ დროინდელი არმაზი, რომლის შესახებ მატეიანეში ვკითხულობთ: „განვიდა (ქართლი) მთასა ზედა რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაღლენი მას ზედა... და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი“ (ქ. ცხ. I, 19). Ἀκρόπολις—ზედაქალაქი, ეს უნდა იყოს ადგილობრივი სახელწოდების ბერძნული თარგმანი, როგორც ანალოგიურ შემთხვევებში კლასიკური მწერლები ჩვეულებრივ იქცეოდნენ კიდევ. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ დიო კასიუსი პირდაპირ ამბობს —არტოგის ქალაქს ზედა-ქალაქი ერქვაო. ამით ექვს გარეშე ხდება, რომ ამ ძვარუთას ცნობაში ჩვენ შენახული გვაქვს არმაზის ადგილობრივი უძველესი სახელწოდება. როგორია ეს სახელწოდება, ან როგორ გამოითქმოდა ის?

ამ კითხვის დასმისას პირველი აზრი, რომელიც თავის თავად ჩნდება, ეს არის ამ საძიებელ სახელწოდების შეჯერება მატეიანეში დაცულ ცნობასთან იმის შესახებ, რომ არმაზის წინანდელი სახელი ქართლი

უნდა ყოფილიყო. ფრიად საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სვანურად ქვლახი ეხლაც მაღალს ნიშნავს. პარალელიზმი ქ(ა)რთლ(ა) და ქ(ჲ)ლთ-სი ძირებს შორის თავის თავად ცხადია. ქართლი მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლის ღ გაშოკლებით (H. Mapp, Из поездок в Сванию, Xp. B. II, 33) გვაძლევს ძირს ქართ. პარალელურად ამისა ჩვენ გვაქვს ძველი ქართული ქარდაგი „მოქ. ქართ.“ში: „ალაშენეს აზნაურთა წა იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაიამო-მოთუალეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“ (Опис. пук. ошх. грам.—II, 720). ქარდაგი აქ სოფლისაგან განსხვავებულად სჩანს და შესაძლებელია ის ნიშნავდეს მაღლობ ადგი-ლებზე შენებულობას. ყოველს შემთხვევაში საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში ამავე ძირიდან კნინობითი დაბოლოების აგ (==აქ) გამოკ-ლებით მივიღებთ სიტყვას ქარედი, რაც ნიშნავს მრავალსართულიანს სახლს (იერემ. 20₂). რაჭულ თქმაში სიტყვა ქორეთი ეხლაც ნიშნავს სხვენს (ე. ბერძენი, იმერ. და რაქ. თქმათა ლექსიკონი 50). ძველს ქართულშივე გვხვება ქარი (იერემ. 22₁₄), —სახლის ერდოზე დაშენე-ბული სახლი (ჩუბინ.). სახარებაშიც, როგორც სომხურიდან (მე-ნ საუკ.) ნათარგმნს, ისე ბერძნულთან შეჯერებულ ტექსტში, იხსენიება ქარი სახლის მნიშვნელობით (მარკ. 14₁₅). ქართ. ქვემო იმერულში სემასიურად შეცვლით ეხლა ნიშნავს სალორეს, საერთოდ ბაგას. საყურად-ღებოა, რომ ასევე სემასიურად შეცვლით ძირი ქარი ქ-ს გადასვლით რბილ ჰ-ში შერჩენილია ხუნძახურში (აეარულში): ჭარ, მრავლ. ჭარაღ — თივის შესანახი გადახურული ადგილი. ძირი ქართ-ისაგან კანონიერი ფონეტიკური შეცვლით და მეორე-მესამე თანხმოვანთა გადასმისაგან წარმომდგარი სიტყვა დაცული ყოფილა მესხეთში მე-13 საუკუნეში, როგორც ეს სჩანს ბექას კანონებიდან. ამ კანონების §9 ვკითხუ-ლობთ: „ქ. თლახსისა და აზრახსისა და კარგახსისა და ზატრახთან რამ ექლა აქუნდეს ანუ ჭქახსოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს“... § 10. „თუ კარგახს-ქათლახსისა აზნაურშიდად მსახური ეოფიდიყოს და მოკედეს... მისი სისხლი ათასიეუ თეთრი იყოს“ (ქართ. ქრისტ. დ. ჩუბი-ნოვისა, 1863 წ. I, 210). ქოთლოსანი აქ აშკარად დაკავშირებულია კარვოსანთან. ქოთლოსანი ამიტომ შესაძლებელია რაიმე შენებულობის მეპატრონედ სჩანდეს, ქოთალი მაშინ შესაძლებელია მე-13 საუკუნეში მესხეთში რაიმე შენებულობას ნიშნავდა. წარმოშობით ეს სიტყვა, რასაკვირველია, უკავშირდება სიტყვა ქართა-ს (ქრო, ქთლ).

ზემოაღნიშნულ სვანურ ქვლახი-ს — მაღალი დაკავშირებით საინტე-რესოა უდური ქლახ — დიდი და სვანურივე ესევე ფორმა ორმაგად ხმარე-ბული — განგალ (=გალგალ), როგორც ქართული დიდ-დიდი, სომხური

მხატვარ (Н. Март, Археол. эксп. 1916 г. в Ван, Петерб. 1922 г., 50).

ამ შედარებებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ არმაზის წინანდელი სახელწოდება ქართლი მართლაც უნდა წარმოგვიდგენდეს ისეთი ძირის სიტყვას, რომელიც თავისი მნიშვნელობით ამართლებდეს დიო კასიუსის ზედა-ქალაქის სახელწოდებას. ქართ-ლ-ი სივან. ქვლთ-ხა; ქრთ=ქლთ (ქართული ფონეტიკის კანონით რ და ჯ ხომ ერთმანეთის შემათავსებელი ბგერებია).

ამ გვარად გამოდის, რომ დიო კასიუსს დაცული აქვს ძვირფასი ცნობა იბერიის სატახტო ქალაქის უძველეს სახელისა. რომელიც ქართული გამოთქმით უნდა უდრიდეს ჩვენი მათიანის ქართლს და რომელიც ეხლანდელ სევანურ კილოსთან დაკავშირებით შეიძლება წამოვადგინოთ იქმნას როგორც ქართ-ლ-ი, სადაც ლ მრავლ. რიცხ. მაჩვენებელია, ე. ი. მალლობები, მაღალი შენებულებანი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ 1 ს. ქრ წ. იპერაის ცენტრში ლაპარაკობდნენ აგრეთვე შემდეგდროინდელ სევანურთან უფრო ახლოს მდგარ კილოზედაც? ანალიზი არმაზის წინანდელ სახელწოდების ქართლის ტერმინისა თითქოს ამას ადასტურებს. მაგრამ გარდა ამ დადასტურებისა ამავე დროს ჩვენ ვღებულობთ ძვირფას ფაქტს, რომ მათიანეში დაცული ცნობა არმაზის წინანდელ სახელის ქართლის არსებობის შესახებ ზღაპარი არ ყოფილა, არამედ ისტორიული სიმართლე.

ამ გარკვევასთან დაკავშირებით მნიშვნელობას არაა მოკლებული მეგრულში აქამდის შერჩენილი სახელწოდება საქართველოს დედაქალაქისა. მეგრულად ქართველი—იწოდება ქორთუ, ტფილისი კი—ქართი. რომ ტფილისის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა ქართი ქორთუსთან არ არის დაკავშირებული, ეს ცხადი უნდა იყოს, რადგან სიტყვისაგან ქორთუ ქვეყნის წარმომადგომლობის მაჩვენებელი ტერმინი, კანონიერად წარმოებული, იქნებოდა თ-ქორთუ-ე (ეხლა იხმარება ქართული პრეფიქსით ს-ქორთუ-ე). შესაძლებელია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად საყურადღებო ისტორიულ ნაპოვონართან, როდესაც იბერიის და შემდეგ ქართველობის დედაქალაქის სახელი ქართი უკვე ტერიტორიალურად საკმაოდ ჩამოშორებულ მეგრულ ტომის მიერ თავისთავად გადატანილ იქნა საშუალო საუკუნეების ქართლის და საქართველოს დედაქალაქს ტფილისზე. მეგრულში ამის პირველი გეოგრაფიული სახელი ფრიად კარგად (ქართი) შენახულად გამოჩნდებოდა.

მაგრამ აქ თავს იჩენს ამ ტერმინის მეორე ახსნაც, დაკავშირებული ძველ ქართულ ტერმინთან კლდ, იხ. ამის შესახებ ს. კაკაბ.—საისტ. ძიებანი, გვ. 89, და მაშინ მეგრული ქართი უკვე ვერ დაუკავშირდე-

ბოდა არმაზის უძევეს სახელს, არამედ იქნებოდა ნაშთი ტფილისის მალლოპის ანუ ციხის ადგილის უძველეს სახელისა კალა, რაც, დაკავშირებული იმავე იაფეტურ — (სევანურში ორმაგად შენახულ განკად=გაღკად) უდურ ქაღა-სთან, არსებითად ნიშნავს აგრეთვე მალლოპს, სიმალლეს.

ამისდა მიხედვით ჩვენ ვღებულობთ, რომ უძველესი სახელი არმაზისა უნდა ყოფილიყო ქართლი (შესაძლებელია ქართი), რაც ნიშნავდა ზედა-(ქალაქს) და ასეთ სახელს ატარებდა იბერიის სამეფოს ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტი ჯერ კიდევ წწ. წ. წ., მაგრამ შემდეგ, ალბად 1 საუკუნეშივე ქრ. წ., ეს სახელი ოფიციალურად შეიცვალა არმაზად. ასეთი ცვლილება დაკავშირებული უნდა იყოს, როგორც ეს ამ ახალი სახელიდან — ქართლი სჩანს, ახალ სარწმუნოებრივ კულტის — ცეცლთაყვანისმცემლობის საბოლოოდ დამყარებასთან. არმაზი, როგორც ცნობილია, არის ზორაოსტრის კულტის კეთილი ღმერთის აპურამაზდის ქართული გამოთქმა.

ქალ. არმაზის წარმოშობისთვის და მაშასადამე ქართლის უძველეს ისტორიისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს „მოქც. ქართლ.“-ში მოთავსებულ ცნობებს, მხოლოდ საჭიროა ეს ცნობები ამასთანავე სათანადოთ გარკვეულ იქნას.

არმაზის, ასე ვთქვათ, დაარსებას „მოქც. ქართლ.“ მიაწერს ფარნაეზს: „ამან აღმართა კერა დიდი ცხესა ზა და დასდგა სხელი მისი არმაზ და მოქმნა ზღუდე წყლით კერძა და ჭრქვან არმაზ (Опис. ружон. снщ. грам. II, 709). ამის შემდეგ საურმაგ მიწო არმაზს შენებად“, ხოლო მირვან „აღაშენა არმაზი“ (იქვე). მირვანის შემდეგ მეფობდა ფარნაჯობ, შემდეგ არსოკ (არშაკ) და ამის შემდეგ არიკ. ეს არიკ არის იგივე არტაგი „და მეფობდა (არსოკის შემდეგ) არიკ და რა შიდაცისე აღაშენა არმაზსა“ (Опис. руж. снщ. грам. II, 709). „ქართლ. ცხოვ.“ არიკის მაგივრად აქ კითხულობს არტაგს, რომელი წაკითხვაც ამოღებულია უფრო ძველი ხელნაწერიდან, ვიდრე შატბერდის მე-X საუკ. ხელნაწერი, რომელშიდაც დაცულია „მოქც. ქართლ.“, და უფრო სწორიც უნდა იყოს.

საჭიროა გარკვეულ იქნას, თუ როდის ცხოვრობდა „მოქც. ქართლ.“-ს ფარნაეზი, საურმაგი და არტაგი, არმაზის ამშენებელნი. ჩვენი მკვლევარები ამ საკითხში აქამდის ანგარიშს უწევდნენ ვახუშტის მიერ შემუშავებულ ქრონოლოგიას და, რადგანაც ვახუშტი ფარნაეზიდან ვიდრე მირიანამდის მისდევდა ქრონოლოგიურს ანგარიშს სრულ თაობათა მიხედვით, ამიტომ იბერიის უძველეს მეფეთა ქრონოლოგია და, ამ ქრონოლოგიის ხშირად შეუსაბამობის გამო კლასიკურ მწერალთა ცნობებთან, თვით მეფეთა ვინაობაც ეჭვს იწვევდა. ივ. ჯავახიშვილი ყოველს შემთხვევაში სოულიად უარყოფით ექცევა „მოქც.

ქართ.-ს ცნობებს უძველეს ხანის შესახებ და მათი ისტორიულ რეალურ ღირებულობას უარყოფდა. უნდა ითქვას, რომ ასე ერთბაშად უარყოფა ისტორიულ ცნობებისა თუმცა ადვილია, მაგრამ მეცნიერების ინტერესისთვის მიზანშეუწონელი, მით უმეტეს რომ ვახუშტიმაც, ამ მართლაც მაღალნიჭიერმა მკვლევარმა, გასაოცარი ინტუიციით შესძლო, მიუხედავად წყაროების მხრივ თავისი შეზღუდულ მდგომარეობისა, ზოგიერთ შექთხვევაში მაინც დაახლოვებით სწორი გაშუქების მოცემა. ასე, მაგალითად, არტაგს ვახუშტი 81—86 წლებით ქრ. წ. ათარღებს, რაც უდგება კლასიკურ მწერალთა ცნობებს პომპეიუსის ლაშქრობის შესახებ კავკასიაში. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ უფრო მიზანშეუწონელი იქნება ამ ჩვენს უძველეს ისტორიულ ნაწარმოებში ჩართულ ცნობების გაგების თუნდაც არა უნაკლოვლო ცდა, ვიდრე მათი სრულიად უარყოფა ამ გაგების ცდასთან თანდაყოლილ სიძნელეთა გამო.

იმ უძველეს ქართველ მეფეთა სიაში, რომელიც წარმოდგენილია „მოქც. ქართ.“-ში, უპირველესად ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს სხვა წყაროებით ცნობილ მეფეების სახელს. ასეთია პირველი—არიკ (= არტაგი), რომელსაც იხსენიებს აპპიანი და დიო კასიუსი პომპეიუსის თანამედროვედ, მეორე—ამაზაერ, რომელიც ცნობილია წმ. ნინოს ცხოვრებაში როგორც ქრისტეს თანამედროვე (მის დროს მოიტანეს მცხეთას კვართი ქრისტესი—იხ. წმ. ნინოს ცხოვრება,—„მოქც. ქართლ.“ (Опис. рук. II, 766). ეს ცნობა ქრისტეს თანამედროვე ქართველ მეფის ვინაობის შესახებ, როგორც საგულისხმებელია, ძველი და სანდო წყაროდან უნდა იყოს ამოღებული. მესამე მეფე, რომელიც წყაროებში კარგად ცნობილია, არის ფარსმან ქველი. ის იხსენიება მეფედ 35—58 წლებში ქრ. წ. (დიო კასიუსი, Hist. Rom. LVIII. 26, ტა-ციტი Annal. VI, 33—36; XI, 5 XII, 44—51, XIII, 6. Latini. I, 622 pass.).

საერთოდ სია მეფეებისა დაწყებული აზოდან ვიდრე მირიანამდის „მოქც. ქართ.“-ში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აზო	არსუკ
ფარნაეაზ	როკ (ქ. ცხ.: ადერკი)
საურმაგ	ქარამ — ბრატმან
მირვან	ფარსმან — კაოზ
ფარნაჯობ	არსოკ — ამაზაერ
არსოკ (ქართლ. ცხ.: არშაკ)	ამაზასპ — დერუკ
არიკ (= ქ. ცხ.: არტაგ.)	ფარსმან ქველი — ფარსპანაეაზ
ბრატმან	როკ — მირდატ
მირვან	ლადამი

ფარსმან	მირდატ
ამაზასკ	ასფაგურ
რეე მართალი	ლევ
ვაჩე	მირვან
ბაკურ	

ამ სიაში წარმოდგენილ უძველეს მღვდელთა ქრონოლოგიის დაახლო-
ვებით ვინც გასარკვევად საყურადღებოა. რომ არტაგს (65 წლ. ქრ.
წ.) და ფარსმან ქელს (35 წ. ქრ. წ.) შორის მოთავსებულია და-
ახლოვებით 100 წლის სიგრძეზე 8 მღვდელ (თუ ვერც წოდებულ ორ
მღვდლის დროინდელი მღვდლებს წყვილად ავიღებთ). თითო თაობის მღვდლებზე
მოდის ამგვარად 12 წელი. ფარსმან ქელიდან (58 წ. ქრ. წ.) მირვან-
ნამდის (320 წლ. ახლ.) კიდევ იანგარიშება დაახლოვებით 260 წლის
სიგრძეზე 10 მღვდელ, თითო თაობის მღვდლებზე აქ მოდის უკვე 26 წელი-
წადი. განსხვავება, როგორც ვხედავთ, პირველი რიგის და მეორე რი-
გის მღვდელთა შორის თაობათა სიგრძის მხრივ არის ძალიან თვალსაჩინო.
ამ განსხვავების მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით იბერიის წყობილების ნორ-
მებში. მართლაც, სტრაბონის მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ იბერიის
მღვდელ ითვლებოდა სტრაბონის დროს უზუცესი წევრი პირველი ანუ
მართველი კლასისა. უზენაესი გამგებლობის უფლება იბერიაში ამ დროს
ჯერ კიდევ, პატრიარქალურ წყობილების ნორმის მიხედვით, უზუცე-
სობაზე გვარში იყო დამყარებული და ამიტომაც ყოველი მღვდლის გამ-
გებლობის ხანაც ძლიერ მოკლე უნდა ყოფილიყო. მაგრამ 1 საუკუ-
ნეშივე ქრ. წ. გარემოება იცვლება და უკვე ფარსმან ქელის შემდეგ
იბერიის მღვდელ ჯდება შვილი მისი მიტრიდატი, რომელიც მღვდელ
იხსენიება 75 წ. ქრ. წ. ნაქულობაქვეის ცნობილ ბერძნულ წარწერაში.

ამ გვარად „მოქც. ქართლ.“-ს უძველეს ცნობების ანალიზით ჩვენ
ვღებულობთ არა თუ საკმაოდ პტიკე საფუძველს ძველი მღვდლების ცხოვ-
რების დროის დაახლოვებით მაინც გასარკვევად, არამედ იმავე დროს
თარიღს იბერიაში მღვდლის მხრივ ახალი წესის დამყარების შესახებ,
როდესაც უზენაესი გამგებლობის უფლება, მემკვიდრეობით მაჰიდან
შვილზე გადასვლით, ერთ გვარის საკუთრებად ხდება. ის მღვდელ, რომ-
ლის დროიდან დამყარდა მემკვიდრეობით მაჰიდან შვილზე ტახტის
გადასვლის წესი იბერიაში, უნდა ყოფილიყო, ამისდა მიხედვით, ფარს-
მან ქელი (იხსენიება 35—58 წ. ქრ. წ.). ამის შემდეგ თითოეულ
მღვდლის გამგებლობის დროც უფრო გრძელი იყო და, როგორც ვნახავთ,
დაახლოვებით ღდრიდა თაობათა ცვალებადობის ნორმალურ ხანას.

ზემოდ ხსენებული მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავათარიღოთ,
დაახლოვებით რასაკვირველია, აზოს მეთაურობით 18 სახლის მოსვლა
ძველ-მცხეთას და აგრეთვე ფარნაეზის ცხოვრების დროც. მხედველო-

ბაში მისაღებია აქ კიდევ ის გარემოება, რომ არტაგიდან (65 წ. ქრ. წ.) ადერკამდის ითვლება 3 მეფე, ხოლო ადერკი, ძველი ქართული მატრიანური გადმოცემით, ითვლება ქრისტეს დაბადების თანამედროვედ. ამასდა მიხედვით აქ საშუალო რიცხვით საანგარიშებლად თითო მეფეზე დაახლოებით 15—16 წელი ვაშლავს. შეიძლება ლეანასკნელი ციფრი 15 საშუალო ანგარიშში ყოველ შემთხვევისთვის უფრო მისაღები იყოს, მითუმეტეს რ. მ. ჩვენ არ გვაქვს გარანტია „მოქც. ქართლ“-ში მოთავსებულ სიის სისრულის შესახებ და მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგს სიას ქართლის უძველეს მეფეებისათვის მათი გამგებლობის შესახებ დაახლოებით ქრონოლოგიურ თარიღის ჩვენებით ახლ 171—156 წ. ქრ. წ., ფარნავაზი 155—140 წ., საურმაგი 139—124 წ., მირვანი 123—108 წ., ფარნაჯობი 107—92 წ., არშაკი 91—76 წ., არტაგი 75—60 წ., ბრატმანი 60—44 წ., მირვანი 44—28 წ., არსუკი 28—12 წ., როკ (=ადერკი) 12 წ. ქრ. წ.—5 წ. ქრ. წ. ადერკის შემდეგ ამაზაერამდის, რომელსაც წმ. ნინოს ცხოვრების აღწერელი სივლის ჯვარცმის მომწერედ, სია შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგ ნაირად: ქარაპ—ბრატმან 3—13 წ., ფარსმან—კაოზ 13—23 წ., არსოკ—ამაზაერ 23—33 წ., ამაზასპ—დერუკ 33—35 წ., ფარსმან ქველი (და მასთან ერთად ფარსანავაზი) 35—58 წ.

ცხლა შეიძლება არმაზის თანდათან გაშენების დათარიღებაც.

ფარნავაზის გამგებლობა დაახლოებითი ანგარიშით შეიძლება მიეწეროს 155—140 წლ. ახლო ხანებს ქრ. წინ, საურმაგისა 139—124 წ. ქრ. წ. და არტაგისა 75—60 წ. ქრ. წ. არმაზის გაშენება შიდაციხითურთ ფარნავაზის, საურმაგის და არტაგის დროს, ამ ანგარიშის მიხედვით, მომხდარა 80 წლის სიგრძეზე—150—70 წ. ქრ. წ. ანუ 2½ თაობის მანძილზე. რადგანაც ცნობილია, რომ ცეცხლ-თაყვანისმცემელთა ბოჰონები მაღლობებზე უნდა ყოფილიყო გაშენებული—ამას ადასტურებს ჰეროდოტეს და სტრაბონის ცნობები—ამიტომ არმაზის დაარსება დაკავშირებულია „მოქც. ქართლ“-ში სრულიად სამართლიანად ფარნავაზის მიერ არმაზის კერპის აღმართვასთან „ცხვირზედა“. მაშინვე აშენებულ იქნა ზღუდე „წულით კერძო“. თვით ქალაქი, როგორც წმ. ნინოს ცხოვრებიდან სჩანს, არმაზის კლდის ბოლოს უნდა ყოფილიყო. „წარმოვედ წიად კერძო, ეკითხულობთ ნინოს ცხაში ნინოს შესახებ, დასასრულსა (ქელ. ვარ.: დასაწყისს) მის კედლისას სადა ძველ ქალაქი ყოფილიყო და მას ადგილისა ეოფადა არის ცხი“ (Опис. рук. II, 755). დიო კასიუსის მოწმობითაც პოპპეიუსის დროს (65 წ. ქრ. წ.) „ქალაქი მდებარეობდა თვით ხეობასთან. ერთის მხრივ (ქალაქს) ეკრა კავკასიის მთები, აქ ქალაქი გამაგრებული იყო შემოსევათაგან დასაცავად“ (Dio Cassius, Hist. Rom. II, 20; Iarum. I, 613). ეს ცნობა საერთოდ უღებდა

ქართულ წყაროების ცნობებს და ამართლებს მათ. ამიტომაც თვით ქალაქის დაარსება არმაზის ადგილას „მოქც. ქართლ“-ს ცნობების თანახმად უნდა მიეკუთვნოს მე-2 საუკ. დასასრულს ქრ. წ. და არტაგის დროს ის უკვე თავისი მთავარი შენებულებათა მიხედვით უკვე დიდი ხნის დამთავრებულ იქნებოდა და რადგანაც მამვე დროს ამ ქალაქის ახალი სახელწოდება არმაზი, ცეცხლ-თაყვანისმცემლობის კულტთან დაკავშირებული, „მოქც. ქართლ“-ს ცნობების მიხედვით ამავე მე-2 საუკ. დასასრულს ფარნავაზის დროს უნდა წარმოიჩენილიყო, ხოლო არტაგის დროს ხალხი ქალაქს უმთავრესად ისევ ქართლს უწოდებდა, ამიტომ ამ ცნობათა ერთმანეთთან დაპირდაპირებით ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა. უძველესი სახელი ამადგილისა, სახელდობრ ქართლი, ხალხის გამოთქმაში ცოცხალი იყო არტაგის დროსაც. არტაგზე 2¹/₂ თაობით წინ ფარნავაზს, „მოქც. ქართლ“-ს მიხედვით, უნდა შემოეღო ზორაოსტრის სარწმუნოება, მოეწყო ბომონი ქართლის მალღობ ადგილზე და თვით ქალაქისთვის ახალი სარწმუნოების კეთილ ღმერთის პატივსაცემად სახელი გამოეცვალა არმაზად.

ეს სახელი, ისე, როგორც საგულისხმებელია, ცეცხლთაყვანისმცემლობაც, დარჩა მართველ წრეებისთვის ოფიციალურ სახმარებლად. ხალხში ყოველს შემთხვევაში იბერიის სატახტო ქალაქი ცნობილი იყო 1 საუკ. ნახევარში ქრ. წ. ისევ წინანდელი სახელით.

საყურადღებოა, რომ კიდევ ორიოდ თაობის შემდეგ სტრაბონი 1 საუკ. დასაწყისს ქრ. წ. იხსენიებს უკვე მდ. ბტყერის და არაგვის შესართავთან ერთმანეთისაგან 16 სტადიონის მანძილზე ორს ქალაქს: Ἀρμαζην და Ξασαμαργα. პირველი სახელი უკვე ქართული ფორმით გვეჩვენება ჰარმოცაქე — ჰარმა(ზ)ციხე, ხოლო მეორე — შემდეგ დროინდელ ქართულ სახელის წიწამურის შესატყვისი სახელი, თავისი ძირით ენათესავება ეხლაც ხუნძახურში წარპოდგენილ ძირს წეწ, რაც ნიშნავს კორძს, ბებერას. წიწამური წარპოდგენს არსებ. სახელს ორგანიზებული მრავლობითი რიცხვით წეწ-ამ(=ბ)-თ. ამ დაბოლოებათაგან სიტყვა წეწ-ამურ-ში ერთი ამ წარპოდგენს დეგრადიულ ბ-ს რომელიც ეხლაც იხმარება, თუმცა არა საყოველთაოდ, ხუნძახურში, ხოლო მეორე დაბოლოება — შემდეგ დროინდელი ურ (წიწამ-ურ-ი) არის იგივე თ, რომელიც წარპოდგენს პარალელურს ფორმას შედარებით სვანურ მრავლ. რიცხვის დაბოლოებასთან არ. სტრაბონი ამ საკუთარ სახელს იხსენიებს ძირით წეწ და დაბოლოებით თ (Ξασαμαργα). არმაზიდან 16 სტადიონის (2,84 კილომ.) მანძილზე, როგორც ეს უკვე აღნიშნა ლ. მელიქსეძემ (В поисках страбон. Самсары), მოდის შემდეგ დროინდელი ბებრის ციხე. ზემოდ მოყვანილ განმარტების შემდეგ ცხადია, რომ ქართული სახელწოდება ამ პუნქტისა — ბებრის-ციხე წარმოადგენს თარგმანს წინააღმდეგ არსებულ სა-

ხელისას: წყ-ამ-ორ=ბებერაები ანუ ბებრის-(ციხე). შემდეგს დროებში ამ სტრაბონის დროს ცნობილ ქალაქის ადგილს შერჩა ქართული სახელი (ბებრის-ციხე), წინადასრულებული სახელი კი მიეთვისა არაგვის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე სხვა პუნქტს, რომელიც ეხლა ცნობილია სოფელ წიწამურის სახელით.

ამ ნაირად ჩვენ ვღებულობთ ფრიად საინტერესო დასკვნას. სტრაბონის დროს წინანდელი ქართლი ან, შესაძლებელია, ქართი უკვე ცნობილი იყო საკმაოდ კარგად არმაზის სახელით. საყურადღებოა აგრეთვე, რომ არმაზი სტრაბონის მიერ იხსენიება ქართული ფორმით—არმა(ზ)ციხე. ამავე დროს არმაზის ახლოსვე, 3 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე, მდებარეობდა პატარა ქალაქი Σαμαρία—წყ-ამ-ორი, რომელიც ჯერ კიდევ ატარებდა თვის ძველს, აწინდელ ხუნძახურთან დაახლოვებულ სახელს ორმაგი მრავლობითი რიცხვით, რომელთაგან მეორე სუფიქსი მრავალ. რიცხვისა შემდეგ დროინდელ სვანურთან ახლო მდგარ კილოს მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. სტრაბონის წყ-ამ-ორი ამ გვარად წარმოგვიდგენს ჩვენ იბერიის ტერიტორიის ლინგვისტურ გარდაქმნის ორს ფენას. ფუძე—დაახლოვებული ეხლანდელ ხუნძახურთან, მეორე დაბოლოვება მრავლობითი რიცხვისა კი მაჩვენებელი ამ საფუძველზე განვითარებულ მეორე ფენისა, რომელი ფენაც ალბად უფრო შემდეგ დროინდელ სვანურთან ახლოს მდგარი კილო უნდა ყოფილიყო. ეს მეორე ფენა, როგორც ვნახეთ, წარმოდგენილია ტერმინს ქართლ-სა ანუ ქართ-ში. სტრაბონის Ἀρμαζία კი გვიჩვენებს არაგვის შესართვის რაიონში ქრისტიანობის წელთაღრიცხვის დაწყების ახლო ხანებში უკვე ახალი—მესამე ფენის, სახელდობრ ქართულ ფენის მიერ მტკიცედ ფეხმოკიდებას იმდენად, რომ იბერიის ეს სატახტო ქალაქი უკვე ქართულ სახელწოდებას ატარებს.

არმაზის სახელთან მტკიცედ დაკავშირებულია არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ისტორიულადც სახელი მცხეთა. რომ მცხეთა უფრო ძველი სახელია, ვიდრე არმაზი, ეს პირდაპირ სჩანს „მოქც. ქართლ.“-დან, რომლის მიხედვით აზო თავის მოსვლისას „დაჯდა ძველ მცხეთას“, ხოლო არმაზი უკვე შემდეგ დააფუძნა ფარნაევზა. როგორც გეოგრაფიული სახელწოდება, მცხეთა, ეკვს გარეშეა, ძალიან ძველი უნდა იყოს, მხოლოდ სიძნელეს იწვევს მისი ჯეროვანი განმარტება. მცხეთა-ს ჩვეულებრივი ახსნა, წარმოდგენილი ნ. მარრის მიერ და შემდეგ სხვების მიერ განმეორებული, მიუხედავად თავისი სიმართლისა, რამოდენადმე ეკვს იწვევს ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით. მართლაც მცხე-თა წარმოდგენილია, როგორც ეს უკვე უჩვენა ნ. მარრა (Ист. терм. Аххаз და სხვაგან) ადგილის მაჩვენებელ აფხაზური სუფიქსით აა და ამ სახელწოდების ძირთან მცხე-სთან ერ-

თად (მცხე=მესხ), გვეხატება როგორც ნაშთი ერთ-ერთ მესხურ ტომის ნაწილის მოსახლეობისა არაგვის შესართავში. აქ იბადება მხოლოდ საკითხი, როგორ მოხდა, რომ ეს ტერმინი, ტომობრივ მაშასადამე, წარმოშობისა, შერჩა ქართულ ენას მთლიანად მესხური, ასე ვთქვათ, ფორმით, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ წესის მიხედვით მას წინანდელ ფორმის შენარჩუნებასთან ერთად უნდა განეცადა გაქართულების ერთგვარი ზედგავლენა. ეს მოსაზრება, მე მგონი, აქლავნებს ტერმინის მცხეთა ს მიღებულ განმარტების სუსტ მხარეს.

ამ ტერმინის განმარტების უფრო რეალურ ნიადაგზე დასაყენებლად ზედმეტად არ იქნება მოვიგონოთ, რომ მცხეთის მეზობლად მდებარე არმაზის განვითარება, როგორც ვნახეთ. დაკავშირებულია განსაზღვრულ რელიგიურ კულტის შემოღებასთან. თუ მივიღებთ მხედველობაში სარწმუნოებრივ კულტის დიდ მნიშვნელოვან როლს მამასახლისურ წყობილების ნორმებისთვის და ამას დაეყვანებოდა ზოროასტრის სჯულის შემოღების შემდეგ არმაზის განვითარებას, მაშინ შეგვიძლია მცხეთის წარმოშობის საკითხის განმარტება სარწმუნოებრივ კულტის განვითარების ნიადაგზე ვეძებოთ. ამ მხრივ საყურადღებოა აფხაზურში აქამდის შენახული სიტყვა—მ'ზა (ა-მ'ზა)—მთვარე, ხე (ა ხე)—ნაწილი, ერთად შეერთებული მ'ზ'ხე, რაც ნიშნავს მთვარის ნაწილს ანუ მთვარის ლოცვას (Н. Джавашви, Религ. вер. афх., Хр. В. IV, 99). მ'ზ'ხე, ზ-ს კანონიერი ამალეებით, ქართულ ნიადაგზე გარდაიქცევა მცხე, რაც აფხაზურისავე ადგილის მაჩვენებელ სუფიქსით აა (მცხე-თა) უნდა ნიშნავდეს მთვარის სალოცავ ადგილს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ როგორც იაფეტურ, ისე საზოგადოდ წინა-აზიის ძველი ხალხების ერთ უძველეს სარწმუნოებად, რომელიც ჩვენში წინააღსწრებდა ოფიციალურ ცეცხლ-თაყვანისმცემლობას, იყო მთვარის და საზოგადოთ მნათობთა თაყვანისცემა (შეად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია I, თავი III), იმას კიდევ, რომ სტრაბონის დროსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა კულტის თვალსაზრისით ალბანიაში, იბერიის მოსაზღვრედ, ჰქონდა მთვარეს, რომელიც მთავარი თაყვანისცემის საგნად იყო გარდაქცეული, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ სახელი მცხეთა-ს დაკავშირება მთვარის სალოცავ ადგილთან ისტორიულ სინამდვილესაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. „მოქ. ქ.“ ქართველების მოსვლამდის აზოს წინამძღოლობით ისტორ. ქართლის მთავარ პუნქტად სწორედ მცხეთას (ძველ მცხეთას) სთვლის და სრულიად ადვილად შესაძლებელია, რომ ეს მთავარი პუნქტი ატარებდა მთვარის სალოცავის სახელს, სწორედ ისე როგორც შემდეგ იბერიის მეფეთა აღგ-ლსამყოფელს დაემკვიდრა, ზოროასტრის კულტის მიხედვით, სახელი არმაზისა.

საყურადღებოა, რომ მცხეთა ატარებს მთავრის სალოცავის სახელწოდებას, რომელიც ეხლა თითქმის პარდაპირ წარმოდგენილია აფხაზურში. თუ მივიღებთ მხედველობაში ნ. მარის დებულებას—აფხაზურსა და სვანურში ერთი საერთო ფენის არსებობის შესახებ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტერმინი მცხეთა დაკავშირებული უნდა იყოს იმ, შემდეგ უკვე გაქრობილ კილოსთან, რომლის კვალს ჩვენ ვხედავდით ტერმინის ქართლი-ს განმარტებასა და წეწ-ამ-ორ-ის მრავლ. რიცხვის მეორე დაბოლოებაში, ე. ი. ეხლანდელ სვანურის მთავარ ფენის მიმართ ახლოს მდგარ კილოსთან. ვინაიდან სახელი მცხეთა ძალიან კარგად განიმარტება სწორედ ეხლანდელი აფხაზურის ნიადაგზე, ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება, უკეთუ ამ კილოს, რომელიც ქრისტეს წინაუდ გავრცელებული ყოფილა მდ. არაგვის შესართავის რაიონში, ვუწოდებთ სვანურ-აფხაზურის ძირითად ფენის პროტოტიპს, რომელიც ძალიან ახლოს უნდა ყოფილიყო შემდეგ დროინდელის სვანურისა და აფხაზურისთვის საერთო ფენასთან. პირობით ამ ფენას შეიძლება ძველ-მესხურის მონათესავე ერთ-ერთი კილოს სახელი მიეცემოდა, რომ ასეთ სახელთან არ იყოს დაკავშირებული ტერმინების რამოღენამდე აღრევა. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ სვანურ-აფხაზურის პროტოტიპის კილოს მატარებელი ტომის ნაშთი არ შეიძლება შემდეგს დროებში მთლად უკვალოდ დაკარგულიყო. ამ ტერმინის უკან დახვევაც მისი ლინგვისტური და ეთნიურა მოცულობით ქართველების დაპყვიდრების შემდეგ უფრო მოსალოდნელი იყო ჩრდილოეთისაკენ და მართლაც შემდეგ დროებში მცხეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით იხსენიება ტომი ფხ-ელთა. 5. მარმა უკვე უჩვენა (Kavk. плем. назн. и местные параллели, 3—4) ვარიაციები ამ ტერმინისა ფხ = ფოხ | ფუსხ ფასხ. უკანასკნელი ორი ტერმინი ფუსხ და ფასხ მოხსენებულია უსახელო სომხ. გეოგრაფიაში, როგორც სარმატულ ჯგუფის ტომების მაჩვენებელი (სომხ. გეოგრ., სუკრის გამ., სომხ. ტექ. 27). ფუსხ, ფასხ კიდევ შეიძლება მიღებულ იქნას როგორც ტერმინების მასხ, მეს-ხ-ის მონათესავე არა მარტო ფონეტიკურად—ეს ცხადია, არამედ რეალურადაც ამ სახელების მატარებელ ტომების ერთმანეთთან ლინგვისტურად სიახლოვის გულისხმობით. პირობით ამიტომ შეიძლება მცხეთის რაიონში ქართულზე უწინარეს სვანურ-აფხაზურის პროტოტიპის მონათესავე ფენას ეწოდოს ფოხური ფენა.

საინტერესოა, რომ წმ. ნინოს დროსაც კი საკუთრივ ფხოველთ ეკირათ ქვეყანა ახლოს მცხეთასთან. როდესაც ნინო მთავარეპისკოპოსით, მღვდლებით და ერისთავით გაემართა მთიულების მოსაქცევად, ერისთავი „დადგა წაბენს და მოუწოდა მთიულთა ჭარახელთა და ფხოველთა და წაბენელთა და უქადაგა სარწმენიანებაჲ ქრისტიანსა“ (Опис. рук. II, 716).

კერპების დაღეწის შემდეგ, ერისთავი „გარდავიდა ერწუდ და დადგა ქა-
ჯეთს“. წობენი ვახუშტის რუკაზე ნაჩვენებია საცხოატოს ახლოს (ეხ-
ლანდელ დუშეთის აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე), არაგვის
ხეობის მარცხენა სანაპიროს, მცხეთიდან ჩრდილოეთით დაახლ. 20 კლმ.
მანძილზე. ხსენებულ ტომთაგან ქართალებების და წილკანელების სა-
ხელების ნაშთად ამ ემად არსებობს ქართალებთა მოსაგონებლად სოფ.
ქართალი ეხლანდელ დუშეთიდან ჩრდილ. 18 კლმზე და წილკანელ-
თაგან—სოფ. წილკანი მცხეთის ჩრდ.-დასავლ. ათიოდე კლმის მან-
ძილზე, ამ სამ ტომთაგან, მაშასადამე, ამისდა მიხედვით, ყველაზე უფ-
რო ახლოს მცხეთასთან მე-4 საუკ. დასაწყისში უნდა ყოფილიყვნენ
წილკანელები, ყველაზე ჩრდილოეთით ქართალებები, შუაგული აღ-
გილი კი (წობენის ირგვლივ) უნდა სჭეროდა ფხოველეს. შესაძლებე-
ლია ისიც, რომ ენის მხრივ ეს ტომები საკმაოდ ახლოს იდგნენ ერთ-
მანეთთან და ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით მე-4 საუკუნეშიდაც ფო-
ხურ, ასე ვთქვათ, კილოთა ჯგუფს საკმაოდ ახლოს მცხეთის რაიონთან.
საყურადღებოა, რომ უსახელო სომხ. გეოგრაფიაში იბერიის ერთ-ერთ
ოლქად დასახელებულია *ბოქსაი* (Géogr. de Moïse de Cor., სუკ-
რის გამ., სომხ. ტ., გვ. 28). ცხადია, აქ ჩვენ გვაქვს საკუთარი სა-
ხელი წობენი მრავლობითი რიცხვის დაბოლოვებით ორ. წაბენ-ორ, მა-
შასადამე, ნიშნავს—წიბენელნი. გეოგრაფიულ სახელად აქ ამ გვარად
წარმოდგენილია ადგილის სახელიდან წარმოებული ტომის სახელი. სომხ.
გეოგრაფიაში ამ სახელის მრავლობითი რიცხვის გარკვეულ მაჩვენებლით
მოხსენება უნდა მოასწავებდეს, რომ წობენის მოსახლეობა გეოგრაფიის
შედგენის დროს ჯერ კიდევ თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობდა, რო-
მელი ენაც თავისი მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლით ორ უახლოვ-
დებოდა, ყოველს შემთხვევაში მორფოლოგიის თვალსაზრისით, იმ
ჯგუფს, რომლის წარმომადგენლად ეხლა სვანური ითვლება (სვანურში
მრავლობითი რიცხვის დაბოლოება არის ან).

უძველეს ეთნიურ თენათა გასარკვევად მცხეთის რაიონში ფრად
საყურადღებოა დიო კასიუსის ერთი ცნობა, რომელიც ეხება აგრეთვე
პომპეიუსის ლაშქრობის ხანას (მნ წ. ქრ. წ.). იბერიის მეფემ არტაგმა-
თისი ქალაქის დაცლისა და პომპეიუსთან გარიგების შემდეგ, „როდეს-
საც დაინახა, რომ (პომპეიუსიც) გადავიდა (მტკვარს), მაშინ (არტოგი
შეშინებული გაიქცა მდ. პელორისაკენ, რომელიც აგრეთვე მისი სამ-
ფლობელოში იყო“ (ბრძენი) *ἐξῆεν ἀπὸ τοῦ βιαιῆς περικύκλου περὶ τὸν Πέλω-
ρον ἐν τῇ Μείκῃ...*, Dio Cass., Hist. Rom. XXXVII, ΠΑΤΗΣ. I, 537).

რადგანაც მდ. პელორზე მისვლამდის პომპეიუსი იბერიის მთავარ-
ქალაქიდან მტკვარზე გავიდა, ამიტომ მდ. პელორად აქ არაგვი უნდა
იგულისხმებოდეს. არაგვზე მაშინ ხიდებიც ყოფილა გადებული. არ-

ტავმა ეს ხიდეები დასწვა, ასე რომ პომპეიუსი მდინარეს გავიდა მხოლოდ ძაშინ, როდესაც ზაფხული დაიწყო და მდინარემ დაიკლო. ეს ცნობები უდგება არაგვის, რომელიც მე-4 საუკ., მაგ., როგორც ეს სჩანს წმ. ნინოს ცხოვრებაში სუჯთა დედოფლის შესახებ თბრობიდან, წყალდიდობისაგან ხშირად გაუვალი იყო: „მოიწია (სუჯთა დედოფალი) მდინარესა ზედა არაგუსა და მდიდრთა მდინარე იგი ფად და უგან იქცეოდეს მსახურნი იგი მისნი ენი მარადჲჲენ“ (Опис. руск. II, 729).

სახელი ზელ-თარ შეიძლება დაკავშირებულ იქნას სვანურ ზილ-თან, რაც ნაშნავს ტუჩს, ნაპირს, თარ კიდე არის მრ. რიცხვის მაჩვენებელი (არ თარ). ზელ-თარ ამის მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს იმავე სვანურ — აფხაზურის პროტოტიპის მონათესავე, ასე ვთქვათ, ფოხურ ჯგუფის კილოზე „ნაპირებს“. საინტერესოა, რომ ხუნძახურში სიტყვა რაჟ ეხლაც ნიშნავს გვერდს, მხარეს და თბრილსაც (II. Устар. Авар-ский яз., 169). საკუთარი სახელი ა-რაგუ-ი ამ შემთხვევაში წარმოადგებოდა იმავე ძირის სახელწოდებად აფხაზურში ეხლაც შენახულ თავსართით ა. სემასიურად კიდეც ეხლანდელ სვანურის ზილ-თარ (ნაპირები) და ხუნძახურის რაჟ (მხარე, თბრილი; ერთმანეთთან დაკავშირება ადვილია და ცხადიც. ამიტომაც შეგვიძლია მივღოთ, რომ ა-რაგუ-ი და ზელ-თარ ერთი და იგივე სახელია, მეორე პირველის თარგმანი და თავდაპირვლად ალბად ნიშნავდა ნაპირებს, ხოლო აქედან შეიძლება მდინარის კალაპოტსაც. ისე როგორც წმ. ან-თარ-ის მაგალითზე, აქაც გვხვდებით ა-რაგუ-ის სახით გეოგრაფიულ ტერმინის სახელს ამ რაიონისთვის ერთ უძველეს ლინგვისტურ ფენის კილოზე, რომელიც, როგორც სჩანს, ენათესავებოდა ეხლანდელს ხუნძახურს. ზელ-თარ ამ თვალსაზრისით წარმოადგინს მეორე ფენის სახელს, თარგმანს პირველისას, რომელ ფენას ჩვენ ხელოვნურად ფოხური ჯგუფის ფენას ვუწოდებთ. როგორც სჩანს ამ მაგალითიდანაც, 1 საუკ. ქრ. წ. ლინგვისტურად არაგვის შესართავში ფოხური ჯგუფის ფენა ყოფილა გავრცელებული, რაც უდგება ზემოდ მოყვანილ დასკვნას ქალაქ ქართლის ან ქართის სახელწოდების შესახებ. საყურადღებოა; რომ შემდეგ ეს სახელი ქართველობამ შეითვისა არა ფოხური, არამედ წინააღმდეგობას უწევს ფენის წოდებულობის მიხედვით. ჯერ სტრაბონი ამ მდინარეს იცნობს ამ ძველი და ქართველებისთვის შემდეგ ჩვეულებრივი სახელით ('Αραγος).

ყველა ზემოდახსენებულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ერთი უძველესი ლინგვისტური ფენა მდინარე არაგვის შესართავში უნდა ყოფილიყო აწყო ხუნძახურთან აალოს მდგარი კილო. მისი ადგილი შემდეგ დაიკირა სვანურ-აფხაზურის ძირითად ფენის მონათესავე ფოხური ჯგუფის კილომ, რომელიც 18 ქართველ

სახლის ამ რაიონში მოსელისას აზოს წინამძღოლობით მე-2 საუკ. ნახევარში ქრ. წ. უკვე კარგახნის გაპატონებული უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს სახელი მცხეთის ამ დროს უკვე არსებობა. ეს ფოხური ჯგუფის კილო გავრცელებული იყო ამის შემდეგაც კარგა ხანს, ყოველს შემთხვევაში პომპეიუსის დროსაც (65 წ. ქრ. წ.) ზნობოდ შემდეგ თანდათან იწყო პირველობის ხელში ჩაგდება ქართულმა ენამ. სტრაბონის დროს ჯერ კიდევ, როგორც საფიქრებელია, ეს ორი ენა ერთმანერთს ებრძოდა. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს სტრაბონის მიერ ერთის მხრივ ქართული ფორმით არმაზის სახელის ხმარება — Ἀρμαζία, არმა(ზ)ციხე, და მეორეს მხრივ ბებრის ციხის მოხსენება ფოხურ ნიშნად გავითარებულ წინანდელი სახელით (Ἀρμαζία — წყნ. ამ. — რ). 1 საუკუნიდან ქრ. წ. თანდათან ფეხს იკიდება უკვე ქართული ენა. რ. საკვირველია, აქ იგულისხმება ენა მისთვის დამახასიათებელ და ნიშნდობლივ თვისებათა მიხედვით და სრულებით არ არის ლაპარაკი თვით ამ ადგილობრივ უკვე არსებულ ლინგვისტურ ფენათა საფუძველზე ქართულ ენის მიერ განვლილ გზათა შესახებ, კერძოდ ამ ფენაზგან, განსაკუთრებით ჯუანასკნელ ფენისაგან, ქართულის მიერ შეთვისებათა შესახებ, რომელ შეთვისებათ უცილობლად ადგილი ექმნებოდა. ეს საკითხი, თავისთავად მეტად საინტერესოა, შეიძლება გახდეს მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ ძიებათა საგნად და ამიტომ აქ თუნდაც ამ მიზეზის გამო უნდა გვერდ ავლილ იქმნას.

იბერიის სახელმწიფოს როგორც ეთნიურ, ისე ლინგვისტურ ფენათა ისტორიული ცვალებადობის და თანდათან განვითარების გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ისტორიულ ხასიათის ცნობებს, რომელიც დაცული აქვს იბერიის სახელმწიფოს მოკულობის შესახებ სხვადასხვა დროის კლასიკურ მწერლებს, კერძოდ სტრაბონს. სტრაბონი პირდაპირ უჩვენებს, რომ იბერიას მასზე უფრო წინანდელ ხანაში მეტი სიერცე ექირა. სომხეთის მეფეებმა არტაქსიას და ზარიადრისმა (ანტიოქ დიდის ყოფილ მხედართმთავრებმა) წაართვეს სხვათა შორის იბერიელებსაც, როგორც ეს სჩანს სტრაბონის სიტყვებიდან (Geogr. XI, 14, 3. Lat. II, 280), „მთის ქვეყანა პარიადრი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის იქით (იგულისხმება აღმოსავლეთით) მდებარეობს“. პარიადრის მთები (Παραδρις) სტრაბონისავე სიტყვით „მდებარეობს სიდენიდან და თემისკირიდან მცირე სომხეთადის და პონტის აღმოსავლეთ მხარეს შეადგენს“ (Geogr. XII, 3, 8). ქვეყანა სიდექე და ამავე სახელის მხინარე პლინიუსის მიხედვით ტრაპიზუნტსა და კერასუნტს შუა იდგა. თემისკირა კიდევ ცნობილი პუნქტია, რომელიც მდებარეობდა შავ ზღვაზე მდ. თერმოლონტეს შესართავში კერასუნტიდან დასავლეთის მიმართულებით (პლინიუსი, Hist. Natur. VI, 4). აღმოსავლეთისკენ კი-

დევ პარიადრის ქელი 1 საუკ. ქრ. შ. უღწევდა იბერიის მიმართულებას. პლინიუსი ამბობს: „იბერიის შემდეგ, მდებარეობს ქვეყანა Thasie და Triare პარიადრის მთებამდის. ამ მთების იქით მდებარეობს კოლხიდის უდაბური ადგილი. კერაუნის (=კავკასიის) მთებისაკენ მდებარე მხარეზე კი ცხოვრობენ არმენოხალიბები და მოსხები“ (Hist. Nat., X, 2, Латыш. II, 181).

ამ ცნობების მიხედვით ცხადია, რომ პარიადრის მთებამდე უნდა იგულისხმებოდეს ესლანდელი პონტის ანუ ლაზისტიანის ქელი, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩრდილო-აღმოსავლეთით აკარავდას უწყეს. პარიადრის ქვეყანაც აქის მიხედვით ქოროხის ხეობაში უნდა ყოფილიყო, უკეთ ამ მდინარის თავსა და შუა წელში, ანუ ესლანდელ კარჩხალის მთების მიდგამდის. პარიადრი ამ გვარად წარმოადგენდა უმთავრესად შემდეგ დროინდელ ისპირს და ტაოსაც.

მეორე ქვეყანა, რომელიც სომხებს წაუტოვებიათ იბერიელებსთვის, არის სომხ-ენე. სომხ-ენე და კამბარ-ენე, ამბობს სტრაბონი, არის ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა (სომხეთში) და ამასთანავე სომხეთის ყველაზე უფრო თოვლიანი ოლქები კავკასიის მთების, იბერიის და კოლხიდის საზღვრად“ (Geogr. XI, 14, Латыш. I, 155).

კამბარ-ენეს (ქართ. — კამბეჩოვანის) მდებარეობა ცნობილია. სახელდობრ, ის მდებარეობდა იორის აღმოსავლეთით და, როგორც სტრაბონის ამ ცნობიდან ჩანს, მის დროს იგულისხმებოდა მტკვრის ჩრდილოეთით და მტკვრის სამხრეთითაც. რადგანაც სტრაბონის დროს სომხეთს ალბანიისაგან მტკვარი ყოფდა (Geogr. XI, 3, Латыш. I, 139), ამიტომ კამბეჩოვანის სომხეთში მოხსენება ცხადად ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა ამ დროს მტკვრის სამხრეთითაც იგულისხმებოდა. ვინაიდან სომხ-ენე და კამბარ-ენე „კავკასიის მთების, იბერიის და კოლხიდის“ მოსაზღვრედ არის მოხსენებული. ხოლო ამათგან კამბარ-ენე იბერიის საზღვარზე უნდა ვიგულისხმოთ, ამიტომ კავკასიის მთების და კოლხიდის მოსაზღვრედ რჩება სომხ-ენე. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე, რომ სტრაბონი გოგარ-ენეს „მტკვრის იქით“ ანუ აღმოსავლეთით იხსენიებს. ამისდა მიხედვით ჩვენ მივიღებთ, რომ გოგარ-ენეს ამ დროს ეჭირა მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა, ყოველს შემთხვევაში შემდეგდროინდელი ჯავახეთი და ტაშირი და მაშინ სომხ-ენესთვის რჩება ქვეყანა მტკვრის დასავლეთით ვიდრე ქოროხამდის და მესხეთის მდებარეობის. კავკასიის მთების სახელით სტრაბონი აქ ალბად გულისხმობს სწორედ მესხეთის ქელს. პომპონიუს მელა (1 ს. ქრ. შ.) პირდაპირ ამბობს, რომ მთები, — იგულისხმება კავკასიისა, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ნაირად იწოდებოდა — კერაუნის, თავრის, მოსხის, ამაზონის, კასპის, კორაქსის და კავკასიის მთებად (Латыш. II, 117).

სორს-ენეს ქვეშ სტრაბონი ამ გვარად გულისხმობს შემდეგ დროინდელ საქცხეს და მის სამხრეთით მდებარე ოლქებს ვიდრე კოროზაშდის. გასაგებია ამიტომ, რომ როდესაც სტრაბონი სახავს სორს-ენეს და კამბის-ენეს დიდთოვლიან ქვეყნებად, ის აქ გულისხმობს უმთავრესად სორს-ენეს და არა კამბის-ენეს. „ამბობენ, — განაგრძობს გეოგრაფი — რომ როდესაც აქ მოდის დიდი თოვლი, მთებზე გარდასვლისას მთელი ქარავეანი იფლობა თოვლში. მაგრამ ამის საწინააღმდეგოთ მცხოვრებთ აქვთ გრძელი ლატანი, რომელსაც თოვლში არკობენ ზედაპირამდის ერთის მხრივ ჰაერის ასამუშავებლად და მეორე მხრივ გამვლელთათვის სანიშნოდ, რათა მათი გამოყვანა თოვლიდან შესაძლებელი იქნეს“ (Geog. XI, 14, Latum. I, 155).

ეს აწერილობა, რასაკვირველია, უდგება შემდეგ დროინდელ სამცხე — არტაან — შავშეთ — იმერხევის ზემო-კლარჯეთითურთ, რომელთა ტერიტორიაზე, როგორც სჩანს, უნდა იგულისხმებოდეს სტრაბონის სორს-ენე.

გოგარენე — ეს არის ჰაიური გამოთქმის შემდეგ დროინდელი გუგარქი ბერძნული ესე დაბოლოვების ჰაიური ქ-ს გამოცვლით (გაგარ გუგარ). ფორპაში გოგარ, გუგარ წარმოდგენილია კიდევ დაბოლოვებად, რომელიც შეიძლება იყოს მრავლობითი რიცხვის დაბოლოება და შეიძლება კიდევ იყოს სადაურობის ანუ აღვილიდან წარმომავლობის მაჩვენებელი, რომელიც გადასულა და შემდეგ შენახულად დარჩენილი იყო სამხრეთ ქართულ კილოებში (აზიზ-აზი, სხუღ-აზი, ხერათა-აზი და სხ. იხ. ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 8, სამშვილდ-აზი იხ. ქ. ცხ. I, 223). სახელი ტომისა, რომელმაც მისცა წარმოშობა გეოგრაფიულ ტერმინს გოგარენე, გუგარქი ამ გვარად არის გოგ. გუგ. ამავე წარმოშობის უნდა იყოს სახელი გაგი, საშუალო საუკუნეებში ცნობილ ციხის სახელი, რომელიც ვარდან დიდის ცნობების მიხედვით (ჟიჟი. რაკიყ, ტფილ. გამ., 58) კანგარში იმყოფებოდა, კნგარი კი გუგარქის სამხ. აღმოს. ნაწილში მდებარეობდა. თვით ვარდანი, ალბად ამ სახელის ეპონიმიზაციის ზედგავლენით, გაგის დაფუძნებას მიაკუთვნებს გაგიკ I-ს, რომელიც მე-10—11 საუკ. მიჯნაზე ცხოვრობდა (დასახელ. წიგნი, 190).

სტრაბონის დროს გოგარ-ენე მტკვრის აღმოსავლეთით იგულისხმებოდა და ამიტომ ის, ანონიზურ სომხურ გეოგრაფიაში ჩამოთვლილ გუგარქის ოლქებს შორის, სტრაბონის დროს შეიცავდა ზემო-ჯავახეთს, ტაშირს, მათი მიმდგამ ქვეყანას (მათ შორის თრელ ს. იხ. ქვემოთ) და ტაშირის აღმოსავლეთით მტკვრის მიმართულებით მდებარე ოლქებს.

იბერიელებს ამ გვარად მე-2 საუკუნის უწინარეს ქრ. წ. სტრაბონის მოწმობით ექირათ საკმაოდ დიდი ტერიტორია მდ. კოროხის აუზის მიმართულებით. საზოგადოდ ყოფილა დრო, როდესაც იბერიელების უპი-

რატესობის უფლება ვრცელდებოდა შემდეგდროინდელ იბერიასთან შედარებით შორს სამხრეთით. იგივე სტრაბონი გადმოგვცემს (lib. I, 3₂₁). რომ „დასავლეთის იბერები გადავიდნენ პონტის და კოლხიდის ზემოთ მდებარე ქვეყანაში, რომელიც აპოლოლოდორის სიტყვით განიყოფება არმენიისაგან მდ. არგხით, მაგრამ უფრო კი მტკვარით (Ἰνδῶς) და მესხეთის მთებით (τὰ Μεσχηὰ ὄρη)“. სტრაბონის ამ მოწმობიდან ცხადად სჩანს, რომ აპოლოლოდორი იბერიელების და არმენების საზღვრად მდ. არგხს უჩვენებდა, რაც სტრაბონისთვის მიუღებელად სჩანდა და ამიტომ მას ამ ადგილას აპოლოლოდორას ცნობაში ვითომ თავისი შესწორება შეაქვს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აპოლოლოდორი ქრ. წ. მე-2 საუკუნის დასაწყისის მწერალია, მაშინ ცხადი იქნება, რომ აქ ჩვენს წინაშე არის კიდევ ერთი ცნობა იბერიელების სამფლობელოს სამხრეთით გავრცელების შესახებ ქრ. წ. მეორე საუკუნეზე უწინარეს. ეს ცნობა უფრო აუბათოებს, მაგრამ საერთოდ უდგენა სტრაბონის მოწმობასაც, რომ არტაქსიასსა და ზარიადრი-სამდის იბერია გოგარ-ენის თან მითვლით უფრო სამხრეთით აღწევდა. შესაძლებელია ისიც და უფრო მისაღებიცაა, რომ აპოლოლოდორის ცნობა თავისი რეალური შინაარსით წინააღსწრებდეს სტრაბონის მოწმობას შესახებ იბერიის სახელმწიფოს მოცულობისა არტაქსიასის და ზარიადრი-სამდის ლაშქრობამდის. ყოფილა დრო, მაშასადამე, და ეს დრო იყო მე-3 საუკ. ქრ. წ., როდესაც იბერიის სამფლობელო შეიცავდა დიდ ნაწილს ამიერკავკასიისას კავკასიონის ქედის შუა წელიდან მდ. არგხამდის და მდ. ქოროხის აუზამდის ამ უკანასკნელის თანმიჯვლით. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სტრაბონის ცნობათაგან.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს დაახლოებით მაინც იმ ხალხის ვინაობის გარკვევას, რომლის სახელი—იბერები—ეთნიკურ-კულტურულ ცხოვრების საბოლოოდ მტკვრის აუზში ჩამოყალიბების შემდეგ შერჩა ქართველებს, მით უმეტეს რომ, როგორც ვნახეთ, თვით სახელი იბერია თავალსაჩინოდ უნდა წინააღსწრებდეს ქართულ ენის გავრცელებას და ჩამოყალიბებას იბერიაში par excellence. ბერძნებსა და რომაელებს გარდა, რომელნიც პირველ საუკუნეში ქრ. შ. და შემდეგაც ქართველებს იბერებს ეძახდნენ (Ἰβηρε, ἱβ; Hiber, eris), ამავე ფორმაციის სახელს ქართველებს აძლევდნენ ჰაიები-სომხები (იხილ-ე, ილ-აჟ). რომაელებს ეს სახელი შეიძლება მიეღოთ ბერძნებისაგან, ბერძნულში კიდევ ეს სიტყვა წარმოდგენილია Ἰβηρε, რომელიც რამოდენადმე უდგება ჰაიურს იხილ-ე, ხოლო ლათინურში ამ სიტყვას ჩვენ ვხედავთ ფორმით Hiber. ლათინურში სიტყვის დასაწყისში ჰ-ს გაჩენა შეიძლება მიეწეროს ამ სახელის ბერძნულ გამოთქმის შეხამებას ტერმინის ადაილობრივად არსებულ გამოთქმასთან. მაგრამ აქ იბადება ფრიად დიდმნიშვნელოვანი

საკითხი, რომელიც ჯერ არც დასმულა და რომლის გარდაწყვეტა ჯერ-
ჯერობით ძნელია, სახელდობრ, თუ როგორ გაშო-თქმოდა ეს ტერმინი
ადგილობრივ ენაზე. ამ საკითხის გასარკვევად ჩვენ შეგვიძლია მოვი-
შველიოთ ერთი ცნობა, რომელიც დაკული აქვს ჰორაციუსს.

(*Canidia iubet*)

Herbasque, quas Iolcos atque Hi-

beria

Mittit venerorum ferax

Et ossa ab cre rapta ieiunae canis

Flammis aduri Colchicis.

(*Ep. lib. V. 61—62, Mar. II, 31*)

(*კანიდია უბრძნებს*), რაბა ბა-

ლახები, რომელიც მოყავს იოლკ-ს

აგრეთვე იბერიას, მდიდარს საწამ-

ლაეებით, დაკიდევ ძელები, წართმე-

ული გამხდარი ძაღლის პირიდან.

დამწვარ იქმნას კოლხურ ცეცხლზე.

პირველ საუკ. ქრ. წ. მცხოვრებ ამ დიდებულ პოეტის სიტყვებს ერთ-
ერთი სხოლისტი ჰელენი აკრთ განმარტავს შემდეგ ნაირად:

Herbasque, quas Iolcos aut Hiberia.

[*Iolcos*] *civitas Ponti est herbis*

veneficis abundans... Nam et hic qui-

dam volunt Hiberiam non Hispaniam

dictam, sed Ponto civitatem vicinam

(*Ep. V, 21, Mar. II, 36*).

და ბალახები, რომელიც იოლკს ანუ

იბერიას. იოლკი — ქვეყანაა პონტში,

შხამიან ბალახებით აღსავსე... რად-

გან ზოგნი ფიქრობენ, რომ იქაღ

იბერიად იწოდება არა ისპანია, არა-

მედ პონტის მეზობელი ქვეყანა.

ამ ბუნდოვან ცნობათაგან, განსაკუთრებით სხოლისტის განმარტები-
დან, შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა იოლკ-ის და იბერიას იგივეობის
შესახებ. სამწუხაროდ დაბეჯითებით ამის თქმის უფლებას ტექსტი არ
იძლევა, მაგრამ რომაელ პოეტს და მის სხოლისტს არ შეიძლება მოე-
თხოვოს ამ მხრივ დიდი ჰუნქტუალობა. ჰორაციუსი ამბობს — იოლკი
აგრეთვე იბერია, მისი სხოლისტი კი პირდაპირ განმარტავს — იოლკი ანუ
იბერია. თუ აქ მართლაც ჩვენ ამ სახელების იგივეობის ჩვენებასთან
გვაქვს საქმე, მაშინ იგი ძლიერ საინტერესოა. საყურადღებოა მხედვე-
ლობაში მიღებულ იქმნას იოსებ ფლავიუსის მოწმობაც თუბალის და
იბერიის იგივეობის შესახებ: *Thobelus Thobelis sedem dedit, qui nostra*
aetate Iberi vocantur: et Mosocheni a Mosoche conditi, nunc quidem
Cappadoces dicti sunt... I, cap. VI. ცნობა თუბალის და იბერიის იგივე-
ობის შესახებ მოხსენებული აქვს ესტატე ანტოქ. მთ.-ეპისკოპოსს (მე-4
ს. პირვ. ნახ.) და თეოდორიტე კვიპრელ ეპისკოპოსს (მე-4 ს.). *PLATINI*.
I, 700, 773.

მაგრამ მაშინ, როდესაც თუბალის ისტორიულ განმარტებაში ჩვენ
უნდა გვეკონდეს საქმე ტომობრივ ტერმინის უფრო თანდათანობით გან-
ვითარების ჩვენებასთან, იოლკ უნდა წარმოადგენდეს მართლაც განსაზ-
ღვრულსავე ხანაში იბერიის პარალელურ ფორმას.

მაინც თუბაღ-ის ფორმის ისტორიულად იბერთან დაკავშირებას ჩვენ-
თვის აქვს დიდი მნიშვნელობა. თუბაღის განვითარება ბერძნულს იბერ
და ჰაიურს ვირ-ქ-ად ფაქტიურად გამოხატება დასაწყისში თ-ს ბგე-
რის გაქრობის მარცხ—თბლ < ბრ ვრ. თ-ს გაქრობა სიტყვის დასაწყისში
უმთავრესად ახასიათებს ეხლაც მეგრულს, მაგ. თინა, ინა და სხ. (Н. Кипш.
Грамм. мянгр. яз., 08). ამისდა მიხედვით შეიძლება ნაგულისხმევ იქმ-
ნას, რომ როგორც ბერძნებმა, ისე ჰაიებმა ეს ტერმინი ისეცხეს თანა-
მედროვე მეგრულთან ახლოს მდგარ ერთ ძველ კალოსაგან. ამ გარე-
მოებაზე ჩვენ შემდეგ შევჩერდებით, აქ კი ზედმეტი არ იქნება აღი-
ნიშნოს, რომ ტერმინი თუბაღ. თითქმის უცვლელად წარმოადგენილია
ეხლაც ხუნძურში, სადაც ლაქებს ანუ ყაზი-ყუმუზებს ეხლაც უწოდებენ
თუმ-ად (Н. Марр, Кавк. племя. назв. 34). საყურადღებოა, რომ დი-
დოურში ეხლა შენახულია ტერმინი ვილი-ზი (ვილ-ზი) ვილაა, რომლი-
თაც დიდოურად უწოდებენ კახეთს (იქვე, 34), ხოლო ვილი || ვილაა,
ცხადია, როგორც პარალელური ფორმა ჰაიურ ვირ-ქ-ისა, ეკავშირება
ტერმინს თუბაღ || თუმად. აქ მხედველობაში მისაღებია სტრაბონის მიერ
მოხსენებული ცნობა პომპეიუსის თანმხლე თეოფანესი იმის შესახებ,
რომ ამაზონებსა და ალბანელებს 'ზორის გელები (Γῆλαι) და ლეგები
(Λῆγαι) ცხოვრობენო (Geogr. XI, 51; Латыш. I. 144). ამაზონელები
კიდევ მისივე სიტყვით კავკასიის ქედის ნაწილის კერაუნის მთების ჩრდი-
ლოეთ მხარეზე ცხოვრობდნენ. საფიქრებელია ამიტომ, რომ ლეგები,
რომელნიც ცხადია შემდეგ დროინდელი ქართული გამოთქმის ლეკები
არიან და პირვ. საუკუნეშივე ქრ. წ., როგორც მოსალოდნელიც უნდა
ყოფილიყო, იბერიაში და ალბანიაშიც სვანურთან დაახლოვებულ ახმო-
ვანებით (ე) იყვნენ ცნობილი, პომპეიუსის დროს უკვე დაღისტანში
ყოფილან მოკალათებულნი. დიდოური სახელწოდება კახეთისა ვილ-იზ,
ვილაა შეესაბამება თუბაღ ს, თუმას, ხოლო თუმადი, შეიძლება არა ეთნიკ-
რად და ლინგვისტურად, მაგრამ სახელით ეხლა უკავშირდება ჯაკ-ს
(=სტრაბონის Λῆγαι). ამიტომაც საუიქრებელია დიდოურს უნდა შე-
ენახოს კვალი თუმად (=ვილ || ვირ) ბინადრობისა აწინდელს კახეთს.
ეს დიდოური ტერმინი, ამის მიხედვით, თავისი წარმოშობით უნდა წი-
ნაუსწორებდეს 1 საუკუნეს ქრ. წ., ყოველს შემთხვევაში საინტერესოა,
რომ ეხლანდელს ეთნიურ სახელშიაც ყოფილა შერჩენილი კვალი ტო-
მის თუბაღ, თუმად, ვილ, ვირ ბინადრობის შესახებ 1 საუკუნეზე ადრე ქრ. წ.
აწინდელ კახეთის ტერიტორიაზე

საყურადღებოა, რომ ხუნძები ყველა დაღისტნის ტომებს ეხლა ეძა-
ხიან ჭობაღ-ად მახვილით მეორე ჩარცვალზე (Н. Марр, Кавк. племя.
назв. 31). ჭობაღ-ად, სადაც აღ მრავლ. რიც. დაბოლოვებაა, გულის-
ხიობს ხუნძურად როგორც დაღისტნის ყველა ტომებს, ისე თვით ხუნ-

ძეხსაც. ჭობოლ—ეს თითქოს პარალელური ფორმაა შედარებით ზერძნ. ჯიჟი და განსაკუთრებით ლათ. Hiber-თან. გამოდის, რომ ხუნძურს ეხლაც შეუნახავს ძველი თუბალ, იბერ, ჭიბერ, პირველი—მეზობელ ტომის ლაკების აღსანიშნავად, ხოლო მეორე—თავისი მონათესავე ტომებისთვის ზოგადი მნიშვნელობით.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ხუნძების ერთი სახელი, სახელდობრ კარატიულ ენაზე დაღისტანშივე, საკმაოდ კარგად მოგვაგონებს პორაციუსის და მის სხოლისტის მიერ მოხსენებულს პარალელურ სახელწოდებას იბერიისას—იოლკ-ს. კარატიულ ენაზე ხუნძები იწოდებიან ჭალ-ში (H. Mapp., loc. cit.), რომელ ფორმაშიდაც ბი წარმოადგენს მრავლობითი რიცხ. დაბოლოვებას. იოლკ-ს, კ-ს (=ქ) როგორც მრავლ. რიცხვის მაჩვენებლის გამოკლებით, წარმოადგენს პარალელურ ფორმას კარატიულ ჭალ-თან, მხოლოდ ჰ-ის დაწევით და გადასვლით ი-ში. ჭალ არის იგივე ძველი ქართული ჭერ (აქედან ჭერ-ეთი), რ და ლ-ს კანონიერ ცვალებადობით და სვანურის ხასიათის ანბოვანებით (ე). ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება იმისა მაჩვენებელი იყოს, რომ ტერმინი ჭალ ქართველებმა გაიცინეს სვანურთან დაახლოვებულ კილოს საშუალებით, რაც უდგება ზემოდ ვრცლად განვითარებულს პერსპექტივას ქართული ენის დაპყვიდრების საფეხურების შესახებ არაგვის შესართავში.

ყოველს შემთხვევაში ცხადი უნდა იყოს, რომ ტერმინი ჭალ თუნდაც გენეტიურად დაკავშირებული არ იყოს ტერმინთან თუბალ-იბერ—ამ გვარ გენეტიურ და უშუალო დაკავშირებისთვის თითქოს მტკიცე საბუთი არ უნდა სჩანდეს—მაინც ისტორიულად და, ასე ვთქვათ, გეოგრაფიულადაც ის ძლიერ ახლოს დგას თუბალ-თან. ამის დამამტკიცებელია თითქოს ის, რომ ეს ორი ტერმინი ტრიალებს ეხლაც მეზობლად მცხოვრებ ტომებს შორის, ყოველს შემთხვევაში მათ ეხება—სახელდობრ ხუნძებს და ლაკებს.

ზემოდ ხსენებულის ნიხედვით შეიძლება გამოტანილ იქნას შემდეგი დასკვნა. თუბალ და ჭალ ერთმანეთთან უძველეს დროიდან გეოგრაფიულად ახლოს მდგარი, ერთმანეთზე გავლენის მომხდენი და ერთმანეთის მნათესავე ცალკე ტომების სახელები უნდა იყოს. ამათგან უფრო ძველი უნდა იყოს თუბალ-იბერ, რომელსაც უძველეს ხანაში, ალბათ ამ სახელის მატარებელ ტომის ერთგვარ პოლიტიკურ უპირატესობის გამო ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა მიჩნეული განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოსახლე ტომების აღსანიშნავად. ასეთი ზოგადი მნიშვნელობით—მხოლოდ შეზღუდვით, რასაკვირელია—იხმარება ეხლაც ხუნძებში ამავე ძირის ტერმინი ჭობოლ. ხუნძურად (ხუნძახურად) ჭობოლ-ად ეხლა ნიშნავს საზოგადოდ კავკასიის მთიულებს.

პარალელურად ამისა არსებობდა ტერმინი ჰალ უფრო ვიწრო. მნიშვნელობით და, როგორც ეტყობა, განსაზღვრულ ტომის სახელად ხმარებული. ჰალ შეიძლება ყოფილიყო ადგილობრივი სახელწოდებაც უკვე თვალსაჩინოდ შემცირებულ იბერიისა 1 საუკ. ქრ. წ. (=ილ-; ჰორაკიუსისა). ეს სახელწოდება, მაშასადამე, შერჩა ამ ქვეყანას მაშინაც, როდესაც ლინგვისტურად იბერია ფერს იცვლიდა და ყოველს შემთხვევაში არაგვის შესართავში სევანურთან დაახლოვებული კილო იყო ეფემოკიდებული.

ახლად ჩამოყალიბების გზაზე დამდგარმა ქართულმა ენამ ქრისტანობის წელთაღრიცხვის დაწყების ახლოს შეითვისა ეს ტერმინი სევანურივე ახმოვანებით — ჰერ, რომელი სახელწოდება მიეცა ქართველების კუთვნილ ქვეყნის აღმოსავლეთით გადასულ თუ უკვე წინადაც მოკალათებულ ძველ ჰალ იბერების მონათესავე ტომს, ქართველებში ისტორიულად ჰერების სახელით ცნობილს.

ზემოდ თქმულის მიხედვით შეიძლება დაშვებულ იქმნას, რომ „მოქ. ქ.“-ში დაცული ცნობა აზოს მეთაურობით 18 სახლის მოსვლის შესახებ მცხეთას საერთო მოცულობით სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს, მხოლოდ მცხეთას მაგივრად რეალურად აქ უფრო ფართო რაიონი უნდა იგულისხმებოდეს. ეხლა საინტერესოა დაახლოვებით მაინც გარკვეულ იქმნას, თუ საიდან, როგორ და რა პირობებში უნდა მომხდარიყო ქართველების ეს ღირსშესანიშნავი გადმოსვლა ახალს სამკვიდრებელს ადგილას.

ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რომ აზოს გამგებლობის დასაწყისი დაახლოვებითი ანგარიშით შეიძლება მიეწეროს 172 წლ. ახლო ხანებს ქრ. წ.. მაშა მისი იყო არან ქართლის მეფე, რომელიც ამ დროს ცოცხალი იყო. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ჟამად ჩვენ განზე უნდა დავტოვოთ საკითხი თვით „სახლების“ რეალურ მოცულობის შესახებ, საკითხიც მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიის ურთიერთშორის დანაწილების პროცესისა და სხვა. ეს საკითხები ჰქვემოდ შეძლების დავარად ცალკე იქნება განხილული, ამ ჟამად კი ჩვენ გვინტერესებდეს „მოქ. ქ.“-ში დაცული ცნობის საერთო მოხაზულობით შეჯერება ისტორიულ ზასიათის ფაქტებთან.

უპირველეს ყოვლისა ცხადი უნდა იყოს, რომ „მოქ. ქ.-ა“, 18 სახლის მოსვლის ფაქტის მოთხრობით, გულისხმობს საზოგადოდ ქართველების მოსვლას პირველად მდ. არაგვის შესართავში. ეს მოსვლა მომხდარა ქარხლით და ქართლადაც ამავე დროს მექრონიკე თითქოს შიდა-ქართლის გარედ მდებარე ქართლს უნდა გულისხმობდეს. ეს სჩანს იქიდან, რომ აზოს მემკვიდრეების ბატონობის გამკვიდრება მცხეთის რაიონიდან უფრო ინტენსიურად დასავლეთით მტკვრის ხეობის აღმა

მიდიოდა. თარნაჯობმა „აღმართა კერპი ზადენი მთასა ზედა და აღაშენა ციხე“, და მხოლოდ არსუკმა „კასპი შეიპყრა და უფლის ციხე განაგო“ (Опис. II, 709). ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ აზოს ჰოსელა მცხეთას უფრო სამხრეთის მიმართულებიდან უნდა ყოფილიყო და არა დასავლეთიდან. დასავლეთისკენ კი აზოს მემკვიდრეებს უხდებოდათ ძლიერ ნელა და, როგორც სჩანს, დიდხანს სიძნელით თავისი ბატონობისთვის გზის გაკაფვა.

რა გარემოებას უნდა გამოეწვია აზოს ასეთი მსვლელობა მცხეთის მიმართულებით? საფიქრებელია, რომ ასეთი მოძრაობა, რომელიც ადგილობრივი მასშტაბით ხალხთა გადაჯგუფების შედეგის მქონი იყო, ყოველს შემთხვევაში მაშინვე პოლიტიკურ სურათის მძლავრად შემცვლელი, გარეგნულად რაიმე რთულ პოლიტიკურ მიზეზებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. შეძლება ამ პოლიტიკურ მიზეზების გაზომ-წვევი ყოფილიყო მეორე საუკუნის ქრ. წ. დასასრულის ამბები, როდესაც ანტიოქიდიის ერთ-ერთმა სარდალმა არტაქსიასმა დაიპყრო არმენია 189 წ. ქრ. წ. და გახდა დამოუკიდებელ ხელმწიფედ (189—159 წ. ქრ. წ.).

ამ არტაქსიასმა, სტრაბონის ცნობით, როგორც ენახეთ, ძლიერ დაასუსტა იბერია, წაართვა იბერიელებს პარიადრი, ხორძენე და გოგარენე, რომელნიც შეუერთა არმენიას. სტრაბონის პარიადრი და გოგარენე ზემოდ უკვე გარკვეული იყო—და ქვემოთაც განმარტებული იქმნება, პარიადრი—ეს არის უცნობი წარმოშედლობის გეოგრაფიული სახელი, გოგარენე კი, სახელის მიხედვით, როგორც ნაჩვენები იყო, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ჯაგის ტომთან.

რაც შეეხება ხორძენეს (Χορζηνή), დაბოლოვების ენეს-ს გამოკლებით ვლდებულობთ ძირს ხორძ. ამის პარალელურ ფორმას წარმოადგენს სირიული ფორმა გურსან, რომელსაც ხმარობს უკვე მე-9 საუკუნეში ქრ. წ. ზაქარია რიტორი ქართლის სახელწოდებად (Н. Адошн. Арм. в эпоху Юст., 219). მართლაც, ხორძ უნდა იყოს ბერძნულ დამწერლობის ნიადაგზე ქართული სახელწოდებიდან ქართ—ის გადასვლით გ-ში, რის მაგალითი არის თანამედროვე მეგრულშიც, (I. Кашин., Грамматик. яз. 07) და მეგრულ-ქანურ (რ) ახმოვანებით—წარმოებული ქართ ქორტ ჯორჲ. უკანასკნელი ფორმის პარალელური არის სტრაბონის ხორძ-ენე და ზაქარია რიტორის გურს-ან. საყურადღებოა, რომ სტრაბონს ეს სახელი ნახმარი აქვს მეგრულ-ქანურ ახმოვანებით—ხორძ, რაც წარმოადგენს თანამედროვე მეგრულში არსებულ ქორთუ-ს—ქართველის სახელწოდების პარალელურ ფორმას. ხორძ-ენე ამიტომაც უნდა ნიშნავდეს ქორთუების ანუ ქართველების ქვეყანას—ქართლს. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ შემდეგს დროებში ის ქვეყანა, რომელსაც სტრაბონი ხორ-

ქენე-ს ეძახის, ქართულად ცნობილი იყო ქართლის, კერძოდ ზემო-ქართლის სახელით. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სტრაბონის ხორძენე-ს ტერიტორია მთლად ნაგულისხმევია მატიანის ეპონიმთა და ეთნარქთა სქემაში ქართლოსის წილად, რაც იმას ამტკიცებს, რომ ქართველების შეგნებაში ძველი დროიდანვე ეს ქვეყანა ქართლად იყო ცნობილი. ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სტრაბონის ხორძენე არის ქართლი, რომ სტრაბონს ამ გვარად დაცული აქვს ქართლის სახელწოდების ძველი ბერძნული გამოთქმა მეგრულ-ქანური ჯგუფის ო-ს ახმოვანებით.

ასეთი განმარტების შემდეგ უფრო ადვილი ხდება ქართველთა 18 სახლის ამოძრავების შესახებ ფაქტებში გარკვევა. ეს ხორძენე — ქართლი, როგორც მოხსენებული იყო, სტრაბონის ცნობით დაიპყრა არტაქსიასმა (186—159 წ. ქრ. წ.). ამის თანამედროვედ სჩანს აზო, „ძე არან ქართლისა მეფისაჲ“ („მოქ. ქ.“). შესაძლებელია ამიტომ, რომ აზოს და მასთან ერთად ქართველთა სახლების ერთი ნაწილის ამოძრავება ჩრდილოეთისაკენ გამოწვეული ყოფილიყო არტაქსიასის გაძლიერების გამო პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლით ქართლში (=ხორძენე-ში). შესაძლებელია, აზომ და მასთან ერთად ქართველ სახლების ერთმა ჯგუფმა ვერ შესძლეს არმენიის მფლობელობის ქვეშ დარჩენა და დაიძრნენ თავისი ქვეყნიდან — ჯერ, როგორც სჩანს, აღმოსავლეთისკენ და შემდეგ ჩრდილოეთით მცხეთის მიმართულებით. ვინაიდან, როგორც ვნახეთ, „მოქ. ქ.“-ს მიხედვით, მცხეთის დასავლეთით — კასპსა და უფლისციხისკენ მხოლოდ აზოს საკმაოდ დაშორებული მემკვიდრეები ახერხებენ ფეხის მოკიდებას, ამიტომ აზოს მარშრუტი მცხეთისკენ სამხრეთიდან უნდა ყოფილიყო და მაშინ მივიღებთ ქართველთა სახლების მსვლელობის გზას ქვემო-ჯავახეთიდან ქციის (ხრამის) ან ალგეთის ხევით აღმოსავლეთისაკენ და შემდეგ მცხეთის მიმართულებით ჩრდილოეთით.

ფრიად საყურადღებოა ის ევოლუცია, რომელიც გამოიარა ძველ ქართველების შემეცნებაში აზოს პიროვნებამ. ცნობა აზოს მცხეთაში მოსვლას შესახებ დაცულია „მოქ. ქარ.“-ს ძველ ქრონიკის ნაწილში. ეს ნაწილი ქრონიკისა, როგორც უკვე ნაჩვენებია (ს. კაკაბ., საისტორიო ძიებანი 1, 76—80), უნდა შეიცავდეს უძველეს ქართულ საისტორიო, შესაძლებელია თავდაპირველად არამეულ ენაზე დაწერილ წყაროდან ამოღებულ ცნობებს, რომელი წყაროც „მოქ. ქ.“-ში წარმოდგენილია ფაქტიური თხრობით დაწყებული აზოდან ვიდრე არშაკ მეფემდის (30—12 წლ. ახლ. ქრ. წ.). ვინაიდან ეს თხრობა თავდება არშაკ მეფის შესახებ ცნობაზე, ამიტომ შესაძლებელია მივიღოთ, რომ დასახელებული საისტორიო წყაროც შედგენილი უნდა ყოფილიყო და-

ახლოვებით ქრისტიანობის წელთ-აღრიცხვის დაწყებისას, ოდნავ წინ დაან შეძლეგ. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ პირველ საუკუნის პირველ ნახევარში ქართველებს უკვე ჰქონდათ ისტორიული ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობდა აზოს, არან ქართლის მეფის ძის, მოსვლას მცხეთას. ნაწილიდან ქრ. წ. იბერია უკვე რომის იმპერიის პოლიტიკურ და კულტურულ ზედგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ ზედგავლენის შედეგი იყო ქართული ანბანისთვის საფუძვლის ჩაყრა მარცხნიდან მარჯვნივ წერაზე გადასვლით, რაც დაახლოვებით პირველ საუკ. მეორე ნახევარში ქრ. წ., ან, რაც უფრო მისაღებია, პირველ საუკუნეში ქრ. წ. უნდა მომხდარიყო (იქვე, 83). რომის იმპერიის საშუალებით ბერძნულ კულტურულ გავლენის გაძვივრებამ ხელი შეუწყო აზოს პიროვნების თავისებურ ტრანსფორმაციას უკვე ბერძნულ გადმოცემების ნიადაგზე. ტაციტს დაკუთვნილი აქვს საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიელები და ალბანელები „თავის თავს სთვლიან თესალიელების შთამომავლობად და ამბობენ, რომ აზონი მედეას მოტაცების და მისგან შვილების შეძენის შემდეგ და მედეას მამის აეტის საკვდილის შემდეგ მოვიდა უმეგოდ დარჩენილ კოლხებთან და აეტის ტახტი დაიკავა. მართლაც იქ ბევრი რომ მოწმობის მისი (იაზონის) და ორაკულ ფრიქსის შესახებ. ვერძს იქ ზეარაკად არაფერ არ შესწირავს, რადგან სწამთ, რომ ვერძმა მოიყვანა ფრიქსი, იყო ეს მართლაც ვერძი თუ ვერძის ნიშანი გემზე“ (Annales, VI, 44; Latins. II, 235). ტაციტის ეს ცნობა ეხება იბერიის მეფის ფარსმანის (სჩანს 35 – 58 წ. ქრ. წ.) ხანას, მაგრამ ეს საინტერესო დამოწმება იბერიაში გავრცელებულ აზრისა, რასაკვირველია, უნდა დათარიღდეს 117 წლ. ახლო დროით, როდესაც ტაციტის დასახელებული თხზულება დაწერილი. ის გარემოება, რომ აქ იბერიელები (იგულისხმება მართლად წარეები) თავის თავს ტაციტის დროს ბერძნულ გადმოცემით იაზონს უკავშირებდნენ, რომელი იაზონის ფიქსაცია კოლხიდის ტერიტორიაზე, ტაციტისავე სიტყვით, იბერიელებს კარგად ჰსცოდნიათ, — ჩემის აზრით, უნდა ამტკიცებდეს იბერიაში აზოს შესახებ გადმოცემის ერთგვარ ტრანსფორმაციას ცდას, რომელიც მე-2 საუკ. დასაწყისში შესრულებული ფაქტი იყო. აზო, ამ გვარად, შეცვლილ კულტურულ გეზის მიხედვით, უკავშირდებოდა ბერძნულ გადმოცემის იაზონს. ეს გარემოება, როგორც დამახასიათებელი ქართულ ისტორიულ აზროვნებისთვის მე-2 საუკ. დასაწყისში, არის თავის თავად, რასაკვირველია, ფრიად საყურადღებო.

უკანასკნელი დანასკვი აზოს პიროვნების ლიტერატურულ ნიადაგზე განვითარების შესახებ მე-2 საუკ. მიწურულს ფარნავაზის ცხოვრების დაწყება, რომელმაც შეათავსა ქართულ აზროვნებაში უკვე დამკვიდრებული შეხედულება — აზოს ბერძნულ სამყაროსთან და-

კავშირების შესახებ, ფარნავაზის სახლის ქართულ წარმომადგენლობის იდეასთან და ამგვარად ჩამოაყალიბა ცნობილი ისტორიული ქარგა: აზო—ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი, ფარნავაზი—უკანასკნელ კახეთის მამასახლისის ძმისწული, მისი მოწინააღმდეგე.

II.

იბერიის ტერიტორია.

ტერიტორიალური მოცულობა იბერიისა პირველად საკმაოდ გარკვევით გვეხატება სტრაბონის ცნობებში. არტაქსიასისა და ზარიადრისის დრომდის, როგორც ვნახეთ, იბერია, სტრაბონის ცნობის მიხედვით, საკმაოდ ვრცელი ყოფილა. უფრო ადრე კიდევ მას სჭერია ტერიტორია თითქმის მდ. არეზამდის. სტრაბონის დროს იბერია უკვე შემცირებულ ტერიტორიაზე იგულისხმებოდა. დასავლეთიდან იბერიაში მიმავალი გზა კოლხიდის ციხე შორაპანზე (*Σοραπανά*) და მის ზევით მდებარე ხეობებზე გადიოდა. ამ ხეობებით მდ. ფაზისი შფოთიანდ და მძლავრად მიეპართეოდა კოლხიდაში (*Geogr. XI, 2₁₇, 3₄; Λατιν. I, 136, 139*). ამ ცნობის მიხედვით, რომელშიდაც ფაზისად აღზად ეხლანდ. ყვირილა იგულისხმება. გამოდის, რომ იბერიის დასავლეთი საზღვარი დაახლოვებით ლიხის მთაზე გადიოდა. რადგანაც ლიხის მთა უძველესი ბუნებრივი საზოგადო კავკასიის შუაგულში, ამიტომ თითქმის დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონის დროს იბერია აღზად ლიხის მთამდის უწყვედა.

აღმოსავლეთით იბერია საზღვრავდა ალბანიას. სტრაბონი არ უჩვენებს გარკვევით იბერიის და ალბანიის განმსაზღვრელ ხაზს, მაგრამ პლინიუსი პირდაპირ ამბობს რომ იბერებს ალბანელებიდან ალაზანი ყოფსო (*Natur. Hist. VI, 26. Λατιნ. II, 181; ლათინურ-ალაზანის სახელი შეცდომით მოჟავს Ocazane ნაცვლად Alazu*). სტრაბონის გეოგრაფიიდან სჩანს კიდევ, რომ იბერია აღმოსავლეთით, უკეთ აღმ. სამხრეთით, კამბეჩოვანამდის უწყვედა. ამ ცნობებს ესაჭიროება გარკვევა.

კამბეჩოვანი *Καμπσηγής*-ს სახელით ცნობილია პირველად სტრაბონის მიხედვით. სტრაბონი გარკვევით უჩვენებს კამბეჩოვანს, როგორც ალბანიის ნაწილს. აქ, მისი სიტყვით, თავს იყრიდა სომხეთის, იბერიის და ალბანიის საზღვრები. (*Geogr. XI, 4₁; Λατιნ. I, 141*). მაგრამ იგივე სტრაბონი კამბეჩოვანს ასახელებს როგორც სომხეთის ნაწილსაც: „ხოროსენე და კაპბისენე არისო ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე და ამასთანავე სომხეთის ყველაზე უფრო თოვლიანი ოლქები კავკასიის მთების, იბერიის და კოლხიდის საზღვრად“ (*Geogr. XI, 14₄; Λατιნ. I, 155*). ამასთანავე მხედველობაში მისაღებია, რომ სტრაბონისავე სიტყვით ალბანიას სომხეთისაგან მტკვარი ყოფდა: „მტკვარი—არაგვის შერთვის შემ-

დევ—ვიწრო ველით შედის ალბანიაშიო, ალბანიასა და სომხეთს შორის მიმდინარეობს სამოვრებით მდიდარ ველზე, აქვს მძლავრი ღენა და შეიერთავს მრავალ სხვა მდინარეთ, როგორც ალაზანს (Αλαζανης), სან-დობანესს (Σανδοβανης), რეტაკესს (Ρετακης) და (Χανης) ხანეს“ (Geogr. XI, 3, Матвш. I, 139)

თვით კამბეჩოვანის მდებარეობის გამოსარკვევად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სტრაბონი ეხლაზან მოყვანილ ადგილას მდ. ალაზანს ალბანიიდან მომდინარედ გულისხმობს. მეოცე ადგილას ის გარკვევით ამბობს, რომ „ალბანიიდან სომხეთისკენ გასავლელი გზა უწყლო და მკაცრ კამბისენით მიდის“ მდ. ალაზანისკენ.“ გზა ალბანიიდან სომხეთისკენ, მაშასადამე, უდაბურ ადგილით მიდიოდა და მდ. ალაზანზე ვადიოდა. ცხადია, ასეთს გზას წარმოადგენს ეხლანდელი შირაქის ველი და ალაზნად აქ შემდეგდროინდელი იორი უნდა იგულისხმებოდეს. მართლაც „ქართ. ცპის“ მესამე ნაწარმოების — „მეტეხთა ცხოვრების“ — მიხედვით კამბეჩოვანი უწყვედა მდ. იორამდის. „ხოლო ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყუნეს მტკუარსა და მოსრულ იყუნეს კანბეჩოვანს და დაებანაკათ იორსა ზედა“ (ქ. ცხ. I, 49). აქ ნაგულისხმევი უკან მსვლელობა ქართველების და მათი მოკავშირეების ჯარისა სწარმოებდა ნახჭევანიდან ჩრდილოეთით მტკვრამდის და მტკვარზე გასვლის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით იორისკენ. საყურადღებოა, რომ მდ. იორს ალაზანის სახელით იცნობს „მამათა და ნათესავთ ცხოვრების“ ავტორიც, რომელიც იორს მცირე ალაზანს უწოდებს, განსარჩევლად მეორე, ნამდვილ ალაზანისაგან. „მოვაკანს მისცა (თარგამოამა) მტკურისა ჩრდილო მცირისა ალაზანისა შესართავითგან ვიდრე ზღუადმდე... ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილო მცირისა ალაზანის შესართავითგან ვიდრე ტყუებამდე, რომელსა აწ ჰქუიან გულგულა და აჰან ჰეროსს ალაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა“ (ქ. ცხ. I, 17).

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით გამოდის, რომ უძველესი სახელი იორისა უნდა ყოფილიყო ალაზანი. სტრაბონი ამ სახელით იცნობს ამ მდინარეს და კამბეჩოვანიც უწყვედა მდ. იორამდის და მდებარეობდა მის აღმოსავლეთით. სტრაბონის დროს კამბეჩოვანი გაშლილი ყოფილა მტკვრის სამხრეთითაც და ერთი ნაწილი მისი (ჩრდილოეთი) ეკუთვნოდა ალბანიას, მტკვრის სამხრეთით მდებარე კი შედიოდა სომხეთში. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ დიო კასიუსი I საუკუნისთვის ქრ. წ. (65 წლ. ახლოს ქრ. წ.) იორს იხსენიებს კამბიზის (Καμβισης) სახელით. სახელდობრ პომპეიუსი, ალბანიის წინააღმდეგ კოლხი-დიდან სომხეთის გზით მიმავალი, გაღის მტკვარს და შემდეგ ძნელი და

უწყლო გზით მიადგება მდ. კამბისს. კამბისი აქ, ცხადია, მდ. იორის სახელის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ამ გვარად მდ. იორის სახელი ვითარდება შემდეგ ნაირად. I საუკ. ქრ. წ. (65 წლ. ახლოს) ამ მდინარეს ეწოდება ბერძნული გამოთქმით კამბიზი, ე. ი. კამბეზოვანის მდინარე, ხოლო სტრაბონის დროს (20 წლ. ახლ. ქრ. შ.)—ალაზანი. ალაზანსავე უწოდებს მას, როგორც ნაჩვენები იყო, პლინიუსი († 79 წ. ქრ. შ.), რომელიც ამბობს, რომ იბერიელებს ალბანელებისაგან ჰყოფს მდ. ალაზანიო.

ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ იბერიის აღმოსავლეთ საზღვარს I საუკუნეში იორი შეადგენდა. მთიან ადგილებისკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვარი არა სჩანს, მაგრამ ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში, რომელ დროსაც, როგორც დავინახეთ, მიეკუთვნება სომეხ ანონიმ გეოგრაფოს მხედრე შენახული ცნობა ამის შესახებ, თუშნი, ცხატელნი, გუდამაყრელნი იბერიის საზღვრების გარეშე ითვლებოდნენ. ისინი ჩამოთვლილი არიან სარმატიის ხალხებს შორის (Géogr. de Moïse de Cor., par Soukry., სომხ. ტექს. 26). აქ მოხსენებულ ცხატელთა ტომის ნაშთს წარმოადგენს სოფელი საცხატო არაგვის მარცხენა სანაპიროზე ღუშეთის გასწვრივ. თუ მე-4 საუკუნეში იბერიის საზღვარი შექმნა დროინდელ ღუშეთის ხაზზე გადიოდა, I საუკუნეში საზღვარი შესაძლებელია უფრო სამხრეთითაც იყო, რადგან მთიულ ტომების დამორჩილება, როგორც სჩანს, საერთოდ წელის ტემპით მიდიოდა.

სამხრეთი საზღვარი ზემოდ ზოგადად უკვე გარკვეული იყო. გუგარქი არმენიას ეკუთვნოდა, არმენიისავე ხელში იყო ხორძ-გნე და საზოგადოდ ქვეყანა ვიდრე პარიადრ-ამდის, ამისი თანმიჯნოვით. გუგარქი ამ დროს, როგორც ვნახეთ, მტკვრის აღმოსავლეთით (სტრაბონის „მტკვრის იქით“) იგულისხმებოდა. სომეხთა ანონიმი გეოგრაფოსი კი ჩამოთვლის მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე გუგარქის ოლქთაგან შემდეგს ოლქებს: ძოროფორი, კოლბოფორი, წობოფორი, ტაშირი. თრელი (*Πισίη*), კანგარი, ზემო-ჯავახეთი (გეოგრ., სუკრის გამ., 34). მტკვრის დასავლეთით კიდევ ნაგულისხმევია არტაანი და კლარჯეთი (იქვე). რადგანაც ბოლნისის, ქვეშის და მანგლისის ხევი გუგარქს არ ეკუთვნოდა, როგორც ეს სჩანს იმავე ანონიმიდან, ამიტომ საზღვრის გამორკვევა საკუთრივ იბერიასა და გუგარქს შორის შესაძენველად ადვილდება. ეს საზღვარი გადიოდა ალბად აღმოსავლეთიდან ჯერ მტკვარზე (ძოროფორი, კოლბოფორი, წობოფორი), შემდეგ უზვედა შემდეგ-დროინდელ ლელვარის ქედის მიმართულებით. ლელვარის ქედი ჰყოფდა ქვეშის და ბოლნისის ხევს ტაშირისაგან. ტაშირის აღმოსავლეთით ძოროფორისკენ უნდა ყოფილიყო კანგარი. ყოველს შემთხვევაში ვარდან

დიდი კანგარს იხსენიებს უტის (ილახე) მეზობლად და თვით კანგარში ციხე გავს (*შჩიჩინ ქარყ. ჩაყრბერ. შააი. შჩიხერასკან*, ემინის გამ., 157, ემინისავე თარგმანი, 147). ლაზარე პარბელი იხსენიებს კანგარის მთებს, სადაც ვახტანგ ქართველების მეფემ (გორგასალმა) თავი შეაფარა სპარსელების საშიშროების გამო (*შაჰნამე*, § 62). რაც შეეხება თრეღ-ს, ის თითქოს ქართულ თრეღ-ეთ-თან შეიძლება იქმნეს დავაშირებულად. თრიალეთად შემდეგს დროებში ცნობილი იყო შედარებით პატარა კუთხე, მდ. ქციის ხეობის ზემო ნაწილი. ყოველს შემთხვევაში ვახუშტი მას ამ რაიონში უჩვენებს. მე-11 საუკუნეში თრიალეთში იყო ლიპარიტის „ციხე ქუეშე კლდე კარა“ (ქ. ცხ., I, 219).

როგორც სჩანს, ანონიმის დროს თრიალეთად უფრო ფართო რაიონი იგულისხმებოდა. რომ თრიალეთი, ან ამ ძირის სახელი წინად უფრო ფართო მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს გეოგრაფიული ნომენკლატურის ცნობები. ვახუშტი თრიალეთის დასავლეთით, მას და ხეობას შორის, უჩვენებს თრეღ-ს, როგორც ოლქის სახელწოდებას. ჯავახეთის აღმოს. ნაწილში ვახუშტი უჩვენებს სოფელ თორსაც, რომელიც ეხლაც არსებობს. თორი არის მარტივი ფორმა თრიალეთისა, ამ უკანასკნელიდან ადგილის მაჩვენებელ დაბოლოების ეთ და მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელ -ღ-ის გამოკლებით — თრი თარი. შესაძლებელია ამიტომ, რომ პირველ საუკუნეებში თრეღ-ის სახელით ცნობილი იყო ტაშირის მოსახლეობე შემდეგდროინდელ ჯავახეთის აღმოსავლეთი ნაქვრი, რის მაჩვენებელი უნდა იყოს ზემოდმოხსენებული ჯავახეთში ეხლაც დარჩენილი სახელი თორი.

ჯავახეთს ანონიმი საკმაოდ ვრცლად გულისხმობს, ყოველს შემთხვევაში უფრო სამხრეთით, ვიდრე ამას ვახუშტი გულისხმობდა. მდ. მტკვარი, ანონიმით, „გამოდის ტაოდან, კოლას ოლქიდან, ჯავახეთის ძირს“ (სუქრის გამ., სომხ. ტექ., 281). ჯავახეთი ამის მიხედვით პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის სამხრეთითაც უწყევდა შემდეგდროინდელ კარის (ყარსის) მიმართულებით ზემო-ჯავახეთი, რომელსაც ანონიმი გუგარქის პროვინციად იხსენიებს, ამიტომ ეხლანდელ ჯავახეთის სამხრეთითაც გამოდის, შეიძლება ითქვას თავისი თვალსაჩინო ნაწილით მაინც.

ამ გვარად მე-4 საუკუნეში, რომელსაც ეკუთვნის ანონიმის თხზულებაში შენახული ცნობები (იხ. ქვემოთ), ტაშირს დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ეკრა თრეღა, თრეღის ჩრდილო-დასავლეთით — ქვემო-ჯავახეთი და სამხრეთ-დასავლეთით მტკვარის დასაწყისის რაიონამდის ზემო-ჯავახეთი ყოფილა. თრეღი და ზემო-ჯავახეთი ანონიმით გუგარქის ნაწილები იყო, ხოლო ქვემო-ჯავახეთი, როგორც ეს საგულისხმებელია, საკუთრივ იბერიის ნაწილი ყოფილა. ამ საკუთრივ იბერიაში ანონიმი სამცხესა და აქარასაც სთვლის.

მართალია, ანონიმი მე-4 საუკ. შესახებ ცნობებს უნდა შეიცავდეს, მაგრამ მისი ცნობები შეიძლება გამოყენებულ იქმნას უფრო ძველი დროისათვისაც, რადგან ოლქების საზღვრები შედარებით ნაკლებს და დროის მიხედვით ნელ ცვლილებას განიცდიდა. ამისდა მიხედვით, რადგანაც სტრაბონის გოგარ-ენე (გუგარქი) სომხეთში ირიცხებოდა, ამიტომ იბერიის სამხრეთი საზღვარი, როგორც სჩანს, გადიოდა აღმოსავლეთიდან მტკვარზე, შემდეგ — ხაზის გადაქრით ლელვარის მთის მიმართულებით და ლელვარის მთით ვიდრე ჯაფახეთამდის. შემდეგ დროინდელი სამცხე და მისი მიმდებარე ქვეყანა სტრაბონის დროს ხორქენ-დითვლებოდა (იხ. ზემოდ) და ამიტომ საგულისხმებელია, რომ ქვემო-ჯაფახეთი ც სტრაბონის დროს ხორქენ-ს ნაწილი იქნებოდა. ამ გვარად ქვემო-ჯაფახეთი და სამცხე სტრაბონის დროს იბერიის ფარგლებს გარეშე იყო.

სტრაბონის შემდეგ ახლო ხანში იბერიის ფარგლები მოცულობაში სამხრეთისაკენ, უკეთ სამხრეთ-დასავლეთისაკენ თვალსაჩინო ცვლილება მომხდარა. პლინიუსი (†79 წ.), რომელმაც თავისი *Naturalis historia* 77 წლისთვის დაამთავრა, გადმოგვცემს, რომ „ად. აბსარი, ამავე სახელის ციხით თავის შესართავში, ტრაპიზუნტიდან 140 ათ. ნაბიჯზე არის. ამ ადგილას მთების უკან მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროს არიან ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები“... (Lat. II, 178).

ამ ცნობიდან პირდაპირ სჩანს, რომ ჭოროხის უკან (აბსარი არის ჭოროხი) მთების მეორე მხარეს იბერია იწყებოდა. აქ უნდა იგულისხმებოდეს შემდეგ დროინდელი კარჩხალის მთა და მისი ახლო-მახლო მთები ცხადია, მაშასადამე, რომ შავშეთი, სამცხე და, როგორც სჩანს, აქარს ერთი ნაწილი მაინც ამ დროს უკვე იბერიად ითვლებოდა.

იბერიის შესახებ პლინიუსს დაცული აქვს კიდევ შემდეგი საყურადღებო ცნობა — *praevalent oppida Albaniae Cabalaca, Hiberiae Hermastus iuxta flumen Neoris, regio Thasie et Thiare usque ad Paribedros montes*: „მთავარი ქალაქები — ალბ ნიაში კაბალა (= ყაბალა), იბერიაში ჰარმასტ (= არმასტახე) რომელნიც მდინარეზე არიან, (და კიდევ) ნეორის. (შემდეგ) ოლქი თაზი და თრიარი ვიდრე პარიადრის მთებამდის“.

ტექსტში აქ იქვს იწვევს გამოთქმა *iuxta flumen Neoris*. თუ აქ *Neoris* არს დაზიანებული *Cyri*, მაშინ ეს ადგილი გადაითარგმნებოდა — „რომელნიც მდინარე მტკვარზე მდებარეობენ“. ყოველს შემთხვევაში აქ მოხსენებული ოლქი თაზი (*Thasie*) უნდა იყოს იგივე ტაშ-არი, ქართულში და სომხურში წაო'ოდგენილი მრავლობითი დაბოლოებით არ.

Thiare კიდევ შეიძლება დაკავშირებულ იქმნას სომეხ ანონიმ გეო-

გრაფოსის თრეფ-თან, რაც, როგორც ვნახეთ, უდრის ქართულ თრიალეთს, ძველად მხოლოდ უფრო ფართო ტერიტორიალური მნიშვნელობით. საყურადღებოა, რომ პლინიუსი თრიალ-ს თითქოს პარიადრის მთამდის გულისხმობს. რადგან პარიადრის მთა ქოროხამდის უწევდა, გამოდის, რომ პლინიუსის თრიარი არტაანსაც შეიცავდა და კლარჯეთსაც.

ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევა კიდევ ახალს მასალებს და მოსაზრებებს საჭიროებს. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ პლინიუსი ტაშირს და თრიალეთს, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით (თრეფ ანონიმისა), იბერიის გარეშე გულისხმობს. მაშასადამე, გოგაჩ-ვანგ სტრაბონისა პლინიუსით ისევ იბერიის გარეშე მდებარეობს.

ამისდა მიხედვით გამოდის, რომ I საუკ. მესამე მეოთხედში დასრულებული ყოფილა იბერიის საზღვრების გაფართოება სამხრეთით. ყოველს შემთხვევაში სამცხე, შავშეთი, აჭარის ნაწილი ე. ი. სტრაბონის ზარძენე-ს თვალსაჩინო ნაწილი უკვე იბერიის ფარგლებში ითვლებოდა.

იბერია-ქართლის ტერიტორიალური მოცულობის განვითარება შემდეგ პირველ საუკუნისა ქრ. შ. წარმოადგენს ფრიად საყურადღებო საკითხს, რომლის გარკვევას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართულ კოლტურულ ერთეულის მთლიანად ჩამოყალიბების ცალკე საფეხურების გასაშუქებლად. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ მე-2—3 საუკუნის იბერიის მოცულობის შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა ცნობები მოგვეპოვება. ერთად ერთ სერიოზულ წყაროს ამ ეპოქის შესახებ წარმოადგენს კლავდიოს პტოლემეოსის გეოგრაფია (170 წლ. ახლ. ქ. შ.) რომელ ნაწარმოებს ძველად, როგორც ცნობილია, ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. იბერიის საზღვრებად პტოლემეოსი უჩვენებს ჩრდილოეთით სარმატიის ნაწილს, დასავლეთით—კოლხიდას, სამხრეთით—დიდი არმენიის ნაწილს, ხოლო აღმოსავლეთით ალბანიას. შიგნით იბერიაში კიდევ პტოლემეოსი ასახელებს 9 პუნქტს (ქალაქებსა და დაბებს), რომელთა სახელების უმეტესი ნაწილის გარჩევა დიდს სიძნელეს წარმოადგენს. ეს სახელებია: ღუბა-ონ, აგინა, უსაიდა, უარაჰა, სურა, ატანასა, მესტლეტა, ზადისა, ჰარმაკტია (Ματμ. I, 242). ამ სახელებს შორის შედარებით ადვილი გასარჩევაა სამი სახელი. პირველი ამ სახელებს შორის —ატანასა მოგვაგონებს ისტორიულ არტაანს, რომელიც ძველად ოლქის სახელად იყო ცნობილი, აქ კი თითქოს პუნქტის სახელად არის მოყვანილი. მეორე—მესტლეტა—უნდა იყოს, ჩემს აზრით, პერძნულ დამწერლობის ნიადაგზე ძველადვე დამახინჯებული მცხეთა (Μεσσητηα = Μεσσητηα). აკად. ნ. მარტი პტოლემეოსის ამ ტრანსკრიპციას მცხეთი სახელისას ხსნის იმ გვარად, რომ ფუძისა და დაბოლოების ეს შორი მყოფი ღ შესაძლებელია იყოს მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელს

(Из поездки в Сванию, X. В. II, 33). მაშინ ჩვენ მივიღებდით მცხეთის თავისებურ გამოთქმას (მესტ-ღ-ეთა) კილოს ნიადაგზე. მაგრამ მცხეთის სახელის შესახებ ზემოდ მოყვანილ განმარტების შემდეგ, რომლის მიხედვით ამ სახელის წარმოშობა უკავშირდება განსაზღვრულ სარწმუნოებრივ კულტს, ჩვენ შესაძლებლად მიგვანია პტოლემეოსის გეოგრაფიის ეს სახელი მცხეთისა დამწერლობითი ხასიათის შეცდომით აიხსნას.

მესამე ზემოდ ნაგულისხმევ ამ სახელთაგან წარმოადგენს არმაზის სახელს დაბოლოებით $\tau\acute{\alpha}\chi\alpha$, რაც შეიძლება წარმოადგენდეს მეგრულის შესატყვის კილოს სიტყვის ჯიხას ტრანსკრიპციას და $\Delta\rho\mu\alpha\tau\acute{\iota}\chi\alpha$, რომელიც ასეთ ტრანსკრიპციით ძალიან მოგვაგონებს პლინიუსის ზემოდ მოხსენებულს *Hermastus*-ს, იქნებოდა არმაზჯიხა, რაც შესაძლებელია იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ პტოლემეოსი იბერიის შესახებ ცნობებს ლეზულობდა მეგრულ-ქანურ კილოს ნიადაგზე ანდა ამ კილოს საშუალებით. ეს გარემოება, თავის თავად ძლიერ საინტერესოა, შეიძლება რამოდენადმე გასაგებად ხდიდეს პტოლემეოსის მიერ ცალკე პუნქტების მდებარეობის ჩვენებაში დაშვებულ შეცდომებს, თუ აქ მართლი შეცდომებთან გვაქვს საქმე. არტაანს, მაგ., პტოლემეოსი უჩვენებს არმაზიდან ჩრდილოეთის ხაზზე (არტაანს 46° -ზე, არმაზს $44^{\circ}30'$ -ზე). თუ აქ მართლაც ისტორიულ არტაანზე არის ლაპარაკი, მაშინ ასეთი შეცდომა შეიძლება აიხსნას პტოლემეოსის მიერ მისთვის მიწოდებულ ცნობების არა სწორი გაგებით და თუ მართლა აქ ისტორიული არტაანი იგულისხმება, მაშინ ჩვენ მივიღებდით მეორე საუკ. მეორე ნახევრისთვის, შედარებით პირველ საუკუნესთან, იბერიის ფარგლების კიდევ ახალ გაფართოებას არტაანის მიმართულებით.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ პტოლემეოსი ერთის ჩხრივ არმენიასა და მეორე მხრივ იბერია-ალბანიას შორის საზღვრად სთვლის მდ. მტკვარს (*Ματθ.* I, 243). ცხადია, აქ იგულისხმება იბერიის აღმოსავლეთ-სამხრეთი საზღვარი, სადაც პირველ საუკუნესთან შედარებით მეორე საუკუნეში ამგვარად ცვლილება არ მომხდარა.

საინტერესოა, რომ პტოლემეოსი „მდ. ფურატს, მტკვარსა და არგზს ზღა“ ჩამოთვლის არმენიის შემდეგ ოლქებს: „მესხების მთებთან *Κοταρνήν* ვერედ წოდებულ *Βόχας* ზემოდ, მდ. მტკვრის გაყოლებით — *Τωσαρνήν* და *Τωτνήν*, მდ. არგზის გაყოლებით *Κολμνήν* და ამის ქვემო *Σοδισακήν*, პარიადრის მთებთან *Σαρακήν* და *Σαχαπήν* (*Ματθ.* I, 244). ამ სახელებში პირველი უნდა იყოს ოდნავ გადამახინჯებული კლარჯ-ეთი, რომელიც მართლაც ქოროხის ($\equiv$ *Βόχας*) „ზემოდ“ შეიძლება ყოფილყო ნაგულისხმევი. დანარჩენ სახელებს შორის ჩვენთვის შეიძლება ვნიშნავდეთ ქონოდა კოდტენი-ს, რომ ის ყოფილიყო ისტორიულ კოდა-ს ამოძახილი, მაგრამ ამას საეჭვოდ ხდის ის გარემოება, რომ კოლტენე

პტოლემეოსს მდ. არეზის გაყოლებით აქვს ნაჩვენები. ყოვილს შემთხვევაში ცხადია, რომ მე-2 საუკ. მეორე ნახევარში კლარჯეთი ჯერ არ შედიოდა იბერიის საზღვრებში და იბერიის მოცულობა სამხრეთ-დასავლეთისკენ, პირველ საუკუნის ცნობებთან შეფარდებით, განისაზღვრებოდა საეცხე-აქარათი, შავშეთით და გარდა ამისა არტაანით და, მაშასადამე, ქვემო-ჯავახეთითაც.

შემდეგ დროინდელ იბერიის გეოგრაფიულ მოცულობის შესაწავლად და გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს უსახ ლო სოხბურ გეოგრაფიაში დაკულ აღწერილობას იბერიის და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისას. ეს აღწერილობა, აქამდის ჩვენს საისტორიო მწერლობაში გამოუყენებლად დაროვიებული, იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ სერიოზულ ყუაღდების და შესწავლის ღირსია. ამ ეამად აქ ჩვენ წარმოვადგენთ მისში დაკულ ცნობების ერთ ასეთი გარკვევის ცდას.

უსახელო სოხბურ გეოგრაფიის შიღგენის დროის შესახებ არსებობს სხვა-და-სხვა აზრი. ჯერ კიდევ სენ-მარტენმა, რომელმაც პირველად გამოსკა გეოგრაფიის ტექსტი, აღნიშნა, რომ ეს ნაწარმო ბი შეუძლებელია დაკავშირებული იქნას რომელიმე ბორენელის პიროვნებასთან, რომლისთვის ის მიკუთვნებული იყო ტრადიციის მიხედვით. სენ-მარტენი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ გეოგრაფია იმ სახით, როგორც ის არის წარმოდგენილი მოღწევენულ ტექსტში, მე-10 საუკ. ნაწარმოებს უნდა შეადგენდეს (Mém. sur l' Arm. II, 301 და სხ.). კიპერტი 1873 წ. გეოგრაფიის გარჩევით იმ დაკენ მდის მივიდა, რომ გეოგრაფიის ცალკე ნაწილები სხვადასხვა დროს უნდა იყოს შედგენილი. ევროპის, აზიის, არაბეთის და აღმ. აზიის აღწერილობა ამოღებული უნდა იყოს მე-3 საუკუნის რომელიმე ბერძენ ძეგლის ნაწარმოებიდან, რომელთასეულ აზიის აღწერილობის რედაქცია კი მიეკუთვნება თეოდოსი I-სა და იუსტინიანეს მეფობათა შორის ხანას და სპარსეთისეულ აზიისა — იუსტინიანესა და პარიკის მეფობათა შორის ხანას (Arm. Geogr., изд. Пятанова, СИБ. 1877 წ. წინასიტყვ. XV—XVI). კ. პატკანოვი, გეოგრაფიის მოკლებულ რედაქციის გამომცემლი, ამ ნაწარმოებს მე-7 საუკ. პირველ ნახევარს და სთვლიდა და მის დამწერდაც ანანია შირაკელს ასახლებდა (იქვე, წინასიტყვაობა). ხოლო სუკრი, გეოგრაფიის შემდეგი გამომცემელი, ტექტს, ზოგი რთ ნაგვანე ინტერპოლაციის გამოკლებით, აკლთვინებდა მე-8 საუკუნეს და ავტორობის მხრეც მოსე ხორეჩელს, ე. ი. ცდილობდა მოახერხებდა აზრის გამართლებას (Géogr. de Moïse du Cor., Venise 1881, წინ სიტყვ.). უკანასკნელ, ასონცი, როგორც სწნს გეოგრაფიაში დაკულ ცნობების ცალკე შემთხვევებში ანალიზიან, მის შედგენას მე-6-7 საუკ. მჯნასთან ახლო ხანას უკავშირებდა, უფრო მე-7 საუკ. პირველ ნახევარს (Arm. в аннху Юсти-

მხილავს), თუმცა გარკვევით ამის შესახებ თავისი აზრი მას აქ გამოთქმული არ აქვს.

ამგვარად, ერთი მტკიცე აზრი გეოგრაფიის შედგენის დროის შესახებ არ არსებობს და ეს უნდა აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ გეოგრაფია, როგორც ეს სწიანს ხსენებულ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათაგან, ნართლაც უნდა წარმოადგენდეს, თავისი მოღწეული სახით, სხვადასხვა დროის შესწორებათა ან დანართების შემცველ ნაწარმოებს. ამიტომაც მე-7 საუკ. პირელი ნახევარი შეიძლება იყოს გეოგრაფიის რედაქციის ზოგადად ჩამოყალიბების უკანასკნელი ხანა, თუმცა უნდა ითქვას, როგორც ეს აღნიშნული ჰქონდა სენ-მარტენს და სუკრისაც, გეოგრაფია შეიცავს ამის შემდეგ დროინდელ ხანის ზოგიერთ გლოსასაც. მაგრამ ამ თვალსაზრისის მიღებითაც გეოგრაფიის ზოგიერთ ნიშნულების შედგენის დროის საკითხი მაინც ღიად რჩება და თხოულობს ცალკე ძიებას.

აღსანიშნავია, რომ ანონიმი თვითონ ასახელებს თავის მთავარ წყაროს. ეს არის პაპი ალექსანდრიელი, რომელიც ცხოვრობდა თეოდოსი დიდის დროს მე-4 საუკ. მეორე ნახევარში და რომელსაც დაუწერია ჩვენამდის არ მოღწეული *Χαριόγραφοι οὐχισμεινιχῆ*. პაპი კიდევ თავის მხრივ დამოკიდებული ყოფილა პტოლემოსისაგან. ანონიმი პაპს საშჯერ იხსენიებს. „(პტოლემოსისაგან) აიღო ცნობები და შეამოკლა პაპმა ალექსანდრიელმა, რომლისაგან ჩვენ ავიღეთ ცნობები“, ამბობს ის (პატკან. გამ. გვ. 3, თარგმ. 7, პაპის შესახებ კიდევ იქვე, 5, თარგმ. 12, სუკრის გამ. 9, თარგმ. 7). „საერთო დებულებათა აღწერილობის შემდეგ, შევუდგეთ ცალკე ქვეყანათა აღწერას პაპ ალექსანდრიელის აღწერილობის მიხედვით, დაწყებული დასავლეთ ოკეანედან, ესპანიიდან“... (სუკრის გამ., 13 და 15). ამას მიუყობა ევროპის და აზიის აღწერა. აზიის აღწერილობაში მოყოლილია სარმატია, კოლხიდა, იბერია და ალბანია, რის შემდეგ ის გადადის დიდ სომხეთის პროვინციების ჩამოთვლაზე და ამბობს: მე მინდა უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკო ამ პროვინციებზე, თუმცა მე ამისთვის დამჭირდება რუკებსა და წიგნებში ჩაღრმავება“ (გეოგრ., პატკანოვის გამ. 17, თარგმ. 43).

ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლხიდის, და ალბანიის შესახებ აღწერილობაში ანონიმი დამოკიდებული უნდა იყოს პაპზე, მხოლოდ პაპთან შედარებით აღწერილობაში მას თავისი დროის მიხედვით შესაძლებელია სათანადო ცვლილებანი ჰქონდეს შეტანილი. რომ ანონიმი დამოკიდებულია პაპის ბერძნულ ტექსტისაგან, ამას უნდა ამტკიცებდეს ის გარემოებაც, რომ სახელები კოლხიდა და ალბანია მას ბერძნულის შესატყვის ტრანსკრიპციითაც მოჰყავს. ბერძ-

ნულივე ფორმით არის მოყვანილი, როგორც დავინახავთ, ზოგიერთი საკუთარი სახელიც. პაპის ცნობების საფუძველზე ამ ქვეყნების აღწერილობაში შემდეგ შეტანილია დამატებანი. ეს დამატებანი შესაძლებელია შეტანილი იყო არა ერთგზობას, ყოველს შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ეხლა კერძოდ კოლხიდის და იბერიის აღწერილობათა შესახებ მოკლე და ვრცელი რედაქცია, რომელთა წარმოშობის განხილვას და საზოგადოდ ინტერპრეტაციას აქვს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა.

დავიწყეთ ჯერ კოლხიდის აღწერილობიდან.

გრძელი რედაქცია: კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტის ზღვის აღმოსავლეთით, სარმატიის ახლოს, მდინარე დრაგონის დასავლეთით, კავკასიონის მთამდის და უწყევს იმ მთამდის, რომელიც მას ყოფს იბერიისაგან. ამავე მხრიდან ის საზღვრავს დიდს სომხეთს ვიდრე კაპადოკიის პონტამდის. იყოფა ოთხ ოლქად: *Μανιχί, Λεοხελί*, (დაბეკდ. შეცდომით ორ სიტყვად: *Λεοχελ, ἡ Κί*) რომელიც არის საკუთრივ ეგერი (*Σαβραγ*) და რომლის ბოლოს (*ἡ ἡσθη ἰλριον*) არის მდ. ფაზისი ამავე სახელის ქალაქთან. და (ოლქი) *Μανιχία*, რომელიც არის ქალდეა. ამისი მდინარეა შეგალობოტამონ, არის სხვა მდინარეებიც, — აკამპსის. რომელიც არის *Μιρ* და რომელიც გამოიმდინარეობს დიდი სომხეთიდან. (კოლხიდას) აქვს ხუთი ქალაქი: იანი (*Ἰανή*), კოტა, როდიოპოლის, ათინა, რიზე (*Ῥιζήν*), სავაქრო ნავთსადგური (*Ναυπορικόν*), ესე იგი ზღვის სავაქრო ადგილგბი, რომელთაგან არის ტრაპიზონი (სჯ. რის გამ. 27—28).

მოკლე რედაქცია: კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტის ზღვის აღმოსავლეთით, სარმატიის ახლოს და საზღვრავს იბერიას და დიდს სომხეთს. ეგერი განიყოფება ოთხ პროვინციად: *Μανιχί, Λεοხελία, Λαχელ, Μανιχ*, რომელიც არის *ἡσθη*. არის ბერი მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, აგრეთვე ოლქები, სოფლები და სავაქრო ადგილები (პატკან. გამ. 16).

შედარება ამ ორი რედაქციისა ცხადად გვიჩვენებს, რომ უპირატესობა დედობის მხრივ უნდა ეკუთვნოდეს ვრცელს რედაქციას, რომლის პირდაპირ შემოკლებას წარმოადგენს მოკლე რედაქცია. ორსავე რედაქციაში და განსაკუთრებით ვრცელში ყურადღებას იპყრობს ბლოზად ელლინიზმები. კოლხიდა — *Κολχίς* (=Κολχίς), პონტი, როგორც, შავი ზღვის წოდებულობა — *Πόντος* (=Πόντος), კაპადოკიის პონტი — *Καπαδοκίαν Πόντος* (Πόντος Καπαδοκίαν), მანრილი — *Μανριχί* (Μανράσι), ეგრისი — *Σαρχητιკა* (Σαρχητική), ქალდეა — *ἡσθη* (Χαλδα), მდინარე აკამპსის და ამისი მეორე სახელი აოჰ არის ბერძნული *Ἀχάμφης* — ქოროხი და ამისი მეორე სახელი *Βόας*. ქალაქი იანი (*Ἰανή*)

ცხადია არის დამახინჯებული პოლონეთის *Σιχάσιον*, *როდომილის* ეს არის პირდაპირ ბერძნული ფორმა *Ῥοδῶπις*, გადაუთარგმნელად დატოვებული. ასევე გადაუთარგმნელად არის დატოვებული მდინარეს სახელი *Μεγαλὴ Φιθυνία*, რაც არის ბერძნული *μεγαλὴ φθύναις* — დიდი მდინარე. სომხურ ტექსტში კიდევ შეტანილია ბერძნული სიტყვა *ἐμπόριον*, რაც სავაჭრო ადგილს, ნავთსადგურს ნიშნავს.

ამ ფაქტების აღნუსხვის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ანონიმს კოლხიდის აღწერილობა პირდაპირ ბერძნულიდან უნდა ჰქონდეს გადმოღებული, მაშასადამე ჰაპკი აღექსანდრიელის აღწერილობიდან. ამიტომ ანონიმში წარმოდგენილი უნდა იყოს კოლხიდის ძვირფასი აღწერილობა მე-4 საუკ. მეორე ნახევრისა.

როგორც ამ აღწერილობიდან სჩანს, კოლხიდა მე-4 საუკ. მეორე ნახევარში იგულისხმებოდა 4 პროვინციად. მანკილი, რომელიც უნდა უდრიდეს ქართულს მაგვისს, კეკაი, რომელიც არის ქართული ეგრისი ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით და რომელიც მდინარე და ქალაქ ფაზისამდის უღწევდა, ჯაზ-იე (ეს სახელი ვრცელს რედაქციაში შეცდომით გამოტოვებულია) და ჰან-იე. ლაზების და ჰანების ქვეყანა ნაჩვენებია მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლის იგ დაბოლოვებით. ჰანეთში ნაჩვენებია მდინარე *Πεγαλὸς Ῥοδῶπις* (დიდი მდინარე) და კიდევ *Ἰαμῶσις* (ქოროხი). ჰანებს უნდა სჭეროდათ ლაზებთან შედარებით სამხრეთი ქვეყანა. არჩიანი, მაგ, პირდაპირ ასახელებს ჰანებს (*Σάυνις*) ტრაპეზუნტის ახლოს. მე-4 საუკ. მეორე ნახევარში, როგორც ანონიმის ცნობებიდან საგულისხმებელია, ჰანებს ეპირათ ზღვის სანაპირო ქვეყანა დაახლოვებით ქოროხის აუზამდის. როგორც სჩანს, ლაზები ამ დროს მოთავსებული იყვნენ დაახლოვებით ქოროხიდან რიონამდის.

კოლხიდის ამ აღწერილობაზე ჩვენ კიდევ ქვემოთ შევჩერდებით, ეხლა კი განვიხილოთ იმავე ანონიმის მიერ დაცული აღწერილობა იბერიისა. სრულს რედაქციაში ეს აღწერილობა წარმოდგენილია შემდეგ ნაირად:

ქართლი (*Ἰβηρία*) მდებარეობს ეგრისის აღმოსავლეთით სამატიის ახლოს კავკასიონისკენ ალიბანის საზღვრებამდის და სომხეთის საზღვრებამდის მდ. მტკვრისკენ. ოლქები არის შემდეგი. პირველად ბოას (*Ἰბი*) მდინარიდან და ტაოს ჩრდილოეთით დაწყებული კლარჯეთი (*Κλαρτζ*), რომელიც სომხებისაგან არის წაღებული და შავშეთი. ოლქი არტაანი, აგრეთვე წაღებული სომხეთისაგან. ამაზე მიმდინარეობს მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან — კოლას (*Κολλ*) ოლქიდან ჯავახეთის ძირს, ჩადის სამცხეს, პირს იბრუნებს აღმოსავლეთისკენ და მიმდინარეობს ქართლის ზენაქვეყანაში, (სადაც) ყოფს გოროთის ხევს ტუნის ხევისაგან (*Ποτα-*

ქაქსი, შიანქაქსი). უკანასკნელის შ ვში არის დეკიციხე (**ზხტყეხტ**). ოლქები მანგლისის ხევი (**შანყეხაფიორ**), ბოლნისის ხევი (**ჩაყ-ნიფიორ**) ვიდრე პარუარის (**შარილარ**) ოლქამდის, რომელიც გარს ერტყმას ქალაქ ტფილისს. ეს სამი ხევი წაღებულია სომხებისაგან. მდ. მტკვრის ჩრდილოეთით თარ-ის ოლქის (**შარ**) პარდაპირ არის არგვეთის მთები და იმ მხარეს — დენის ველი (**დაჯიქნ ზღან**), აჩაბეთის ხევი (**სჯხტაქსაქს**) და ქორდითიჩიკოს ხევი (**ჭირიჭ-ქირქიქაქს**) ვიდრე საცხუმეთამდის, რომელიც კავკასიონის ძირ-შია. აქედან გამოდის მდინარე ლიახვი (**ლქა**), რომელიც მოდის სამხრეთისკენ და მტკვარს ერთვის. იქ მდებარეობს ხა'ნის ხევი (**შაინქაქს**). ცხრაზმა ვიდრე მდინარე არაგვამდის. რომელიც გამოდის კავკასიონიდან და მომდინარეობს სამხრეთისკენ სიმაგრე ახალციხეზე, გადის ქალაქ მცხეთას, (უფლის) წმინდა ჯვარის ბორცვს, ერთვის მტკვარს და (ამით) ამთავრებს ქართველების ზე-მო-ქვეყანას. მტკვარი განაგრძობს მიმდინარეობას და ჩადის ტფი-ლისს, ქართველების დედაქალაქში, გადის პარუარავს (**შარილ-რად**) შემდეგ წოფის ხევს (**შიფიფიორ**), კოლბის ხევს (**კიფიფიორ**) და ძორის ხევს (**ძიფიფიორ**), იქატებს ამავე სახელების მდინარეებს ვიდრე ქალაქ ჰნარაკერტამდის, რომელიც წაღებულია სომხებისა-გან. ამათ სამხრეთით მდებარეობს ჯავახეთის ზეგანი, სადაც ბევ-რი ტბაა ყოველგვარი თევზით, (კიდევ) თრიალეთი და ტაშირი, (ხოლო) ამათ სამხრეთით კანგარქი (**ჭანსკარეა**). ყველა ეს წა-ღებულია სომხებისაგან. ამათ პირდაპირ მტკვრის ჩრდილოეთ მხარესკენ მდებარეობს ოლქები **მდნქ** ხერკი, ერწო, თიანეთი, წობენორ-ი (გეოგრ., სუკრის გამ. 28).

მოკლე რედაქციით იბერიის აღწერილობა იკითხება შემდეგ ნაირად (გეოგრ., კ. პატკანოვის გამ. 16—17).

იბერია ანუ ქართლი (**ჰხიქა აქსინგნ ჭ ქხრე**) ეგერის აღ-მოსავლეთით სარპატისა და კავკასიონისკენ (იწევს) ალბანიის საზღვრებამდის მდ. მტკვრისკენ. იბერიაში შემდეგ ოლქებია: კლარ-ჯეთი, არტაანი, ბავშეთი, ჯავახეთი (**ჯადაქე**), სამცხე, აქარა, გორგოვათისხ (**ჭირიფიქაქსიქს**), ტორნისხევი (**შიანქაქსიქს**), მან-გლევატფორი (**შანყეხაფიორ**), ქვეშაფორი (**ჭიქაქაფიორ**), ბოლნო-ფორი (**ჩაქსაფიორ**), თრიალეთი (**ჩიხეფ**), კანგარქი, ტაშირი და აჩაი (**სჯაქი**) და გუან (**ჭიღან**), **ხრქაქე**, **ჭიღიქი**, **კიიქა**, **შაფქილ-ქქ**, **შანქეა** და ქალაქები ტფილისი, სამშვილდე, მცხეთა, სა-დაც არის ჯვარი. მდინარეებში ბლომადია თევზი.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღწერილობაში მოხსენებული დამა-ხინჯებულ საკუთარ სახელების აღდგენა. ამ მხრივ უფრო მნიშვნელო-

ვანია ვრცელი რეაქციის სახელების აღდგენა, რადგან მოკლე რედაქცია, შედარებით ვრცელთან, არსებითად ახალს არაფერს შეიცავს. ქართლის ზენა-ქეიყანაში (≡ძველს ზენა-სოფელს) შექოსეჟისას, მტკვარი, ანონიმი, ყოფს გოროთისხევეს ტუნისხევისაგან. პირველი სახელი უნდა იყოს ოდნავ დამახინჯებული გოროთი, რომლის სახელობის სოფელი ნაჩვენებია ვახუშტის რუკაზე ოსიაურთან სურაჰის რაიონში, მტკვრის პარცხენა სანაპიროს. მის პირდაპირ მტკვრის მეორე მხარეს ყოფილა ტუნის ან ტარნისხევი. **შანჩი**, **შინჩი** შეიძლება იყოს დამახინჯებული **შანჩი** და მაშინ ჩვენ პივილებთ სახელს ტანის-ხევეს. მდ. ტანა ეხლაც არის ქართლში, შეერავეის მტკვარს მარჯვნიდან გორის პირდაპირ. მასზე მდებარეობს ატენი. ტანის ხევის თავში ყოფილა დეიციხე. ამ სახელის აღდგენა შესაძლებელი იქნება ადგილობრივ ნომენკლატურის შესახებ დეტალურ ცნობების გათვალისწინების შემდეგ. თარ-ის ოლქი შესაძლებელია იყოს ქართული თორი. თორის ოლქი ვახუშტს ნაჩვენები აქვს ხეობასა და თრიალეთს შო-ის. ძველს დროს შესაძლებელია თორს ხეობაც შეადგენდა.

დვანა სოფლის სახელად ეხლაც ცნობილია ყვანის-ფრონის წყალზე დიბრის ზემოთ. იქვე მოხსენებული თარი შესაძლებელია ნაგულისხმევ იქმნას ეხლანდელ ფცის-ფრონის ხეობაში. აზგვეთის მთები ეს ალბად ლიხის მთის ერთი ნაწილის სახელწოდება იქნებოდა. დვანის ველის შექდეგ ანონიმი იხსენიებს **სახლსაჩიხს**, რაც უნდა იყოს ოდნავ დამახინჯებული აჩაბეთის-ხევი. ამ სახელის სოფელი დაიწყო აქამდის დიდ-ლიახზე ცხინვალს ზემოთ 4 კილომ.. შემდეგი სახელი მოწვევულ ტექსტში მოხსენებულია **ჭირიჭირიხილს**, რომელიც უნდა იყოს ძალზე დამახინჯებული გვერდის ძირის-ხევი. გვერდის-ძირი მოხსენებულია ვახუშტის რუკაზე პატარა ლიახვის აღმოსავლეთით. საცხუმეთის ნაშთად კიდევ უნდა იყოს ეხლანდელი სოფელი საცხენე, რომელიც გვერდისძირის ჩრდილოეთით არის ნაჩვენები. ოლქი საცხუმეთი ამიტომ მართლაც კავკასიონის ქარში მდებარე გამოდის, როგორც ამას ამბობს ანონიმი. „აქედან გამოდის მდინარე ლიახვი“ (**ლხ**), გადმოგვცემს გეოგრაფოსი. ეს ცნობა უდგება აქ ნაჩვენებ ინტერპრეტაციას, მხოლოდ, როგორც სჩანს, საცხუმეთს მაშინ საკმაოდ ფართო მოხაზულობის გეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა.

შემდეგი სახელი **შანჩიხს**, რომელიც მოკლე რედაქციაში მოხსენებულია **შანჩიყა**-ის ფორმით, უნდა იყოს დამახინჯებული ქსნაჰ ხევი. ცხრაზმას, ქანის ხევის აღმოსავლეთით, ანონიმი იხსენიებს არაგვამდის. ვახუშტი ცხრაზმას უჩვენებს ქსანსა და ბაზალეთს შუა. სჩანს, ძველად ცხრაზმას უფრო ფართო გეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ანონიმის ახალგაზრდა არაგვზე ნაჩვენებია ვახუშტის რუკაზედაც წი-
წაშორის გასწვრივ ოღნავ ჩრდილოეთისკენ მიზრით, არაგვის მარჯვენა
ნაპირას. ამის შემდეგ იხსენიება ოლქი ჰარაგაო, რომელიც ტფილისი
გერა. ამ სიტყვაში ან წაშორადგენს ეხლანდელ სვანურის შესატყვის
კილოს მრავლობითი დაბოლოებებს. ძირი ჰარა || ჰარ კიდევ უახლოვდე-
ბა შემდეგ დროინდელ ბარ-ათ-ს (სა ბარათ-იანო). მხოლოდ აქ დაბოლო-
ება არ გადანაცვლებულია ქართული ფორმაციის ადგილის მაჩვენე-
ბელი სუფიქსით. შეიძლება თუ არა ამის მიხედვით შემდეგ დროინ-
დელი სა-ბარათ ანო დაკავშირებულ იქმნას ამ უძველეს გეოგრაფიულ
სახელთან ჰარაგა? აქ შეიძლება დისფას საკითხი არსებითად დაკავში-
რებაზე, ფორმალურად კი საბარათიანო წარმოებულია პერსონალურ
სახელის ბარათსაგან. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია მიღებულ
იქმნას შემდეგი თანდათანობითი განვითარება ამ ტერმინისა: ჰარა-გა,
ბარ-ათ-ს (ოლქის სახელი), ბარათ-ს (პერსონალური სახელი), საბარათ-იანო
(ოლქის სახელი).

ქალ. ჰნარაკერტი შეიძლება იყოს „წერილთა წიგნში“ მოხსენებული
ჰნარაკერტი (ზირე მღიწი, 183), ანუ ქართული ხუნანი ირანული
და არმენული კერტ დაბოლოებებით, ამ შესწორებით ჰნარაკერტი უდ-
რის ხუნანაშენს (პოლო სიტყვის თარგმანით), ანდა ხუნანს. საყურად-
ღებოა, რომ სენ-მარტენის გამოცემაში, რომლის ტექსტი წარმოდგენი-
ლია, როგორც დავინახავთ, შემდეგ დროინდელი ნართაულებით, ეს სა-
ხელი იკითხება ძოროფორის შემდეგ როგორც *ხანაგის* — ხ[უნ]ან[ის]ცი-
ხე, მაშასადამე ქართული გამოთქმით.

აღწერილობაში კიდევ უკანასკნელ საკუთარ სახელთაგან თხოუ-
ლობს აღდგენას სიტყვა *ხანაგის*. ამ სახელს შემოკლებულს რედაქ-
ციაში უნდა უდრიდეს *ხანაგის*, რომელიც შეიძლება იყოს დამა-
ხინჯებული *ხანაგის*. ამ ორი სიტყვის, როგორც ეტყობა ერთი და იმავე
სახელის ნაწევრების, შეფარდებით მივიღებთ *ხანაგის* — გუხეთსა. რომ
აქ სწორედ კუხეთი უნდა იგულისხმებოდეს, ეს სჩანს იქიდანაც, რომ
მტკვრის მარჯვნივ, ტფილისის ქვემოთ, ანონიმი იხსენიებს ხუნანამდის
სამს ხევს (წაფისას, კოლფისას და ძორისას). მტკვრის მარცხნივ კი
ვიდრე ხერკამდის და ერწო-თიანეთამდის, რჩება ვრცელი ტერიტორია —
კუხეთი, ამ სახელით ცნობილი ქართულ ეპონიმთა სქემაშიც და ამი-
ცომ ცხადია, რომ ანონიმს ეს მხარეც ცალკე მოხსენებული ექნებოდა.

უკანასკნელი საკუთარი სახელი წაბენ-არ წარმოდგენილია მრავ-
ლობითი რიცხვის დაბოლოებებით (არ), თვით წაბენი კი სოფლის სა-
ხელად ვახუშტის რუკაზე ნაჩვენებია არაგვის მარცხენა ნაპირას დუშე-
თის გასწვრივ.

გზლა თუ დაუბრუნდებით გეოგრაფიის შემოკლებულ რედაქციას

დაინახეთ, რომ იქ მოხსენებულ და აღდგენის მსაქირობებელ სახელ-
თაგან გარგოგათისც ცხადია არის იგივე ზემოდ ნაჩვენები *გოგათის ხევი*,
ტარნის ხევი—ეს იგივე ტანისხევაა, ხოლო ახი უნდა იყოს დამახინჯე-
ბული ანახეთი. გუნ კიდეც დვანი (*ჴილანს=ჴილანს*, უკანასკნელი ფორ-
მით ეს სახელი მართლაც წარმოდგენილია სენ-მარტენის გამოცემაში,
Mém. sur l'Arm. II, 358). ერისსქ (*ხრჩაქ*) შეიძლება იყოს დამახინ-
ჯებული ერწო, რომელი დამახინჯება განსაკუთრებით აღვილად შეიძ-
ლებოდა ბერძნულ ნიდაგზე ბერძნულში წ-სთვის შესატყვის ბგერის
უქონლობის გამო. თუ ბერძნულში წ-ს მაგიერად ს-ს ვიგულისხმებთ,
მაშინ მივიღებთ, დაბოლოვების *წ* გამოკლებით, რომელსაც ანო-
ნიმი სხვა შემთხვევაშიც უმატებს ქართული ფორმაციის სწორ სახელს
(შემოკლებულ რედაქციაში, მაგ., მოხსენებულისა *შაღხე*) — ერის-ხ, რაც
უნდა იყოს ერწოს ხევი. ბერძნულად ეს სახელი შეიძლება დაწერილი
ყოფილიყო *Ἐρσοχ-ος* საიდანაც ჩვენ ვღებულობთ ანონიმის მიერ სომ-
ხურად გადმოღებულ ფორმას, გადამწერათაგან დამახინჯების შემდეგ,
ზემოდ მოყვანილი სახით (*ხრჩაქ-ე*).

სახელი *ჴილჩიქ*, რომელიც სენ-მარტენის გამოცემაში (გვ. 358)
იკითხება *ჴილჩიქ*, ძნელი გახარკვევია. შესაძლებელია მას კავშირი ჰქონ-
დეს ვრცელი რედაქციის თიანეთ-თან, ადგილი მისი და აგრეთვე და-
ბოლოვება *ჩიქ, ქიქ*—ეთი თითქოს ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს,
მაგრამ ასეთი განმარტებითაც ფრიად დიდი დამახინჯება სახელისა სა-
შუალებას აო იძლევა საკითხის დადებითად გადაჭრისას.

უკანასკნელი სახელი *შანჩეა*, ცხადია, არის იგივე ვრცელი რე-
დაქციის *შანჩახსიქ*, რაც, როგორც ნაჩვენები იყო, შესწორებით უდ-
რის ქსნის ხევს.

ამ შესწორებათა შემდეგ ჩვენ ვღებულობთ შემდეგს სრულს სიას
ქართლის (იბერიის) ოლქებისას ანონიმის მიხედვით:

კლარჯეთი	დაქციაში გამოტოვებულია, აღ-
შავეთი	ბად, შეცდომით).
არტაანი	ბოლნისის-ფორი (ხევი)
სამცხე	პარტუარი
აქარა (ვრცელს რედაქციაში გამო-	თარი
ტოკებულია, ალბად, შეცდო-	დვანი
მით).	აჩაბეთის ხევი
გორათის ხევი	გვარდიძირის ხევი
ტანის ხევი	საცხუმეთი (საცხენეთი)
მანგლისის-ფორი (ხევი)	ქსნის ხევი
ქეშის-ფორი (ხევი) (ვრცელს რე-	ცხრაზმა

წოფო-ფორი (ხევი)	კანგარქი
კოლბო ფორი (ხევი)	კუხეთი
ძორო-ფორი (ხევი)	ხერკი
ჯავახეთი	ერწო
თრიალეთი	თიანეთი
აბშირი	წო-ენორი.

ეს ოლქები, გარდა ორ ზემოდ ცალკე აღნიშნულ შემთხვევისა, მოხსენებულია ერცელს რედაქციაში. ოლქების ჩამოთვლაში დატულია ერთგვარი თანდათანობა. ჩამოთვლა იწყება ზემოქართლიდან (კლარ-ჯგოიდან) ვიდრე მტკვრის აღმოსავლეთისკენ მოხვევისას მდებარე ოლქებამდის (გორათის-ხევი, ტანის-ხევი). შემდეგ ჩამოთვლილია მანგლისის, ქვეშის და ბოლნისის ხევი (ჯავახეთის აღმოსავლეთით) და მათი მიჰყოლი პარუარი. ამას მიჰყობა სიით ოლქები ზემოდან მტკვრის ზაყოლებით (თარი, დუხი...) ძოროფორამდის და ამის შემდეგ მტკვრის და არაგვის ფართო სექტორის ოლქები: კუხეთი — წოზენ-თიანეთი.

ესლა თუ ამ სიას შევადარებთ მოკლე რედაქციას, ვნახავთ, რომ მოკლე რედაქციაში ტაშირს მჰყობა აჩაბეთის ხევი და დვანი, ხოლო კუხეთს — საცხუმეთი და ქსნის ხევი. თანდათანობა ამ გვარად მოკლე რედაქციაში სრულიად დარღვეულია. ეს გარეშობა კი, სიების შედარებისაგან საერთო შთაბეჭდილებასთან ერთად, იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ანონიმის მოკლე რედაქცია იბერიის აღწერილობაში მართლაც ერცელი რედაქციის შემოკლებას უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. ჩვენ მიუღივართ აქ ისეთივე დასკვნამდის, როგორც ეს დავინ ხეთ კლასიკის აღწერილობის განხილვაზე.

ესლა თვით ამ აღწერილობის წარმომავლობის შესახებ. ისე როგორც კოლხიდის მაგალითზე, აქაც ზოგიერთი სახელის დამწერლობის ხასიათი ცხადად უჩვენებს ტექსტის წარმომავლობას ბერძნულ დედნიდან. ზემოდ უკვე ნაჩვენები იყო მოკლე რედაქციაში მოხსენებული სახელის *ხერჩაქე* წარმოშობა ქართული სახელის ერწო-საგან ამ სიტყვის ბერძნულად დამწერლობის ნიადაგზე. ამას გარდა საყურადღებოა უპირველეს ყოვლისა მოკლე რედაქციაში ქართლის ბერძნული სახელწოდების ხმარება სომხური ტრანსკრიპციით — *Վերჩա* — *Վերչա*. საინტერესოა კიდევ მდ. ქოროხის სახელის ხმარება ბერძნული ფორმით — *Վոր*, რაც ცხადია უდრის ბერძნულ Βορά. სახელი ქსნისხევი მოხსენებულია ფორმით *Μακρίχισκ* || *Μακρίχ*, რაც არის დამახინჯებული *Μακρίχισκ*. ქართული ქანის შესატყვისად *ქ-*ს ხმარება უნდა ამტკიცებდეს ამ სახელის წაკითხვის დამოკიდებულებას ბერძნულ ტექსტზე. ქართული *ქ* ბერძნულში დაიწერებოდა *χ*-დ (*Χοιμαχης*) და აქედან ცხადია შეიძლება წარმოშობილიყო ანონიმის *Μακρίχισκ*.

ამ მოსაზრების გამო შეიძლება მივიღოთ, რომ იბერიის აღწერილობაც, ისე როგორც კოლხიდისა, ანონიმს გადაღებული აქვს ბერძნულ დედნისაგან და ეს ბერძნული დედანი შეიძლება ყოფილიყო თითონ მის მიერ დასახელებული პაპი ალექსანდრიელის თხზულება. ამგვარად გაჟოდის, რომ ანონიმის გეოგრაფიის პირველი ნაწილი, სახელდობრ ევროპის და აზიის აღწერილობა და მათ შორის აღწერილობა კოლხიდისა, იბერიისა და მაშასადამე ალბანიისაც უნდა წარმოადგენდეს პაპი ალექსანდრიელის ნაწარმოებიდან ნასესხებს, როგორც ამას ადასტურებს თითონ გეოგრაფიის ავტორიც. ამიტომ როგორც იბერიის, ისე კოლხიდის ზემოდ მოყვანილი აღწერილობა არსებითად შეიძლებოდა მე-4 საუკუნის დასასრულის ხანასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ ანონიმს, ბერძნულიდან ამ გეოგრაფიულ აღწერილობის გადმოძღვებს, თავის მხრივ თვით ტექსტში არ შეეტანა რაიმე ცვლილებები, უკეთ შესწორებანი და დაბატებები. ასეთ შესწორებას თუ დაბატებას უნდა წარმოადგენდეს იბერიის აღწერილობაში ცნობა ტფილისის დედაქალაქობის შესახებ. ვრცელს რედაქციაში ვკითხულობთ—მტკვარი ჩადის ტფილისს, ქართველების დედაქალაქსო. ეს ცნობა, რასაკვირველია, მე-4 საუკ. დასასრულს არ შეიძლება ეკუთვნოდეს, რადგან ტფილისი ქართლის დედაქალაქად უფრო გვიან გახდა. ცხადია, რომ აქ გვაქვს ჩვენ საქმი შემდეგდროინდელ შესწორებასთან. ანონიმის დროს ტფილისი უკვე ჩვეულებრივი პუნქტი არ იყო, არამედ ქართლის დედაქალაქი და მანაც საჭიროდ დაინახა ეს შესწორება შეეტანა ბერძნულიდან გადმოღებულ ტექსტში. შემოკლებული რედაქცია, რომელიც, როგორც ვნახეთ, ანონიმის თხზულების მეორე ფორმაციას წარმოადგენს, უპირატეს კიდევ ახალს გლოსას, სახელდობრ იქ მოხსენებულია ქართლის ქალაქები „ტფილისი, სამშვილდე, მცხეთა“. აქ ტფილისის შემდეგ სამშვილდეა მოხსენებული, მცხეთა კი მხოლოდ მესამე ადგილას.

სენ-მარტენის გამოცემა ანონიმისა შეიცავს უკვე მესამე ფორმაციის ტექსტს. ანონიმი იხსენიებს ქსნის ხევს შემდეგ ცხრაზმას „ვიდრე არავამდის“, მესამე ფორმაციის ტექსტში კი ცხრაზმა წარმოდგენილია უფრო ვ წრო გაგებით, როგორც ეს მარჯლაც შემდეგს დროებში იყო. ამიტომაც იქ ცხრაზმას გარდა არაგვამდის ნაჩვენებია, როგორც ოლქი, ბაზალეთი. ვახუშტის რუკაზედაც მარჯლაც ცხრაზმას აღმოსავლეთით მისდევს ბაზალეთი, როგორც არაგვამდის უწევს. სახელები სენ-მარტენის განოცეით წარმოდგენილ ტექსტში ძალზე დამახინჯებულია. *Рицкаа* *ქაქიას* ეს არის ახალი დამახინჯება მეორე ფორმაციი. *Рицкиа* *ქაქიას*, რაც კიდევ, როგორც ვნახეთ, გორათის ხევს უდრის. *Магала* — იგივე აზბეთის ხევი, *ქაქიას* — ახალი დამახინჯება მეორე ფორ-

ბაციის *ბეჩიქე* = ერწო. რადგანაც სახელი *ბეჩიქე* შემდეგდროინდელ რედაქტორისთვის გაუგებარი იყო, ამიტომ ერწო მას დამოუკიდებლად აქვს შეტანილი ფორმით *ბეჩაქ*. *ბეჩიქე* *ბიას* უნდა იყოს დამახინჯებული *ბიერეჩიქი*, რაც უნდა იყოს გვერდი-ძირისხევი. *ბააქე* შეიძლება იყოს კუხეთი, *ბააქი* (= *ბააქი*) — ქსნისხევი. ამ სახელს მიუბაძა ცხრაზმა (დაბეჭდ. *ბაააააა*), ბაზალეთი, წობენი (დაბეჭდ.: *ბაააა*), *ბეჩ*, რომელიც შეიძლება იყოს დამახინჯებული კახეთი, შემდეგ ჩელეთი (*ბეჩ*), ველისციხე. უკანასკნელი სამი სახელი შემდეგ დროინდელი ნართალია. ამას მიუბაძა *ბააააა*, *ბაა* (ორივე სახელი გაუგებარია), პარუარი, წოფოფორი (დაბეჭდ.: *ბაააააა*), ძოროფორი (*ბიერეჩიქი*) & *ბააააა*, რომელიც ცხადია არის ქართული ზუნანის ციხე.

ამ გვარად ანონიმის ტექსტის მესამე ფორმაცია შეიცავს უკვე თვალსაჩინო ჩაპატებათ, როგორიც არის ბაზალეთი, კახეთი, ჩელეთი, ველისციხე.

ზემოხსენებულის მიხედვით შეიძლება მივიღოთ, რომ ანონიმის ტექსტმა გამოიარა რამოდენიმე საფეხური. პატკანოვის გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტი არის შემოკლებული რედაქცია ანონიმისა. თვით ანონიმი ყველაზე უკეთესად თავისი პირვანდელი სახით სუკრის გამოცემაშია წარმოდგენილი, ხოლო სენ-მარტენის გამოცემის რედაქცია წარმოადგენს შემოკლებულ რედაქციის შემდეგდროინდელ განვითარებას. თვით ანონიმის ტექსტი თავისი პირვანდელი სახით (სუკრის გამოცემა) წარმოადგენს ბერძნულიდან პაპი ალექსანდრიელის აღწერილობის სომხურ თარგმანს უმნიშვნელო შესწორებით. ასეთი, ანონიმის დროინდელი შესწორება უნდა იყოს, მაგალითად, ტფილისის დასახელება იბერიის დედაქალაქად.

ებლა ჩნდება საკითხი, სახელდობრ ანონიმის მიერ სომხურად გადაღებული გეოგრაფიული აღწერილობა კოლხიდისა და იბერიისა ეკუთვნის თვით პაპს, თუ პაპი თავის მხრივ სარგებლობდა სხვა წყაროთი, საკითხია მაშასადამე, შეიძლება თუ არა ეს აღწერილობა მიეკუთვნოს პაპს მე-4 საუკ. დასასრულს, თუ ის შეიძლება იყოს შედგენილი სხვა დროს.

ამ საკითხის გასარკვევად მხედველობაში მისაღებია, თუ როგორაა წარმოდგენილი იბერიის ტერიტორიალური მოცულობა აღწერილობაში. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა იბერიის აღმოსავლეთი მიჯნა. ამ მიჯნას იბერიის ფარგლებს შიგნით განსაზღვრავენ ოლქები კუხეთი, ხერკი, ერწო, თიანეთი ტერიტორიალურად, მაშასადამე. აღწერილობის მიხედვით იბერია უწევს ჩრდილო-აღმოსავლეთით კახეთის მთაძლის,

ის, რომ კახეთი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით მისი ფარგლების გარეშე რჩება.

აღმოსავლეთ-სამხრეთით იბერია, როგორც სჩანს, უღწევდა იორამდის, რადგანაც კამბეჩოვანი ანონიმს ალბანიის პროვინციად აქვს მოხსენებული (სუკრის გამ. გვ. 29, პატკ. გამ. 17.), ხოლო კამბეჩოვანი იორიდან იწყებოდა. რომ კამბეჩოვანი ძველად იგულისხმებოდა იორამდის, ამას გვიჩვენებს უძველეს ქართულ მატიახის მეორე ნაწილის ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყუნეს მტკუარსა და მოსრულ იყუნეს კანბეჩოვანს და დაე-ბანაკათ იორსა ზედა“ (ქ. ცხ. I, 49). იბერიის აღმოსავლეთი საზღვარი აღწერილობის მიხედვით მაშასადამე მიდიოდა იორზე და შემდეგ კახეთის მთის ხაზით. საყურადღებოა, რომ მირიანის დროს თითქმის კახეთი უკვე ქართლის ფარგლებში შედიოდა. ყოველს შემთხვევაში „მოქც. ქ.“-ში ვკითხულობთ, რომ ერწო-თიანელთა ნინოს მიერ მოქრისტიანების შემდეგ „ყუარელთა რაჲსე ესმა, შეშინდეს და თოშეთს გარდაკრბეს, რაჲ კდ მოიყვნა, მონათლნა (შატბ.: რაჲსე უკანასკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვნა და მონათლნა) და ნინო კდ წარვიდა კუხეთად (დედ.: კაუხეთად, შატბ.: კხოეთა) და დადგა კაწარეთს და მონათლნა კუხნი (დედ.: კაოხნი, შატბ.: კხოელნი) და სუჯნი არითრთ მით და კდ გარდვიდა დიდად კახეთად და დადგა სანატრელი იგი ქველდაბას და მოიყვნა კაცნი მთვრნი ამთვე მეფეთა ნათესენი და ნათელსცა“ (Опис. рук. II, 717). კაწარეთი იორის მარცხენა ნაპირს მდებარეობდა უჯარმის აღმოსავლეთით 2—3 კილომ. და არის უკანასკნელი დროის სამება. კაწარეთის რაიონი ნინოს დროს ითვლებოდა კუხთა და სუჯთა მოსახლეობის ტერიტორიად. ნინოს ცხოვრებაში მოხსენებულია სუჯთა დედოფალი, რომელმაც „ქალაქი კინი ბართიანი და დაბაჲ დიდი ბოდისი“ შესწირა მცხეთის სიონს (Опис. II, 729). „ბოდს სოფელსა კახეთისასა“ (შატბ.: ბუდს დაბასა კახეთისასა) გარდაიცვალა წმ ნინო („მოქც. ქართლ.“, Опис. II, 708—719). სუჯნი, მაშასადამე, ქართველების წარმოდგენით კუხეთში იგულისხმებოდნენ, კერძოდ იორის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, „მოქ. ქ.“ კი კუხეთს თვლის. იორის აღმოსავლეთითაც ბოდბეს რაიონამდის. „მოქ. ქ.“ უნდა გადმოგვეცემდეს ამ შემთხვევაში იმ მომენტს, როდესაც ქრისტიანობის ლო-ზუნგით ქართლის სახელმწიფო ფეხს იმკვიდრებდა იორის აღმოსავლეთით. ნინოს თან ახლდა მთავარეპისკოპოსისა და მღვდლებს გარდა ერის-თავი ჯარით და, შატბერდის ვარიანტით, ნანა დედოფალიც. ქართლის

სახელმწიფოს ფარგლების გავრცელების ერთ-ერთი ეტაპი უნდა იყოს აგრეთვე წარმოდგენილი ცნობაში ყვარელთა შესახებ, რომელნიც „თუ-შეთს გარდაკრბეს“, მაგრამ შემდეგ მოყვანილ, მოქრისტიანებულ და მასაღამე დამორჩილებულ იქმან. ქველდაბას, კახეთს, სადაც ყოფილან „კაცნი მთავარნი ამათ (ე. ი. ქართლის) მეფეთა ნათესავნი“, ნინო აგრეთვე ამკვიდრებს ქრისტიანობას. გამოთქმა „კაცნი მთავარნი“, მეფეთა ნათესავნი“ შეიძლება უჩვეულებდეს ამ მთავართა ქვეყანის უკვე ქართლის სამეფოს ფარგლებში ყოფნას. შესაძლებელია ამიტომ, რომ კახეთის ქართლის სამეფოსთან დაკავშირება წინაუღწრებდა წმ. ნინოს მოღვაწეობას. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ის კი ცხადი უნდა იყოს, რომ „მოქ ქ.“-ს მიხედვით ნინოს დროიდან მაინც კახეთი ქართლის სახელმწიფოებრივ ფარგლებში უნდა იგულისხმებოდეს. შესაძლებელია, რომ კახეთში ქართლის სახელმწიფოებრივ ბატონობის დამკვიდრება ჩაითვალოს ქრისტიანობის შექოლეთისას აღმოსავლეთისკენ დაწყებულ აქტიურ პოლიტიკის შედეგად, რასაც მოყვა, კახეთის გარდა (ყვარელობითურთ) იორის აღმოსავლეთით მდებარე კუხეთის და სუჯთ ქვეყანის ქართლთან დაკავშირება.

ამ ფაქტების დასათარიღებლად მხედველობაში მისაღებია, რომ ნინოს ც-ბის ცალკე რედაქციით, რომელიც ჯერ დაუბეჭდავია და რომელიც დაცულია მთავარარქივის ხელნაწ. № 20 და ყოფ. საეკლ. მუზ. ხელნაწ. № 587, წმ. ნინო გაოდაიცვალა დასაბამითაჲს 585 წ., ანუ (ე-უ-სალიძის ანგარიშით 5500 წლის გამოკლებით) 355 წ., ქე-35 წ. ქართლს მოსვლიას. მირიანის გაქრისტიანება მოხდა ნინოს მოსვლის მე-7 წელს, ამ ანგარიშით მაშასადაჲ დაახლოვებით 327 წ.. რადგანაც საბერძნეთში ქრისტიანობა გამა-ჯვებაჲ ისევე ვარიანტი „ამაღლებითან“ 311 წლის ანგარიშობს (ნაცვლად 312 წ.), ამიტომ შესაძლებელია, რომ ხსენებული თარიღები სპარაუბდეს ერთი წლით გადაწევას. მაშინ მივიღებთ მირიანის გაქრისტიანებას 328 წ.. ამას მოყვა ქართლის სამეფოს მიერ აქტიუბის დაწყება კახეთის მიმართულებით ან კახეთის ტერიტორიაზე და იორის აღმოსავლეთითაც. ამ ქვეყნების დაკავშირება ქართლთან ამ ტომ შესაძლებელია დათარიღდეს ქე 330—350 წლებით.

ეხლა საჭიროა მოვიგონოთ, რომ ანონიძის აღწერილობა კახეთს, აგრეთვე იორის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს იბერიის ფარგლებს გარეშე გულისხმობს აქედან მან დვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ამ აღწერილობაში წარმოდგენილი ტ ქსტი თავისი მოცულობით უნდა წინაუღწრებდეს ზემონაჩვენებთარ ღს კახეთის და იორის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების ქართლთან დაკავშირების შესახებ, ანუ მე-330—350 წლებს. მაგრამ ამასთანავე ხსენებულიაში მისაღებია, რომ იბერიის აღ-

წერილობაში შეტანილია ქართლის (გუგარქის) საპიტიაშხოს ოლქები—
ძორა-ფორი, კოლბო-ფორი, წოფო-ფორი, ტაშირი, თრიალეთი, კან-
გარქი, ზემო-ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი.. ეს ოლქები ანონიმს
ნაჩვენები აქვს გუგარქის პროვინციებად (სუქრის გამ., გვ. 34—35,
შეად. პატკ. გამ. გვ. 17, სადაც ზემო-ჯავახეთის ნაცვლად მოხსენებულია
ჯავახეთი). ხოლო გუგარქი, ფაუსტის სიტყვით, აშკარად გადუღგა სომ-
ხეთს არშაკ მეფის (346—349) დროს (*Պատմութ. IV, § 50*). ფაუსტი
აქ გულისხმობს გუგარქის პიტიაშხის გადასვლას სხვა მთავრებთან ერ-
თად სპარსეთის მეფას შაბურის მხარეზე. ჩვეულებრივ ეს ამბავი მიღე-
ბულია გუგარქის საპიტიაშხოს სომხეთისაგან ჩამოშორების თარიღად
H. АЛОНЦ, Арм.... 225). ნამდვილად კი შესაძლებელია, რასაკვირვე-
ლია, რომ საპიტიაშხოს ჩამოშორება უფრო ადრეც მომხდარიყო, მხო-
ლოდ არშაკ მეფის დროს ამ მომხდარმა უკვე ჩამოშორებამ პოვა კი-
დეც ერთი გამოხატულება. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ მე-4
საუკ. პირველ ნახევრის დასასრულს გუგარქი უკვე საბოლოოდ ჩამო-
შორებული იყო სომხეთისაგან და, მაშასადამე, დაკავშირებული ქართლ-
თან. ამავე დროს ახლოს (ალბად 350—355 წ.) ანუ ნინოს მოღვა-
წეობის უკანასკნელ წლებს მიეწერება ქართლის ბატონობის საბო-
ლოდ დამკვიდრება კახეთს და კუხეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება დაახლოვებით და-
თარიღებულ იქმნეს პაპი ალექსანდრიელის ხელთ მყოფი და შემდეგ
ანონიმის მიერ სომხურად გადაღებული აღწერილობა იბერიისა. ის უნდა
იყოს შედგენილი შემდეგ გუგარქის საბოლოოდ ჩამოშორებისა სომხე-
თისაგან, ე. ი. ყოველს შემთხვევაში შემდეგ 347 წლისა და ამასთანავე
კახეთის აღმ. ნაწილში ქართლის ბატონობის საბოლოოდ დამყარების
უწინარეს, ანუ დაახლოვებით 350 წლ. ახლო ხანებში.

საქიროა ამასთანავე აღნიშნულ იქნას, რომ იბერიის ეს გეოგრა-
ფიული აღწერილობა სტოვებს ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილის
შთაბეჭდილებას. ამას ამტკიცებს ოლქების ქართული წოდება—სეგი,
რომელიც ზოგიერთ შემთხვევებში, —ალბად უფრო სომხურ კულტუ-
რულ სამყაროსთან დაკავშირებულ მხარეებისთვის—იცვლება სომხური
სახელწოდებით—ფორ. ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა და უკავ-
შირებს გეოგრ. აღწერას ლიტერატურული წარმომავლობით ადგილობ-
რივ ტერიტორიას. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღწერი-
ლობის ქართული ხასიათი—ოლქების უმეტესად სეგ ად და იშვიათად
ზემოდ ნაგულისხმევ მიზეზისა გამო ფორად სახელის დება, რაც გადა-
უთარგმნელად გადატანილი ყოფილა ბერძნულად, ხოლო ბერძნული-
დან ანონიმის მიერ სომხურად, შემთხვევითი მოვლენას არ უნდა წარ-
მოადგენდეს, არამედ წარმოდგებოდეს თვით აღწერილობის ქართულ

ჟრავ... გვ. 182). პალგენ, მეფის კარის ეპისკოპოზი, — ამისი სახელი უბრუნესთან იკითხება პალგენ (უბრუნესი, *ჟაოპ. გატანმან ჟრ. ჰაიიე*, ვალარშაპ. 1871 წ., გვ. 86). ელია, ეპისკოპოსი სამურიალ (უბრ.: *საილერჩაღე*) უნდა იყოს დამახინჯებული სამთავროელი, სამოელ ეპისკოპოსი *სილასილქე* (უბრ.: *სჩილქე*) — დმანელი ამის შემდეგ მოხსენებულაა დავით ბოლნელი. იაკობ ეპისკ. *ილაშაქი* (უბრ.: *სრეაქი*) = ცურტავეისა. სტეფანოს ეპ. *ილასაქი* (უბრ.: *ილიქსაქი*) = რუსთავი, რუსთველი. საპაკ, ეპ. ტფილისისა, ელაგეს (*ხეაღესა*, უბრ.: *ხეაღესა*) ეპ. მანგლისისა, ენეს ეპ. *საროქე* (უბრ.: *საროქი*) = მროველი. ევგენეს (უბრ.: *ხეჩინა*) ეპ. სამთავისისა, იოსებ ეპ. აღსუელ (უბრ.: *საილანქი*) შეიძლება იყოს ეპისკოპოსი აწყვერისა, იოანე ეპ. სარუსთიელი (უბრ.: *საილქი*) = წყაროსთაველი, იოსებ ეპ. *ილაქილი* (უბრ.: *ილაქაქი*) = ყუმურდოელი. ამის შემდეგ — ეზრას, ეპ. კისლად. შეიძლება ეს უკანასკნელი სახელი იყოს დამახინჯებული ახიზა, რომლის შესახებ ვახტანგ გორგასლის მემკვიდრე ჯუანშერი გადმოგვცემს: „დასვა (ვახტანგმა) ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისასა“ (ქ. ცხ., I 146). ენოქ ეპ. წილკანისა. იოსებ ეპ. მიდამილ, რომელი სახელიც შეიძლება იყოს დამახინჯებული ნინოწმინდელი, მით უმეტეს რომ აქას სიაში მისდევს ლაზარე, ეპ. ბოდბელი. შემდეგ, თეოდორე ეპ. ფორთაისი. ეს პუნქტი, თავისი ალაგობით სიაში, ცხადია კახეთისაკენ არის საძეგარი და ამიტომ ის უნდა იყოს დამახინჯებული ბერთა, ბერი კიდევ ეს არის ღმერთის სახელი ჩელეთისა. „ამან კახოს აღაშენა, ეკითხულობთ მკითხის პირველს ნაწილში, „მამ და ნათეს. ცხაში“, ჩელეთი და კუხოს... შეეწია შენებასა ჩელეთისასა, როჰელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“ (ქ. ცხ., I, 20). ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერელი კი ვახტანგის მიერ დაფუძნებულ 12 საეპისკოპოსოს შორის ასახელებს ჩელეთსაც (ქ. ცხ., I, 146). შემდეგი ეპისკოპოსი მოხსენებულია ზაქარია კასტრ-ელი (უბრ. *კასთაგე*), რაც უნდა იყოს კაწარელი. ფოკას ეპ. ჰერემელი (ტსერმილ, უბრ.: *სიხერმელაქი*), ისაკ, ეპ. ხუნანისა (*ჟანანასაქი*, უბრ.: *ჰარასქი*), თომა ეპ. ტარს-ისა (ასევე უბრუნესთან). ეს სახელი ჩემთვის გამოურკვეველია. ესტვენ (უბრ.: *ღაიანქი*) ეპ. ქორჩონა (უბრ.: *ჰორქანაქი*). ეს სახელი ფრიად დამახინჯებულია. შეიძლება მას ჰქონდეს საერთო „მამათა და ნათესავთა ცხოვრება“ — ში მოხსენებულ ხორანთა-სთან. „ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე აღაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი და მის გამო ჰქვიან ჰერეთი და აწ მის ადგილს ჰქვიან ხორანთა“ (ქარ. ცხ. I, 17). თა ამ სიტყვაში არის ადგილის დაბოლოება (მცხეთა, მოვლეთა), ხორანს || ხორანს წარმოდგენილია სიტყვაში ხორან-ბუჯი, რომელშიდაც ბუჯი ბ-ნის დარბილებით ფ-ში და ქართულ ნიადაგზე გ-ს ძ-ში

გარდასვლით (ანალოგიით—სე. ჯგუნიელ, აბ. ა-ჯ, მეგრ. ჯვეში=ქართ. ძველი) უდრის ქართულს ფუძე-ს. ვახტანგის ცხოვრების აღმწერელ-ჯუანშერი ხორნაბუჯს უწოდებს კამბეჩიანის ქალაქად—„ქალაქი კამბეჩისა რომელ არს ხორნაბუჯი“ (ქ. ცხ. I, 146). ამისდა მიხედვით მივიღებთ, რომ ხორნაბუჯი ყოფილა „ორთავე ალაზნთა შესაკრებელთა შორის“, მაშასადამე იორის შესართავსა და მტკვარს შუა, ალაზნის მარჯვენა სანაპიროს და მისი ძველი სახელი უნდა ყოფილიყო ხორან-თა.

ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია აღდგენილი სია ქართლის ეპისკოპოსთა 506 წლის ახლო ხანებში წარმოვიდგინოთ შემდეგ წაირად. გაბრიელ კათალიკოზი ქართლისა—ეპისკოპოსი მცხეთისა, პალგენ სამეფო სახლის ეპისკოპოსი, შემდეგ: სამთავრელი, ღმანელი, ბოლნელი, ცურტაველი, რუსთველი, ტფილელი, მანგლელი, მროველი, სამთავნელი, მაწყვერელი, წყაროსთაველი, ყუმურდოელი, ეპისკოპოზ-ახიზისა, წილკნელი, ნინოწმიდელი, ბოდბელი, ბერთელი (ჩელეთისა), კაწარელი, ქერემელი, ხუნანელი, ეპისკოპოსი ტარს-ისა, რომელი სახელიც გამოურკვეველია, და ხორანელი.

ორიოდე შენიშვნა კიდევ სიის წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი სახელები ამ სიაში თავისი დამწერლობით ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებენ, რომ ისინი უნდა იყვნენ გადმოღებული სომხურ ტექსტში არა ქართულიდან, არამედ ბერძნულიდან, რომელმაც არ იცის ქართულის და სომხურის ზოგი სპეციფიკური ბეგრა. მაგ. *Ագաძե*—ადსუელ შეიძლება წარმოდგარიყო ქართული სახელის აწყუერის-ს ბერძნულ-ტრანსკრიპციის სომხურ ნიადაგზე დამახინჯებით. ასევე *Մրդա*—*Մրთა* ნაცვლად ცურტავისა, *Սարիսքի* ნაცვლად წყაროსთაველისა, *Կապ-ղբաքի*—კაწარელი, *Տახրძի*—ქერემელი. ეს სახელები რომ პირდაპირ ქართულიდან ყოფილიყო გადმოღებული, მაშინ შესატყვისი ასოებ- (ც, წ, ქ) სომხურ ტექსტშიდაც გვექნებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, სომეხთა კათალიკოზს აბრაჰს მე-7 საუკ. დასაწყისში ეს სია ხელთ ბერძნულ ენაზე ჰქონდა,—ამას ამბობს თავისს წერილში კათალიკოზ კირიონ-თან თვით აბრაჰიც—ბერძნულად კიდევ ეს სია გადატანილი იქნებოდა ქართულიდან, როგორც აქას ამტკიცებს სახელების ქართული დაბოლოებ- ელ და ამიტომ ბერძნულად დამწერლობისას სახელის დამახინჯებას მიემატა კიდევ ბერძნულიდან სომხურად გადატანისას სახელების ახალ-დამახინჯება. თუ ამას დავუმატებთ საუკუნეთა განმავლობაში გადამწერ-ლობის შეცდომებს, ადვილი გასაგები ხდება სახელების ეხლანდელი ფრიად დამახინჯებული სახე.

სია არის ფრიად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი უპირველეს ყოვლისა ტერიტორიის საკითხის გასარკვევად. შედარებით ანონიმთან აქ ჩვენ ვხედავთ ქართლის საზღვრების თვალსაზრისით გაფართოებას აღ-

პოსავლეთისკენ. ბერთა ანუ ჩელეთი ალბად მდებარეობდა მდ. ჩელეთის აუზში. მდ. ჩელეთი გადის შილდაზე და შეერთვის ალაზანს მარცხნიდან. ვახუშტიმ არ იცის ჩელეთის მდებარეობა და ფიქრობს, რომ ამ სახელის მატარებელი შესაძლებელია ყოფილიყო ქალეთი ერწოში ანდა ხარჭაშო თიანეთში (გეოგრ., მ. ჯანაშვი. გამ., 137).

უფრო საყურადღებოა სიაში ქერემის მოხსენება. ქერემი იღვა ჭერემისწყალზე, ცივის აღმოსავლეთ კალთის დამხრობით. ქერემის ეპისკოპოსის სამწყსოს, ალბად, შეადგენდა როგორც თვით ქერემისწყლის აუზი, ისე მისი მიმდგამი რაიონი, მაშასადამე ყოველს შემთხვევაში ალაზნის ველის დასავლეთი ნაწილის შუაწელი. საინტერესოა კიდევ სიაში ხორანის (=ხორანთა, ხორნაბუჯი) მოხსენება. ეს სახელი ამტკიცებს, რომ კამბეჩოანი ალაზნამდის ამ დროს ეკლესიურად უკვე ქართლთან იყო დაკავშირებული და რადგან ეკლესიური დაკავშირება გულისხმობს კულტურულს, ხოლო ორივე ერთად ამ დროს პოლიტიკურსაც, ამიტომ ეს ფაქტი შეიძლება გამოყენებულ იქმნას ქართლის ტერიტორიალურ მოცულობის გამოსარკვევად. მართლაც, ქრისტიანობა კავკასიაში ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დანაწილებული ეროვნულ-კულტურულ ორიენტაციათა მიხედვით, ქართული და სომხური ეკლესია ერთსა და იმავე გზას და მიმართულებას ადგა და ამიტომ ქართლის კათალიკოზის იურისდიქცია ქართლის სახელმწიფოებრივ ფარგლებში მოქმედობდა. ამისდა მიხედვით შეიძლება მიღებულ იქმნას, რომ ქართლის სახელმწიფოებრივი მოცულობა აღმოსავლეთით 500 წლ. ახალ ხანებში დაახლოვებით მაინც უნდა პოულობდეს თავის გამოხატულებას ეპისკოპოსთა ზემოთ გარჩეულ სიაში და მაშინ გამოდის, რომ მე-5 — 6 საუკ. მიჯნაზე ქართლის საზღვრები აღმოსავლეთით უწევდა ყოველს შემთხვევაში მდ. ალაზნამდის, რომლის აუზის ზემო ნაწილი აგრეთვე ქართლის საზღვრების ფარგლებში ითვლებოდა.

ასე იხატება ტერიტორიალური განვითარება იბერია-ქართლისა ვიდრე მე-6 საუკუნის მიჯნამდის. ჩვენს მიზანს აქასთან ერთად შეადგენდა ზოგიერთ წყაროს განცხრილვა და მათში დადასტურებულ მასალების ფიქსაცია. ეს ფიქსაცია იძლევა, როგორც ვნახეთ, გარკვეულ დასკვნებს.

III.

იბერიის სტრუქტურა. კოლხიდა და ლაზიკა.

იბერიის თავდაპირველ ტომობრივ, ასე ვთქვათ, სტრუქტურის გასაგებად, რის შემდეგ მხოლოდ შესაძლებელი იქნება ქართულ ეროვნულ-კულტურულ ერთეულის ჩამოყალიბების საკითხშიდაც გარკვევა, ფრად საინტერესოა სტრაბონის მიერ დაცული ცნობა, რომელიც

ამ თვალსაზრისით ჯერ გამოყენებული არ არის. სტრაბონი აზოებს: (იბერიის) „ბარი დასახლებულია იბერიელების ერთი ნაწილით. ეს მოსახლეობა არის მიწის მომუშავე და მშვიდობის მოყვარე. მას აქვს წყობილება სომხების (Ἀρμενισαί, იგულისხმება ჰაიები) და მიდიელების მსგავსად. მთიანი ადგილები კი დასახლებულია ოპის მოყვარულ უმრავლესობით, რომელიც ცხოვრობს სკითების და სარმატების—თავის მებრძოლების და ერთ-ტომების—ჩვეულების თანახმად, თუმცა ეს იბერიელები მისდევნენ მიწის დამუშავებას. საშიშროების დროს მათ გაგამოყავთ ამ ხალხებთან ერთად რამოდენიმე ათი ათასი მეომარი“ (Geogr. XI, 3, 1111. I, 139).

ამ ცნობიდან ჩვენ ვცუობილობთ, რომ არათუ ცხოვრების წესის მიხედვით, არამედ პირდაპირ ტომობრივ თვისებებით იბერია სტრაბონის დროს განიყოფებოდა ორ მთავარ ნაწილად. ერთი—ბარი-ნაწილი, რომლის მოსახლეობა ჩვეულებების მიხედვით ახლოს იდგა სომხებთან და მიდიელებთან, მეორე—მთა-ნაწილი, რომლის მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენდა და, როგორც სჩანს, ტომობრივ თვისებების მხრივაც ენათესავებოდა სარმატებს და სკითებს. მხედველობაში მისაღებია ის, რომ სარმატების და სკითების სახელს ძველი მწერლები კრებითი მნიშვნელობას აძლევდნენ და ამ სახელის ქვეშ გულისხმობდნენ არც თუ ყოველთვის ერთმანეთის პირდაპირ მონათესავე ხალხებს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში განსაზღვრულ კულტურულ და უფროს მეტად ეთნიურ კომპლექსების ერთეულებს. ამიტომაც იბერიის მთიან ნაწილის მოსახლეობის, რომელიც იმავე დროს უმრავლესობა იყო, ნათესაობის მხრივ სტრაბონის მიერ სარმატებთან და სკითებთან დაკავშირებას, ექვს გარეშეა აქვს თავისი სიმპტომატიური მნიშვნელობა. თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოდ პირველ თავში განვითარებულ პერსპექტივას იბერიის ტერიტორიაზე ლინგვისტურ ფენათა თანდათანობით ცვალებადობის შესახებ, მაშინ უფრო ცხადი იქნება სტრაბონის ამ ცნობის ღირებულება. მართლაც, აზიის სარმატიაში პტოლემეოსი იხსენიებს, სხვათა შორის, შემდეგ ხალხებსაც: თუშებს (Τουσσαι), დიდოელებს, (Διδωαιοι), უდოელებს (Ουδαι), სვანოკოლებს (Σουαννοκαλιχαι) და წანარებს (Χαναραί). ანონიმს, რომელიც ამ შემთხვევაშიდაც პაპს ალექსანდრიელს ეყრდნობა, ჩამოთვლილი აქვს სარმატიის ნაწილს შორის შემდეგი ტომები: აბხაზები, ხებური (=ხეცური), არგავეთი (=არგვეთი?), მარგალი (=მარგალი?), დვალი, წანარი, თუში, ცხაეატი, გუ-დამაყარი, დიდოელები, ლეკი, კასპი, ფასხი, ფუსხი, ბაკანი (=მოვკანი), მასქუთი (გეოგრა., სუკრის გამ. 25—26). ამ ცნობებიდან საგულისხმებელია, რომ ძველები სარმატელების ჯგუფის ტომებს შორის გულისხმობდნენ უმთავრესად განსაზღვრულ ეთნიურ და ლინგვისტურ

თვისებათა მატარებელ ერთეულებს, რომელთაც ისინი ყოველს შემთხვევაში შემდეგ დროინდელ იბერიელებისაგან *par excellence*, ანუ ქართველებისაგან განასხვავებდნენ. ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, რომ სტრაბონის ცნობა მის დროინდელ იბერიის მოსახლეობის უმრავლესობის, სახელდობრ მთიან ნაწილებში მობინადრე ტომების სარმატებთან და სკითებთან დაკავშირების შესახებ უნდა გვიჩვენებდეს, რომ 1 საუკ. დასაწყისში იბერიის მოსახლეობის უმეტესობა და სახელდობრ მთიან ნაწილების მოსახლეობა ჯერ კიდევ ლინგვისტურად ახლოს იდგა იმ უძველეს ლინგვისტურ ფენასთან, რომლის არსებობა შემდეგ დროინდელ იბერიის ტერიტორიაზე ცხად ჰყო გეოგრაფიულ ნომენკლატურის გარჩევამ (იხ. ზემოდ) და რომელიც ენათესავება ეხლანდელს ხუნძურს (ავარულს). ასეთი იყო მდგომარეობა სტრაბონის დროს იბერიის მთიან და უმეტეს ნაწილებში.

იბერიის ბარ ნაწილებში, როგორც ვნახეთ, სტრაბონი უჩვენებს უკვე, შედარებით მთიან ნაწილებთან, სხვა მოსახლეობას, რომელიც ჩვეულებების და მაშასადამე ცხოვრების წესების მიხედვით ჰაიებს და მიდიელებს უკავშირდებოდა. სტრაბონის ამ ცნობის ჯეროვნად შესაფასებლად საინტერესოა მოყვანილ იქმნას მისივე ცნობა იბერიის მოსახლურ და წინად იბერიისავე ფარგლებში მყოფ ქვეყნების ეთნიურ ვითარების შესახებ. „არჰენია, ამბობს ის, გადიდებულ იქმნა მეფეების არტაქსიასის და ზარიადრისის მიერ... მათ წაართვეს მეზობელ ხალხებს ქვეყნები, ასე, მაგ., მიდიელებს კასპიანა, საენიტი, ბასოროპედი, იბერებს—მთიანი ქვეყანა პარიადრი, (შემდეგ) ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის იკით (იგულისხმება—აღმოსავლეთით) მდებარეობს, ხალიბებს და მოსინოაქებს—კარენიტი და დერქსენე, კატანებს—აკილისენე და სირიელებს ტამორიტი. ყველა ეს ხალხები ეხლა ლაპარაკობენ ერთ ენაზე“ (*Geogr. XI, 14*).

ამ ცნობიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სტრაბონის დროს სხვა ქვეყნებს შორის პარიადრის ქვეყანას, ხორძენეს და გოგარენეს უკავშირებდნენ ენის მხრივ არმენიას. ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რომ ხორძენე უნდა ყოფილიყო ქართლი—სამცხე-აბთაჲნ-შავშეთის ტერიტორიაზე, გოგარენე კიდეც—მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა. ხორძენეს, როგორც მთიან და შედარებით ძნელ მისაღწევ ქვეყნის, ენის მხრივ დაკავშირება არმენიასთან შეიძლება აიხსნას შემთხვევით, მოწინავე წრეებში, მაგალითად, არმენიისთვის ჩვეულებრივ ენის გავრცელებით. რაც შეეხება გოგარენეს, აქ კი მდგომარეობა თითქოს სხვანაირად სჩანს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ თვით სახელი გოგარენე ენეს დაბოლოების გამოკლებით წარმოდგენილია, როგორც ნაჩვენები იყო, მრავლობითი რიცხვის არ სუფიქსით, რაც ამ სახელს უკავშირებს არა

მარტო სვანურში ეხლაც წარმოდგენილ მრავლ. რიცხვის დაბოლოებით—
არ სვანურ ფენას, არამედ ჰაიურსაც, აკად. ნ. მარკის მიერ ეგრედ წო-
დებულ რე-ის ჯგუფის არმენიის ენასაც. ამ რე-ის ენას (ჰაიურს), რომე-
ლიც საფუძვლად დაედვა ახალ-სომხურს სალიტერატურო ენას, ახა-
სიათებს მრავლ. რიცხვის დაბოლოება რ, პირვანდელ ახმოვანებით ა,
სრული მაშასადამე დაბოლოება მრავლ. რიცხვში e-ar. დაბოლოება
e-ar, ენის განვითარების ახალ საფეხურებზე, დასუსტების გზით გადავი-
და er-ში (Н. Марр, Астроном. и этнич. значения двух племен.
назв. армян—Зап. Вост. Отд. XXV, 230 pass.). ამისდა მიხედვით სა-
ხელი გოგ-არ მართლაც უნდა უკავშირდებოდეს რე-ის ენათა ჯგუფს,
რომლის წარმომადგენელია შემდეგ დროინდელი სომხური. სახელი
გოგარ თავისი ფორმით თითქოს ადასტურებს სტრაბონის ცნობას ენის
მხრივაც ამ ქვეყნის დაკავშირებას ჰაიურ ჯგუფთან.

საჭიროა აქ მოგონებულ იქმნას ანონიმის, პაპი ალექსანდრიელის
მიხედვით, ტფილისის მიმდებამ ოლქის სახელი ჰარუარ-ი *ჰარუარ-აი*.
აგრეთვე მრავლ. რიცხვის დაბოლოებით არ. ამასთან დაკავშირებით სა-
ინტერესო ხდება ის გარემოებაც, რომ ანონიმის მიერ დაკულ იბერიის
აღწერილობაში, რომელიც, როგორც ენახეთ, მე-4 საუკ. ნახევარში
უნდა იყოს შედგენილი, ზოგიერთი ოლქები პირდაპირ სომხურ დაბო-
ლოებით არის მოხსენებული, სახელდობრ, მანგლისის-ხევი, ბოლნისის-
ხევი და ქვეშის-ხევი—ხევის ნაცვლად ყველგან სომხურ ფორ-ის გადა-
უთარგმნელად დატოვებით (მანგლევაც-ფორ და სხ.). თუ მივიღებთ მხედ-
ველობაში, რომ ყველა ოლქები აღწერაში ჩვეულებრივ ქართული და-
ბოლოებით და სახელით არის მოხსენებული, ამ, ისე როგორც წოფო-
ფორის, კოლბო-ფორის—სახელების სომხური დაბოლოებით მოხსენება
შემთხვევით არ უნდა აიხსნებოდეს და შეიძლება დაკავშირებულ იქმნას
ამ ოლქების დანარჩენთაგან ლინგვისტურ განსხვავების აღნიშვნის სა-
ჭიროებასთან და მაშინ ჩვენ მივიღებდით ამ ოლქების მოსახლეობის
ლინგვისტურად ახლოს ყოფნას ძველ-ჰაიურ ფენასთან, რომლისაგან და
რომელზედაც შემდეგ წარმოიშვა სომხური ენა. თუ ამასთანავე ჩვენ
მოვიგონებთ, რომ არაგვის შესართავში გაბატონებული, პირობით ჩვენ
მიერ ფოხურად წოდებული კილო თავისი მრავლ. რიცხ. დაბოლოებით
ორ არსებითად იმავე რე-ის კატეგორიისად სჩანს, მაშინ ჩვენ მივიღებთ
ამ კატეგორიის ენების გავრცელებას ძველს დროში საკმაოდ ფართო
ტერიტორიაზე, რადგან ამ ჯგუფს გარდა ძველ ჰაიურ ენისა მიეკუთ-
ვნება კიდევ გავის ქვეყნის და საკუთრივ იბერიის, კერძოდ არაგვის
შესართავის რაიონის ძველი მოსახლეობის ენები. ამის შემდეგ უფრო
რეალური ხდება სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ ბარის იბერიე-
ლები თავისი ჩვეულებებით არმენებს და მიდიელებს გვანანო. საერთო

ჩვეულებები აქ გულისხმობს საერთო კულტურულ საფუძვლებსაც და მსგავსებას ენის მხრივაც ზოგადი ხაზების თვალსაზრისით.

მაგრამ რე-ის, ასე ვსთქვათ, კატეგორიის ენების გავრცელება არ ამოიწურებოდა მარტო ზემოდ ჩამოთვლილ ტომების ტერიტორიით. ფოხური ჯგუფი, როგორც ვნახეთ, თვალსაჩინოდ უახლოვდება სვანურში წარმოდგენილ მთავარ ფენას, რის მაჩვენებელია სვანურში ეხლაც შენახული მრავლობითი რიცხვის დაბოლოება არ. ხოლო სვანურის და მის წინამორბედ თუ ახლო მონათესავე კილოების ტერიტორია ძველიდროიდანვე იბერიის დასავლეთით, ისტორიულ კოლხიდაში არის საგულისხმებელი. შემთხვევით არ უნდა აიხსნებოდეს ამიტომ, როდესაც სტრაბონი სვანებს გვიხატავს დიდ ხალხად, რომელიც „თავისი მამაცობით და სამხედრო ძალით, მგონი, ყველა ხალხებს სჯობნიანო. ისინი, განაგრძობს გეოგრაფოსი, ცხოვრობენ კავკასიონის მთლობებზე დიოსკურიას ზემოთ და იქიდან მართავენ ყველა მათ მეზობელ ხალხებს. მათ ჰყავთ მეფე და საბჭო 300 კაცისაგან შემდგარი. ამბობენ, რომ მათ ბრძოლის ველზე 200 ათასადის შეუძლიათ გამოიყვანონ, რადგან მთელი ხალხი ომის ძალიან მოყვარულია... (Geogr. XI, 2₁₈). ციფრი—200 ათ. მეომარი, თუნდაც რომ ის გადამეტებული იყოს, ცხადად ამტკიცებს ამ ხალხის შედარებით მაინც მრავალრიცხოვანობას 1 საუკ. დასაწყისს. მართლაც ზოგიერთი მოსაზრებანი თითქოს ადასტურებენ სვანურის მონათესავე კილოების საკმაოდ ფართოდ გავრცელებას კოლხიდის ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ პრაკოპი კესარიელის დროს სვანებს ეკირათ, სხვათა შორის, ქვეყანა კავკასიონზე ჰუნებიდან ლაზიკისკენ გადასასვლელ გზების სამხრეთით ანუ ეხლანდელ პამისონის უღელტეხილის სამხრეთით ანუ შემდეგდროინდელ რაქის რაიონი (De hel. Pers. II, 15). რომ შემდეგდროინდელ სვანურის მთავარი ფენის ძველი შესატყვისი კილოები რაქის სამხრეთითაც იყო გავრცელებული, აქას ამტკიცებს საკუთარი სახელი კაცხი, სოფლის სახელი მდ. ყვირილას დასავლეთ ნაპირზე. კაცხი სვანურად ეხლაც ნიშნავს ნაპირს, დასაწყისს, მთის წვერს. შესაძლებელია, ამ სახელის მიხედვით ვიფიქროთ, რომ მდ. ყვირილა ამ სოფლის დაარსებისას ითვლებოდა ამ რაიონში სვანური შტოს მოსახლეობის აღმოსავლეთ საზღვრად (კაცხი=ნაპირი). მდ. ხობი 1 საუკ. ქრ. შ. სვანების მიწაწყალზე მიმდინარეობდა (პლინიუსის ცნობა, Nat. hist. VI, 5), მდ. ყვირილა კიდევ სტრაბონის ცნობით (Geogr. XI, 2₁₇) იწოდებოდა Γλαυχός, რაც ნიშნავს ბერძნულად ბრწყინვალეს. ეს სიტყვა უნდა წარმოადგენდეს ეხლანდელ სვანურის კურე, კვრე—ბრკილება ძველი ექვივალენტ სიტყვის შესატყვისობას. ქართულში კიდევ ეს სახელი გადასულა სვანურივე კნინობითი დაბოლოებით იღ (კურ-იღ=ვეირიღ-ა).

ყ ამ სახელის პერმანენტობის აღსანიშნავად და ამასთანავე იმის მაჩვენებლად, თუ როგორ თანდათან სევანურის შესატყვისი კილოები იხვედნენ უკან, ფრიად დამახასიათებელია პლინიუსის ცნობა (I საუკ. მე-70 წლები ქრ. შ.), რომელიც იხსენიებს ფაზისის ორს სხვადასხვა მხრიდან მომდინარე შენართავს. ამათგან ერთი იწოდება ჰიპპოს (ცხენი), მეორე კვანავს, რაც ნიშნავს ბნელს (*ubi Hippos et Cyaneos vasti amnes e diverso in eum confluunt. Nat. hist. V, 11*). კვანავს არის იგივე ყვირილა, რომელ სახელს სტრაბონი, როგორც ვნახეთ, ბრწყინვალედ თარგმნიდა. მართლაც ქანურად „ყური“ ეხლაც ნიშნავს შავს ფრინველს, ხოლო ვეგრე მეგრულად—ბრმას. აქედან, მაშასადამე, მდ. ყვირილას სახელი პლინიუსს მეგრული ჯგუფის ენის საშუალებით გადაუთარგმნია როგორც ბნელი. ცხადია, მდ. ყვირილას მიმდგომ რაიონში I საუკ. სიგრძეზე სევანურის შესატყვისი კილოს მატარებელი ტომი თანდათან შეცვლილა მეგრულის შესატყვისობის მოლაპარაკე ტომად.

აქ უნდა აღნიშნულ იქმნას, რომ პლინიუსი, გარკვევით მდ. ფაზისის ორ დიდ ზემოდ დასახელებულ შენართავის მოხსენების შემდეგ, ამბობს (დასახ. აღგ.)—„ფაზისი ღებულობს სხვა მრავალ შენართვებსაც, ცნობილთ თავისი რიცხვით და სიდიდით, მაგალითად გლავკოსს (*Glaucus*)“, მაგრამ ცხადია, როგორც ეს კონტექსტიდანაც საგულისხმებელია, რომ ბერძნული სახელი გლავკოს ლათინურ ენაზე მწერალს პლინიუსს უნდა ლიტერატურული წყაროებიდან ჰქონდეს ამოღებული.

სევანურის მთავარ ფენის შესატყვისი კილოების ტერიტორიალურად გადაჯგუფების თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა მდ. ცხენისწყლის ძველი სახელწოდების თავგადასავალი.

სტრაბონი ამ მდინარეს უწოდებს *Ἰπποῦ*, ე. ი. ცხენს. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ გამოითქმოდა ამ ღროს მდ. ცხენის წყლის სახელი ადგილობრივ გაბატონებულ კილოზე, შეიძლება გამოყენებულ იქმნას არჩიანის ცნობა. რომაელების მთავრობის მიერ გაგზავნილმა არჩიანმა ჩაიარა ზღვით მთელი შავი ზღვის აღმოს. სანაპირო. ის მოკვითხრობს, რომ მდ. ფაზისის შემდეგ მან გაიარა მდ. ხარი-ეის (60 სტადიონი), შემდეგ მდ. ხობი (90 სტად.), მდ. სინგამე (210 სტად.). მდ. ტარსურ-ოს (120 სტად.), ჰიპპოს ანუ ცხენი (150 სტ.), მდ. ასტელეფი (30 სტად.) აქედან 120 სტადიონის გავლის შემდეგ არჩიანი მივიდა სებასტოპოლში ანუ დიოსკურიასში. სულ კი ხობიდან სებასტოპოლამდის არჩიანმა მისი სიტყვით გავლო 630 სტადიონი ანუ 111,8 კილომ., ხოლო მდ. ხობიდან მდ. ჰიპპამდის მისი ციფრების მიხედვით 480 სტად. ანუ 85, 1 კილომ. (*Περὶ πλ. 13—14, Μετ. I, 221—222*) ეხლა მდ. ხობიდან სოხუმამდის ითვლება დაახლოვ. 103 კილომ., ხოლო 20 კილომეტრზე

სოხუმიდან სამხრეთით მოდის მდ. კოდორის შესართავი. ეს მდინარე უნდა იყოს სწორედ არჩიანის ცხენი, ცხადია, აქ ჩვენ გვაქვს საჭმე ძველ ადგილობრივ კილოზე ცხენის გამოშატეველი სახელთან მხოლოდ მეგრული ახმოვანებით (ო). სვანური ფუძე კდ მართლაც ნიშნავს სიარულს (ლი-კედ—მოსვლა და სხ. Н. Март, Извлек. из св.-рус. словаря, 35). აქედან — ძველს ქართულში სვანურის შესატყვის კილოდან ნასესხები სს-კედ-არი, რაც ცხენს ნიშნავს. აფხაზურში, სვ. ჯანაშიას მიერ მოწოდებულ ცნობით, ეხლაც ყოფილა დარჩენილი განმარტოებით მდგარი სიტყვა ა-კდ, რაც ნიშნავს უნაგირს. აფხაზურისთვის ჩვეულებრივ თავსართის ა-ს გამოკლებით რჩება ძირი კდ, რომელსაც ალბად კავშირი აქვს ზემოდ ნაჩვენებ ცხენის გამოშატეველ სიტყვის (საკედარი) ძირთან.

საყურადღებოა, რომ მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს მდ. ნოღელას დასავლეთით ეხლაც არის დარჩენილი კოდორის შესატყვისი სახელი, სახელდობრ სოფელი დიდი კოდორი. ამის გასწვრივ რიონის მეორე ნაპირას მდებარეობს სოფ. კოდორი, ალბად პირველის ახალშენი. ნოღო მეგრულად ეხლაც ნიშნავს მდინარის ტოტს და პროფ. ცაგარლის მიერ თავისს დროზე ჩაწერილ გადმოცემის მიხედვით (Минг. этюд. стр. VI) ის ადგილი, სადაც ეხლა მდ. ნოღელა მიმდინარეობს, წინად, ხალხის ხსოვნაში დარჩენილ ცნობით, ცხენის-წყლის კალაპოტს წარმოადგენდა. აქედან ცხადია, რომ როგორც I, ისე II საუკ. ქრ. შ. ცხენისწყალი ატარებდა სვანურის ძველს შესატყვისს სახელს — მეგრულ-ახმოვანებით მიღებულის კოდ-არ-ის დაგვარს. შესაძლებელია პტოლემეოსის Κέρμαჯ სარმატიისა და კოლხიდის მიჯნაზე წარმოადგენდეს ამ სახელის ტრანსკრიპციას ოდნავ დამახინჯებულად. სიტყვაში კოდ-არ არ წარმოადგენს მრავლ. რიცხვის დაბოლოებას რომლის პარალელურ ფორმას ჩვენ ვხედავდით საკუთარ სახელებში ზედ-არ, წყნამ-არ. ეს გარეგნობა კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ მდ. ცხენის-წყლის აუზში მე-II საუკუნეშიდაც ქრ. შ. ჯერ კიდევ სვანურის მონათესავე კილო იყო გაბატონებული.

საყურადღებოა ამავე თვალსაზრისით „ფარნავაზის ცხოვრებაში“ მოხსენებული სახელი დიშნა, რომელიც, როგორც ნაჩვენებია (ს. კაკაბ., საისტ. ძიებანი, 130), ვარდციხეს სახელი უნდა იყოს იმავე სვანურის შესატყვისის ძველს კილოზე. რადგანაც დიშნა იხსენიება ფარნავაზის ცხოვრებაში, რომელიც, ჩემის აზრით, მე-IV საუკ. მეორე ნახევარში, ახლოს დასასრულთან, უნდა იყოს დაწერილი, ამიტომ საგულისხმებელია, რომ ჯერ კიდევ მე V საუკ. მეორე ნახევარში ან შესაძლებელია, ამაზე წინად, მაგრამ ახლოს ამ ეპოქასთან სვანურის შესატყვისი კილო გავრცელებული იყო მდ. ყვირილას შესართავის რაიონში.

ამგვარად ცხადია, რომ ის კილოები, რომელიც პირველ საუკუნეებში საკმაოდ ფართოდ ყოფილა მოღებული კოლხიდის ტერიტორიაზე, ენათესავებოდნენ არაგვის შესართავში არსებულ, პირობით წოდებულ ფოხურ კილოს, და ამასთან ერთად ეკუთვნოდნენ, ასე ვთქვათ, რუის ჯგუფის კილოების რიცხვს. მაგრამ ეს კილოები, შემდეგდროინდელ სვანურთან ახლოს მყოფი, რასაკვირველია არ შეიძლება ჩაითვალოს დამახასიათებლად კოლხიდის ტერიტორიისთვის ისტორიულ ხანის უძველეს პერიოდის ყველა საფეხურებზე. მოკლე მიმოხილვა მასალებისა ცხად ყოფს ენების და კილოების თანდათან ცვალებადობას და აგრეთვე ისტორიაში უკვე ცნობილ ტომობრივ ერთეულების საბოლოოდ ჩამოყალიბებას დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე.

უძველესი ცნობა ისტორიულ კოლხიდის ტომების შესახებ დაცული აქვს ჰეკატეს (მე-6 საუკ. ქრ. წ.), რომელიც იხსენიებს კოლქს-ს, კოლხიდის ტომს, კოლქს-ები კიდეც მისივე სიტყვით კოლქს (Κολχίαι) მეზობლად ცხოვრობდნენ. კოლხიდის ტომადვე ასახელებს ჰეკატე მონსხეს (Μονσχι) მატეიენების მეზობლად. ხოლო მატეიენების ქვეყანაში ჰეროდოტეს სიტყვით (I, 202) იწყებოდა მდ. არეზი. ქსერქსის ლაშქრობის დროს მონსხები და ტიბარქები ერთად მიდიოდნენ სპარსეთის მეფის დარიუსის შეილის არიომარდის წინამძღოლობით (ჰეროდ. VII, 78). შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ, რომ მონსხები და ტიბარქები ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობდნენ. მართლაც ჰეროდოტისავე სიტყვით მონსხები და ტიბარქები, მაკრონებთან, მონსინოჟებთან და მარებთან ერთად მე-19 სატრაპიას შეადგენდნენ და 300 ტალანტს იხდიდნენ, ხოლო მატეიენები სპსპირებთან და ალარადიელებთან ერთად მე-18 სატრაპიას შეადგენდნენ (ჰეროდ. III, 94). აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ტიბარქები მონსინოჟების დასავლეთით, ხოლო მონსინოჟები ტრაპეზუნდის დასავლეთით ცხოვრობდნენ ზღვის სანაპიროს (სკილაკი, ΜΕΤΕΩΡ. I, 86). ამასთანავე ფორმა ტიბარქი (Τιβάρχοι) სახელების ჩვეულებრივი დაბოლოების რეგულარული გამოკლებით. არის პარალელური ფორმა სახელისა თობაღ, რომელიც იოსებ ფლავიუსის ცნობის მიხედვით (იხ. ზემოდ, 14) გარდაიქმნა იბერ-ად. გამოდის, მაშასადამე, რომ ტიბარ || თობაღის ტომების მოსახლეობის ხაზი ერთს ადგილას გაწყვეტილა, პირველი ნაწყვეტი (ტიბარ) შერჩენია შავი ზღვის სანაპიროს ტრაპეზუნდიდან დასავლეთისაკენ, ხოლო მეორე, მთავარი ნაწილი კი (თობაღ-იბერ) თანდათან შემჭიდროებას განიცდიდა სამხრეთიდან, როგორც ამას ამტკიცებს სტრაბონის ცნობა, რომ მე-2 საუკ. უწინარეს ქრ. წ. იბერიას ეკუთვნოდა ჰარიადრის ქვეყანაც, აგრეთვე სოტქენი და გოგარქენი. ჰეროდოტით, მატეიენები და მონსხები მეზობლები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა სატრაპიებში ითვლებოდნენ, ხოლო მატეიენების ქვეყანაში მდ. არეზის სათავე იყო. ამიტომ

საგულისხმებელია, რომ მე 6—5 საუკ. ქრ. წ. მოსხები ეხლანდელ არზრუმ—ბაიბურთის ხაზზე და ამის სამხრეთითაც უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებულნი, რადგან ქსერქსის ლაშქრობაში ისინი ტიბარენებთან ერთად იხსენიებიან. შესაძლებელია, რომ აქ იგულისხმებოდნენ ჩრდილოეთის, ასე ვთქვათ, ტიბარენები—ანუ თობაღ-იბერები, მაშინ ჩვენ მივიღებდით მოსხების მოსახლეობას არზრუმ-ბაიბურთის ხაზის ჩრდილოეთითაც.

კოლხებს ქსერქსის ლაშქრობაში ჰეროდოტე იხსენიებს მარ.ებთან ერთად, ორნივე ჭარანდატეს-ის მეთაურობით მიდიოდნენ (VII, 78). ხოლო მარები, ჰეკატეს მიხედვით, მოსინოაკების მეზობლები იყვნენ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გახსენებულ იქმნას, რომ ტრაპეზუნტსა და მის რაიონში ქსენოფონტე კოლხების ტომს იხსენიებს. ცხადია, მაშასადამე, რომ მე-7—5 საუკ. ქრ. წ. ტრაპეზუნტის რაიონში კოლხების ტომი ცხოვრობდა.

ამავე დროს ჰეროდოტე კოლხებს გარკვევით იხსენიებს მდ. ფაზისზედაც. ცხადია, რომ აქაც, ისე როგორც ტიბარენების და თობაღ-იბერის მაგალითზე, ჩვენ ვხედავთ კოლხების მოსახლეობის ხაზის გაწყვეტას სხვა ტომების მიერ, როგორც უკვე შესრულებულ ფაქტს. მეორეს მხრივ ზემოდ მოყვანილ ფაქტების მიხედვით ცხადია ისიც, რომ კოლხების სახელი ძველი დროიდანვე ითვლებოდა კრებითი მნიშვნელობითაც, რასაც შესაძლებელია სარჩულად ედვა კოლხების პოლიტიკური პრიორიტეტი უფროს ტერიტორიაზე განსაზღვრულ ხანაში. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს ჰეკატეს მიერ, როგორც ვნახეთ, მოსხების კოლხიდის ტომად მოხსენება.

კოლხების ვინაობის შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობა აქვს დაცული ჰეროდოტეს, რომელიც მათ უნათესავებს ეგვიპტელებს და თვით კოლხებს (იგულისხმებიან მდ. ფაზისის კოლხები) სეზოტრისის ჯარის შთაპომავლებად სახავს. სეზოტრისის ჯარის ერთი ნაწილი, მისი სიტყვით, დარჩენილა მდ. ფაზისის ქვეყანაში და იქ დასახლებულა. სათანადო გადმოცემა ჰეროდოტეს დროს დარჩენილი ყოფილა როგორც ეგვიპტეში, ისე კოლხიდაშიც, თუმცა „კოლხიდის მცხოვრებთ მეტი მოგონება შეუნახავთ ეგვიპტელების შესახებ, ვიდრე ამ უკანასკნელთ პირველებზე“ (ჰეროდ. II, 103). ამ აზრს ჰეროდოტე ადასტურებს კოლხების კანის მუქი ფერით და ხუჭუჭა თმებით (რაც მათ ამსგავსებდა ეგვიპტელებს), კიდევ საერთო ჩვეულებით—სახელდობრ წინადაცვეთის არსებობით ეგვიპტელებსა და კოლხებში, სელის ერთნაირად მოყვანით და, უკანასკნელ, ენითაც. „მათი (ეგვიპტელების და კოლხების) ყოფაცხოვრებას და თვით ენას ბევრი აქვთ ერთმანეთში საერთო“, ამბობს ის (ჰეროდ. II, 103). უკანასკნელი ცნობა ფრიად საყურადღებოა, რადგან, გარეშე სეზოტრისის ლაშქრობის და ეგვიპტელების კო-

ლონიის მდ. ფაზისზე მოწყობის შესახებ ცნობისა, რომელიც კიდევ საჭიროებს ისტორიულ რეალურ ღირებულობის თვალსაზრისით ცალკე ძიებას, თვით ფაქტი მდ. ფაზისის კოლხების და ეგვიპტელების ენას შორის მსგავსებისა ჰეროდოტეს დროს დადასტურებულად სჩანს და თხოულობს ცალკე შეფასებას. შესაძლებელია, რომ მართლაც მდ. ფაზისის შესართავში ამ დროს ყოფილიყო ეგვიპტელების კოლონიის ძლიერი ნაღევო, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანა ჰეროდოტეც, როდესაც ის კერძო შემთხვევას ზოგად ხასიათს აძლევდა. შესაძლებელია ისიც, რომ აქ საკითხი უფრო ფართოდ დაისვას, სახელდობრ ქაშიტურ და იაფეტურ ენათა ურთიერთობის თვალსაზრისით და მაშინ ყურადღება ექნეს მიქცეული იმ გარემოებას, რომ მეგრულში ეხლაც მოიპოვება ზოგიერთი სიტყვები ძალიან დაახლოვებული ძველ ეგვიპტურთან. უფრო საფიქრებელია, რომ ამ გვარი სიტყვები, რომელთა დადასტურება არც თუ შეუძლებლად სჩანს, შერჩენილი იყოს ეხლანდელ მეგრულის ტერიტორიაზე სესხების გზით და მაშინ მივიღებთ ჰეროდოტეს ცნობის — სახელდობრ ეგვიპტელების კოლონიის დაარსების შესახებ მდ. ფაზისის შესართავში — რეალურ სინამდვილესთან შესატყვისობის შესაძლებლობას. ეს საკითხი საერთოდ, რასაკვირველია, თხოულობს ცალკე დაძუშაებას.

კოლხების საკუთარ ენის შესახებ ჩვენ გვაქვს მხოლოდ რამოდენიმე ცნობა, რომელიც ცალკე სიტყვების მნიშვნელობას ეხება. ჰეროდოტე ამბობს, რომ „ჰერძენები ეძახიან კოლხიდიდან მიღებულ სელს სარდონულს (σαρδωνιαν), ხოლო ეგვიპტიდან მიღებულს — ეგვიპტურს“ (II, 103). ეხლანდელს მეგრულში აქის მცენარის სახელი სანდრაჟა, სანდრაჟა, ჰან. ფსანდრაჟი, რაც ექვს გარეშეა წარმოადგენს ძველი კოლხურის სარდონულ სელის ნაშთს. ამ სიტყვის ნაშთს მაინც ეხლანდელს მეგრულში არსებითი მნიშვნელობა არ შეიძლება მიეცეს, რადგან ის გადაკული უნდა იყოს მეგრულში ასე ვთქვათ ტერიტორიული მემკვიდრეობით. უფრო საინტერესოა ძველი კოლხურის დასახასიათებლად ერთი ცნობა, რომელიც დაცული აქვს კალლიმახს. კალლიმახი მე-3 საუკ. ქრ. წ. იხსენიებს კიდევ ერთს კოლხურ სიტყვას. სახელდობრ ის ამბობს — ქალაქი პოლა ეპირში დაარსებულია იმ კოლხების მიერ, რომელიც გამოედევნენ მედეას მომტაცებელთ, მაგრამ რადგან ვერას გახდნენ, ამიტომ კოლხილის მეფის აეტის შიშით ისინი დაბინავდნენ ეპირში, სადაც მათ მიერ დაარსებულს ქალაქს დაერქვა პოლა (Πόλα), რაც კოლხების ენაზეა — ამბობს კალლიმახი — ნიშნავს გამოქცეულს (Γὰρ, ἡμεῖς, I, 44). შესაძლებელია ამ სიტყვის ძირი პლ დაკავშირებულ იქნას მეგრულ ძირთან პრ, რომელიც გაორებით იძლევა სიტყვას პარ პალი, რაც ნიშნავს პირველ ყოვლისა ჩქარი სიარულს (Κυρὸν, Γραμ. μινυρ.

მ. 297). ზოგა კიდევ შეიძლება დაუკავშირდეს ეხლანდელ მეგრულს ფორ, ფორუა (ქართ. ფარვა), რაც ნიშნავს დამალვას. ყოველს შემთხვევაში ექვს გარეშეა, რომ ზოგა არის სიტყვა მეგრულ-ქანური ახმოვანებით (ო) და თავისი მნიშვნელობითაც ახლოს ეხლანდელ მეგრულში დაცულ ზემოდნაჩვენებ ძირებთან. ეს გარემოება ცხად ჰყოფს, რომ კალიმახი იცნობდა კოლხებს აწინდელ მეგრულთან ახლოს მდგარ კილოზე მოლაპარაკედ.

არა ნაკლებ საინტერესოა კალიმახთან შედარებით ცოტა აღრინდელი ცნობა, სახელდობრ ჰიპოკრატესი (400—376 წ. ქრ. წ.) იმის შესახებ, რომ მდ. ფაზისის შესართავში მცხოვრებნი ერთს ფრიად მაგარს ცხელს და უსიამოვნო ქარს კენხრონ-ს (Κένχρον) ეძახიანო (Πλατ. III, 1, 59). ეს სიტყვა, ეტყობა, მდ. რიონის შესართავში მე-4 საუკ. ქრ. წ. არსებულს და აწინდელ მეგრულთან ახლოს მდგარ კილოს ეკუთვნის. მართლაც ეხლანდელს მეგრულში ძირა კინ, კ'ნ, კენ ნიშნავს ვეზიდები, ვეწევი, ხოლო ორქი—ცხელ ორთქლს, ცხადია, იქ იგულისხმება დას. საქართველოში ეხლაც ცნობილ ცხელი და ძლიერი ზენა-ქარი.

ამ ორი ცნობით, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამოიწურება ჩვენი ცოდნა ძველი კოლხური ენის შესახებ. მაგრამ ამ ცნობების შეჯერებისაგან ცხადია, რომ ძველი კოლხური ენა იყო აწინდელ მეგრულთან ახლოს მდგარი და ახლო მონათესავე ენა. ეს კიდევ არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ შემდეგ დროინდელი მეგრელები, საკუთრივ მარგალები, წარმოადგენენ ეთნიურად და ლინგვისტურად კოლხების განვითარებას. კოლხიდა—კრებითი მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც, როგორც ნაჩვენები იყო, გეოგრაფიული თვალსაზრისით შეიცავდა სხვადასხვა ტომებს, ისტორიულ კოლხიდის ტერიტორიაზე მობინადრეთ. იმ ხშირ მიწვევ-მოწევის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საგვაროვნო პრინციპებზე აგებულ პატრიარქალურ წყობილებისას ცალკე სახლების ანუ კიდევ ტომების ცხოვრებაში, ეთნიური სურათი განსაზღვრულ ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად იცვლებოდა. ტომების გადაჯგუფება, ეკონომიურ და სოციალურ განვითარების თვალსაზრისით დაბალ საფეხურზე ყოფნის დროს, მიწის დამუშავების ნაკლებ მნიშვნელობისას, ხშირი მოვლენა იყო და მხოლოდ მაშინ, როდესაც ტომებმა გამოსვლა დაიწყეს საგვაროვნო ცხოვრების ნორმებიდან, შესაძლებელი შეიქმნა ტომების, ასე ვთქვათ, ფიქსაცია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც მათ მოუსწრო ახალ ეკონომიურ და სოციალურ პირობებმა. ტერმინი კოლხიდა გვაროვნობითი წყობილების დროს უპირველეს ყოვლისა თავისი გეოგრაფიული მნიშვნელობით,—გარეშე ამ ტომობრივ გადაჯგუფებისა, —პერმანენტულ ფორმულად გადაიქცა, რომელი ფორმულა შემდეგ

შეიცვალა ჯაზიკის მცნებით. ეს გარემოება ცხადად სჩანს პროკოპი კესარიელის ერთი ადგილიდან: „ზოგნი ამბობენ,—მოგვითხრობს ის, რომ ტრაპეზონტელთა მეზობელი სანები, რომელთაც კანებს ვეძახით, ლაზების მეზობლები იყვნენ და ირწმუნებიან, რომ ესენი ლაზები კი არ არიან, არამედ კოლხები, ხოლო ლაზების სახელი კი სხვა ხალხზე გადაიტანესო. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის, რადგანაც კანები ცხოვრობდნენ ძალიან შორს ზღვის სანაპიროდან, შიგნით ხმელეთზე, სომხების მეზობლად. შეუძლებელია, რომ ლაზები კოლხებისაგან განსხვავებული ხალხი იყოს, რადგანაც ისინი ცხოვრობდნენ მდ. ფაზისთან და მხოლოდ დრო გამოშვებით კოლხების სახელს ცვლიდნენ ლაზების სახელად, როგორც ეს სხვა ხალხებს შორისაც ხდება. გარდა ამისა, იმის შემდეგ რაც ამის შესახებ დაწერილი აქვთ ძველ მწერლებს, ბევრი გამოიცვალა როგორც ხალხთა გადაჯგუფებისა, ისე აგრეთვე მთავრების ცვლილებისა და ადგილთა სახელწოდების გამოცვლის გამო“ (De bel. Goth. IV, 1).

ამ ციტატადან ცხადად სჩანს კრებითი და მაშასადამე ანაგებიითი მნიშვნელობა ტერმინების როგორც კოლხიდის, ისე ლაზიკისა. მუდმივი ტომობრივი ცვალებადობა მოსახლეობისა გვაროვნობითი წყობილების ნორმების პატონობის დროს, გამოწვეული ნახევრად ბოგანოდ მომართულ ტომების შედარებით ხშირი გადაჯგუფების გამო, კოლხიდის (და ლაზიკისაც) შინაგან შემადგენლობას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნაირად გვიხატავს. სათანადო მასალების დაგროვება და მათი შესწავლა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც იაფეტური ენათმეცნიერება და კერძოდ ქართულგნობის მოკულობის ეთნოლოგია ამ მიზნით გამოსაყენებლად საკმაოდ წინწასული იქნება, ექვს გარეშეა საინტერესო სურათის მომცემი გახდება. ამ ჟამად კი ჩვენ დავკმაყოფილებით მასალების მხოლოდ ნაწილობრივი განხილვით, რამდენადაც ამ მასალებიდან გამოსჰყივის გარკვეული ისტორიული პერსპექტივა ტომობრივ ცხოვრების განვითარებისა კოლხიდა-ლაზიკის ტერიტორიაზე.

როგორც ნაჩვენები იყო, საკუთრივ კოლხები მე 3—4 საუკ. ქრ. წ. ეხლანდელის მეგრულის შესატყვის ან მონათესავე კილოზე მოლაპარაკედ სჩანან. მაგრამ ამისი თქმა, რასაკვირვებელია კოლხიდის ყველა ტომების შესახებ არ შეიძლება. ჰეკატე მე-5 ს. ქრ. წ. იხსენიებს კოლხიდას ან ამ ქვეყნის მეზობელ სხვადასხვა ტომებს. ასეთია: კორაქსები, კოლხიდის ტომი, კოლხების მეზობლად, მოსხები,—კოლხიდის ტომი. მათიენების მეზობლად. მისივე სიტყვით მათიენების ქალაქის ჰიოპეს მეზობლად გორდი-ები იყვნენ. „ხოი—ტომი, ბენეირ-ების მეზობლად. ხოების აღმოსავლეთით დიზერ-ები (Διζυρες) ცხოვრობენ“. „მაკრონები—ეხლა სან-ები“. „მარ-ები—ტომი მოსინეკების მეზობლად“—მოსი-

ნოჲკები კიდევ ტიზარ-ების აღმოსაღლეთით ცხოვრობდნენ (Латыш. I, 3). ამ ტომებს შორის მაგალითისთვის შეიძლება აღებულ იქმნას დიზერ-ები. სკილაკი მას მე-3 საუკ. ქრ. წ. იხსენიებს ოდნავ გადამახინჯებულად (Латыш. I, 86). „კოლხების იქით (კოლხებს სკილაკი აკუთვნებს ქალაქებს დიოსკურიას და ფაზისს) არის ხალხი ბჳზერი (Βυζερι= დიზერ-ი) და მდინარე დარაანონ და არიონ (Ἀριων)“. დიზ-ერ, სკილაკის მიერ დამახინჯებულად გადმოცემული, არის ტომის მრავლ. სახელი რიცხვის ერ დაბოლოებით. დიზ-ერა მაშასადამე ეკუთვნოდა რე-ის ჯგუფის ტომს და ამ მხრივ თავისი ლინგვისტური თვისებებით საკუთრივ კოლხებისაგან რამოდენადმე განკერძოებით უნდა მდგარიყო. საინტერესოა, რომ ჰეკატე დიზ-ებს გულისხმობს უფრო სამხრეთით, ვიდრე სკილაკი. დიზერები ჰეკატეს მიხედვით ბეზერი-ების ახლოს იყვნენ, ხოლო ბეზერი-ები სკილაკით მაკროკეტალების აღმოსაღლეთით შავი ზღვის სანაპიროს ბინადრობდნენ, ტრაპეზონტი კიდევ მაკროკეტალების იყო. მაშასადამე დიზერ-ები ჰეკატეთი ტრაპეზონტის მიმართულებით, მაგრამ მის აღმოსაღლეთით არიან საგულისხმებელი. ხოლო სკილაკი დიზერებს (ბჳზერებს) დიოსკურია-ფაზისის ხაზზე ნაგულისხმევ კოლხების მეზობლად იხსენიებს. დიზერების (ბჳზერების) ქვეყანაში ყოფილა მდ. არიონი, რაც შეიძლება იყოს ფაზისის შემდეგდროინდელი სახელწოდება რომელი აფხაზურში ეხლაც არსებულ ა თავსართით. ამ სახელს სკილაკი ალბად ხმარობს ფაზისის იმ ნაწილის სახელად, რომელიც დიზერების ქვეყანაში ითვლებოდა.

ტომი დიზერ-ი შემდეგ გაქრა, მაგრამ მისგან დარჩა გეოგრაფიული სახელი მეგრული უკვე თავსართით რ-დიშ-ი (დიშ || დიზ). რდიშო თითქოს სკილაკის მიერ დიზერებისთვის ნაჩვენებ ტერიტორიის ჩრდილოეთით თუ ჩრდილო-დასავლეთით სიანს. ალბად შემდეგ მე-3 საუკუნისა ქრ. წ. ტომი დიზერა იკავებს ისტორიულ ოდიშის ტერიტორიას, რის შესახებ ხსოვნა შემდეგ დარჩა გეოგრაფიულ ამ ტერმინის სახით.

✓ უკვე დიზერ-ის ტომის ბედის ფაქტიდან ცხადად სიანს, რომ კოლხიდის ტერიტორიაზე ძველიდანვე მართლაც მოთავსებული იყო ენის მხრივ არა ერთი და იმავე ჯგუფის ტომები, რომ გადაჯგუფება ტომებისა იმდენად მნიშვნელოვან ტემპით წარმოებდა, რომ ხელს უწყობდა ტერიტორიის საკმაოდ ხშირ ეთნიურ ცვლებადობას. განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ამ თვალსაზრისით ტომის მარგალ-ის (მეგრელების) ბედი, რადგან ამ ტომის ტერიტორიალურ გადაჯგუფების დამთავრებასთან დაკავშირებულია კოლხიდის გამოსვლა გეოგრაფიული წესების ნორმებიდან და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ახალ ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრების ნორმებისთვის სათანადო პირობების გაბატონება.

ჯერ კიდევ ჰყატე იხსენიებს, როგორც ვნახეთ, ტომს მარ-ს (Μάρς), რომელსაც ის მოსინოაქების მეზობლად ასახელებს, ხოლო ცნობილია, რომ მოსინოაქები, სკილაკით, ცხოვრობდნენ მაკროკეფალეების იქით, ე. ი. დასავლეთით. ამგვარად მარ-ები მე-ნ საუკ. ტრაპეზონტიდან დასავლეთის მიმართულებით არიან საგულისხმებელი. ჰეროდოტე მარ-ებს მოსხებთან, ტიბარენებთან და მოსინოაქებთან ერთად სპარსეთის მე-19 სატრაპიაში იხსენიებს (ჰეროდ. III, 94). მაგრამ მაშინ როდესაც ქსერქსის ლაშქრობის დროს მოსხები და ტიბარენები ერთის მხრივ, მაკრონები და მოსინოაქები მეორე მხრივ საერთო მხედართ-მთაგრეხის ხელთქვეით იხსენიებიან, მარ-ები მიდიან კოლხებთან ერთად ტეასპის შვილის ჭარანდატეს-ის უფროსობით. უკანასკნელი ცნობა არის ძალიან საყურადღებო და შესაძლებელია იმისი მაჩვენებელიც იყოს, რომ მარები საერთოდ დაახლოვებულნი იყვნენ კოლხებთან არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ეთნიურ-კულტურული თვისებებით. იარაღიც მათ დაახლოვებით ერთნაირი ჰქონდათ. მარებს თავს ეხურათ დაწული ჩაფხუტი და ჰქონდათ პატარა ტყავის ფარი და შუბები. კოლხებს თავს ეხურათ ხის ჩაფხუტი, საჭურველად ჰქონდათ პატარა ფარები ხარის ტყავისაგან, მოკლე შუბები და საომარი დანები (ჰეროდ. VII, 78). ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარ-ები მე-ნ — საუკ. ქრ. წ. სამხრეთ (ე. ი. ტრაპეზონტის რაიონის) კოლხების მეზობლები და მათი ახლო მონათესავე იყვნენ. რა მოცულობის ტერიტორია ეჭირათ მარებს, არა სჩანს, არ სჩანს ისიც, ჰქონდათ თუ არა მარ-ებს ჩრდილო-აღმოსავლეთითაც ხმელეთის შუაგულში ლიხის მთის მიმართულებით თავისი მოსახლეობა. როგორც ზემოდ ვნახეთ, მოსხების (მესხების) ტომი ამ დროს უკვე გაწყვეტილად სჩანს, ყოველს შემთხვევაში ისინი იხსენიებიან არზრუმ-ბაიბურთის ხაზიდან დასავლეთის მიმართულებით და იმავე დროს იგულისხმებიან ჩრდილოეთითაც მდ. მტკვრის თავ-ნაწილის ახლო ქვეყნებში. შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ, რომ მარ-ების ტომის ერთი ნაწილი მოსახლეობის ხაზის ასეთივე გაწყვეტის გამო მოყოლოდა ჩრდილოეთით. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს გეოგრაფიული ტერმინი მარგვისი, რომლის მოცულობა ფარნაევზის ცხოვრების აღმწერელს, მაშასადამე მე-ნ საუკ. დასასრულს, წარმოდგენილი აქვს ლიხის მთასა და რიონს შუა და შექდეგ რიონის ქვედა-ნაწილის სამხრეთით (შემდეგდროინდელი იმერეთის უმეტესი ნაწილი და გურია). მარგუ-ის-ი შესაძლებელია იყოს წარმომდგარი ტერმინიდან მარპრავლობითი რიცხვის მაჩვენებლის ქ-ს გადასვლით გ-ში (მარ-ქ; მარ-გ). ტერმინიდან მარგ კი წარმოიშვა მარგ-ადი, აქედან ქართული მეგრადი. მარგების მოსელა მარგვისში საგულისხმებელი უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან, ანუ სამცხეს ტერიტორიიდან და მართლაც საყურადღებოა,

რომ „ქართ. ც.-ში“, მე-10 საუკუნის თხრობაში, იხსენიება სამცხეში ზაჭგის-ი: „გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს და დაღვა მარგს“ (ბროს. გამ.-ში: მარგის). მარ. ვარ. 234, ბროს. გამ. I, 204.

ამ ფაქტების მიხედვით, სხვა, ჯერ კიდევ საძიებელ მასალების შესწავლასა და მოშველებამდის, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარ-ების ტომის ერთი შტო, ჩრდილოეთით მობინადრე, დაახლოვებით შემდეგდროინდელ სამცხის ტერიტორიაზე და მის ახლოს, გადასულა შემდეგ მდ. ყვირილას აუზში და თანდათან მოსდებია იმ ტერიტორიას, რომელსაც ამიტომ დაერქვა მარგვისი ამ ტერმინის ფარნავაზის ც-ბის აღმწერელის გაგებით. დაახლოვებით შეიძლება კიდევ მარგების (=მარგების) ჩრდილოეთისკენ ამ გადასვლის დათარიღება. ზემოდ (გვ. 55) პლინიუსის მიერ მდ. ყვირილის სახელის თარგმანის განხილვით ჩვენ ვნახეთ, რომ პირველ საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. შ. ყვირილას პლინიუსი უკვე იცნობს მეგრულის შესატყვის სახელით, მაშინ როდესაც სტრაბონის დროს ეს მდინარე ჯერ კიდევ სვანურის, უკეთ რე-ის ჯგუფის ენის სახელით იყო ცნობილი. მაშასადამე, მარგების გადასვლა სამცხიდან ყვირილას ხეობაში 1 საუკუნის ახლოს უნდა მომხდარიყო, ყოველს შემთხვევაში ყვირილის ხეობის მიმდგამ რაიონებში ამ საუკუნის მეორე ნახევარში მარგების ენა (=მეგრული) ყოფილა გაბატონებული. ეს დასკვნა უდგება იმ ცნობებს, რომელიც ჩვენ გვაქვს კოლხიდის ტერიტორიის ლინგვისტურ და ტომობრივ სურათის შესახებ პირველ საუკუნეებში.

რომ მართლაც მარგები 1 საუკუნეში და ამის შემდეგაც კარგა ხანს ყვირილის ხეობით და მისი ახლომახლო რაიონებით და საზოგადოდ მდ. რიონის აღმოსავლეთის ქვეყნებით იყვნენ განსაზღვრულნი, ეს ცხადად სჩანს იქიდან, რომ რიონის დასავლეთით 1 საუკუნეშივე ჯერ კიდევ სვანების მოდგმის, უკეთ რე-ის ჯგუფის ტომი იხსენიება. პლინიუსი პირდაპირ ამბობს,—მდ. ხობი სვანების (Suani) ქვეყანაში მიმდინარეობსო. ამის შემდეგ ჩრდილოეთისკენ იყო მდინარე Rhoan, და ფგრისის ქვეყანა (regio Erectice; ლათინურს მოყავს Cegritice). ამის შემდეგ—მდინარეები Sigania, Thersos, Astelphus, Chrysorroas, შემდეგ ტომი აბსილებისა (Absilae), ციხე სებასტოპოლი 100 ათას ნაბიჯზე ფაზისიდან, ტომი სანიკებისა (gens sanicarum), ქალაქი Cygnus, მდინარე და ქალაქი Penius და შემდეგ სხვადასხვა სახელების მატარებელი ჰენიოხების ტომები (Nat. hist. VI, 11).

ამ მდინარეებს შორის სიგანი-ა არის არრიანის Σιγάνη, ხოლო სინგამე არრიანით ხობიდან 210 სტადიონზე იყო. ის არის მაშასადამე ოქუმის-წყალი. ოქუმის-წყალის და მდ. ხობის აუზი ეს იყო უკიდურესი რაიონები, რომელთა შორის მდებარეობდა ფგრისი. „მამათა და ნათ. ც-ბის“ ავტო-

რი იხსენიებს ეგრისის უძველეს ქალაქს ეგრისს, რომელსაც შემდეგ ბეღია ერქვა. უკვე ნაჩვენებია (ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 128), რომ ეს ქალაქი მდებარეობდა ეხლანდელ ზუგდიდის დასავლეთით 5—6 კილომეტრზე, სოფ. შამგანასთან. ამ ნაქალაქარიდან 8 კილომეტრზე ეხლაც დარჩენილია ადგილის სახელი ბედიანი. სახელების ეგრისის და ბედიანის არევა მემართინის მიერ და მათი იგივეობის გამოცხადება ადვილი გასაგები ხდება, თუ მივიღებთ მხედველობაში მდ. ენგურის მიერ ფრიად ფართო მანძილზე ხშირად კალაპოტის ცვლას.

რადგან ოლქის ეგრისის მდებარეობა 1 საუკ. დაახლოვებით გამოკვეთილია, ამისდა მიხედვით აბსილების ტერიტორია საგულისხმებელია ოქუშის-წყალსა და სებასტოპოლს შორის. აბსილების ჩრდილოეთით სანიკები ცხოვრობდნენ. არრიანით, სებასტოპოლი სანიკების ქვეყანაში იყო.

მე-2 საუკ. ნახევარში, არრიანის დროს, ტომების დაჯგუფება კოლხიდაში გვეხატება შემდეგ ნაირად. ტრაპეზონტის ახლოს კოლხებზე ცხოვრობდნენ. იქვე ბინადრობდნენ ქანები (Σάυοι). ამათ შემდეგ შავი ზღვის სანაპიროს გაუოლებით ჩრდილოეთისკენ იყვნენ მახელონები და ჰენიოხები. უსახელო არრიანით ესენი ცხოვრობდნენ მდ. არხავესა და ოჭიუნტს შორის (Латыш. I, 272). მახელონების და ჰენიოხების მეზობლებად არრიანი ასახელებს ზიდრეიტებს, რომელნიც უსახელო არრიანით მდ. აპსარსა (=ჰოროხსა) და არხავეს შორის არიან ნაჩვენები (იქვე). ზიდრეიტებს მიუბოძდნენ ლაზები, რომელნიც მაშასადამე ჰოროხის ჩრდილოეთით იყვნენ. ლაზების მეზობლები—აპსილები, ამათ შემდეგ აბასკები და აბასკების იქით სანიკები, რომელთა ქვეყანაში სებასტოპოლი იყო (Латыш. I, 222). მდგომარეობა აქ უკვე, შედარებით პლინიუსის ცნობებთან, საკმაოდ შეცვლილია. ეგრისი, როგორც სჩანს, აპსილებს და აბასკებს უჭირავს. საფიქრებელია, რომ ხობის ხეობა, რომელიც პლინიუსის დროს სვანებს ეჭირათ, ეხლა უკვე იმყოფებოდა აპსილების ხელში. აპსილები და აბასკები, როგორც ცნობილია, აფხაზთა ჯგუფის ტომების სახელებია. ცხადია მაშასადამე, რომ როდესაც პლინიუსი აპსილებს ეგრისის ჩრდილოეთით უჩვენებდა, ამავე დროს ამავე ტომის ერთი შტო ცხოვრობდა უფრო სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. ეს სჩანს კიდევ შემდეგი გარემოებიდან.

საზოგადოდ აფხაზური მოსახლეობის ნაშთი გეოგრაფიულ ნომენკლატურის გარჩევით კოლხიდის სამხრეთ ქვეყნებში ეხლა უკვე დადასტურებულია. ასეთია სახელი ანჩა კლარჯეთში, ჩიბათი, გუბაზოული გურიაში (Н. Марр, Из лингвист. повздки в Абх., ИИАН 1913 г., 308). მდ. ჰოროხის ბერძნულად ხმარებული სახელი Ἀψαράς, რომელსაც პირველად სკილაკი ხმარობს მე-3 ს. ქრ. წ., შესაძლებელია დაკავშირებული

რებული იყოს აფხაზების ერთ-ერთ ტომის ქოროხის ხეობაში ბინადრობას-
თან. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელი იხსენიებს
ათინას იქით და რიზედან ჩრდილ. 3 დღის სავალზე ქალაქი აფსარს, რომელიც
წინად იწოდებოდა, მისი სიტყვით, "Αψαρτος (VIII, 2, 11—12).
ეს სახელიც, ცხადია, აფხაზების ტომს უკავშირდება. ასევე, როგორც
ცნობილია, აფხაზების სახელთან არის დაკავშირებული მდ. ფაზისის სა-
ხელიც. ნ. მარჩა უჩვენა, რომ თვით ქუთაისის სახელიც აფხაზური
წარმომავლობისაა. სახელდობრ აფხ. ქთა ეხლაც ნიშნავს სოფელს
(დასახ. შრ., 323). საინტერესოა, რომ ამ აფხაზური სახელის მატარე-
ბელი იყო ქუთაისი არჩიანის დროსაც. პროკოპი კესარიელი ამის შე-
სახებ გადმოგვცემს: Κοτιάϊον δὲ τότε τὸ φροσίων ἀνοικνέτο τῇ *Σλ-
λήγῃ φωνῇ νῦν μὲν τοι Κοτάϊς ἀντὶ καλοῦσι Λαῶσι τῇ τῆς φωνῆς ἀγ-
νοίᾳ τῇ τὸν βόρματος διαφθερόντες ἀρμούναν. ταῦτα μὲν Ἀριανὸς
ἐνταῦς ἑστέρησεν (VIII, 14, 48). „ამ ციხეს ოდესღაც ბერძნები ქო-
თიას ეძახდნენ, ეხლა კი ლაზები თავიანთ ენაზე ქოთაის-ს ეძახიან,
ბერძნული ენის უცოდინარობის გამო ამხინჯებენ სახელს. ასე ამბობს
ამის შესახებ არჩიანი“. ამის მიხედვით ქუთაისი არჩიანის დროს
მე-2 საუკ. პირველ ნახევარში ქრ. შემდეგ იწოდებოდა ადგილობრივ ენა-
ზე Κοτάϊც. ეს ენა შეიძლება ყოფილიყო აფხ.-სვანურის ძირითად ფენის
პროტოტიპი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბერძნულში შ-ს აღსანიშ-
ნავად უცხო სიტყვების გადაღებისას იხმარებოდა ს, მაშინ ჩვენ მივიღებთ
ეხლანდელ სვანურში არსებულის შესატყვისის სახელს — ქოთაიში = ქოთეში.
აპაზე უფრო ძველი გამოთქმა ამ სახელისა აქვს მოხსენებული პროკოპი
კესარიელს, რომელიც ამ შემთხვევაში იმეორებს სხვა ძველ ბერძენ მწე-
რალთა ცნობას. „ხოლო სხვები ამბობენ, განაგრძობს პროკოპი ზემოდ
მოყვანილ ციტატის შემდეგ, რომ იქ იყო ქალაქი, რომელსაც ქვეყნის
სახელით ერქვა Κοίταιον. იქიდან წარმოიშვა აიეტი და ამიტომ პოე-
ტები ამ ქალაქს ეძახდნენ Κοιταῖναι, ხოლო კოლხიდის ქვეყანას Κοιταῖναι“
(VIII, 14, 49). აქ უკვე შედარებით კარგად არის შენახული უძველესი
ფორმა ამ სახელისა ქთა, რომელიც ეშესატყვისება ეხლაც აფხაზურში
შენახულს ძირს ა-ქთა (საკუთრივ — ქთა); რაც ნიშნავს სოფელს. პრო-
კოპი კესარიელის ცნობიდან ცხადია ამგვარად, რომ არჩიანის დროს
ქუთაისი ჯერ კიდევ აფხაზურის შესატყვისის სახელს ატარებდა. ამის-
და მიხედვით შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ აპსილების
ერთს ტომს მართლაც შეეძლო მე-2 ს. ქრ. შ., არჩიანის დროს, რიო-
ნის მიმართულებით ეცხოვრა. საფიქრებელია, რომ პლინიუსის მდ.
ზობის სვანები და ეს აპსილები ენის მხრივ საკმაოდ ახლოს იდგნენ
ერთმანეთთან, შესაძლებელია ერთი და იმავე რე-ის ჯგუფის წარმომად-
გენელნი იყვნენ. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ რიონის ხეობა,

დაახლოვებით რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო მე-2 საუკუნეში აღმოსავლეთის მიმართულებით სვან-აფხაზ ჯგუფის შესატყვისის ძველ ტომების განმსაზღვრელი მარგებისაგან ანუ მარგალებისაგან.

აღსანიშნავია, რომ ზემოდ აღნიშნული სქემა — კოლხიდის ტერიტორიის ტომობრივ სურათის შესახებ მე-2 საუკ. — ზოოლოგს განვითარებას და დადასტურებასაც კლავდიოს პტოლემეოსის ცნობებში. კოლხიდას პტოლემეოსი სთვლის მდ. კორაქსიდან მდ. ფაზისამდის. კორაქსად აქ კოდორი უნდა იგულისხმებოდეს. „კოლხიდის ზღვის სანაპიროს ნაწილს ცხოვრობენ ლაზები, ხოლო კოლხების ზევით ცხოვრობენ მნარალები და ეკრეტიკეს ქვეყნის მკვიდრნი“ (ΠΛΗΜ. I, 241). ამ ცნობიდან ცხადია, რომ ლაზები იგულისხმებოდნენ ფაზისის საპირეთით, მაშასადამე, არარიანის ცნობის მოშველებით, ფაზისსა და კოროხს შუა. მნარალები (Μάρραλοι) უნდა იყვნენ მარგალები, რომელნიც კოლხების ზემოდ ცხოვრობდნენ. Εκρηκταιχί შეიძლება იყო მეგრული გამოთქმის ეგრი-დიხა, ანუ ეგრისის ბიჭა (ქვეყანა). რადგანაც ზღვის სანაპირო ენგურსა და რიონს შუა ქაობების და ტყეების გამო მიუვალა, ამიტომ პტოლემეოსს შეეძლო ეთქვა ეგრისის შესახებ, რომ ეს ქვეყანა კოლხების (მაგ., ფაზისის კოლხების) ზემოდ იმყოფებაო. პტოლემეოსის ამ ცნობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცხად ჰყოფს ეგრისის, როგორც გეოგრაფიულ ტერმინის, ამ ღრის საკმაოდ მტკიცედ არსებობას, რადგან არარიანის მიხედვით თუ ეთნოურად არა, ყოველს შემთხვევაში პოლიტიკურად ეგრისი მე-2 საუკუნეში აფხაზურ ჯგუფის ტომების ხელში უნდა ყოფილიყო.

ეგრისის მოსახლეობის ლინგვისტურ თვისებების დასახასიათებლად ძალიან საყურადღებოა პტოლემეოსის მიერ მოხსენებულ ქალაქთაგან კოლხიდაში Σιγάνειον. შესაძლებელია ეს ის ქალაქი იყოს, რომელსაც პლინიუსი იხსენიებს მდ. ფაზისის სანაპიროზე (აღბად არა პირდაპირის, არამედ ფართო გაგებით) და ხველეთს შიგნით Cygnum-ის სახელით (Hist. nat. VI, 11). ეს ქალაქი, როგორც ვნახეთ (გვ. 45), მოხსენებულია ამავე სახელის შესატყვის ფორმით ანონიმის მიერ დაცულ პაპი ალექსანდრიელის აღწერილობაში. საყურადღებოა, რომ ამავე სახელით ამ ქალაქს იხსენიებს მე-7 საუკუნის მწერალი გიორგი კვპრელი, რომელიც ჩამოთვლის ლაზიკის ეპარქიის ეპისკოპოსების კათედრებს: ὁ Φαθμοῖς, ὁ Ποδοπταῖας, ὁ τῆς Ἀβισσηνῶν, ὁ Περσῶν, ὁ τῆς Σιγανείου (Georg. Cyp., 24). როგორც სიანს, განსაკუთრებით პაპი ალექსანდრიელის ცნობიდან, სიგანეუმი ყოფილა ფრიალ თვალსაჩინო პუნქტი. ამას ამტკიცებს იქ სიგანეუმი კათედრის არსებობაც. ჩემის აზრით სიგანეუმი (სიგანეუმი) უნდა იყოს იგივე ქართული ციხე-გოჯი და მეგრული ჯიხან-ქვიჯა, ლაზიკის სამეფოს მთავარი პუნქტი. (გვ. 46-47)

აფხაზურად ეხლა ნიშნავს ცუდს (უსლარი, შეად. 3. ქარაია *Он отнош. знох. нз. в афет.*, 47: ა-ც'გია). სემასიურად აფხაზური ცგია უახლოვდება იმერ.-გურ კილოში არსებულ სიტყვას გონჯი (=ცუდი). გონჯი—ხორც ღარდ ეული (საბა), სემასიოლ. ცელილებით მაშასადამე მოხუცი, ხოლო აქედან ჰიპოტეტურად—ძველიც. ციხე-გოჯი პროკოპი კესარიელით არის *Ἀρχαιοπαις*—ძველი ქალაქი. შეიძლება ამიტომ ქართული გოჯი-ს ექვივალენტი—მეგრული ქუჯი, ქვიჯა—მეგრულისავე შესატყვისი ძველს კილოზე ნიშნავდა ძველს და ამის სათანადო სიტყვას სვანურ-აფხაზურის ძირითად ფენის ძველს ენაზე, რომელიც მაშინ კოლხიდის განსაზღვრულ რაიონში გაბატონებული იყო, წარმოადგენდა ბერძნ.-ლათინური ციგან (სიგან). გამოდის ამიტომ, რომ ციხე-გოჯი—მეგრ. ჯიხან ქვიჯა, რომელი გამოთქმით ის ცნობილია მე-10 საუკუნის ტექსტში (ქ. ცხ-ბა, I, 174), არის იგივე ციგანე-უმ (სიგანე-უმ) და ამ უკანასკნელი სახელის მეგრული შესატყვისობის თარგმანი.

ამის დადასტურებასთან ერთად ჩვენ ვღებულობთ საინტერესო დასკვნას, რომ მე-4 საუკ. დასასრულს ციხე-გოჯი ცნობილია (პაპის მიხედვით) ჯერ კიდევ სვანურ-აფხაზურის შესატყვისი ძველი კილოს სახელით. მაშინდამე სალაპარაკო ენად ამ რაიონში ამ დროს ჯერ კიდევ სვანურ-აფხაზურის ძირითად ფენის ენა უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მე-5—6 საუკ. სიგრძეზე მოხდა ციხე-გოჯის ტერიტორიის თანდათან მეგრულ ენაზე გადასვლა. მე-6 საუკუნეში აგათიასი უკვე იხსენიებს მერმეროის მიერ მე-6 საუკ. ნახევარში გაშენებულ ციხე *Ὀνὸς εὐρυς* არხეოპოლისის მახლობლად. ეს სახელი ონოგურის მეგრული წარმოებისაა თავსართით ო, ხოლო ნოდა ნიშნავს მდინარის შტოს. ამ დროს მაშასადამე ციხე-გოჯის რაიონში უკვე მეგრული ენა იყო გაბატონებული.

მეგრული ენა და ისიც, როგორც ეტყობა უფრო ადრე წარმოშობისა, დასტურდება ამ დროს აგრეთვე ქუთაისის რაიონშიც. ერთი რომ, პროკ. კესარ. დასტურებს ქუთაისის სახელს ფორმით *Κοταίς* და *Κοταταισις*, რომელთაგან პირველი შეიძლება იყოს ქუთაისის სვანური (ქოთეში) და მეგრული გამოთქმაც (ქუთეში) და გარდა ამისა იგივე პროკოპი იხსენიებს ქუთაისთან რიონის მარჯვენა ნაპირას *Ὀνχειμύριον*-ს, რაც წარმოებულია მეგრულ სიტყვიდან ონვაჰკი (ლოცვა, სალოცავი).

მეგრული ენა თანდათან გავრცელებისას ითვისებდა წინად იმავე ტერიტორიაზე არსებულ სვანურ-აფხაზურის ძირითად ფენის შესატყვის ენის ნაშთად ცალკე ტერმინებს და სიტყვებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგათიასის ცნობა იმის შესახებ, რომ რიონის მარჯვენა ნაპირისკენ მდებარეობდა ადგილი *Ὀλγάρια*, რასაც ის თითონ ბერძნულად თარგმნის *Χυτροπώλια* ე. ი. ქოთნების სავაქროს. მოსახლეობა ამ ადგილს მისი სიტყვით არ ყოფილა, იყო მხოლოდ ბაზარი, სა-

დაც იყიდებოდა თიხის ჭურჭლეულობა. აქედან წარმოსდგა მისი სახელიც. მართლაც სევანურად აუღ ეხლაც ნიშნავს თიხას, აუღარ—თიხიანს. ეს სახელწოდება ამგვარად სევანურის შესატყვის კილოს ნიშნავს წარმოშობილი. მაგრა) აღსანიშნავია, რომ ქვემო-იმერულ კილოში ეხლაც არის დარჩენილი სიტყვა სპეციალური მნიშვნელობით ოყალო-მიწა, ე. ი. თიხის მიწა, ამიტომაც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სიტყვა აუღარ თიხიანის მნიშვნელობით შესაძლებელია მე-ნ საუკუნეში აღდილობრივ არსებულყო. კიდევ რომ ამ დროს ამ ტერიტორიაზე საბოლოოდ შეგრული ენა ყოფილიყო გაბატონებული.

თვით ლაზების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მე-2 საუკ. ქრ. შ. ისინი, პტოლემეოსის ცნობის მიხედვით, ბინადრობენ, როგორც ვნახეთ, მდ. ფაზისსა და ქოროხს შუა. ეს ტერიტორია იყო, როგორც ეტყობა, მათი ძირი-ქვეყანა მეოთხე საუკუნეშიც (პაპი ალექსანდრიელი). სახელი ღაზი წარმოებულია სევანურის შესატყვის კილოს მიხედვით და შემოკლებულია სიტყვისაგან ლაზ-ენ. სევანური ღა=ქართულ სა, ასე რომ ღა-ზენ არის ქვეყნის მაჩვენებელი სახელი, რომელიც ნიშნავს ზენ-ების ანუ ზან-ების ქვეყანას. (შეად. ქართული სა-ზანო, სოფლის სახელი ზემო-იმერეთში). სევანები მეგრელებს ეხლაც ეძახიან ზანებს (ზან). სევანების სახელიც (შონ, სონ) აგრეთვე ამავე წარმოშობის არის. ზანის ექვივალენტს წარმოადგენს ჭანი, რომლის სახელი შეინარჩუნა მეგრული ჯგუფის კალოზე მოლაპარაკე ერთმა ტომმა. ამავე ზანის ჯგუფის რომი ბინადრობდა ისტორიულ აფხაზეთში აფხაზების მოსვლამდის. ამის შესახებ აფხაზეთში აქამდის დარჩენილა გადმოცემა, რომლის მიხედვით პირველად აფხაზეთი დასახლებული ყოფილა ვითომ წვრილი ტანის ხალხით, სახელით წანა, ან ხალხს თხის მეტი არაფერი ჰყავდა. შემდეგ ქარიშხალმა მოსპო ეს ხალხი (Н. Марр, Из. лингв. позн. в АССР.). მართლაც წანების ანუ სანების მოსახლეობა ისტორიულ აფხაზეთში მტკიცდება არსებული მასალებით. ამ ტომს, როგორც ვნახეთ, იხსენიებს პლინიუსი და არრიანიც სანიგ-ების სახელით. სებასტოპოლი (სოხუმი) მე-1—2 საუკ. მათ ტერიტორიაზე იყო.

ამგვარად ზანების ჯგუფის ტომები შეეცლილ სახელწოდებებით ფართოდ იყო გაფანტული კოლხიდის ტერიტორიაზე. ამ ჯგუფის ტომების მდგომარეობის გარკვევა ლინგვისტური თვალსაზრისით მომაველის საქმეა. ამ ეამად კი კერძოდ ლაზების შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ტომის სახელისთვის სევანური პრეფიქსის ღა-ს თანართვა არ შეიძლება მოკლებული იყოს მნიშვნელობას. შეიძლება ეს თავსართი გვიჩვენებდეს ლაზების ლინგვისტურად სევანურ ჯგუფთან დაკავშირებას. მაშინ ჩვენ მივიღებდით, რომ ლაზები შეიძლება იყვნენ ენის მხრივ თადაპირველად სევანური ჯგუფის ტომი. მე-ნ საუკუნეში, როგორც

სწანს, ლაზებს მოუპოვებიათ პოლიტიკური ბატონობა კოლხიდის ტერიტორიაზე ვიდრე თითქმის კოროხის მიდგამის. ამ დროს კოლხიდის ეს ტერიტორია განიცდიდა ენის მხრივ, როგორც დავიანახე, მეგრულიზაციას. შედეგად ამას მოყვა ლაზების გაბატონებულ წრეების გაშვრელება. ამიტომაც ჩვენ ვღებულობთ უკვე მე-ნ საუკუნეში ლაზიკას, პიუზედავად სვანურის თავსართიან სახელისა, უკვე გამეგრელების და მოწინავე წრეებშიც თითქოს გაქართულების გზაზე შემდგარს.

რომ მე-ნ საუკუნეში ლაზიკის ტერიტორიაზე, სახელდობრ მის აღმოსავლეთ ნაწილში, ქართული კილოს შექრის პროცესი წარმოებდა, ამისი ცხადი მაჩვენებელი უნდა იყოს პროკოპი კესარიელის მიერ ქუთაისის სახელის უკვე ქართული ფორმით ხმარება — Κουτασιον (გარიანტით Κοταζ). ამის ნიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროკოპის დროს თუ თვით ქუთაისში არა, მის ახლოს მაინც უკვე ქართული კილო უნდა ყოფილიყო შემოტანილი, როგორც საგულისხმებელია, იმავე მიმართულებით, რომელ მიმართულებითაც მოვიდნენ მარგ-ები, ე. ი. სამცხიდან. მაგრამ ქართული ენა მე-ნ საუკუნეში რიონის აღმოსავლეთით ახალი შემოსული უნდა ყოფილიყო. ეს სწანს იქიდან, რომ ფარნავაზის ცხოვრების აღმწერელი მე-ნ საუკ. მეორე ნახევარში, შეიძლება ამ საუკუნის დასასრულს, ვარდციხეს იხსენიებს ჯერ კიდევ სვანურის შესატყვის სახელით — დიმნა (ს. კაკაბ., საისტორიო ძიებანი, 130—131).

✓ ყველაფერი ზემოდ თქმულის მიხედვით და კერძოდ კოლხიდის ეთნიურ სურათის განვითარების გათვალისწინებითაც, ცხადად სწანს, რომ განსაზღვრულ ისტორიულ ტომობრივ ერთეულთა ჩამოყალიბებას როგორც იბერიის, ისე კოლხიდის ტერიტორიაზე წინაუწერებდა საკმაოდ რთული პროცესი ცალკე ტომების გადაჯგუფებისა, რომლის დროს ადგილებელი იყო ტომების ერთმანეთზე გავლენის მოხდენა თუნდაც ნაწილობრივ აღრევის ან შეჯვარდინების წესით. რთული კომპლექსი ეთნიურ ამ ცვალებადობათა ფაქტებისა ხელს უწყობდა განსაზღვრულ, უფრო მძლავრად დადასტურებულ კილოების და ენების გამარჯვებას ცალკე კუთხეებში და ამით ამზადებდა ნიადაგს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ტომობრივ ერთეულების შექმნისთვის. ასეთ პირობებში ეყრბოდა მტკიცე საფუძველი უკვე წინადაც ჩანასახად მყოფ სოციალურ წყობილების ახალ ნორმების განვითარებას.

განსაკუთრებით, რასაკვირველია, ინტერესს იწვევს საკითხი კერძოდ ქართველი ტომის ჩამოყალიბების შესახებ უპირველეს ყოვლისა ლინგვისტურად. საკითხი დგას მაშასადამე ქართული ენის, როგორც გარკვეულ ეთნიურ თვისებათ გამომსახველი ერთეულის, ჩამოყალიბების შესახებ. საკითხი არის ძალიან რთული და საინტერესო უპირველეს

ყოველისა ლინგვისტურ ძეგბათა თვალსაზრისით. მაგრამ არა ნაკლებ სა-
ყურადღებოა ამ საკითხის დასმა თუნდაც მხოლოდ ისტორიული პერს-
პექტივის გათვალისწინებით, რადგანაც ლინგვისტურ კვლევის გაღრმავე-
ბამდისაც შეიძლება მოსახერხებლად გახდეს ზოგიერთი დასკვნების ფი-
ქსაცია.

მართლაც, ყურადღების ღირსი უნდა იყოს ის ფაქტები, რომ-
ლითაც ქართული ენა, როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ერთეუ-
ლი, იკვალავს გზას უკვე ისტორიულ ხანაში მტკვრის აუზის შუა-წელ-
ში. როგორც ვნახეთ, ქართული ენა ნელ-ნელა პოულობდა გამარჯვე-
ბას სხვადასხვა, ადგილობრივ მანამდი არსებულ ენებსა და კილოებზე.
ცალკე მოპენტები ქართული ენის დამკვიდრებისა მცხეთის რაიონში
და აგრეთვე მანგლისის, ბოლნისის, ქვეშის ოლქებში ზემოდ აღნიშნული
იყო. ეს დამკვიდრება ქართული ენისა და ლინგვისტურად, ასე ვთქვათ,
გარდაქმნა ცალკე კუთხეებისა ხდებოდა არც თუ ძლიერ სწრაფად. რო-
გორც ვნახეთ, მანგლისის, ბოლნისის და ქვეშის ოლქებში ქართული
ენა ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში არ იყო მტკიცედ ფეხმკიდებული
და თვით მე-6—7 საუკუნის მიჯნაზე—ქართულ სომხურ ეკლესიურ
განხეთქილების დროს, ქართული ენა ბოლნისის და ქვეშის რაიონების
ახლოს, სახელდობრ ცურტავის ეპარქიაში, იხმარებოდა პარალელურად
რე-ის ჯგუფის კილოებზე განვითარებულ სომხურ ენასთან და ქართუ-
ლი ეკლესიაც ამ ხანაში მხოლოდ ადასტურებდა ამ კუთხეშიდაც ქარ-
თული ენის პროგრესიულად სვლის და განმტკიცების პროცესს, რა-
დესაც კირიონ კათალიკოზის დროს მე-7 საუკ. დასაწყისის ცურტავის
ეპარქიაში წირვა-ლოცვა მას შემოპქონდა ორ ენაზე—ქართულად და
სომხურად, ნაცვლად ღვთისმსახურების წინად მხოლოდ სომხურად არ-
სებობისა.

ქართული ენა ბოლნის-ქვეშის ოლქების ახლო მახლო რაიონებში
მე-4—6 საუკ. სიგრძეზე ხდებოდა რე-ის ჯგუფის ერთ ენას, უკვე თა-
ვის მხრივ მკაფიოდ ჩამოყალიბებულს. ეს იყო სომხური. პარალელუ-
რად ქართული ენის ჩამოყალიბებისა სწარმოებდა რე-ის კილოების ნია-
დაზე სომხური ენის ჩამოყალიბებაც არმენიის კერძოდ ჩრდილოეთ
ქვეყნებში. ამ გვარად ამ ტერიტორიაზე მე-4—6 საუკუნეში ერთმანეთს
ხედებოდა ორი დამოუკიდებელი კულტურული ენა—სომხური და ქარ-
თული. პრიორიტეტი დროის მიხედვით ამ ტერიტორიის მიმართ სომ-
ხურს ჰქონდა, რომელმაც შესცვალა, თავისს წინამორბედ რე-ის ჯგუ-
ფის კილოების სახით, მანამდის აქ არსებული იმავე ზემოდ არა ერთ-
ხელ ხსენებულ ხუნძურის (ხუნძახურის) ძველი შესატყვისი ენა. რომ
უძველეს ხანაში ამ რაიონებშიც მართლაც ხუნძურის შესატყვისი კილო
იყო გაბატონებული, ეს ცხადად სჩანს თუნდაც გეოგრ. ტერმინის გჭრ

ტაფის განხილვიდან. უბთანესი, როგორც ცნობილია, პირდაპირ ამბობს, რომ ცურტავს მის დროს გაჟენქ ერქვა (ისტორია, § 28 და სხ.). ცურტავი არის მაშასადამე იგივე ქართული გაჩიანი. ეს პუნქტი უბთანესის სიტყვით გაჩიანის წყალზე (გაგენაგეტ) მდებარეობდა. ცურტავის მდებარეობდა ჯერ კარგად გამოკვეთილი არ არის (უკანასკნელ *Л. Мелликсет-შөков, К вопросу о полож. Цуртава*), მაგრამ უბთანესი უჩვენებს მის მდებარეობას „ოლქში, რომელსაც ეწოდება ქართველთა ველი, ქართველთა და სომეხთა ქვეყნების საზღვარზე, კავკასიონის ქედის პირდაპირ, დიდებულიად ნაშენ და დიდებულ სანახაობას, ღიდი დედაქალაქის ტფილისის ფარგლებში“ (*ყაითა. მათანა*, § 18, გვ. 34). ცურტავი მაშასადამე ტფილისიდან არც თუ დაშორებულ ადგილას იმყოფებოდა. ბროსსე იხსენიებს უშაკოვის მიერ პასკევიჩის ლაშქრობათა შესახებ შედგენილ რუკას, რომელზედაც ვახუშტის არქივანის ახლოს და მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე ნაჩვენებია ყოფილა ხაჩან და ზრგურტ (*Deux hist. arm.*, 296, note). საფიქრებელია, რომ ეს სახელები შემცველი უნდა ყოფილიყო პირველი გაჩიანის და მეორე—ცურტავის სახელისა, რომელთაგან პირველი სომხურ ჩვეულებრივ სახელის ხაჩან-ის ანალოგიით უნდა იყოს გადმოკეთებული გაჩიანიდან. საყურადღებოა, რომ ვახუშტიც აქვე, არქივანთან მაშავერის შესართავში უჩვენებს გაჩიანს. შესაძლებელია, ამიტომ ვითქვამთ, რომ მაშავერი უნდა იყოს უბთანესის გაგენაგეტ და გაჩიანის მდებარეობაც ამის მიხედვით უნდა გამოკვეთულად ჩაითვალოს მაშავერის შესართავთან ხრამის მარჯვენა ნაპირას, ეხლანდელ ქოშა-ქილისას რაიონში და მის დასავლეთით.

ცურტავის და გაჩიანის სახელების შედარებიდან სჩანს შემდეგი. ცურტ-ავ არის დაბოლოების ავ გამოკლებით ძირის ცურტ შემცველი, რაც სომხურად ნიშნავს ცივს. ხუნძურში კოახან ეხლაც ცივს აღნიშნავს (*Услар, Аварский яз.*, ლექსიკონი), საიდანაც ცხადად სჩანს, რომ ძველი ქართული გაჩიანი ხუნძურის შესატყვის კილოზე მარჯლა ცივი-ის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. სახელი გაჩიანი შემდეგ პირდაპირი თარგმანით გადაულია ერთ-ერთ რე ის ჯგუფის ტომს, აქედან სახელი ცურტ-ავ-ი, წარმოებული ისევე, როგორც თელ-ავ-ი, ზან-ავ-ი, მან-ავ-ი, პარტ-ავ-ი (ბარდა). აღსანიშნავია, რომ სიტყვა ცურტ (ცივი) ირანული წარმოშობისაა და თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ დაბოლოვება ავ-ის თავისებურებას, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ ამ სახელის წარმოშობა გაჩიანის თარგმანიდან უნდა ეკუთვნოდეს სომხურ ენის ამ რაიონებში საბოლოოდ ჩამოყალიბების წინაპროინდელ ხანას. ის გარეშდება, რომ ქართულმა ენამ შეინარჩუნა გაჩიანის უძველესი სახელი და არა ამ პუნქტის სომხური ფორმაციის წოდებულება, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ქართულ ენას ამ რაიონის ხუნძურის შესატყვის ძველ კილოსთან უძველეს

ხანაშივე ჰქონდა შეხვედრა დამოუკიდებელი სომხურ და მის ამ შემთხვევაში წინამორბედ ზე-ის ჯგუფის ენისაგან. საყურადღებოა ამასთანავე, რომ „ზამ. და ნათ. ც-ბის“ ავტორს დაცული აქვს გაჩიანის კიდევ უფრო ძველი ან პარალელური სახელის თარგმანიც:... „ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ (ე. ი. ავტორის გაგებით ეთნარქების დროს) ერქვა სანადირო ქალაქი“.

ეს პატარა ექსკურსი არის ერთხელ კიდევ მაჩვენებელი კილოების ვადაჯგუფების იმ რთულ პროცესისა, რომლის შედეგი იყო ქართული ენის ახალს ტერიტორიალურ პირობებში გავრცელება და ჩამოყალიბება.

კერძოდ ხუნძურის შესატყვის ძველი კილოების წინამორბედობა ქართველთა ისტორიულ მიწაწყალზე ცხადად მტკიცდება, სივათა შორის თვით მდ. მტკვარის სახელით. როგორც ნ. მარმა უჩვენა (Непоч. истоц. и ст. кавк. мѣр, ИАН. 1917 г., 330), მდ. მტკვარის სახელი უნდა წარმომდგარიყო ხუნძურში (ავარულში) ეხლაც შენახულ სიტყვიდან *ორ*, რაც ნიშნავს მდინარეს. აქედან ცხადია წარმომდგარა ჰაიური *ჰაღ* ძველი ბერძნების *Κήρις*, რომლის შესახებ სტრაბონი ამბობს, წინად ამ მდინარეს *Κήρις* ერქვაო (Geogr. XI, 3). უკანასკნელი სახელი წარმოადგენს ხუნძურის *ორ* სრულ შესატყისობას. ქართული მტკვარი ალბად წარმოადგენს ორი სიტყვის — ქართული მდინარეს (ამის შეკვეცით მჭიმტ) და ხუნძურის შესატყვის კორ-ის შეერთებით შედგენილ სიტყვას: მტ — კვარი. ხსენებულ თვისს შრომაში აკად. ნ. მარმა უჩვენებდა ხუნძურის შესატყვის ძველ კულტურულ ნალექის ქართულში წარმოჩენის ცალკე მაგალითებსაც, რის მიხედვით ექვს გარეშე ხდება ხუნძურის შესატყვის რომელიღაც ძველი ენის გავლენის დადასტურება ქართული ლექსიკის ჩამოყალიბებაში და არა მარტო ლექსიკაში, არამედ ცალკე ჰორფოლოგიურ ფაქტებშიდაც (ნ. მარმის დასახელ. შრომა). უკვე ცნობილ ფაქტებს შეიძლება მივმატოვოთ კიდევ ერთი ახალი ფაქტი, რომელიც ზემოდ ჩვენ მიერ ნაჩვენებ მტკვარის სახელის გარჩევის მსგავსად ადასტურებს ქართ. ლექსიკაში ძველი შეჯვარედინების პროცესს. ეს სიტყვა არის ცხენი, რომელიც წარმოებული უნდა იყოს ჰაიურში დაცულ სიტყვის *ძე* (ცხენი) და ხუნძურში ეხლაც დაცულ სიტყვის *ხონი* (ცხენი) ძველ შესატყვისის ერთად შეერთებით (ც+ხენი). საყურადღებოა, რომ სიტყვა ძე იხმარებოდა მე-ნ საუკუნეში ერთ ქართულ კილოში, საგულისხმებელია მესხურში, ვირის მნიშვნელობით (ს. კაკაბ., საისტ. ძიებანი, 33). შესაძლებელია ამის მიხედვით, რომ უძველეს ქართულ კილოებში ამის შესატყვისი ძირის სიტყვა არსებობდა ცხენის მნიშვნელობითაც. აღსანიშნავია, რომ მეგრულ-პანურშიდაც ცხენის აღსანიშნავად ასევე არსებობს სიტყვა ცხენი. ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ხუნძურის შესატყვის კილოების ზედგავლენას ქართულგნობის

კილოები განიცდიდენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი ტერიტორია-ლოურად და უფრო თავისი თვისებების მხრივ ძლიერ ახლოს იდგნენ ერთმანეთთან? ასეთი საკითხების გარკვევა უკვე სპეციალურ ლინგვისტურ ძიებათა საგნად უნდა ჩაითვალოს და მომავალში ალბად მათი გარდაწყვეტაც შესაძლებელი იქნება.

უკვე თვით ფაქტიდან—თავდაპირველადვე ქართული ენის წინსვლის დადასტურებისაგან აღმოსავლეთის მიმართულებით, მცხეთა-ბოლნისის ხაზისკენ—ცხადად ჩანს, თუ სად უნდა იყოს საგულისხმებელი ის ტერიტორია, რომელზედაც ქართულმა ენამ ჰპოვა, თუმცა არა საბოლოო, მაგრამ მაინც საკმაოდ მკაფიო ჩამოყალიბება. ეს ტერიტორია უნდა იყოს თავდაპირველი ქართლი, სტრაბონის ზოგჯერ, რომლის მოცულობის შესახებ ზემოდ უკვე იყო ნათქვამი. იმავე ზოგჯერ ტერიტორია, ნაწილობრივ მაინც,—სამცხის ფარგლებში, წარმოადგენდა, როგორც ვნახეთ, მარგალების თანდათან ჩრდილოეთისკენ გადაჯგუფების ერთ-ერთ საფეხურს. ამის შემდეგ უკვე ცხადი უნდა იყოს, თუ სად შესაძლებელია ნავულისხმევ იქმნას ქართული ენის მისი განვითარების პირველ ფორმაციაშივე ნასკვნავი მეგრულ ჯგუფის კილოსთან. რომ ასეთს ნასკვნავს სწორედ სამცხის ტერიტორიაზე ან მის ახლოს უნდა აღვიღო ჰქონებოდა, ეს უნდა სჩანდეს იქიდან, რომ მესხური კილოთი გაპოხიერებული უძველესი ქართული კილო სამცხეში მორფოლოგიურად ახლოს ეთვისეა მეგრულს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სახარების სომხურიდან ნათარგმნი მე-ნ საუკუნის ტექსტი, ადიშის ხელნაწერში დაცული (ადიშ. სახარება), რომლის ენა, როგორც ნაჩვენები არის (ს. კაკაბაძე, საისტორ. ძიებანი), შეიცავს ზლომად ეგრ. წოდ. სვანიზმებს, მესხურ ტერიტორიასთან და უძველეს მესხურ კილოსთან დაკავშირებულს. ხსენებული ტექსტი იმავე დროს წარმოგვიდგენს მრავლობითი რიცხვის მეორე დაბოლოების (ებ) თუ ჩვეულებრივ არა, ყოველს შემთხვევაში საკმაოდ ხშირ ხმარების მაგალითებს. ეს გარემოება კი, მეგრულისთვის მრ. რიცხვის ჩვეულებრივ დაბოლოების ქვ გათვალისწინებით, ცხად ყოფს, რომ ქართული ენა სამცხის ტერიტორიაზე უძველეს ხანაში საკმაოდ ახლოს ეთვისებოდა, მორფოლოგიურ მომენტების თვალსაზრისითაც, მეგრული ჯგუფის კილოებს. მეგრული (მარგალური) ენა, როგორც ვნახეთ, სამცხიდან გადასულად სჩანს ყვირილას ხეობაში და მის რაიონებში, საიდანაც მან გავრცელება იწყოს დასავლეთისკენ. მარგალურ ენას უკან მიყვა იმავე გზით მესხურ ტერიტორიაზე განვითარებული კილო ქართული ენისა, რომელი კილოც, თითქმის მხოლოდ იმავე მრავლ. რიც. დაბოლოებით ებ წარმოადგენილი, საუკუნეთა სიგრძეზე განვითარების შემდეგ ჩამოყალიბდა თანამედროვე იმერულ კილოდ.

ეს საკითხი, ფრიაღ რთული, შეიძლება აქ დასმული ყოფილიყო მხოლოდ საერთო მოხაზულობით, დეტალური მისი განხილვა და გარკვევა კი მომავლის საქმეა ქართული ფილოლოგიის ახალ მოპოებათა შემდეგ.

ზემოდ მოხსენებული მხედვით ჩვენ შეგვიძლია დაახლოვებით ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი პირველი საფეხურთაგანი, მისი ცალკე ტომების განმავითიანებელ ენად ქცევის პროცესის დროს, უნდა სტრაბონის ხორძენეს ტერიტორიაზე იყოს საძებარი, არტან-სამცხე-შავშეთ-კლარჯეთის რაიონებში. ქართული ენის გავრცელება, ზემოდ თქმულის მიხედვით, სწარმოებდა აღმოსავლეთისკენ, და უფრო გვიან ჩრდილოეთითაც მარგვისის მიმართულებით, ყვირილას ხეობისკენ.

ქართული ენის ტერიტორიალურად გადაშლა იყო მხოლოდ ერთი მხარეთაგანი ქართველი ხალხის კულტურულად და სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბების პროცესისა. როგორც ენის ჩამოყალიბების ამ პროცესის გასაგებად, ისე საერთოდ ძველი ქართლის კულტურულ კომპლექსის შესამცნებლად, მნიშვნელობა აქვს იბერია-ქართლის უძველეს წყობილების ნორმების გათვალისწინებას. ჩვენც ამ საკითხზე გადავიდეთ.

IV.

ძველი ქართლის წყობილება.

ძველი ქართლის წყობილების და მისი ნორმების თანდათან განვითარების შესასწავლად საჭიროა უპირველეს ყოვლისა გამოანახოთ იქმნას მთავარი გამოსავალი წერტილები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება ქართლის სახელმწიფოებრივ და სოციალურ ცხოვრების ფაქტების დადასტურება ცალკე ეპოქებში და შემდეგ მათი გენეტიურად დაკავშირება. ასეთ გამოსავალ წერტილებად შეიძლება ჩაითვალოს უძველეს დროისთვის სტრაბონის მიერ მოცემული ცნობილი აღწერა იბერიის სოციალურ ვითარებისა და შემდეგ დროებისთვის ზემოდ გარჩეული მე-4 საუკუნის გეოგრაფიული აღწერა იბერიისა დაკავშირებით მე-6 საუკ. დასაწყისის ქართულ იერარქიის ცნობებთან. ჟანას-კნელ ფაქტებს, ე. ი. იბერიის გეოგრაფიულ აღწერილობას და ქართულ იერარქიის შესახებ ცნობებს, აქვს თავისი და საკმაოდ თვალსაჩინო მნიშვნელობა ქართლის ოლქობრივ დანაწილების წარმოშობის შესასწავლად საგვარო წყობილების ნორმების ნიადაგზე.

სტრაბონი, როგორც ცნობილია, იბერიის სოციალურ წყობილების შესახებ გადმოგვცემს, რომ „ოთხი წარმოშობის (γέννη) ადამიანები ცხოვრობენ (ამ) ქვეყანაში. ერთი და პირველი (წარმოშობა არის ის) რომლიდან დასვავენ მეფეებს. (მეფე არის) ყველაზე ახლობელი ნათე-

საობით და ყველაზე უხუცესი (იგულისხმება: გარდაცვლილ მეფისა). მეორე (პირი) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (წარმოშობის აღმნიშვნელი არიან) ქურუმები, რომელნიც განაგებენ აგრეთვე სადავო საქმეებს მეზობლებთან. მესამე (წარმოშობისა)—მეომარნი და მიწის დამამუშავებელნი. მეოთხე — ხალხისანი, რომელნიც სამეფო მონები არიან და ემსახურებიან (სამეფო სახლს ყველაფრით, რაც საჭიროა) ცხოვრებისთვის. ქონება მათ აქვთ საერთო, — გვარეულობათა მიხედვით. უფროსობს და განაგებს თითო (გვარეულობას) უხუცესი. ასეთნი არიან იბერნი და მათი ქვეყანა“ (Geogr. XI, 3. შად. Латыш. I, 140. ლატიშევის თარგმანი აქ ოდნავ შესწორებულია).

სტრაბონის ამ ძვირფას ცნობის გასარკვევად და გენეტიურად მისი ასახსნელად საჭიროა გავითვალისწინოთ ამ აღწერილობის ზოგიერთი ნომენტები შემდეგდროინდელ ფაქტებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით საღურადღებო უნდა იყოს მოსე ხორენელის ერთი ცნობა, რომელიც მას, მისივე სიტყვით, მარ-აბას კატინას წიგნიდან აქვს ამოღებული. „ვალარშაკმა (სომხეთის მეფემ) მოაწყო ოთხი გუნდი სამეფო კარის მცველებად. (ეს გუნდები) შედგენილი იყო ჰაიკიან ძეგლი მეფეთა გვარეულობის შთამომავალთ, ათასჯერ ფიცხ (პირთაგან), რომელნიც სასახლის მკვიდრად იწოდებოდნენ. მათ სხვადასხვა ღროს მიღებული ჰქონდათ თავისი მამაპაპათაგან სამკვიდროდ სოფლები და მამულები. შემდეგ, როგორც მე გამიგონია, სპარსთა ბატონობის ღროს შედგენილი იქმნა გუნდები სხვა შთამომავლობის პირთაგან, რომელ (გუნდებს) ეწოდა (აგრეთვე) სასახლის (გუნდები). არ ვიცი, (იმიტომ მოხდა ეს, რომ) წინანდელი თაობა ამოსწყდა, თუ ის ამოწყვეტილ იქმნა რაიმე ადევების ღროს და მის მაგივრად შედგენილი იქმნა გუნდები სხვათაგან სამეფო (გუნდების) სახელის დართვით. მაგრამ პირველნი წარმოსდგებოდნენ პირველ მეფეთა გვარეულობისაგან, როგორც ეს ეხლაც არის ქართველების ქვეყანაში, სადაც ისინი სეფეწულებად იწოდებიან“ (ისტორია, II, 6. ტფილისის გამ. გვ. 111—112). თუმცა აქ მოხსენებულს მარ-აბას კატინას წიგნს უარყოფითი კრიტიკა ფიქციად აღიარებს, ხოლო გ. ხალათიანცი ამ წყაროს სხვა სახელით უკავშირებდა მე-7—8 საუკუნეს, მაგრამ არსებითად ეს წყარო მართლაც ძველი უნდა იყოს, კერძოდ ქართველ სეფეწულების ამ გვარად მოხსენება მე-7—8 საუკუნე და თვით მე-6 საუკუნეშიც შეუძლებელი იქნებოდა. მე-6 საუკუნეზე უწინარეს მაშასადამე და შეიძლება მე-3 საუკუნე, მარ-აბას კატინას ღროს, სეფეწულებს მათ მამაპაპათაგან ჰქონდათ სამკვიდროდ სოფლები და მამულები და გარდა ამისა მათგან სდგებოდა სასახლის გუნდები.

აქ ზედმეტი არ იქნება ფიქსაცია ვუყოთ ზოგიერთ ძველ ქართულ ტერმინებს. მეფე უძველეს ხანაში პარალელურად იწოდებოდა მეუფე-

დაც. სომხურიდან გადათარგმნილ სახარების ტექსტში, მაშასადამე არა უგვიანეს მე-ნ საუკ. პირველი მეოთხედისა, ყველგან მეფის მაგივრად იხმარება მეუფე, გარდა სამი, ალბად შემდეგ დამწერლობის ნიადაგზე წარმომდგარ მაგალითისა (ადიშ. სახ. მათე 14₉, მარკ. 13₉, ლუკ. 21₁₃). სახარების მეორე რედაქტ. ტექსტი კი (მე-6 ს. პირვ. ნახ.) ზოგ შემთხვევაში ხმარობს უკვე სიტყვას მეფე (მაგ., მათ. 10₁₈, 14₉, 17₂₅, მარკ. 6₂₂ 13₉), თუმცა უფრო მეტ შემთხვევაში აქაც დაცულია სიტყვა მეუფე. საყურადღებოა, რომ შუშანიკის ც-ბა, რომელიც 472—482 წლებში უნდა იყოს დაწერილი (ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 122), იხსენიებს მხოლოდ სიტყვას მეფეს კერძოდ სპარსეთის ხელმწიფის აღსანიშნავად (შუშ. ც-ბა, სერგი გორგ. რედაქტ., 1). ამის მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნას, რომ მეუფე შედარებით მეფესთან უფრო ძველი ხმარების ტერმინი უნდა იყოს და თვით მე-ნ საუკ. დასაწყისშიდაც ლიტერატურული წრეები მართა ამ სიტყვას ხმარობდნენ სათანადო მნიშვნელობით. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მე-ნ საუკუნეზე უფრო ადრეც ქართველ ხელმწიფის წოდებულება მეუფე იქნებოდა.

მეორე ტერმინი, რომელიც აქ გარკვევას თხოულობს, არის გუნდი. ამ სიტყვით (*გუნდი*) უწოდებს მოსე ხორენელი ვალარშაკის მეფის მიერ შედგენილ სასახლის რაზმებს. გუნდი აქ აღნიშნავს ჯარს, რომელი სიტყვაც სახარების ქართულ პირველ თარგმანში (სომხურიდან) გადათარგმნილია როგორც ნათესავი (მათე 27₂₇). ბერძნულ დედანში ამ ადგილას არის იმ ὄψαρχοι (მეომარნი). ამიტომ სიტყვა გუნდი ზემოდ მოყვანილ ადგილას უნდა ვაგებულ იქნას ძველი სომხურშიდაც ჩვეულებრივი ტენიკური მნიშვნელობით, ე. ი. როგორც მეომართა რაზმი.

სეფეწულთა შემდეგდროინდელ სოციალურ ვითარების გასარკვევად მნიშვნელობა აქვს შუშანიკის ც-ბის ერთს ადგილს, სადაც ვკითხულობთ: „მსგავსად მისვე (ეპისკოპოსთა სამოელ და იოვანესი) სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (ს. გორგ. გამ., 20). საინტერესოა, რომ აქ მცნება „ზეპური დედა“ დაკავშირებულია დიდ-აზნაურების მცნებასთან. ზეპური სუფიქსით ურ—შვილი ზემოდ მოხსენებულის სეფეწულის მონათესავე და თანაბარი ტერმინია, მხოლოდ მანდილოსნების აღსანიშნავად. შესაძლებელია ამის შემდეგ უფრო გასაგები გახდეს ევსტათე მცხეთელის ც-ბის ცნობილი ადგილი: „რა ეამსა აღმკვედრდებოდა მარზპანი იგი, აღღგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი, გრიგოლ ქართლისა მამასახლისი, არშუშა ქართლისა ბატონი და სხვანი სეფეწულნი და მარზპანსა რქუეს“ (საქ. სამ., 315). ევსტათე მცხეთელის ც-ბა დაწერის დროის მიხედვით შუშანიკის ც-ბას თუმცა დაშორებულია, მაგრამ არც ისე თვალსაჩინოდ, რომ ორივე ამ

ნაწარმოებიდან მოყვანილ ციტატებს შორის პარალელის ვაყვანა საკმაოდ მტკიცე დასკვნებს არ იძლეოდეს. შუშ. ც-ბაში მოხსენებული არიან „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი“, ევსტათეს ც-ბაში კიდევ „მთავარნი ქართლისანი“, რომელნიც არიან „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი, არშუშა ქართლისა პიტიაში და სხუანი სეფეწულნი“. „აზნაურნი დიდ-დიდნი“ ამგვარად ეშესატყვისებიან ქართლის მთავართ, რომელნიც არიან სეფეწულნი. მათი მანდილოსნები არიან „ზეპურნი დედანი“, მთავარნი არიან კიდევ იგივე მე-7—8 საუკუნის წახინებულნი. მატიანეში ლეონტი მროველის მიერ შეტანილ თხრობაში ერის მონათელის შესახებ ვკითხულობთ: „ეპისკოპოზმან შემზადა აღგილი ერთი მიწურვილთა კიდისკარსა მოგუთისასა... და მუნ ნათელსცემდა წარჩინებულთა ერთა ერთასა და ეწოდა ადგილსა პას მთავართა სანათლაჲ“ (მარ. ვარ. 97, შეად. შატბ. და ქელ. ვარ. ნინოს ც-ბისა Опис. II, 786). წარჩინებულს, როგორც ტერმინს, ხპარობს მეფეთა ცხოვრების დამწერიც, მაშასადამე მე-7 საუკ. ავტორი: „ქართველნი წარჩინებულთიდან ვიდრე გლახადმდე“ (ქ. ცხ. I, 39, კიდევ 36 და სხ.).

ფრიად საინტერესოა გარკვეულ იქმნას ტერმინის მთავარს ევოლუცია რეტროსპექტიული გზით წინაღობინდელ მასალების მოშეგებათ. სახარების პირველ ქართულ თარგმანის ვერსიაში (სომხურიდან მთავარი იხმარება საკმაოდ გარკვეული მნიშვნელობით. მარკ. 6, 11 აღიშ. „და იყო დღე მარჯვემ ოდეს ჰეროდეს (sis) შობისა თვისასა ტადრობას ჰყოფდა მდიდართა თანა გალილეასათა“. შესატყვის ადგილას სომხურ ტექსტში ვკითხულობთ: *კირქამ რხქრქა თაყრ ზხრიოქტა კაღიღრ ბჰნდიე ქღრიე ზაქარარაყ ქღრიე ლ ზაყარაყსთაყ ლ მხბამხბაყ ჴოქქსაყიღ.* ამ გვარად სომხური *ზაქარარ* გადათარგმნილია ქართულად მე-5 საუკ. პირველ მეოთხედში როგორც მდიდარი, *ჴაყარაყსთა*—ათასისთავი და *მხბამხბ*—მთავარი. ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას ვკითხულობთ:τοῖς μαγειρεῖν αὐτῶν καὶ τοῖς χιλιάρχοις καὶ τοῖς πρῶτοις τῆς Γαλιλαίας. ამგვარად მდიდარი, სომხ. ნახარარი უდრის ბერძნულს მაყსთავეს და მთავარი, სომხ. *მხბამხბ*—პრῶთის-ს. ამის მიხედვით შეიძლება დიო კასიუსის ცნობა, რომ იმპერატორი აღრიანე γυμνασίων αὐτῶν τε καὶ τοῦ σῆματος τῶν τῶν ἀλλων πρῶτων ἱερῶν ἐν θελοῖς εἰδεν (Ματθ. I, 622), გადაითარგმნოს შემდეგნაირად—*ყოყურებდა ვარჯიშობას მის (იბერიის მეფის ფარსმანისას) და იბერთა სხვა მთავართა შვილებისას*“. საყურადღებოა, რომ დიო კასიუსი ფარსმან მეფესაც თითქოს მთავართა რიცხვში თვლის, რაც უნდა ნიშნავდეს მეფის და მის მთავართა ერთგვარ წარმომავლობას. მართლაც, თუმცა ნაგვიანევად (მე-6 საუკ., ევსტათის ც-ბა), მაგრამ მაინც დადასტურებულად სჩანს მთავრის და სეფეწულის იგივეობა.

ხოლო სეფეწულნი მარ-აბას კატინათი, როგორც ვნახეთ, ქართლის სამეფუჲო სახლის ჩამომავალნი იყვნენ. ამისღა მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სტრაბონის დროსაც სამეფუჲო სახლის წევრნი ქართულად ცნობილი უნდა ყოფილიყვნენ როგორც სეფეწულნი და მთავარნი. სტრაბონი პირდაპირ ყოფს იბერიის მოსახლეობას წარმოშობის (γένεσις) მხრივ. პირველი წარმოშობის უხუცესი წევრი იყო მეფე იბერიისა. ამიტომ ამ, ასე ვთქვათ, მეწინავე ანუ მმართველ წარმოშობის წევრნი ერთმანეთთან უნდა სისხლით, ნათესაურადაც ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი.

აღსანიშნავია, რომ მთავარი მე-5 საუკ. დასაწყისში, გარდა ზემოდ უკვე მოყვანილ შესატყვისობისა (**= ძეგამნებ**) უდრიდა კიდევ სომხ. **ქელანს**-ს (ადიშ. სახ. მათე 2₈, იწე 12₃₁, 14₃₀, 16₁₁ და სხ.).

ესღა საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკვე მე-6 საუკ. პირველ ნახევარში სახარებას ბერძნულთან შეთანხმებულ ქართულ ვერსიაში (ჯრუქ., პარხ.) ზემოდვე მოყვანილ ციტატაში ესევე ტერმინოლოგია არის თვალსაჩინოდ შეცვლილად გადმოცემული. სახელდობრ, მარკ. 6₂, ამ ვერსიაში ეკითხულობთ: და ვითარცა იყო დღე მარჯუე ოდეს ჰეროდე ეამსა შობისა მისისასა მზა უყო პური მთავართა მისთა და ათასის თავთა (ჰარხ. სახარებაში შეცდომით სწერია: ასისტავთა) მისთა და აზნაურთა გალილეასთა“. აქ უკვე მთავარი უდრის სომხურ ნახარარ-ს, და აზნაური კიდევ—ბერძნულს **πρωτοι**. მე მგონი, რომ ასეთი შეცვლა ტერმინებისა სალიტერატურო ენაში ერთი საუკუნის სიგრძეზე შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მართლაც, სომხ. ნახარარი არის უძველეს ხანაში აღმინისტრაციული კატეგორიის ტერმინი, რომელიც ჩნდება პარალელურად საგვაროვანო წყობილებების ტერმინის ტერ-ისა და შემდეგ თანდათან მის ადგილს იჭერს (Н. Адонц, Арм. в эпоху Юстин., 450 და სხ.). ეტიმოლოგია ამ სიტყვის საბოლოოდ გარკვეული არ არის, შესაძლებელია ეს სიტყვა მართლაც დაკავშირებული იყოს არაბულში შენახულ ირანულ სიტყვასთან **nahie**—ოლქი და **rad**—ბატონი როგორც ამას ფიქრობდა ნ. მარკი (М. Марк. двух терминов, ЗВОИРАО. XI, 170), ანდა ამ სიტყვის პირველი ნაწილი იყოს სომხურისავე ძირის **ნაჰ**—პირველი (ნ. აღონცი, დასახ. შრ., 451) და მაშინ ჩვენ მივიღებდით ნახ-არ-ის ძირითად მნიშვნელობას—პირველს, გამორჩეულს, დიდს. ასეთი ახსნას თითქოს ადასტურებს სახარების ქართული პირველი თარგმანი, სადაც ნახარ-ი გადათარგმნილია როგორც მდიდარი. სემასიურად ამ თვალსაზრისით ნახარარი უკავშირდება ქართულს „წარჩინებულს“. მე-5 საუკ. პირველ მეოთხედში სიტყვა ჩინებული ქართულად ნიშნავდა მოწვეულს, შეად. მათ. 22₃ ადიშ. სახ.: „წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად

ჩინებულთა* (ამავე მნიშვნელობით იქვე 22_{1,8}). ჩინებულთა აქ უდრის სომხურ ტექსტის *ჩრახჩხას*—მოწვეული. სიტყვა ჩინებული დატოვებული იქნა მე-6 საუკუნეშიდაც სახარების ქართული ტექსტის ბერძნულთან შეთანხმების დროს (ჯრუჭ., პარხ. სახ.). წარჩინებული, მაშასადამე, ნიშნავს უკვე—გამორჩეულს და, როგორც ტენიკური ტერმინი, ის ჩნდება შედარებით გვიან, იხსენიება ყოველს შემთხვევაში მხოლოდ მე-7 საუკუნის ტექსტში („მეფეთა ცხოვრება“). ამიტომაც ამ ტერმინისთვის სპეციფიკური მნიშვნელობის მიცემა შეიძლება მე-6—7 საუკუნეში. როგორც ნახარა-ი, ისე ქართულ ნიადაგზე ანალოგიურად, სემასიური თვალსაზრისით, წარმომდგარი სიტყვა წარჩინებული შეიძლება ყოფილიყო თავდაპირველად აღმინისტრაციულ ხასიათის ტერმინი, მაგრამ პარალელურად გვაროვნობითი წყობილების ტერმინებთან ხმარებული. ტერმინების ასეთი პარალელურად ხმარების ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს მე-6 საუკუნეში ნახარა-ის ქართულად მთაწარად თარგმნა. მართლაც, მე-6 საუკუნეში ქართლში თანდათან ფეხს იკიდებდა წყობილების ფეოდალიზაციის დაწყების პროცესი. ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი საფეხურები ფეოდალურ წყობილების მომზადების ხანისა და ამ ვარეშობამ პოვა თავისი გამოხატულება ქართლის მართველობის აღმინისტრაციულ სფეროში თვით მე-6 საუკუნეში. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ორმუზდ მეფის დროს (579—590 წ.) „უწყო (ორმუზდმა) ზრახვად ერისთავთა ქართლისათა, აღუთქვა კეთილი დიდი, დაუწერა ერისთავთა მამულები შეილითი შეილამდე და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი თჳს თჳსად, ხარკსა მისცემდეს“... (მარ. ვარ. 189). „იყუნეს ერისთავნი იგი თჳს თჳსსა საერისთავოსა შეუცვალელებლად“ (იქვე, 190). ამგვარად მე-6 საუკუნეში მზადდებოდა ნიადაგი აღმინისტრაციულ ფუნქციების გარდაქმნისათვის და ამ პროცესს, რასაკვირველია, კვალი უნდა დაემჩნია ტერმინოლოგიის ერთგვარ არევაზედაც. ასე იყო ქართლში, მაგრამ სომხეთშიდაც ამ დროს (მე-6 საუკ.) აღმინისტრაციული წარმოების ტერმინი ნახარა-ი უკვე კარგახანია განმტკიცებული იყო როგორც პარალელური და იმავე დროს შემათავსებელი მცნება საგვაროვნო წყობილების ტერმინის ტერ-ისა და ამიტომ ნახარა-ის ქართულად მთაწარად გადათარგმნა მე-6 საუკუნისთვის ამის შექმნა სავსაოაოდ ცხადი ხდება.

ზემოთ მოყვანილ ციტატაში ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ბერძნულთან შეთანხმებულ სახარების ქართულ ტექსტში (მე-6 საუკ. პირგ. ნახ.) *παροῦσιν*-ის გადათარგმნა *აზნაურად*. მე-6 საუკუნეში აზნაური იხმარება გარკვეული მნიშვნელობით, მაგ., I კორ. 1₂₈, სამოციქულოს ერთ-ერთ უძველეს ვერსიის ხელნაწერის (წ. კ. საზ. მუზ. № 1145) მიხედვით: „აწ იხილეთ და ჩინებულთაჲ ეგე თქუენი ძჳანო. არა მრავ-

ვალ ბრძენ არიან კორციელად... არა მრავალნი აზნაურ არიან". ჩინებულება აქ უდრის მოწვევას (სომხ. *კოչი*), ხოლო აზნაური კეთილშობილს (სომხ. ტექსტში *აყნოლასან*, ბერძნ. *ἐπ' αὐτῆς*). ესევე მნიშვნელობა დაპირდაპირებულია იქვე I კორ. 1₃₆: „და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი“. უაზნო აქ უდრის სომხურს *անտոհ* — უტომო და ბერძნულს *ἀνθρώπος* (აგრეთვე უტომო). სიტყვა აზნაური იმავე დროს ნიშნავს თავისუფალსაც, როგორც ეს სჩანს შემდეგი მაგალითებიდან. I კორ. 7₂₂: „რ უფლისა მიერ რ'ლი იჩინა მონაა. უფლისა მიერ განთავისუფლებულ არს, ევრეცა აზნაური რ'ლი იჩინა მონა არს ქრისტესი“. სომხ.: *Զի որ 'ի Տէր կոչեցեալ է ծառայողսն Տեան է. նոյնպէս և որ ազատն կոչեցեալ է ծառայ Բրիտան է*. ბერძნულშიდაც ვკითხულობთ... *ἀπελευθερώς Κυρίου ἐστίν. ὁμοίως δ' ἐλευθερώς...* ცხადია, აზნაური აქ პირდაპირ თავისუფალს ნიშნავს. კიდევ ერთი მაგალითი იმავე I კორ. 7₃₉ — „თავისუფალ არს“, *ազատ է*, *ἐλευθερός*; I კორ. 9₁ — „აზნაურ რაა მე ვარ ոչ *ապագին* *ազատ եմ*, *ὅτι ἐγὼ ἐλευθερός*“. I კორ. 9₁₉: „თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დაუმონე რათა უმრავლესნი შევიძინე“. აქ „თავისუფალი“ (*ազատ*, *ἐλευθερός*) დაპირდაპირებულია დამონებასთან (*ի ծառայութեան*, *ἐμψύχων* *ἐμψύχων*).

ამის შემდეგ განმარტებულად არ რჩება მე-5 საუკუნეშივე შუც-ც-ბის ტექსტის ერთი ზემოდ უკვე მოხსენებული ადგილი — „აზნაური და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. აზნაური აქ ცხადია ნიშნავს თავისუფალს, მაგრამ იმავე დროს გვარიანს (კეთილშობილს). უკანასკნელი მნიშვნელობა ამ სიტყვისა (აზნაური — გვარიანი) არის ექვს გარეშე უფრო ძველი და პირვანდელიც, მას კავშირი აქვს გვაროვნობითი წყობილების ნორმებთან. უაზნო, როგორც დაპირდაპირებული აზნაურთან, უნდა აღნიშნავდეს, თავისუფლებას მოკლებულს, დამონებულ მდგომარეობის პირს, ანუ მონას. ეს უკანასკნელი სიტყვა, მე-5 საუკუნის ხაზარების ტიქსტის მიხედვით, გარკვევით უდრის სომხურს *ծառայ* და ბერძნულს *δουλος*.

აზნაური, უაზნო, ცხადია, წარმოებულია სიტყვისაგან აზნ, რომელიც შენახული იყო ლიტერატურულ ძველ სომხურში გვარის, ტომის მნიშვნელობით და როგორც, როგორც ზემოდ მოხსენებულ სიტყვების წარმოებათაგან საგულისხმებელია (აზნა-ური, უ-აზნ-ო), დაცული ყოფილა უძველეს ქართულშიდაც, თუმცა მე-5 საუკუნიდან ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ქართულში ის დამოუკიდებლად უკვე არ სჩანს ეს სიტყვა, ისე როგორც მონა, არის ძველი ირანულ წარმოშობისა ძველ სპარსეთში სპარსელები და მიდიელები გაყოფილი იყვნენ პირველნი 10 ზანა-დ (გვარეულობად), მეორენი 6 ზანად. ზანა უდრიდა ბერძნულს

ყვანც. ამ ხანათა (ყვანც) შორის „პასარგადები არიან საუკეთესოები და ამათი შტო (ჭრატრია—ფრეფრე) არიან ახემენიდები“ (პეროდოტი, II, 125). დარიუსის წარწერებში კი ახემენიდები იხსენიებიან სიტყვით *nemana*. მაშასადამე, როგორც აღნიშნა ნ. აღონცმა (Арм. в эпоху Юстин.. 376), *nemana* არის იგივე ბერძნული ფრეფრე. ზანა არის იგივე ძველი ქართული და სომხური აზნ, *nemana* კიდეც—სომხური *თინამ* და ქართული ტომი. შემდეგდროინდელ ხანაში, კერძოდ ქართულსა და სომხურში, აზნ და ტომში ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებად იყო მიღებული. როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, I კორ. 1, 18, მაგალითად, სომხური *ანსათინამ* ქართულად გადმოცემულია უაზნო. ტომი იხსენიება ნე-ნ სალკუნის ქართულში როგორც სომხური *აყყ*-ის ექვივალენტი (ადიშ. ლუკ. 24). *აყყ* და *აყნ* ფარავენ ერთმანეთს როგორც წარმოშობის, ისე მნიშვნელობის მხრივ. ტომი სემასიურად აავგარო წყობილების დროის ნამოგონარად ეხლაც წარმოდგენილია კილოებში, სახელდობრ სიტყვით უთვისტომო, ე. ი. უგვარო. ამის მიხედვით ბერძნული *ყვანც*, სომხ. ტომი და ქართ. აზნ, ტომი ყოველს შემთხვევაში მე-ნ საუკ. ქრ. შ. უწინარეს ახლო ხანებში, ფარავდნენ ერთმანეთს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს შესატყვისობა ძველი დროიდანვე მომდინარეობდა და მაშინ ჩვენ მივიღებდით სტრაბონის ცნობილ ადგილს იბერიის შესახებ იმ დროინდელ ქართულ ტერმინოლოგიით გადათარგმნილს შემდეგ ნაირად: „ოთხი ტომის ადამიანები სახლობენ ამ (იბერიის) ქვეყანას“ და სხ.. პირველი ტომის—მეფუფე და მხედართ-მთავარი. მეორე ტომისა—ქურუმები და სხ.

ტერმინი ზან, როგორც ვნახეთ, უკავშირდება ძველ ირანულ სოციალურ-კულტურულ სამყაროს. ავესტურ ნაწარმოებებში იხსენიებიან სოციალურ დაჯგუფების თვალსაზრისით თანდათანობის მაჩვენებელი ტერმინები—*nemana*, *vis*, *zantu*, *danhu*. ამ ჯგუფების წევრები იწოდებიან *nmanyā*, *vis-ya*, *zantuma*, *danhuma*. შემდეგდროინდელ განმარტებების მიხედვით, *nemana* შესდგებოდა ო წყვილ ქალ-კაცთაგან, *vis*—15 წყვილისაგან, *zantu*—30 წყვილისაგან და *danhu*—50 წყვილისაგან. როგორც ნ. აღონცი უჩვენებდა (დასახელ. შრ., 377), აქ მნიშვნელობა აქვს არა კიფრებს, არამედ სოციალურ ჯგუფების საფეხურითა შესახებ ცნობებს. პირველი საფეხური, ამგვარად, არის *nmanyā*, რომელი ტერმინი დარიუსის წარწერებში იკითხება *manyā*. ამისი პარალელური ფორმაა ძველი სპარსული *manijam*, რომელსაც ცნობილი ირანისტი იუსტი აწარმოებდა სიტყვისაგან *mana*—სახლი, რის გამო *manijam* შესაძლებელია, მისივე აზრით, ნიშნავდა შინაურს (ZDMG. 53).

ქართული მონა, ექვს გარეშეა, არის ამავე ძველ-ირანულიდან გადმოსული და უნდა ნიშნავდეს სახლის საკუთარს, შინაურს. უკანასკნელი

სიტყვა — შინაური შეიძლება იყოს უძველესი ქართული გამოხატულება იმავე მცნებისა, რომლისაც შემდეგ გახდა ძველი სპარსულიდან სესხებით გადმოსული მონა. შინა-ური წარმოებულია იმ გვარადვე, როგორც აზნა-ური. საინტერესოა, რომ ძველს სომხეთში ხალხის ფართო მასას. სახელდობრ არათავისუფალთა აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი *ქინას-კანს*. შინაკანი განირჩეოდა მაღალ წოდებისაგან და თავისუფალთაგან — ნახარათა და აზნაულებისაგან (Н. Адонц, op. cit., 479). ამ სიტყვიდან სუფიქსის კან გამოკლებით მივიღებთ შინ, ე. ი. იმავე სიტყვას, რომელიც ქართულ კილოებში ეხლაც ნიშნავს „შიგნით სახლში“ მდგომარეობას, ხოლო უძველეს ქართულში, როგორც ეტყობა, დაკავშირებული იყო სახლის მცნებასთან, აქედან — შინა-ური. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ შინაური არის მონა-ს უძველესი ქართული ექვივალენტი. სახარებაში, როგორც ნათარგმნ ნაწარმოებში, მონა ყველგან იხმარება გარკვეული მნიშვნელობით (= *шапша*, ბენიღი), მაგრამ შუშ. ც-ბაში მოიპოვება ერთი ფრიად საყურადღებო ადგილი, რომელიც გვიჩვენებს ამ ძველი სპარსულიდან ნასესხებ სიტყვის რეალურ მნიშვნელობას ქართულ ერთ კილოში მე-ნ საუკუნეში: „მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოველ და იოვანე ეპისკოპოსი მისივე მოყუასი რომელ იგი იყვნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშურალ, სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს, მონა და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა“ (ს. გორგ. გამ., 20). მონა აქ ნახვარია მნიშვნელობით შინაური, საკუთარი.

საყურადღებოა, რომ აკად. ნ. მარტი ტერმინს შინ უკავშირებს ერთ-ერთ უძველეს ეთნიურ ერთეულს, რომელიც დაპყრობილ იქმნა და დამორჩილებულ ჰაიების და ქართველების მიერ და რომელსაც ის სთვლის ასკანების შთამომავალად. „В бассейне Куры при грузинах — иверях народ шинов был классом и земледельцев и воинов. При грузинах-картвелах в том же бассейне, как при хайко-хаях в бассейне Аракса и Вана, те же шины или шинаканы составляли класс лишь земледельцев, в Армении местами сохранившийся, а в картвельской Грузии поголовно обращенный в низшее сословие. Слово „строить“ в природной для этого народа — сословия форме, перевалившее и за Кавкаский хребет, у древних армян и у древних грузин звучало „шейн“ и „шәи“, у позднейших армян и у позднейших грузин „шин“ (Н. Марр, Батум, Ардаган, Карс — истор. увел. межнац. отнош. Кавк., 33).

ამგვარად შინ, ნ. მარტის აზრით, შეიძლება იყოს ერთ-ერთ ტომის ან ტომების კრებითი სახელი, რომელიც ტომები დაპყრობილ იქმნენ ჰაიების და ქართველების მიერ. მაგრამ შესაძლებელია, რომ შინ ნიშნავდა

უძველეს ქართულ კილოებში პირდაპირ სახლს ამ სიტყვის საგვაროვნო მნიშვნელობით, ე. ი. განსაზღვრულ საზოგადოებრივ კრებულით გაგებით, საიდანაც წარმოსდგებოდა სიტყვა შინ-ა-ური.

ტერმინი შინაური ამ განმარტების თვალსაზრისით შეიძლება წარმოშობადარიყო განსაზღვრულ კილოს ნიადაგზე. ქართულში არის შინაურის და ძველი სპარსულის *manijam*-ის შესატყვისი მეორე ტერმინი, სახელდობრ მსახური. მსახური არის წარმოებული სიტყვისაგან სახლი. ქართული სახლი უდრის ქანურს. ახორი. ფუძე აშკარად არის ხლ||ხრ. ამის მიხედვით მხედველობაში მისვლილია, რომ სევანურში ეხლაც არის დარჩენილი ქარი ოჯახის და სახლის მნიშვნელობით (И. Никар., рус.-серб. слов., 62, 412). ძველ ქართულში არის აგრეთვე სიტყვა ქარი, რომელიც იხსენიება სახარების მე-5 საუკუნის ტექსტში—მარკ. 14₁₅ (ადიშ.) მაღალი სახლის (= *κλίσυσιον*) მნიშვნელობით. შესაძლებელია, როგორც ზემოდ გაცვრით იყო მოხსენებული (გვ. 5), ეს ქართული ქარი უკავშირდებოდეს სევანურში ეხლაც წარმოდგენილ სიტყვას ქლ~~ახ~~ მაღალის მნიშვნელობით, აგრეთვე უდურს კაღა—დიდი. მაშინ თავდაპირველი მნიშვნელობა ამ ქართული სიტყვის სათანადო ფუძისა იქნებოდა მაღალი, ანუ ის, რაც მაღლობთან არის დაკავშირებული. გვაროვნობითი წყობილების დროს გვარების ფუძე მთავორიან ქვეყნებში მაღლობებზე უნდა ყოფილიყო საგულისხმებელი და ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქსენოფონტეს ცნობა მოსინოაკების შესახებ. რომელთა მთავარ ქალაქს ექირა მათ ქვეყანაში ყველაზე უფრო მაღალი ადგილი. ამიტომაც სემასიურა ცვლილებით ძველ ქართულში სესხების გზით გადასვლისას ამ სიტყვას (ქარი) მიეცა მაღალი სახლის (შენებულობის) მნიშვნელობა, რომელიც მნიშვნელობაც ამავე ძირის სიტყვებს დაცული აქვს კილოებში, მაგ. რაქულ კილოში—ქორეთი=სხენი. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ქარი ეხლაც სევანურში წარმოდგენილი მნიშვნელობით (ოჯახი) წინად ყოფილა ქართულშიც, ალბად როგორც ნა ესხები სიტყვა. ამისი ნაშთი კილოებში ეხლაც არის, მაგ. სიტყვა ოჯახ-ქარი, სადაც შეერთებულია ორი სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონი, რომელთაგან პირველი თურქულია, ხოლო მეორე ხმარებული უკვე დეგრადიული და ოდიოზური მნიშვნელობით, რაც ამტკიცებს მის სიძველეს. შესაძლებელია, რომ ამ ორს სიტყვას შორის რომელიც წარმოდგენილი ყოფილა უძველეს დროში, ალბად სესხების გზით, ქართულშიდაც (ქარი=ოჯახი, და ქარი=მაღალი სახლი), იყოს უბრალო შეხვედრა და ნამდვილად აქ წარმოდგენილი იყოს ორი სხვა და სხვა წარმოების და მნიშვნელობის სიტყვა. მართლაც ქარს—ოჯახს შეიძლება დაეკავშიროს სიტყვა სევან. ჟარ—კარი, ეზო, შეად. ქართ. ჟარკ. სიტყვა ჟარ უნდა იყოს სემასიოლოგიური განვითარება ქარ—ოჯახისა.

შპის მიხედვით ქორ—ოჯახი უკავშირდება უძველეს ხანას შესატყვის ტომების ცხოვრებისას, როდესაც ჯერ კიდევ გაშლილი ეზო წარმოადგენდა ბოგანო ოჯახის საცხოვრებელ ადგილს.

ამის შემდეგ ადგილი გასაგები უნდა იყოს ქართ. სა-ხლი და ჰან. ო-ხორ, ორივე ამ სიტყვების ძირიდან ხლ || ხრ წარმოშობით. მართლაც, ჯერ კიდევ და ერთნაირ მნიშვნელობის თავსართის სა და ო გამოკლებით ეს ძირი წარმოადგენს ზემოდ მოხსენებული ქორ—ოჯახის შესატყვისობას. სა ხლი, ო-ხორ—ეს სიტყვები უნდა იყოს სესხებით შემოტანილი ერთ-ერთ უძველეს კილოდან, რომელიც ენათესავებოდა სვანურში ეხლა-ც წარმოადგენილ ერთ ძირითად ფენას. სა-ხლი, უკვე თავისი მნიშვნელობითაც, თავსართით სა წარმოებული, უნდა ყოფილიყო გვაროვნობითი ხასიათის ტერმინი, იმ საზოგადოებრივ ჯგუფის მახევენელი, რომელიც ხორ-ის (ქორის) ერთობით იყო დაკავშირებული. მართლაც, მე-5 საუკ. სახლი ლიტერატურულ ენაში ნიშნავს არა მარტო შენეზულობას (ადიშ. სახ. მათ. 5₁₅, 19₂₉, და სხ.), არამედ მას აქვს დაცული თავისი პირვანდელი, საგვარო სოციალური მნიშვნელობაც: სახლეუჯი—ეს ჩვეულებრივი ტერმინია მე-5—6 საუკუნეშიც ოჯახის წევრის აღსანიშნავად (მათ. 10₃₆, 10₃₅, და სხ., აგრეთვე შუშანიკის ც-ბა. 20, ევსტ. ცხ. ც-ბა, 316). საგვარო მნიშვნელობით კიდევ სახლი იხმარებოდა ამაზე წინ და შემდეგაც „მამ. და ნათ. ც-ბის“ ავტორი მე-5 საუკუნეში გადმოგვცემს ქართლის უძველეს ეპოქის შესახებ, რომ „ადგილ-ადგილ თავადნი იჩინიან, ხოლო რომელიცა იყუნის მცხეთას რეცა თავადი იგი იყუნის ყოველთა მათ სხუათა ზედა და არცა სახელედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ“ (ქ. ცხ. I, 21 და მატიაწის ძეგლი სომხ. თარგმანი შესატყვ. ადგილას). მამასახლისი, ცხადია, იყო უფროსი სახლისა, ამ სიტყვის საგვარო მნიშვნელობით. საშუალო საუკუნეებში და შემდეგაც სახლი კიდევ იხმარებოდა ამავე მნიშვნელობითაც (შეად. ივ. ჯავახიშ. Госуд. стр. др. Гр. и др. Арх., 31—33). ამისი მავალითები ლიტერატურაში ბევრია და აქ აღნუსხვას არ თხოულობს.

სიტყვიდან სახლი, საგვარო მნიშვნელობით, წარმოებულია სახური (ამ ფორმით დაცული ეხლა-ც იმერულ კილოში) ანუ ანალოგიით მიმდევობითი ფორმის პრეფიქსთან—მსახური.

ზემოდ თქმულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მივიღეთ იმ დასკვნამდის, რომ ძველი სპარსულის manya—მონა-ს შესატყვისი ადგილობრივი ტერმინი უნდა ყოფილიყო შინა-ური და სახ-ური (მ-სახ-ური). ტერმინი მანა წარმოადგენს შინაური-ს და მსახური-ს შესატყვისობის—სახელდობრ სპარსული ტერმინის manya-ს (სიტყვიდან მაია—სახლი) სრულს იგივეობას. მონა არის ამგვარად ქართულში გადმოსული ძველი სპარსული

ტერმინი, შინაური და მსახური კიდეც—უძველესი ადგილობრივი ტერმინები, წარმომადგარი გეაროვნობითი წყობილების ნიადაგზე გარკვეულ სოციალურ ნორმების ჩამოყალიბების პროცესში. მართლაც, ტერმინი მსახურა, სსხური (მსახური) წარმოებულია ისევე, როგორც აზნაურა. სიტყვა აზნაური კიდეც, როგორც ეს კარგა ხანია აღნიშნული აქვს ნ. ბარს (Тексты и раз. VI, Физiol. 81). წარმოებულია სიტყვისაგან აზნ (ვეფარი) სუფიქსის ურთვერ მიმატებით, რომელი სუფიქსიც ნიშნავს შვილს, უჩვენებს მაშასადამე წარმომავლობას. აზნაური, მაშასადამე. ნიშნავს ამის მიხედვით გვარის შვილს. ამიტომაც შინაურა და სსხ-ურა (მსახ-ური) უნდა ნიშნავდეს შინის, resp. სახლის შვილს. ამის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ, რომ შინაურთა და მსახურთა ინსტიტუტი საგვარო წყობილების ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული თვით სახლის შიგნით (შეად. ნ. აღონცის დასახ. შრ. 407, სადაც ავტორი ანალიზს უკეთებს სტრაბონის ცნობებს იბერიის შესახებ).

ამგვარად, ძველი სპარსეთის საგვარო წყობილების ტერმინის Manya-სთან დაკავშირებით ანალოგიურ ძველი ქართულ ტერმინების გარკვევას მივყევართ ვანსახლერულ დასკვნებამდის, რომელიც რამოდენადმე მაინც ხსნის ქართველი ხალხის უძველეს სოციალურ განვითარების ცალკე საფეხურებს.

Manyა-ს გარდა ძველმა სპარსულმა იცოდა. როგორც ზემოდ მოხსენებული იყო, საგვარო წყობილების სხვა ტერმინებიც. ასეთია vie, zantu და danhu. პირველი ტერმინი ვის ანუ ვით შენახულია ჰაიურ: *ახყიღ* და ქართულ სეფე-ში. სეჰე-ის უფრო ძველი ფორმა არის სე-ჰეჰ, რომელიც უდრის ირანულს ვათა-ჰუთა. ჰუთა(=ჰუჰ) ნიშნავს შვილს, ხოლო ვით არის საგვარო წყობილების გარკვეულ ფორმების ტერმინი (Н. Марр., Этимол. двух терм. арм. филол. строя. ЗВОИРАО, XI). გრაბარის წინა ხანაში, როგორც უჩვენებს ნ. აღონცი (op. cit., 401), ჰაიურში გადასული ირანული სიტყვები კარგად ნიშნავდა ვ-ს, რადგანაც ჰაიები, ისე როგორც ბერძნები, თავში ვ-ს არ გამოთქვამდნენ. ამიტომაც ვითა-ჰუჰ (*ვაითა-ჰეჰ, *ვასე ჰეჰ)=სე-ჰეჰ, სე-ჰეჰ. ჰაიური სეჰე-იდან კიდეც წარმოიშვა ქართული სეფე. როგორც სწანს, ეს სიტყვა ქართველებს ჰაიების საშუალებით მიუღიათ, მისი პირვანდელი მნიშვნელობაც ქართველების მიერ გაგებულ იქნა სწორად, მხოლოდ მეწინავე სახლის მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ სეფე სახლის (შენობის) აღსანიშნავად იხმარება მე-9 საუკ. ნინოს ეპ-ბაში. სეფე-ქალს შრომანას ნინო სეფედ მიყავდა (Опис. II, 736). ამერულ კილოში ეხლაც იხმარება სეფე საქორწილო ღვინისთვის გამზადებულ ფარდულის ან კარავის აღსანიშნავად. ცხადია, მაშასადამე, რომ ძველს ქართულში სეფე ნიშნავდა სახლს ამ სიტყვის საგვარო და

შემდეგ საბინაო მნიშვნელობით. მაგრამ რადგანაც ის უკავშირდებოდა საგვარო წყობილებას, ამიტომ ამ წყობილების განსაზღვრულ რგოლს აღმნიშვნელი—სეფე ქართლში ფაქტიურად გაგებული იყო როგორც მეწინავე სახლის წოდებულება, აქედან წარმოიშვა ტერმინი—სეფე-წული, აღმნიშვნელი, როგორც მოსე ხორენელი უჩენებს, მმართველი სახლის შეიღებისა.

ზანტუ, როგორც ვნახეთ, ბერძნების გაგებით (პეროდოტე) უდრიდა ბერძნულს γένος. ზანტუ კიდევ თავის მხრივ წარმოადგენდა შემდეგს საფეხურ ზანა-ისას, ხოლო ზანა-ს შეადგენდა მთელი სპარსელი ხალხი. ზანა ამგვარად წარმოადგენდა ძველ ირანულ საგვარო წყობილების თვალსაზრისით უმაღლეს საფეხურს, რომელიც აერთიანებდა გაბატონებულ სპარსულ ელემენტს. ცნობილია, რომ სპარსელების ზანა თავის საგვარო წყობილებაზე დამყარებით მართავდა ირანის ტერიტორიაზე მოსახლე თავის მხრივ აგრეთვე საგვარო სისტემით წყობილ სხვადასხვა, რიცხვით მრავალ ტომებს.

ტერმინი ზანა ჰაიურსა და ძველს ქართულში გადავიდა ფორმით აზნ, აქედან ქართული აზნა-ური, რომელიც, როგორც ზემოდ, ნ. შარის მიხედვით, ნაჩვენები იყო, ნიშნავს გვარის ანუ სახლის შეიღის. ამგვარად აზნაური წარმოადგენს სრულს შეატყვისობას ტერმინებისა სახური (მსახური) და შინაური (სახლის ანუ შინის შეიღი). ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ აზნაური უნდა იყოს, შედარებო სახურ-თან და შინაურ-თან უფრო ნაგვიანევი და ამგვარადვე წარმოებული ნასესხებ სიტყვისაგან აზნ მაშინ, როდესაც სოციალური დიფერენციაცია შიგნით სახლში დაწყებული იყო და მეწინავე ანუ მმართველი წრე ამ სახლისა, როგორც უფრო კულტურული, ჰაიურ და სპარსულ წყობილებისა და კულტურის ნორმებს ექიდებოდა. შეიძლება ამ თვალსაზრისით მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული „მოქ. ქარ.“-ის ქრონიკაში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ აზომ მცხეთას მოსვლისას მოიყვანა თან „კერპნი ღთად გაცი და გაიმ“. გაცი და გა, როგორც ცნობილია (H. Mapp, Богъ измъ. Гръзън), სემიტურ პანთეონთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. მექრონიკეს ამგვარად დაცული აქვს საინტერესო ცნობა აზოს და, შესაძლებელია, თვით მცხეთას მოსულ ქართული სახლების ოფიციალურ სარწმუნოების შესახებ. აზოს შემდგომმა ფარნავაზმა, იმავე მექრონიკეს სიტყვით, „აღმართა კერპი დიდი ცხვსა ზა, დასდვა სახელი მისი არმაზი“. ქრონიკის მიხედვით, ამგვარად, შეიძლება გარკვევით დათარიღდეს ზოროასტრის სარწმუნოების, ოფიციალურად ყოველს შემთხვევაში, შემოტანა ქართლში. აუ ფარნავაზის ცხოვრების დროს მეორე საუკ. ნახევარში ქრ. წ. ევგულისხმებთ, მაშინ არა მარტო ცეცხლთაყვანისმცემლობის დამკვიდრების,

არამედ ირანის სოციალურ-კულტურულ ცხოვრების ნორმების გარკვე-
ვით შემოტანის დაწყების დათარიღებაც უნდა შესაძლებელი შეიქმნეს.
ეს დრო, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოდ დაწყებული მეორე საუკ.
ნახევრიდან ქრ. წ.. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროშ-
დის ქართველ ტომებზე ირანული გავლენა არ იყო, მაგრამ მხოლოდ
ამ დროიდან, როგორც ეტყობა, შეიძლება დათარიღდეს ხანა ირანულ
ცხოვრების ნორმების განსაკუთრებულ ინტენსიურად ზედმაქმედებისა
ქართველ ტომების კულტურულ განვითარებაზე. შესაძლებელია ამიტომ
ვიფიქროთ, რომ დაახლოებით მე-2 საუკუნიდან ქრ. წ. ქართველებში
ფეხს იკიდებდა სპარსული წარმოშობის ახალი ტერმინი აზნ-ი სპეცია-
ლურად მმართველ წრის აღსანიშნავად. სახლი სოციალურად უკვე
დაყოფილი იყო. მამასახლისი და მისი მომდევნო გვაროვნობითი ჯგუ-
ფი უკვე ცალკე იდგა სახლის მთელი მასისაგან—სახურთა და შინაურთა
წრისაგან. მამასახლისის გვარი, როგორც მმართველი წრე, იმავე დროს
ყველაზედ უფრო ადრე განიცდიდა დიდ ქვეყნის, ამ ხელად სპარსეთის.
სოციალურ-კულტურულ ცხოვრების ნორმების ზედგავლენას. ამიტომაც
ტერმინი აზნი და სევე როგორც ქართული სახლის ექვივალენტი, მაკ-
რამ რადგანაც უცხო წარმოშობის, ამიტომ სახლის მეწინავე სოცია-
ლურ ჯგუფის აღმნიშვნელი, ფეხს იკიდებდა სწორედ მამასახლის-
გვარში. აქედან—სიტყვა აზნაური, რომელიც სპეციალურად მმართველ
გვარის წევრის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, აქედან სიტყვა სეფეწუ-
ლი იმავე მნიშვნელობით. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დიდ აზნაურთა კოლები
მე-5 საუკ. ზეპურ-დედებად იწოდებოდნენ (შუშ. ც-ბა) და მეორეს მხრივ
მე-6 საუკუნეშიც სეფეწულნი მთავრებს შორის არიან საგულისხმებელი
(ეესტ. მცხეთელის ც-ბა). მე-5 საუკუნეში სოციალურ დიფერენციაციას
ქართლში ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, მაგრამ მაშინაც სიტყვა ზე-
პური-დედა დაკავშირებულად სიძანს აზნაურის, სახელდობრ დიდ-აზნა-
ურის სახელთან. დიდ-აზნაური—ეს უკვე თვით აზნაურთა წოდების ახალ
დიფერენციაციის ნიშანზე იყო წარმოშობილი, წინაჲ კი, ცხადია,
ზეპური-დედა და მაშასადამე სეფეწულიც საზოგადოდ აზნაურის სახელ-
თან იქნებოდა დაკავშირებული.

ამგვარად სახლის დიფერენციასთან წარმოშობილიყო მამასახლისის
გვარი, რომლის წევრები აზნაურებად და სეფეწულებადაც იწოდებოდ-
ნენ. სახლის შინაგანი დიფერენციაცია ამაზე არ იყო გაჩერებული. სახ-
ლის მეთაურის როლი თანდათან გართულებულიყო. ყოველი მამასახლისი
თავდაპირველად ასრულებდა მრავალ სხვადასხვა მოვალეობას. ის იყო
მოსამართლე, ომიანობის დროს წინაშელოლი და ქურუმიც. განსაკუთ-
რებით რთული იყო ქურუმის მოვალეობა. ქურუმობა საქიროებდა ხალ-
ხის სარწმუნოებრივ შეხედულებათა მტკიცედ ცოდნას, ამ შეხედულებ-

ნათა გამოყენებას პრაქტიკულ მიზნებისთვის ხალხის ჩვეულებებთან შეთანხმებით. ამავე დროს ქურუმობა ერთგვარ პროფესიონალურ მუდმივობას თხოულობდა. ამიტომაც მეწინავე სახლს თანდათან გამოეყო ისეთ პირთა კატეგორია — ისეთი ცალკე სახლი, რომელიც თავისი დანიშნულებად უმთავრესად რელიგიურ კულტის მსახურებას — ქურუმობას სთვლიდა. ამ სახლს აზნაურ ან მმართველ სახლსა და მსახურებს შორის საშუალო ადგილი ეკირა. აქედან გაჩნდა ხუცების გვარი. იუშ-ური, ხოშ-ორი ახალ ქართულშიც ნიშნავს წვრილის და მსხვილის საშუალოს (საბას და ჩუბ. ლექსიკონი). სვანურად ხოშა ნიშნავს ღაღს. ამავე ძირის ხუც-ი, მაშასადამე, თავდაპირველად ნიშნავდა საშუალოს. აქედან აღმატებითი ფორმის უ-ხუც-ესი ანუ ხუც-ესი. ამგვარად გაჩნდნენ საშუალო მდგომარეობის მქონე გვარები, რომლებიც სარწმუნოებრივ კულტის საქმეს ემსახურებოდნენ და რომლის წევრები ხუცებად ანუ საშუალო მდგომარეობის პირებად ითვლებოდნენ. ხუცების მეთაური, მთავარი ხუცესი იბერიის მეზობლად ალბანიაში სტრაბონის დროს ითვლებოდა მეფის შემდეგ ყველაზე უფრო პატივცემულ პირად, რომლის ხელში იყო ვრცელი, მკიდროდ დასახლებული საკულტო ადგილები და აგრეთვე საკულტო ყმები (ἱεραὶ χῆραι... ἱερὸνέμσις. Strabo. XI, 3). ცხადია, რომ დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა თუ თვით სტრაბონის დროს არა, ახლოს ამ დროსთან იბერიაშიც.

მხედართ-მთავრის და მოსამართლის როლი იბერიაში სტრაბონის დროს მიკუთვნებული ჰქონდა მეუფის შემდეგ მეორე პირს. აქაც მაშასადამე ადგილი ჰქონდა მამასახლისის როლის ერთგვარ დიფერენციაციას განსაზღვრულ ფუნქციების ცალკე გამოყოფით. საყურადღებოა, რომ ალბანელების ჯარსაც პომპეიუსის წინააღმდეგ წინამძღოლობდა ალბანელების მეფის ძმა კოტის-ი. პომპეიუსის ტრიუმფის დროს სხვა 324 დამარცხებულ და ტყვედ წამოყვანილ დაპყრობილ წინამძღოლებს შორის მის ეტლს უძღვებოდა სამი იბერიის მთავარი (ἡγεμόνας) და ორი ალბანიისა (Appianus 117, Περσικ. I, 537). როგორც ნ. აღონცმაც სამართლიანად აღნიშნა (დასახ. შრ., 409), აქ უნდა იგულისხმებოდეს იბერიის მეუფე, მხედართ-მთავარი და პირველი ხუცესი, ხოლო ალბანიისა — მეუფე და ხუცესი, მხედართ-მთავარი კოტის-ი კი პომპეიუსთან ომში დაიღუპა.

ამგვარად მეუფე, მხედართ-მთავარი და პირველი ხუცესი დაახლოებით ერთი და იმავე წარმოშობისა უნდა ყოფილიყვნენ. ყოველს შემთხვევაში არსებითად მამასახლისის უფლების დიფერენციაციის საკითხებში გამოიწვია ფუნქციების სათანადო დანაწილება და კერძოდ ხუცების გვარის ანუ გვარების წარმოშობა. ხოლო შინაურ-ნი ანუ სა-

ხურ-ნი (მსახურ-ნი) მოყვნენ ამ მმართველ წარების გავლენის ქვეშ. სტრაბონი მსახურთ უწოდებს *εἰ λαοί* და მათ სამეფუფო მონებად (*ἐνὸς λαοῦ*) სთვლის. ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ *λαοί* — კერძო პირ-ნი, მსოფლიონნი — ხშირად ცნობილი იყვნენ ძველი ბერძენ მწერლების მიერ როგორც მონები — *ἐνὸς λαοῦ* (იხ. ხილინსკის წერილი *λαοί в Мавроѣ Азии, ЖМНП. 1904 г. III*) ხოლო *λαοί*, როგორც ცნობილია ლიტერატურაში, უახლოვდებოდნენ თავისი მდგომარეობით კოლონებს. ამგვარად, როგორც ეს აღნიშნა თავის დროზე ივ ჯავახიშვილმა (*Госуд. ст. др. Груз. и др. Арм. 81—72*), სტრაბონის ეს ცნობა იბერიის შესახებ უნდა გვიჩვენებდეს ქართველ ხალხში სოციალურ უთანასწორობის განმტკიცების პირველ საფეხურებს. მართლაც, აღსანიშნავია, რომ სტრაბონი არაფერს ამბობს სხვა სახლების სოციალურ ლიფერენციაციის შესახებ. მესამე (წარმოშობა არის) *τῶν στρατευμάτων καὶ γεωργόντων* — მეომართა და მიწის მომშავეთა“. სტრაბონი აქ უნდა გულისხმობდეს იბერიის სხვა მოსახლეობას, გარდა სამეფო სახლთან დაკავშირებულ მოსახლეობისა. ცხადია, რომ სხვა სახლებში. გარდა სამეფოსა, სოციალურ ლიფერენციაციას ჯერ კიდევ ფრიად სუსტი გამოხატულება ჰქონდა, იმდენად, რომ მისი აღნიშვნა სტრაბონს საჭიროდ არ ჩაუთვლია.

ამგვარად სოციალურ ლიფერენციაციას იბერიაში სტრაბონის დრო-მანტ გავლილი ჰქონდა თავისი საკმაოდ რთული გზა. ეს გზა საგვარო წყობილების ფარგლებში დაახლოვებით იმავე მიმართულებით უნდა ყოფილიყო, როგორც სხვა ანალოგიურ წყობილების მქონ და იმავე დროს ძველ ქართველებთან ტერიტორიალურად ახლოს მყოფ ხალხებში. ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების გასაგებად უძველეს ხანისთვის, თუნდაც რეტროსპექტიული გზით, დიდი მნიშვნელობა ეძლევა აპიტომ სტრაბონის ცნობას, რომ იბერიის ბარის მოსახლეობას. მიწაზე მომშავეს და მშვიდობის მოყვარეს, აქვს წყობილება ჰაიების (არმენების) და მიდიელების მსგავსადო (*Geogr. XI, 3*). ზემოდ ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ ქართველი ხალხის უკვე დაწყებულ სოციალურ ლიფერენციაციის ნორმებში იჭრებოდა ირანული ზედგავლენა ძველი სპარსული ტერმინოლოგიის შემოტანით. 1—2 საუკუნისთვის ქრ. წ. ერთგვარი ზედგავლენა ირანისა ქართველების ცხოვრებაზე უკვე ექვს გარეშედ უნდა ჩაითვალოს. საკითხია მხოლოდ, შესაძლებელია თუ არა ძველი სპარსული წყობილების შესახებ ცნობები გამოყენებულ იქნას უძველეს პერიოდის ქართველ ტომების საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმების გასაგებად. საკითხი, რასაკვირველია, ძალიან რთულია და მისი გადაწყვეტაც ჯერ ნაადრევად უნდა ჩაითვალოს. ორიოდ მოსახრება მაინც უნდა გამოთქმულ იქნას, მით უმეტეს რომ ქართვ. ტო-

ნები ძველ დროსვე შედიოდნენ სპარსეთის იმპერიის ფარგლებში ანდა მის გავლენის ქვეშ იყვნენ და ამიტომაც შესაძლებელია, რომ სპარსეთის სოციალურ-კულტურულ განვითარების ხაზი, ზოგადად რასაკვირველია, დამახასიათებელი ყოფილიყო 'სპარსეთის პერიფერიაზე მყოფ რაიონებისთვისაც.

სპარსეთის საგვარო წყობილების შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები დაცული აქვს ქსენოფონტეს (Cyropaedia I, 2). „სპარსელებსო, აბობს ის, აქეთ თავისუფალი მოქლანი (ἐλευθερία δόξα), რომელიც მდებარეობს მეფის სასახლის და სხვა საზოგადო შენობათა ახლოს. ეს მოქლანი გაყოფილია 4 ნაწილად: ერთი მიჩნეულია ბავშვებისთვის, მეორე ახალგაზრდებისთვის, მესამე ღიღებისთვის (სრულწლოვანთათვის) და მეოთხე მოხუცთათვის. ყველანი ვალდებული არიან თავთავიანთ ადგილზე გამოცხადდნენ, ბავშვები და ღიღები ღილა-ადრიანად, ხოლო მოხუცი თავის სურვილისამებრ გარდა დანიშნულ დღეებისა, როდესაც მოხუცი თავის დროზე უნდა გამოცხადდნენ. ახალგაზრდები, მსუბუქად შეარაღებულნი, ღამით ყარაულობენ საზოგადო შენობებს. ჯამონაკლისს შეადგენენ ცოლიანები, მაგრამ გამოძახებისას ისინიც ვალდებული არიან გამოცხადდნენ... ბავშვებს წვრთნიან მოხუცთაგანნი, ვისაც კი ბავშვების აღზრდა უფრო ეხერხება: ახალგაზრდების გასაწვრთნელად აგრეთვე ინიშნება ამისთვის შესაფერისი პირები ღიღებთაგან. ღიღების ზედამხედველად კიდევ ინიშნებიან ისეთები, რომელნიც ყველაზე უკეთ ასწავლიან კანონების და ბრძანებების შესრულებას, მოხუცთაც ჰყავთ თავისი არჩეული უფროსები, რომლებიც თვალს ადევნებენ მოხუცების მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას“.

თითონ წერტვნა სწარმოებდა შემდეგ ნაირად: ბავშვებს 17—17 წლამდის ასწავლიდნენ მშვილდისრის და შუბის ხმარებას. ამის შემდეგ ისინი გადადიოდნენ ახალგაზრდათა წყებაში. ეს წყება ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობას—ეწეოდა ღამე საზოგადო შენობათა გუშავობას, მეფის სანადიროდ წასვლისას ეახლებოდა მას და გარდა ამისა ასრულებდა სხვა და სხვა დავალებას, მაგ. ყაჩაღების ღვენა, ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა და სხვა ამგვარი. 10 წლის შემდეგ (26 წლიდან) ახალგაზრდები გადადიოდნენ ღიღების წყებაში, სადაც რჩებოდნენ 25 წელიწადი, ამის შემდეგაც ისინი ასრულებდნენ უფროსების ბრძანებებს და დავალებათ. „ომში ისინი გამოდიოდნენ. აბობს ქსენოფონტი, უკვე მარტო მშვილდისრით და შუბით კი არა, არამედ ჯავშან-ჩაცმული, ფარით მარცხენა ხელში, მარჯვენა ხელში კიდევ ხმალით ან ნახლით. ღიღებისაგან ინიშნებოდნენ უფროსები, გარდა ბავშვების აღზრდელებისა (ესენი იყვნენ მოხუცთაგან). 50 წლიდან ღიღები გადადიან მოხუცთა წყებაში. მოხუცი არასოდეს არ მიდიან ომში

თავისი ქვეყნის გარდაღმა, არამედ აწარმოებენ სამართლის საქმეს. მათ უფლება აქვთ სიკვდილის განაჩენიც კი გამოიტანონ, ისინივე ირჩევენ თანამდებობის პირთ... სპარსელების საზოგადოებრივ წყობილების წარმოსადგენად საჭიროა ვიცოდეთ, რომ სპარსელები ირიცხებიან 12 ბევრი (ანუ 120 ათასი კაცი). ყველა მათ კანონით ერთნაირად აქვს გახსნილი გზა დაწინაურებისაკენ, ყველას აქვს უფლება შვილების გაგზავნისა საზოგადო შკოლაში. ნამდვილად კი იქ აგზავნიან შვილებს მხოლოდ შეძლებულნი, რომელთაც შვილების შენახვის საშუალება აქვთ, ხოლო ვისაც ეს არ შეუძლია, ის თავისს შვილს გასაწვრთნელად ვერ აგზავნის. საზოგადო მასწავლებლების მიერ გაწვრთნილი ბავშვები გადადიან ახალგაზრდათა წყებაში, ხოლო ვისაც კი ასეთი გაწვრთნა არა აქვს, არც ახალგაზრდათა წყებაში მიიღება. აგრევე, დიდების წყებაში შეუძლია გადაეწვროს მხოლოდ იმას, ვინც დაყო საჭირო ხანი ახალგაზრდათა წყებაში და სათანადო გაწვრთნაც მიიღო. მაშინ მას შეუძლია მიიღოს თანამდებობანი და პატივიც დაიმსახუროს. უამისოდ დიდების წყებაში გადასვლა შეუძლებელია. უკანასკნელ, ვინც დიდების წყებას კარგად ჩაატარებს, მას შეუძლია მოხუცთა წყებაშიც გადასვლა“.

ამგვარად წყობილება სპარსეთში 400 წლ. ახლოს ქრ. წ. აგებული იყო გვაროვნულ წესზე. საინტერესოა, რომ ქსენოფონტე სრულუფლებიან სპარსელების რიცხვს 120 ათასად სთვლის, თითო ტომში მასასადამე — სპარსელები 12 ტომად იყვნენ გაყოფილი — 10 ათ. კაცს. ეს აუო, ასე ვთქვათ, გაბატონებული ნაწილი სპარსეთის იმპერიაში, რომელიც, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ტომებით და ხალხებით იყო დასახლებული. როგორც ქსენოფონტეს ცნობიდან სჩანს, მის დროს უკვე დაწყებული იყო სპარსელებში სოციალური დიფერენციაცია. მოედანზე (ჰაბაჩარისზე) შეკრებას ახერხებდნენ მხოლოდ უფრო შეძლებულნი, თუმცა იურიდიულად ყველას ჰქონდა ამისი უფლება. ამით აიხსნება, რომ ჰაბაჩარის (მოედანი) გამხდარი იყო გვარების სოციალურ დიფერენციაციის ხელის შემწყობად. აღსანიშნავია, როგორც უჩვენებს ნ. აღონცი (დასახ. შრ., 382), კიროსის 30 ათას მეომრისაგან მხოლოდ 1 ათასი ეკუთვნოდა ჰომოტიმებს ანუ „ღირსსწორთა“ წყებას.

ქსენოფონტეს დროს თავისუფალი მოედანი მარტო სამხედრო ვარჯიშობისთვის იყო დანიშნული. ვაჭრობა იქ აღკრძალული იყო. მაგრამ შემდეგ მოედანმა შეიცვალა სახე და ის გახდა აღმ-მიცემობის ასპარეზედაც. სიტყვიდან ჰაბაჩარ გაჩნდა ახალი სპარსული ბაზარ ცნობილი მნიშვნელობით და ჰაიურ-ქართული ჯაჭარ ი. ამ გვარად, როგორც ამას ამბობს ნ. აღონცი, ჰაბაჩარმა გაიარა 3 ფაზა თავისი განვითარებისა, საგვარო წყობილების დაწესებულებიდან სამხედრო-არისტოკრატიულ და შემდეგ საღებმციემო ასპარეზად გარდაქცევით (დასახ. შრ., 382).

ქართული ძველი საზოგადოებრივ ცხოვრების გარკვევის თვალსაზრისით საინტერესოა ტერმინის მოედანის შესატყვისობის ჩვენება უძველეს ქართულში. მე-5 საუკ. სახარების პირველ თარგმანის რედაქციაში მოედანი გადათარგმნილია როგორც *სავაჭრო* ან *ურაკპარაკი*. მაგ., მათე 20₃ (ადიშ. სახ.): და იხილნ სხუანი მდგომარენი სავაჭროსა ზედა, სადაც სიტყვა სავაჭრო უდრის სომხურს *հրապարակ* და ბერძნულს *ἀγορά*. ისევე, სხვათა შორის, მარკ. 7₄. სხვა შემთხვევა მათ. 6₃ (ადიშ.): ἡ ψευδὴς θάλασσα ἡ τοῦ ἁγίου πνεύματος, რაც ნიშნავს ქუჩების შეჯვარდინების კუთხეს, მაშასადამე იმავე მოედანს. ურაკპარაკი გვხვდება მოედნის მნიშვნელობით სამოციქულოშიც, მაგ. მოც. 16₁₉, სადაც ის ბერძნულს *ἀγορά*-ს ეშვასატყვისება. აღსანიშნავია, რომ მე-5 საუკ. სახარების ტექსტში უბანი იხმარება ვიწრო ქუჩის მნიშვნელობით მათ. 6₂ (ადიშ.): ἐν τῇ ὁδῷ ὁρᾷ ὅτι ἔστιν πόλις, შესაკრებელთა და შორის უბნებსა. უბანი აქ უდრის იმავე სომხურს *հրապարակ*, მაგრამ ბერძ. *πόλη*-ს (შუკა), თუმცა უნდა ითქვას, რომ ესევე ტექსტი წარმოადგენს უბნის ხმარებას ბერძნული *ἀγορά*-ს შესატყვისობით (მარკ. 6₃₆ ადიშ.), რაც შესაძლებელია უჩვენებდეს იმას. რომ აქ დროსაც უბანი იხმარებოდა როგორც სავაჭროს და ურაკპარაკის ექვივალენტი. მაშინ ზემოდ მოყვანილი დაკავშირება უბნისა ბერძნულ *πόλη*-სთან შესაძლებელია არ გამოდგეს, მით უმეტეს რომ ადიშ. სახარების ტექსტი სომხურ ტექსტიდან არის დამოკიდებული. ყოველს შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ სახარების თარგმანის მეორე რედაქციაში მოედნის აღსანიშნავად იხმარება მხოლოდ უბანი (ჯრუქ., პარხ. სახ.).

ეტიმოლოგია სიტყვისა უბანი ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის. შესაძლებელია ეს სიტყვა დაკავშირებული იყოს სიტყვებთან — ქართ. ბანი, ავესტ. ბან, ახ.-სპარს. ბამ, ჰაიური *باش* და ქართულ-ვანი, თუმცა დანამდვილებით ამისი თქმა ჯერ კიდევ ძნელია (Н. Марр: Определ. яз. вт. категор. ахем. надп. ЗВОИРАО, XXII, 36), მაგრამ ყოველს შემთხვევაში მას აქვს კავშირი არა მარტო გაშლილ მოედნის მცნებასთან, არამედ გარკვეულ შენებულებასთანაც. მაინც საინტერესოა, რომ სიტყვისაგან უბანი წარმოებულია ქართულში ზჰნა უბნობა, ხოლო ურაკპარაკიდან, უკეთ ჰაიურ ჰრაპარაკი-დან კიდევ — ჯაპარაკი. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ უძველეს ხანაში მოედანს ქართველ სახლების ცხოვრებაშიც ჰქონდა კულტურული და შეიძლება სოციალურ განვითარებისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა.

მოედნის აღსანიშნავად უძველეს ქართველ ტომებს ჰქონდათ კიდევ სიტყვა რაბატი, რომლის ნაშთი ამ დამად დარჩენილია მეგრულში. რაბატი მეგრულში ნიშნავს დიდ ხმაურობას (შეად. კიდევ მეგრულშიც

რამატი—წვრილ ხმაზე ხმაურობა). ეს სიტყვა ცნობილი იყო ძველ ქართულში. მწყემსები წმ. ნინოს ეუბნებიან, რომ ჩვენ ვართო „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი კინჯარელნი და რაბატელნი ღიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (Опшц. II, 748). მცხეთაში ამგვარად რაბატი ყოფილა. ჯუან-შეოი იხსენიებს ვახტანგ გარეასლის შესახებ თხრობაში უჯარმის რაბატს, რომელიც, როგორც კონტექსტიდან სჩანს, ქალაქის ზღუდეს შიგნით ყოფილა. ამ რაბატში ვახტანგმა ააშენა რაქედნის სახელობაზე ეკლესია (მარ. ვარ., 182). რაბატი ყოფილა ძველს ტფილისშიაც. ტაბარი გაღმოგვცემს ტფილისის 5 კარის სახელებს: მოედნის კარი, კარის კარი, პატარა კარი, აბატის ანუ ციხის კარი, სოლდებილის კარი (მომყავს ცნობა ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „ქართ. ერ. ისტ.“ II, 289. რადგან ტაბარის წიგნი ტფილისში მე ვერ ვიშოვე). აბატის ანუ ციხის კარი—ცხადია, რაბატის კარი უნდა იყოს. მაშასადამე ტფილისის ციხეში მე-9 საუკ. ჯერ კიდევ ყოფილა ადგილი რაბატის სახელწოდებით. აღსანიშნავია რომ ტერმინი რაბატი ეხლაც დარჩენილია ახალციხის მაზრაში, სადაც ქალ. ახალციხის ძველს ნაწილს რაბატი რქვია. სოფ. ადაგენშიდაც (ახალც. მ.) საბაზრო რაიონი ეხლაც რაბატად იწოდება. ამგვარად რაბატად შემდეგს დროებში იწოდებოდა ქალაქის განსაზღვრული რაიონი მცხეთას, უჯარმას, ტფილისს, ალბად ის რაიონი, რომელიც მოედნის გარეშემო განვითარდა, ქალაქის მაშასადამე ცენტრალური ადგილი. ის გარემოება, რომ ტფილისის რაბატი ციხეში იგულისხმება, ამ მოსაზრების დამადასტურებელი უნდა იყოს. მართლაც, რაბატი არის ნასესხები სიტყვა და თავდაპირველად ის ფართო ქუჩას, მოედანს ნიშნავდა. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ასურულში სიტყვას ra'batu (F. Delitsch, Assyri. Handwört., 601. ნ. მარტი 1901 წ. ამ სიტყვას უკავშირებდა არაბულს رباط—რაბატ=სამლოცველოს, რაც შეცდომა უნდა იყოს, Богъ языч. Гръз. 8, შენ.).

აქედან სჩანს, რომ მოედანს ჰქონდა ქართულ მოდგმის ტომების უძველეს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა, როგორც კულტურული, ისე სოციალური. აღსანიშნავია, რომ სევანურში ეხლაც მოედანის მცნება დაკავშირებულია სახლის მცნებასთან (ლანჯორალ არგი, ლახორ—ივ. ნიქარაძის რუს.-სევან. ლექსიკონი). მაგრამ თუ პირველად მოედანი ასრულებდა სახლების წევრთა ურთიერთთან შესახვედრ ადგილის ფუნქციას (აქედან—უბნობა, ლაპარაკი), შემდეგ დროებში, ისე როგორც სპარსეთში, მოედანმა მიიღო სააღმშრამცემო მნიშვნელობა და მე-9 საუკ. ქრ. შ., როგორც ვნახეთ, მოედანს ეწოდება სხვათა შორის სავაქროც, ხიტყვა ვაქარი კი ამ დროს უკვე გარკვეული მნიშვნელობით იხმარებოდა. ამგვარად მოედანმა გამოიარა ქართველებშიდაც ერთგვარი ევო-

ლახუცია, დაახლოვებით სპარსეთის მაგალითის მიხედვით. შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ, რომ უძველეს ხანაში მოედანი ქართველ ტომების ცხოვრებაში ასრულებდა დაახლოვებით ისეთსავე როლს, როგორც სპარსეთში ჰებაჩაის და სპარსეთის მაგალითის მიხედვით, აქაც მოედანი საგვაროვნო საერთო დაწესებულებიდან გადაიქცა სამხედრო სავარჯიშო ასპარეზად პრივილეგიურ პირთათვის და შემდეგ კი პირდაპირ სავაქრო აღგილად. შესაძლებელია ამ ევოლუციის ერთი საფეხურის მაჩვენებელი იყოს ერთი ტერმინი. ქსენოფონტე პრივილეგიურ პირთა შესახებ კიროსის ჯარში ამბობს, რომ მათ „სწორ-ლირსნი ეწოდებათო“ (οἱ ἄμαρτοι καλίσμενοι, Cyrop. II, 1). ახალსპარსულში ღირსეული = ارز არზ-ი. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ სიტყვის ძველი სპარსულ ექვივალენტიდან იყოს წარმოებული სომხური *ქარქ* ნასწავლი, ჭკვანი და ქართული ვარჯიში, ვარჯიშობა. ამავე წარმოების უნდა იყოს სიტყვა ვარგი. საინტერესოა, რომ სეანურად ვარგ ნიშნავს თავადს, აზნაურს, საერთოდ პრივილეგიურ წოდების პირს (H. Mapp, Извдеч. из св.-рус. слов., 16). ქართული ტერმინოლოგია არის განსაკუთრებით საინტერესო. ვარგი, ვარჯიში, სეან. ვარგი (თავადი და აზნაური) თავისი გენეზისით პირდაპირ დაკავშირებულად სჩანან ძველ ჰაბაჩაისის დავარ საზოგადოებრივ სამხედრო ინსტიტუტთან — უბან-რაბატ-ურაკპარაკთან. ამ შემთხვევაში ჩვენ მართლაც ვღებულობთ ირანის ცხოვრებაში აღნიშნულ სოციალურ განვითარების ეტაპების დადასტურებას ქართულ ნიადაგზე.

თვით ფაქტი მოედნის გამოშხატველ სიტყვის ასეთ მრავალფერობისა (ურაკპარაკი, უბანი, რაბატი, სავაქრო) ამტკიცებს მხოლოდ ამ ინსტიტუტის სიძველეს და უკავშირებს მას იმ ხანას, როდესაც ქართული მოდგმის სახლები (ტომები) ცალკე ცხოვრობდნენ საგვარო წყობილების ნორმების მიხედვით და ცოტად თუ ბევრად მთლიან ხალხოსნურ ცხოვრების, მით უმეტეს საერთო კულტურულ ენის მიღწევამდის საკმაოდ შორს იყვნენ.

მოედანს დიდხანს შერჩა თავისი მნიშვნელობა. ყოველს შემთხვევაში სტრამონი საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ იბერიაში არის გეგმაზე გაშენებული სახლები, მოედნები (ბეჰარა) და სხვა საზოგადოდანიშნულების სახლები (ხაიხა). საზოგადოებრივი ცხოვრება იბერიაში ამ დროს უკვე საკმაოდ განვითარებული იყო, სტრამონის მიერ აღნიშნული მოედნები კიდევ წარმოადგენდნენ ამ განვითარების ერთ-ერთ ხელისშემწყობ ძველს ინსტიტუტს.

ამაირად იხატება ქართველ ტომების საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ხაზი ზოგადი მოცულობით, დაწყებული უძველეს დროიდან სოციალურ დიფერენციაციის გაძლიერებამდის, სახელდობრ

გვარონობითი წყობილების იმ ნორმების მიღწევამდის, რომელთაც ჰოვეს თავისი გამოხატულება სტრაბონის მიერ იბერიის ცნობილ აღწერილობაში. როგორც ამ აღწერილობაში წარმოდგენილ იბერიის სოციალურ სტრუქტურის უფრო დაწვრილებით გასარკვევად, ისე აგრეთვე ქართველს ხალხის შემდგომდროინდელ სოციალურ ვითარების გასაგებად, მნიშვნელობა აქვს მწერლობითი დროის, სახელდობრ მე-5—6 საუკუნის ამის შესახები ფაქტების თიქსაციას, რათა ამის შემდეგ შესაძლებელი შეიქმნეს რეტროსპექტიული გზით ქართველი ხალხის სოციალურ განვითარების, წინა საუკუნეებში განვლილ საფეხურებისთვის მთლიანად თვალის გადავლება.

მე-4 საუკუნეში, როგორც ვნახეთ, ქართლი გაყოფილი იყო ცალკე ოლქებად, სევეზად. ამ დანაწილებას, ექვს გარეშეა, საგვარო წყობილების პრინციპი ეღვა საფუძვლად, მაგრამ მას არ ჰქონდა რასაკვირველია მუდმივი ხასიათი. დროთა ვითარებაში ხდებოდა ხევეების, ასე ვთქვათ, შეკუმშვა უფრო მსხვილ ერთეულებად. ჩვენ ამიტომ უნდა ანგარიში გავუწიოთ ხევეების ამ შეკუმშვის პროცესსაც და მისი მხედველობაში მიღებით განვიხილოთ ხევეების ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ლაზარე ფარპელს აქვს ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც გვიხატავს ქართლის მართებლობის თვისებებს მე-5 საუკუნის ნახევარში. სახელდობრ, როდესაც სპარსეთის მეფე ეზდიგერდთან წავიდნენ სომხეთიდან დიდ-დიდნი კაცები, წარმომადგენლები სხვადასხვა სახლებისა (*თიჩმ*) მაშინ ქართლიდანაც, მისი სიტყვით, წავიდნენ *ქაქსარჩქს ღრავი რიხქს სკილჯაჲ და აჲ თანოლთხარე აქსარჩქს* — „ქართველთა ქვეყნიდან პიტიაშხი არშუშა და ამ ქვეყნის სხვა მამასახლისნი“ (ისტორია, ტფილ. გამ. 1904 წლ., 47). ამ ძვირფას ცნობიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ქართლის დიდი-კაცი, ქვეყნის მართველობის მესვეურნი იწოდებოდნენ მამასახლისებად. პიტიაშხი არშუშაც თუმცა ცალკეა მოხსენებული, მაგრამ გამოთქმა — „ამ ქვეყნის სხვა მამასახლისნი“ ცხად ყოფს, რომ პიტიაშხიც თავისი უფლების წარმოშობით მამასახლისებთან შედარებით ანალოგიურ მდგომარეობაში იგულისხმებოდა. მხოლოდ პიტიაშხი თითქოს სხვა მამასახლისებზე უფრო მაღლა დგას, მათში ერთ-ერთ პირველ პირად სჩანს, რადგან სახელობით ლაზარეს მართო ის ყავს მოხსენებული. პიტიაშხს ამ დროს ეკირა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის სიტყვით მეფე ბაქარმა მე-4 საუკ. მეორე ნახევარში თავის სიძეს სპარსეთის მეფის სახლის შვილს ფეროზს მისცა ტერიტორია „სამშვილდითგან მიღმართ ქუეყანაჲ თავადმდე აზოცისა“ (მარ. ვარ., 112). ლეონტი მროველიც არჩილის ცხოვრების აღწერილობაში უჩვენებს, რომ პი-

ტიაში ნათესავი ფეროზისა „მთავრობდა თრიალეთს და ტაშირს“ (მარ. ვარ., 208). ეს ცნობა ლეონტის გაგებით მე-8 საუკუნის ხანას მიეკუთვნება, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ძველი დროის ამოძახილთან. მართლაც საინტერესოა, რომ კორიუნი მე-5 საუკ. პირველი ნახევრისთვის იხსენიებს ტაშირის მთავარს (*ჩქასან*) არშუშას (ტფ. გამ., 1913 წ., 30). ამ არშუშას მოაქვს ხორენელი, რომელიც ამ შემთხვევაში, როგორც სჩანს, კორიუნს ეყრდნობა, უწოდებს გუგარის პიტიაშს და ამბობს: „აქვე (გარდამანში) მიიღო (მესროპმა) წინადადება არშუშა გუგარის პიტიაშისაგან ამავე საქმისთვის (სარწმუნოების განსაწმედად) მის სამთავროში ტაშირის ხევში (*ყალ ქარ ქქასანიძეძის ქ დასაინ შაჯრაყ*. მოსე ხორ. ტფილ. გამ. 1913 წ., 340—341). აქედან ჩვენ ერთის მხრივ ვლტებულობთ დადასტურებას, რომ გუგარის და ქართლის პიტიაში ერთი და იგივე პირი იყო, მეორე მხრივ კი დევ, რომ ტაშირი საპიტიაშოში შედიოდა და გარდა ამისა ვტყობილობთ, რომ საპიტიაშო იწოდებოდა *ჩქასანიძეძის* და თვით პიტიაში *ჩქასან*. ეს სიტყვა (*ჩქასან*) სახარების პირველ თარგმანში (მაგ., მათ 2, აღიშ.) გადათარგმნილია სომხურიდან როგორც მთავარი. მაშასადამე მე-5 საუკუნეში პიტიაში იწოდებოდა მთავრად და მისი სამფლობელოც—სამთავროდ. პიტიაშს, როგორც სჩანს, ემორჩილებოდა რამოდენიმე ოლქი, ყოველს შემთხვევაში ტაშირი წოდებულია ოლქად (*დასაი*). ტაშირს როგორც ცალკე ოლქს იხსენიებს, როგორც ვნახეთ, ანონიმის მიერ დაცული აღწერილობაც.

ამგვარად, პიტიაში უფლების წარმოშობით და მდგომარეობით მამასახლისების წრეს ეკუთვნის, თუმცა თითქმის მათზე მალა დგას, ის იწოდება იმავე დროს მთავრად. ცხადია, მაშასადამე, რომ დანარჩენი მამასახლისებიც მთავრებად იწოდებოდნენ.

მთავრების მდგომარეობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთ ცნობას, რომელიც ფაუსტს აქვს დაცული. არშაკ მეფის (346—349 წ.) დროს მისი სიტყვით სომხეთს სხვათა შორის გადაუდგნენ „გუგარის პიტიაში, მის შემდეგ ძორის ოლქის უფალი, კოლბის ოლქის უფალი, გარდმანის ოლქის უფალი“. (*ჟიდჟარაყ რეხაჯანს, ს კხთ აიოა ღირაყ დაქაიჩნს თქრნ, ს ზიფრაყ დასაიჩნს თქრნ, ს რნჟ ნიოა ჟარჟმანაბიოი თქრნ*, ისტორია, ტფ. გამ., 242). გორის, კოლბის და გარდმანის ოლქები ცალკე არიან მოხსენებული ანონიმის მიერ დაცულ აღწერილობაშიც. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ დანარჩენ ოლქებსაც. აღწერილობაში ჩამოთვლილს, მე-4 საუკ. ყავდა თავისი *თქრ*. ეს სიტყვა (*თქრ*) სახარების ორი-სავე რედაქციის უძველეს ქართულ თარგმანში წარმოდგენილია ტერმინით უფადი. შეგვიძლია ამიტომ ვიფიქროთ, რომ ოლქების სათავე-

ში მდგომი მთავრები იმავე დროს უფალადაც იწოდებოდნენ. უფალი და ტერ-ი ერთმანეთს ფარავენ. პირველი არის წარმოებული სემიტურ სიტყვიდან ვაჟ, რაც წარმოადგენს ცალკე ტომების მფარველი ღმერთების წოდებულებას. მეორე სიტყვა შეიძლება იყოს შეკუმშული ფორმა *mh-skr*. პირველი ნახევარი ამ სიტყვისა უახლოვდება ინდო-ევროპიულ ძირს დი, რაც სხვადასხვა წარმოებით ღვთაებას აღნიშნავს, ხოლო მეორე ნახევარი ნიშნავს კაცს. ზეციერ ბატონის მცნება გადატანილ იქნა ქვეყნიურ ბატონზე, აქედან — ქართული უფალი და სომხური ტერ (შეად. ნ. აღონცის დასახ. შრ., 404).

იმავე ფაუსტს აქვს კიდევ ერთი საყურადღებო ადგილი. მუშელის ლაშქრობის შესახებ 350-იან წლებში იბერიის წინააღმდეგ ის გადმოგვცემს, რომ მან (მუშელმა) „ხმლით ამოწყვიტა ყველა აზნაურნი (*ყაყათი*) და დიდკაცთა გვარები (*ყაყღა ზახარაღანის*), რომელიც კი იპოვა. სპარაპეტ მუშელმა ბრძანება გასცა ფარნაეზიანნი ჯვართ ეცვათ ქართველთა ქვეყნის შუაგულში“ (ისტორ., ტფ. გამ., 314). აქ ცნობაში საინტერესოა აზნაურების და დიდკაცთა გვარების მოხსენება. სომხური *ყაყათ*, როგორც ზემოდ მოხსენებული იყო (გვ. 84), მე-5 საუკ. ქართულად ითარგმნებოდა როგორც აზნაური. ამასვე ვხედავთ სომხურიდან ნათარგმნ ძველ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში (ივ. ჯავახიშ., Русск. стр. др. Груз. и др. Арм., 59—60). რაც შეეხება ნახარა-ის ქართულ შესატყვისობას, მე-5 საუკ. პირველ ნახევარს, როგორც ვნახეთ (ზემოდ გვ. 81), ის ითარგმნებოდა — მდიდარი. ნ. აღონცის გამორკვეული აქვს (დასახ. შრ., 450 და სხ.), რომ ნახარაი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ რიგის ტერმინს, რომელიც შემდეგ არსებობდა პარალელურად საგვარო წყობილების ტერმინის ტერ-ისა. შესაძლებელია ამიტომ, რომ ფაუსტი ზემოდ მოყვანილ ციტატაში გულისხმობდა ნახარა-ის სახელით უფრო ადმინისტრაციულ თანამდებობის პირთ. რადგანაც საგვარო წყობილება თავის მძლავრ ბეჭედს ასვამდა მართველობის ფუნქციებსაც, ამიტომ ამ შემთხვევაშიც ფაუსტის გამოთქმას ქართლის „დიდკაცთა გვარების“ შესახებ, უნდა ჰქონდეს რეალური საფუძველი იმ მხრივ, რომ ადმინისტრაციული ფუნქციები წყობილების საერთო თვისებების მიხედვით მაინც ცალკე გვარების ჩარჩოებში თავსდებოდა.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ცალკე პროვინციებს სათავეში ედგნენ „პიტიაშხი და სხვა მამასახლისები“. უკანასკნელი ტერმინი, წმინდა საგვარო წყობილების წარმომავლობისა, ცხადად უჩვენებს, რომ თავდაპირველად „ხევებში“ ცხოვრება საგვარო წესზე იყო მოწყობილი და ცალკე ხევი ცალკე სახლს შეადგენდა. მე-4 საუკ. ეს მდგომარეობა უკვე დაცული არ იყო, რადგან ცალკე ხევების შეერთებით

უკვე კარგა ხანია დიდი ხევები შექმნილიყო, მაგ., სამცხე, აქარა, ჯავახეთი, ტაშირი და სხ.. მაგრამ ტერმინის მამასახლისის განსაზღვრული მნიშვნელობით არსებობა ცხადად ამტკიცებს ხევის, როგორც ერთეულის, საგვარო წყობილებაში წარმოშობას. შემდეგს დროებში მამასახლისის წოდება კიდევ უფრო ხელოვნური გახდა და მე-4 საუკ. ევსტათე მცხეთელის ც-ბაში იხსენიება უკვე „გრაგოლ ქართლისა მამასახლისი“. ქართლის მამასახლისი აქ უკვე თითქოს ადმინისტრაციულ წყობილების უმაღლეს ხელისუფლად სჩანს, თუმცა ეს არ გულისხმობს, რასაკვირველია, ქართლის მამასახლისობის ინსტიტუტის ამ დროს საგვარო წყობილების ნორმებიდან გამოსვლას. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ სახელმწიფოებრივ ცხოვრების განვითარებასთან ერთად ადმინისტრაციული მართვლობის ნორმების შექრა საგვარო წყობილებაში აუცილებელი იყო. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა, რომ ფაუსტი უკვე მე-4 საუკ. მეორე ნახევრისთვის ადასტურებს ქართლში „ნახარათა გვარებს“, ე. ი. ისეთ გვარებს, რომელნიც საგვარო წყობილების ფარგლებში ადმინისტრაციულ ხასიათის სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდნენ.

ხევების საგვარო წყობილებას საუცხოვოდ ამტკიცებს ქართლის უძველეს იერარქიის შესახები ცნობები. ეს ცნობები მხოლოდ 506 წლის ახლო ხანას ეხება, მაშასადამე საკმაოდ ნაგვიანე დროს, მაგრამ მათ განხილვას საგვარო წყობილების ნორმების გასარკვევად ხევების ორგანიზაციაში მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა. ყურადღებას იპყრობს აქ ის გარემოება, რომ იერარქიაში ამ დროს ცნობილი იყო ცალკე ეპისკოპოსი „სამეფო სახლისა“ (იხ ზემოდ 50—51 და *ჴიქრე მკ.* 182—183). სამეფო სახლი ამნაირად წარმოდგენილი იყო როგორც ერთი გვარი, რომელსაც თავისი ეპისკოპოსი ყავდა. საინტერესოა, რომ პიტიაშხსაც ყავდა თავისი სახლის ეპისკოპოსი. შუშ. ც-ბაში აფუტი ცურტაჴის ეპისკოპოსი მოხსენებულია როგორც „ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიაშხისაჲ“ (გვ. 3, 21). სახლი აქ რასაკვირველია იგულისხმება საგვარო მნიშვნელობით თუნდაც იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ვარსკენ პიტიაშხი ცეცხლთაყვანისმცემლობაში იყო გადასული და პირადად მას ეპისკოპოსი არ ესაქიროებოდა. ამ ორი მაგალითიდანაც ცხადია, რომ იერარქია პირველად ეწყობოდა სახლების მიხედვით, ხოლო სახლები კი თავის მხრივ ტერიტორიალურად წარმოადგენდნენ ხევებს. შედარება მე-4 საუკ. ნახევრის ოლქების სიისა 506 წლის საეპისკოპოსო კათედრების სიასთან ცხადყოფს ამას. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ ორს სიას განაშორებს ერთმანეთისაგან დიდი დრო—1½ საუკუნე, რომლის სიგრძეზე ხევების შეერთების ზემოდ აღნიშნულ პროცესის გამო ტერიტორიალური და-

ნაწილებაც ქართლისა შეიცვლებოდა. მაგრამ ამ გარემოების გათვალისწინებითაც ოლქებისა და საეპისკოპოსო კათედრების სიის შედარებით ჩვენ ვღებულობთ შემდეგ პარალელებს.

კლარჯეთი	ეპ. ახიზისა
არტაანი	ეპ. წყაროსთაველი
ჯავახეთი	ეპ. ყუმურდოელი
სამცხე	ეპ. მაწყევრელი
ღვანი	ეპ. მროველი
მანგლისის-ფორი	ეპ. მანგლელი
ქვეშის-ფორი	ეპ. დმანელი
ბოლნისის-ფორი	ეპ. ბოლნელი
პარუარი	ეპ. ტფილელი
ქსნისხევი	ეპ. სამთაველი
წოფო-ფორი	
კოლბო ფორი	ხუნანი ეპ. ხუნანისა
ძორო-ფორი	
თრიალეთი	
ტაშირი	ეპ. ცურტავეისა
	ეპ. კაწარელი
	ეპ. ნინოწმინდელი
კუხეთი	ეპ. რუსთველი
	ეპ. ბოდბელი

506 წლის ეპისკოპოსთა სიას უნდა გამოაკლდეს, მე-4 საუკუნის ნახევრის ქართლის ოლქების სახელებთან შედარებით, მაშინ ჯერ კიდევ ქართლის ფარგლებში არა-მყოფ ოლქების საეპისკოპოსო კათედრები. ასეთია ეპ. ბერათისა (ჩელეთისა), ქერემისა, ხორანისა და ტარსისა (უკანასკნელი — მისი ადგილსამყოფელის სახელის გაურკვეველობის გამო). მაშინ ჩვენ ვღებულობთ, კათალიკოზის და სამეფო სახლის ეპისკოპოსის გარდა, 18 ეპისკოპოსის კათედრას, რომელნიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ თანდათან იერარქიულად უნდა წარმოშობილიყვნენ საგვარო წყობილების ნიადაგზე ცალკე სახლების წიაღში და ტერიტორიალურად განსაზღვრულ ხეობების ფარგლებში.

მართლაც ეპისკოპოსთა რეზიდენციები გასაოცრად დაკავშირებულია განსაზღვრულ ოლქებთან. ასე, მაგ., პიტიაშხის სახლის ეპისკოპოსი დაკავშირებულია თრიალეთისა და ტაშირის ოლქებთან, ე. ი. საპიტიაშხოს სამფლობელოს მთავარ ნაწილთან. მანგლისის-ხევი — ეპ. მანგლელი, ქვეშის-ხევი — დმანელი, ბოლნისის-ხევი — ბოლნელი და სხ. ზოგიერთი ეპისკოპოსი აერთებს რამოდენივე ხევს. გარდა ცურტავეის ეპისკოპოსისა ამ მხრივ აღსანიშნავია ხუნანის ეპისკოპოსი, რომლის ტე-

რიტორია თითქოს სამი ხევის სივრცეზე უნდა იყოს საგულისხმებელი. თუ აქ რაიმე სხვა მიზეზი არ არის, შესაძლებელია ვიფიქროთ, თრიალეთის და ტაშირის ანალოგიით, რომ მე-5 საუკ.-ში ეს სამი ხევი (წოფისა, კოლბისა და ძორისა) გაერთიანდა ერთ ოლქად ერთი უფალის ქვეშ. სამაგიეროდ კუხეთში ჩვენ ვხედავთ უკვე 4 ეპისკოპოსს. ცხადია, მე-5 საუკუნეში აქ სახლების მფლობელობის მხრივ რაღაც ცვლილება მომხდარა. 506 წლ. ეპისკოპოსთა სიიდან თითქოს არ პოულობს გამართლებას ოლქების ძველი სიის მიხედვით ორი ეპისკოპოსი—სამთავროსა და წილკანისა. პირველის კათედრა დაკავშირებულია ქრისტიანობის პირველ ოფიციალურ ნაბიჯებთან მე-4 საუკუნეში, ხოლო მეორის კათედრის იურისდიქცია შესაძლებელია ჩრდილოეთის ხეევებზე (ცხრაზმა და მის მიმდგამ რაიონებზე) ვრცელდებოდა. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ქრისტიანობის იერარქიული ზრდა ქართლში დაკავშირებული იყო ქართლის ტერიტორიალურ დანაწილებასთან, რომელიც თავის მხრივ ისტორიულად შემოწმავებულ გვარობითი წყობილების ნორმებზე დაკერძოდ სახლების ინსტიტუტზე იყო დამყარებული.

ზემოდ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება გამოტანილ იქმანას დასკვნა, რომ ქართლის ხევებად ტერიტორიალური დანაწილება მე-4—ნ საუკუნეში გვაროვნობითი წყობილების ნორმებზე იყო წარმოშობილი და განვითარებული, რომ იერარქიული ზრდაც ეკლესიისა მე 4—ნ საუკუნეში ამ ტერიტორიალურ დანაწილებას ეფარებოდა. ხევის სა-თავეში იდგა უფალი, რომელიც მთავრადაც იწოდებოდა. ეს „უფლები“ იწოდებოდნენ იმავე დროს მამასახლისებად ან ამის ექვივალენტ ტერ-მინად, რომელი ტერმინიც ამ „უფლებობას“ უკავშირებდა საგვარო წყო-ბილებას. უფრო მნიშვნელოვან მთავართა და მამასახლისთა სახლს თან-დათან უჩნდებოდა თავისი „სახლის ეპიკოპოზიც“. „მამასახლისი“ ეს იყო ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ტერმინი ხევის „უფლისა“, ამას ამტკიცებს „მამ. და ნათ. ც-ბის“ ავტორის მოწმობა მამასახლისების შესახებ. მაგრამ ცალკე ოლქებში ხევის ბატონის ამ სახელს შეიძლება ჰქონოდა სხვა გამოხატულებაც. ეს იყო დამოკიდებული ამა თუ იმ ოლ-ქის ისტორიულ წარსულისაგან. საეკვოა, მაგალითად, რომ სამცხის უფლის წოდებულება მამასახლისი ყოფილიყო. ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს ერთი ასომთავრული წარწერა ქვაზე, რომელიც საქართ. მუ-ზეუმშია დაცული და ჩამოტანილია ოძრხეს დედათა მონასტრის ნანგ-რევებიდან, ეხლანდელ აბასთუმნის რაიონიდან. წარწერა, რომელიც და-ბეჭდილი ჰქონდა ე. თაყაიშვილს Археол. збск., II, 63—65, ორიგო-ნალთან შედარების შემდეგ იკითხება შემდეგნაირად: ქ---ჲ ვხნ აე მფლა--- ---დიდლი სთვთ---ბძნა ღთვ დცლა მფლა არშა ზტკსა და ნბთა დთა ქკოაერთს ქეზხს ცხსთაბ---მწოლ ვიჟაჲ და ამრთჲ ზტსნი ვი წა ღთს

მშესა სხლა სდცლდ ჩმთა და მმთა ჩმთა მეო ხსათს ე[ლთ]ა დრსა ამს სწორო[ს]ა სკნ დავად კეს ღცვა მესნ. წარწერაში ამგვარად მოხსენებულია მამფალი არშუშა პატრიკი და ქაეთარ ერისთავი, ქორეპისკოპოზი, ციხისთავი. წარწერა უნდა იყოს ძლიერ ძველი და ალბად უნდა წინაუსწრებდეს ბაგრატიონთა სახლის ბატონობის დამკვიდრებას ზემო-ქართლში და კერძოდ სამცხეში. შესაძლებელია ამიტომ წარწერა ეკუთვნოდეს მე-7 საუკ. ან მე-8 საუკ. პირველ ნახევარს. წარწერა საყურადღებოა იმით, რომ აქ წარმოდგენილია სამცხის უფალის ტიტული — მამფალი. რომელი ტიტულიც შემდეგ გვხვდება ჩვენ ზემო-ქართლის ბაგრატიონთა სახლში მე-9 — 10 საუკუნეში, როგორც ამას ამოწმებს სუმბატ დავითისძე და იმპერატორი კოსტანტინე ძოწჰოსილიცი. კერძოდ სუმბატ დავითისძის ცნობებიდან საგულისხმებელია, რომ მამფალად მე-9 საუკუნეში და მე-10 საუკ. პირველ ნახევარში იწოდებოდნენ ბაგრატიონის სახლის უმცროსი წევრები, როგორც სჩანს, ცალკე საწმულობელ ოს მქონნი, ასე რომ ამ დროს უკვე ფაქტი იყო ამ ტერმინის დეგრადაცია, რასაც შემდეგ მოყვა მისი სრული გაქრობა.

რომ ეს ტერმინი (მამფალი) ძლიერ ძველია, ამას ამოწმებს მისი პარალელური ფორმა დედობრივი სქესისა — დედოფალი. ეს სიტყვა მე-9 საუკ. აღნიშნადა არა მარტო მთავრის ცოლს — ვარსკენ პიტიაშხის ცოლი, მაგ., დედოფლად იწოდებოდა, — არამედ საერთოდ ქალბატონს. ის წარმოადგენდა საზოგადოდ დედობრივი სქესისთვის უფალის შესატყვისს (შეად., მაგ., მოციქ. მ₂₇, II იოან. 1₁, 1₅). ერისთავის დედა და მასადამე ცოლიც მე-9 საუკუნეშიც დედოფლად იწოდებოდა (წმ. ნიკაოს ც₂ა, ქელ. ვარ. Оиес. II, 729: „პეროჟავრი დ^რდფლი ქართლისა ერისთავისა დედაჲ იყო“). რადგანაც მამფალი დედოფალის პარალელური ტერმინია, ხოლო დედოფალი შემდეგ საერთოდ მიღებული და გავრცელებული წოდება იყო, ამიტომ შეიძლება ვითქვამოდ, რომ მამფალი, ქართულ საზოგადოებრიობის განვითარების საფეხურების თვალსაზრისით, უფრო ძველი და პრიმატული უნდა იყოს ვიდრე მამასახლისი, ე. ი. ქართულ საზოგადოებრიობის განვითარების პირველ საფეხურებზე დაწინაურებულ თემებში სწორედ ტერმინი მამფალი უნდა ყოფილიყო უმთავრესად გავრცელებული და არა მამასახლისი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მამფალი თითქმის ზემო-ქართლის კილოს და საზოგადოებრივ ცხოვრების წიაღში განსაკუთრებით ფეხმოკიდებულ ტერმინად სჩანს — სხვაგან ის არც იხსენიება, — ამიტომ ამ ტერმინის ისტორიულ როლის განხილვითაც ჩვენ ვპოულობთ ახალს დადასტურებას ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებისას, რომ ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი პირველი საფეხურები

სტრაბონის ზორძენე-ის ანუ ზემო-ქართლის ტერიტორიაზე არის საძებარი.

ფრიად საინტერესოა აგრეთვე კახეთის მთავრების ტერმინი—ქორიკოზი. მატიანის ბეჟედით ან საგანძურებით ცნობილ ვარიანტებში სიტყვა ქორიკოზი ყველგან დამახინჯებულია ქორეპისკოპოზად (მარ. ვარიანტში: ქორაპისკოპოზი). საბა თავისს ლექსიკონში სამართლიანად უჩვენებდა: „ქორეპისკოპოსი უმცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყენია: ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოსი ჰგონებია. ქორეპისკოპოსი უსამწყსო ეპისკოპოსს ბერძნულად ეწოდების და ქორიკოზი მეფის მონაცვალეს ჰქვიან“. ვახუშტი სამართლიანად უჩვენებს თავისს ისტორიაში ყველგან ქორიკოზს,—გტყობა მას მატიანის კარგი ხელნაწერები ჰქონდა ხელთ. მატიანე მხოლოდ მე-9 საუკუნიდან გადმოგვცემს ცნობებს კახეთის ქორიკოზების შესახებ. გრიგოლ „მთავარი კახეთისა“ აშოტ კურაპალატის თანამედროვე იყო. ამის შემდეგ მემატიანე გადმოგვცემს: „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორიკოზად (დედანში: ქორაპისკოპოზად) დაჰი ძე ივანე ქუაბულის ძისა და შექდგომად მისსა დასვეს ქორიკოზად საშოელ დონაური“. (მარ. ვარ., 220). სამოელის შემდეგ ქორიკოზად დამჯდარა ძმა მისი გაბრიელ (იქვე, 222—223). გაბრიელი უკვე იწოდება კახთა ქორიკოზად. „მოკუდა კახთა ქორიკოზი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორიკოზად ფადლაი არეჟმანელი“ (იქვე, 224), რომელმაც „დაიმორჩილნა გარდაბანელნი და შემდგომად მისსა დაჯდა კუირიკე ქორიკოზად“ (იქვე, 225). ამ ცნობებიდან ცხადია, რომ კახეთის მთავარნი იმავე დროს ქორიკოზებად იწოდებოდნენ. მათ ემორჩილებოდა მე-9 საუკუნეში გარდაბანი და მაშასადამე კუხეთიც. გარდაბანს საერთოდ თავისი ხაზი ჰქონდა და თავი დამოუკიდებლად ექირა. ყოველ შემთხვევისათვის მე-9 საუკუნეში გარდაბანელნი დაჩის გამთავრებით ცდილან უფლება თავისი კანდიდატისთვის მოეპოვებინათ. ზემოდ მოხსენებული კვირიკეს მოადგილე დავითი (ვახუშტით 976—1010 წ.) კიდევ იხსენიება ქორიკოზად (მარ. ვარ., 242) და მხოლოდ მისი შექდგომი დიდი კვირიკე III (ვახუშტით 1010—1029 წ. ჰერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ იწოდება მეფედ.

✓ ქორიკოზი ექვს გარეშეა ძალიან ძველი ტერმინი უნდა იყოს. ქორი, როგორც ზემოდ მოხსენებული იყო (გვ. 87), ნიშნავს ეხლაც სვანურში სახლს, ოჯახს. სიტყვის ქორიკოზი მეორე ნახევარი საკმაოდ კარგად წარმოდგენილია ეხლანდ ლს ხუნძურში, სადაც კოფზე ნიშნავს შემძლებელს—potens (Услар, Авар яз., 118, 252). ამავე ძირის შესატყვისი სიტყვა სვანურში—ხაჴ ნიშნავს დიდებულს, დიდს. ქორიკოზი მაშასადამე თავდაპირველად შესაძლებელია ნიშნავდა სახლის უფროსს

(დიდს) და თვით ტერმინი, საფიქრებელია, სიანურის ერთ-ერთ ძველ შესატყვის კილოს ნაშთი უნდა იყოს. სიტყვა კაზი გადასულა მეზობელ კილოებშიდაც და სემასიოლოგიური ცვლილებით (შემძლებელი) შენახულა აქამდის ხუნძურშიც. ქორიკაზი, მაშასადამე, არის იმავე საგვარო წყობილების ტერმინი, მაშვალის და მამასახლისის არა თუ მნიშვნელობით, არამედ სოციალური წარმოშობითაც—სრული ექვივალენტი.

ამგვარად ჯერჯერობით ჩვენ ვიცით სამი ტერმინი საგვარო წყობილებიდან სახლის უფროსის აღსანიშნავად: მამვალი, მამასახლისი და ქორიკაზი.

ტერმინების ეს ცვლებადობა ცხად ყოფს ჩვენთვის ამავე დროს სახლების ერთმანეთისაგან განსხვავებას უძველეს დროში კილოების შხრივ. ქართული ენის საბოლოოდ ჩამოყალიბების დასათარიღებლად ამ გარემოებას, ექვს გარეშეა, აქვს თავისი მნიშვნელობა. ცალკე სახლების კილოებზე ქართული ენის გამარჯვების და ერთ სახალხო ენად გარდაქცევის ხანა უნდა უკავშირდებოდეს საგვარო წყობილების რღვევის ეპოქას, რასაც მოყვა უფრო მაგარ სახლის კილოს მიერ პირველობის მოპოება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ცალკე კილოებისაგან შემადგენელ ელემენტების შეთვისებასა და შეჯვარდინებასთან ერთად.

ამ ტერმინების განხილვასთან ერთად შეიძლება მოხსენებულ იქმნას სამეგრელოს მფლობელების ძველი და ისტორიული ტიტული ღადია (ქართ. დადიანი). შესაძლებელია მას კავშირი ჰქონდეს ხუნძურში ეხლაც შენახულ სიტყვასთან ღადა—მამილა (Услар, Авар. яз., 70) და მაშინ ჩვენ მივიღებდით ფრიად საინტერესო ფაქტს ამ წოდებულების წარმოშობას აგრეთვე საგვარო წყობილების ნორმებზე და ამასთანავე დადასტურებას სამეგრელოს ტერიტორიაზე უძველეს ხანაში ერთ-ერთ ხუნძურ კილოს მონათესავე ენის არსებობისას თუ არა, ყოველს შემთხვევაში ამის შესატყვის კილოზე მოლაპარაკე მეწინავე სახლისას მაინც. გამოდგება თუ არა ეს ფაქტი აქად. ნ. მარჩის მიერ უკანასკნელ გამოთქმულ აზრის დასადასტურებლად, სახელდობრ რომ ტერმინი ღაზი უნდა უკავშირდებოდეს, ტერმინს ლაზგ-ს, მაშასადამე ლეკების სახელს (La seine, la Saône, Lutèce et les prem. hab. de la Gaule Etr. et Pélasgue, 15), აქედან სათანადო დასკვნების გამოტანით, ეს მომავლის საქმეა. ასეთი დაკავშირება ლაზის ტერმინისა ლეკების სახელთან, ლინგვისტურ დაკავშირების გულისხმობით, აუცილებელ საჭიროებას არც წარმოადგენს. ზემოდ უკვე ნაჩვენები იყო, რომ ისტორიულ კოლხიდის ტერიტორიაზე უძველეს ხანაში საგულისხმებელია სხვადასხვა წარმოშობის ტომები. თვით სახელი ოდიში, როგორც ვნახეთ, უნდა წარმომდგარი იყოს ერთ-ერთ რე-ის ჯგუფი ტომის სახელიდან. ადვილად შესაძლებელია, რომ თვით სიტყვა ღადია საგვარო წყობილების

ტერმინის სახით მეგრულმა ენამ შეითვისა ამავე დღე თუ დღის ხალხსაგან, რომლისაგან დარჩა თვით ოდიშის სახელი.

ცალკედ ყველა ზემოდ მოხსენებულ ტერმინებისაგან დგას ტერმინი პიტიაშხი, რომელიც უდრის სომხურს *բիթիա*. წარმოშობა ამ სიტყვისა ჯერ კარგად გამოკვეთილი არ არის. ქართულ ნიადაგზედაც ეს ტერმინი ძლიერ ძველად სჩანს. მოსე ხორენელი გუგარქის ძველ პიტიაშხთ გვარს სთვლის დარიუსის სატრაპის მირდატის შთამომავლად. მირდატი მისი ცნობით ქართველების მართველად დასვა ალექსანდრე მაკედონელმა (ისტ. II, 8, 11). არ შაკ მეფის დროს მე 4 საუკ. გუგარქის პიტიაშხი გადავიდა ქართლის მხარეზე. ბაკურ მირიან მეფის ძემ მისცა სპარსეთის მეფის სახლის შვილს ფეროზს „სამშვილდითგან მიღპართ ქუეყანაჲ თავადმდე აბოცისა“ (მარ. ვარ. 112). ფეროზის სახლის შვილები შეჰდევ იხსენიებიან პიტიაშხებად. მათი ხშირა საგვარეულო სახელი იყო არშუშა. პიტიაშხის, განსაზღვრულ ოლქის მემკვიდრეობით მმართველის, ტიტული არსებობდა მე-8 საუკ. მეორე ნახევრამდის. ეს სჩანს შემდეგი გარემოებიდან. სამშვილდის დიდს წარწერაში, რომელიც დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს (იქვე, 42) და რომელის წაკითხვა შესწორებული აქვს აკ. შანიძეს, მოხსენებული არიან „[ნა]თესავით პტშხნი“, როგორც ეკლესიის ამშენებელი. „წლა კ მფბჲ კოსტანტინესა დაიდ-ვა საძირკველი“... „გათავდა წლა გ ლეონ მეფა“. აკ. შანიძის წაკითხვით ამავე წარწერის პირველ სტრიქონს შემდეგ ამოჭრილი ყოფილა სომხური წარწერა: *ի ժամանակս ար. Կրդա Կ---կա* (sic). ვინ არის ეს გიორგი, ცნობილი არ არის. შესაძლებელია ის იყოს მე-8 საუკ. დასასრულის კათალიკოზი სომეხთა გიორგი, რომელიც კათალიკოსობდა 769 — 772 წლებში. წარწერაში მოხსენებული მეფეები კოსტანტინე და ლეონი, ჩემის აზრით, უნდა იყვნენ ბიზანტიის იმპერატორი კოსტანტინე V (740 — 775) და ლეონ VI (776 — 780). ამისდა მიხედვით სამშვილდის ეკლესიის აშენება დაწყებულია (740 + 20 =) 760 წელს და დამთავრებულია 778 წ.. ამშენებელთა მოხსენება როგორც „ნათესავით პიტიაშხნი“, ე. ი. მრავლობითი რიცხვით შესაძლებელია ნიშნავდეს იმას, რომ ამ დროს პიტიაშხთა უფლებას მემკვიდრეობითი მართებლობითი ფუნქციები თითქოს არ უნდა ჰქონოდა და პიტიაშხის ზარისხი გადაქცეულიყო მხოლოდ საგვაროვნო წოდებულებად. აღსანიშნავია, რომ ლეონტი მროველს ახსოვს არჩილ მეფის დროს მე-720 წლებში პიტიაშხი, ნათესავი ფეროზისა, „რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“ (ქ. ცხ. I, 179). ამ პიტიაშხს მიათხოვა არჩილ მეფემ ერთი ძმისწულთაგანი. პიტიაშხი იწოდებოდა ქართლის პიტიაშხად (ეესტ. მცხ. 3-ბა).

აღსანიშნავია, რომ როგორც ცალკე სამთავრო სახლები (მამასახლისთა, მამფალთა, პიტიაშხისა, ქორიკოზისა), ისე თვით სამეფო ანუ

შემდეგდროინდელი გამოთქმით სამეფო სახლი აგრეთვე საგვარო წყობილების ნიადაგზე იყო განვითარებული. კრებული სამეფო გვარის წევრთა აგრეთვე იწოდებოდა სამეფო სახლად. კონკრეტულად ასე არის სამეფო დინასტია მოხსენებული 506 წლის საივარჩიო სიაში— „პალგენ ეპისკოპოსი სამეფო სახლისა“ (*Ἡσυχαστοὶ τοῦ βασιλείου οὐκ ἔστιν*). ამ მხრივ სამეფო სახლი წარმოადგენდა სრულს პარალელს სხვა სამთავრო სახლებისას.

სამეფო სახლის უმცროსი წევრები, როგორც მოსე ხორენელის ცნობიდან სჩანს, სეფეწულებად იწოდებოდნენ. ისინი ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ მათგან ცალკე რაზმები დგებოდა. რომ მართლაც სამეფო სახლის წევრები სეფეწულებად იწოდებოდნენ, ეს ცხადად სჩანს წმ. ნინოს მე-9 საუკ. რედაქციის ცხოვრებიდან. სალომე უჯარმელის დაი, თრდატ მეფის ასული, სეფექალად იხსენიება (Опис. II, 756, მარ. ვარ., 74). აღსანიშნავია, რომ სალომე უჯარმელი, თრდატ მეფის ასული, დედოფლად იხსენიება (მარ. ვარ., 55). ნინოს ც-ბაში (თავი სიდონიას თქმული) მოხსენებულია კიდევ სეფეწული (Опис. II, 781, შეად. მარ. ვარ., 96). სალომე უჯარმელის წოდებულობიდან საგულისხმებელია, რომ სეფექალნი საერთოდ დედოფლადაც იწოდებოდნენ.

მე-4—6 საუკუნეში სეფეწული უკვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა. ჯუანშერი ბივრიტიანს უწოდებს სეფეწულს (ქ. ცხ. I, 119). ბივრიტიანი, ცხადია, არის ბივრიტ ბაგრატიუნის შთამომავალი. ხოლო „ბივრატ ბაგრატიუნი“ მოხსენებული ყავს მოსე ხორენელს (II, 36). მეორე ადგილას ჯუანშერი იხსენიებს „პიტიაშხა ბივრიტიანთა“ (იქვე, 122), ხოლო დასახელებულს ბივრიტიანს სთვლის „წარჩინებულად“ და „ოძრკის ერისთავად“ (იქვე, 137). მაშასადამე, შემდეგს დროებში ერისთავიც სეფეწულად იწოდებოდა. ამას ადასტურებს ევსტ. მცხეთელის ცხოვრება, სადაც მოხსენებული არიან ერთად გაგებით „მთავარი ქართლისანი, გრიგოლ ქართლისა მამასახლისი. არშუშა ქართლისა პიტიაშხი და სხუანი სეფეწულნი“. ამგვარად სეფეწული შემდეგ დროებში საზოგადოდ მთავართა სახლის წევრებსაც ეწოდებოდა. ამის მიხედვით შეიძლება მივიღოთ, რომ პირვანდელი მნიშვნელობა სეფეწულისა, როგორც სამეფო სახლის წევრის აღმნიშვნელისა, თანდათან განვრცომილა ალბად იმის ზედგავლენით, რომ სამეფო სახლის შტოები დროთა ვითარებაში უკვე საგვარო წყობილების დაშლის და სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესთან ერთად ცალკე ტერიტორიალურ ერთეულების მეთაურად ბდებოდნენ.

სეფეწულთა თანასწორი თავში უნდა ყოფილიყვნენ აზნაურნიც, რომელნიც, როგორც ზემოდ ნაჩვენები იყო, თავდაპირველად აზნის ანუ მეწინავე და სამეფო სახლის წევრებად სჩანან. აზნაური ეს იგივე

უფალია, თავისი ტიტულატურით მაშასადამე თანასწორი უმაღლეს სოციალურ საფეხურის პირებთან. სახარების პირველ თარგმანში (მე-5 საუკ. დასაწყ.) აზნაური, გვაროვანის (*აզნოილასკანს*) მნიშვნელობით მოხსენებული, იწოდება „უფლად“ *αὐτῷ* (ლუკ. 19₁₂—20). მე-5 საუკ. მეორე ნახევარში (შუშ. ცხა) უკვე განირჩევა დიდ-აზნაური და აზნაური. დიდ-აზნაურთა ცოლები ზეპურ-დედანი არიან. უკანასკნელი გარემოება ცხადად აკავშირებს უძველეს დროის აზნაურს და მე-5 საუკუნის დიდ-აზნაურს ტერმინ სეფეწულთან: ზეპური=სეფე-ური, წარმოებულია სუფიქსით ურ (როგორც აზნა-ური, სახ-ური) და როგორც ეტიმოლოგიურად, ისე მნიშვნელობით წარმოადგენს სრულს ექვია-ლენტს სეფეწული-სას (ზეპ-ური=სეფის-შვილი=სეფეწული).

მაგრამ მე-5 საუკ. აზნაური, როგორც ზემოდ მოხსენებული იყო, ნიშნავს თავისუფალსაც. ტერმინი აზნაური ამგვარად დროთა ვითარებაში, სახელდობრ საგვარო წყობილების დაშლის პროცესში, უკვე ფართო მნიშვნელობის ტერმინად გარდაქცეულა, მხოლოდ უფრო განვრცობითი სახით, ვიდრე ამას სეფეწულის მაგალითზე ვხედავთ. სეფეწული შემდეგს დროებში მე-5—7 საუკ. და შესაძლებელია მე-8—9 საუკუნეშიც იხმარებოდა მთავართა სახლის წევრების აღსანიშნავად, აზნაურს კი მიეცა უფრო ფართო მნიშვნელობა, — უკვე მე-5 საუკუნეში — საერთოდ თავისუფალთა აღსანიშნავად. უკანასკნელი გარემოება ცხად ჰყოფს ჩვენთვის სოციალურ წყობილების თანდათანობით განვითარებას ქართლში. სტრაბონის დროს, როგორც ვნახეთ, დადასტურებულია სამეფუფო სახლი — აზნი, რომლის წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე ყოველს შემთხვევაში მაღალი ქორუმნი. ამას მიუბოძნენ თავისუფალნი მკვიდრნი, რომელნიც ცალკე სახლებად ცხოვრობდნენ. სამეფუფო სახლს — აზნს ემორჩილებოდნენ მონა-მსახურნი, რომელნიც ჯერ კიდევ, საგულისხმებელია, კოლონების მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ. საფიქრებელია, თავისუფალ მკვიდრთა სახლებშიდაც იყო უკვე ამ დროს ერთგვარი დიფერენციაცია მომხდარი. მე-5 საუკუნეში მსახური უკვე იხმარება მოსამსახურის მნიშვნელობით. მაგ., მათ. 26₅₈ (ადიშ.) მსახური უღრის სომხურს *սպասար* (მოსამსახურე). სხვაგან კიდევ I კორ. 4₁ მსახური უღრის სომხ. *սպասինხայ* (სამსახურში მყოფი). ასეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სიტყვა ნახმარი შუშ. ცხაშიც (გვ. 2, 7, 8), განსაკუთრებით ერთს აღვიღას: „მოვიდა მგელი იგი (ვარსქენი) ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თვსთა“ (გვ. 7). მსახური როგორც ტერმინი ამით თვალსაჩინოდ განსხვავდება ტერმინისაგან მონა, რომელიც მეხუთე საუკუნეში გარკვევით უღრის სომხ. *ծառայ* (სახარება). სომხეთში სომხურ წყაროების ცნობების მიხედვით მთავრები, ნახარარები და ტანუტერები მეფის მონებად (*ծառայք*)

ითვლებოდნენ. მათს დამოკიდებულებას მონობა (*ბაიასილქისი*) ერქვა. მეფე იყო მათი უფალი — *მეტი* (ნ. აღონცი, დასახ. შკ., 459). ამ მხრივ მონობა როგორც სომხეთში, ისე ქართლშიც იყო იგივე რაც დასავლ. ევრ. *servitium*, ანუ ვასალის თავისი ბატონისადმი განსაზღვრულ დამოკიდებულების გამომსახველი მცნება და ისიც ფართო გაგებით: მეფე იყო უფალი, დანარჩენები მისი მონები; მთავრებიც და აზნაურნიც, როგორც ვნახეთ, იწოდებოდნენ სოციალურად მათ ქვევით მყოფ ჯგუფების მიმართ უფლებად. მონობა, მაშასადამე, ეს იყო სოციალურ ურთიერთობის პერმანენტული მცნება, რომელიც მე-5 საუკუნისთვის ქართლში უკვე უკვე მკვიდრად ფეხმოკიდებული იყო. ზემოდ ნათქვამის მიხედვით მსახური, როგორც სოციალური ტერმინი, მე-5 საუკუნეში იქნებოდა მთავართა და აზნაურთა შემდგომ ჯგუფების გამომხატველი სიტყვა, რომელიც განსხვავდებოდა მონისაგან და მასზე უფრო მაღლადაც იდგა. მსახური იყო უმთავრესად უფალის პირად სამსახურზე მყოფი პირი და როგორც ასეთი ია რასაკვირველია თავისი მდგომარეობით (ონებ ან შედარებით უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არსებითად კი მონა მე-5 საუკუნეშიც, როგორც სომხ. *ბაიასი*-ს შესატყვისი, იგივე მოსამსახურეს აღნიშნავდა. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ სტრაბონის დროს ჩვენ ვხედავთ ერთიან ზნა-მსახურთა კლასს, ორი ტერმინის, — სპარსულის და ქართულის, მატარებელს. მე-5 საუკუნისთვის უკვე ამ კლასში ერთგვარი დიფერენცია-ცია შესრულებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე ქართული ტერმინი (მსახური) გამხდარა ამ კლასის უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფების დამახასიათებელ ტერმინად, მაშინ როდესაც სპარსული სახელი (მონა) იხმარებოდა დანარჩენების აღსანიშნავად.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ თანდათან პატრიარქალურ წყობილების ნორმების ადგილს იკერდა ახალი სოციალური პირობები, რომელთაც შედეგად უნდა მოყოლოდა ქართლში ცხოვრების ფეოდალიზაციის განვითარება.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ახალს სოციალურ პირობებში თანდათან საყოველთაო გავრცელებას პოულობდა ტერმინი გლეხი განსაზღვრულ სოციალურ წოდების აღსანიშნავად. უძველესი მოხსენება სიტყვა გლეხისა ჩვენ გვაქვს ჯუანშერის თხზულებაში (მე-8 საუკ. მეორე ნახ.): „მიერთგან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებევრენი სპარსთანი“ (ქ. ცხ. I, 138). ჯუანშერის შემეცნებით ამგვარად გლეხი და მებევრე ერთი და იგივე უნდა იყოს. მებევრე, ცხადია, არის ბევრის გარდამხდელი, ხოლო ბევრად, რომელიც იხსენიება სომხურშიდაც *բեկար*) პარკელად დენის 641 წლ. საეკლ. კრების დადგენილებაში, წარმოებულია სპარსული სიტყვიდან *بیکار*, რაც

ნიშნავს მუშაობაზე წასვლას (ნ. აღონცი, დასახ. შრ., 484). ეს გარემოება ჩამოდენადმე ხსნის გლეხის, როგორც სოციალურ ტერმინის წარმოშობას. თავის თავად გლეხი იგივე წარმოების სიტყვაა როგორც გლახაკი, მხოლოდ სვანური აზმოდანებით (ე). გლახაკი მე-ნ საუკუნეშიც სახარების ტექსტის მიხედვით იხმარებოდა ქართულში ლატაკის, უბადრუკის მნიშვნელობით. გლახაკი და გლახა უნდა წარმოებული იყოს კოლხების ეთნიურ ტერმინისაგან, როგორც ამას უჩვენებს აკად. ნ. მარრიც (Нарты. Арх., Карт., 34). ამავე წარმოების არის სიტყვა გლეხიგ. აღსანიშნავია, რომ სიტყვა გლეხი არ იცის მეგრულში ენამ, თუმცა მასში არის სიტყვა გლახა შესაძლებელია ქართულიდან სესხების გზით გადატანილი. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტერმინის კოლხის დეკრადაცია სემასიურად გლახას სახით შეიძლება მომხდარიყო ქართულ ნიადაგზე კოლხების მნიშვნელობის დაცემის შემდეგ, შესაძლებელია 1—2 საუკუნეში ქრ. შ., ხოლო სიტყვა გლეხი კი წარმომდგარიყოს სვანიზმით გაპოხიერებულ ნიადაგზე ქართული ენის გავრცელებისას. შესაძლებელია ამიტომ, რომ ტერმინის გლეხის სოციალური მნიშვნელობით ჩამოყალიბება მომხდარიყო დაახლოებით მარგვისის ტერიტორიაზე ან ქმის მეზობელ მხარეებში დაწყებული მე-ნ საუკუნიდან ქრ. შ.. ვინაიდან გლეხი ჯერად შერის შემეცნებით დაკავშინებულია მებეგრესთან, ამიტომ შეიძლება ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ თავდაპირველადვე გლეხი სვანიზმით გაპოხიერებულ ქართულ ერთ კილოს ნიადაგზე უნდა გაგებული ყოფილიყო სხვა კილოებში სპარსულიდან ნასესხებ ტერმინის. შანას შესატყვისობის მნიშვნელობით.

პატრიარქალურ წყობილების დასუსტება და დაშლა გულისხმობდა აპასთანვე სახელმწიფოებრივ ცხოვრების განვითარებას. ქართლის უძველეს დროის სახელმწიფოებრივ წყობილების დასახასიათებლად ფრიად საინტერესოა ის ცნობა, რომელიც დაცული აქვს „ფარნავაზის ცხოვრების“ ავტორს. ფარნავაზმა, მისი სიტყვით, „განამრავლნა ყოველნი მკედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“. ერისთავებს ებარათ მთელი პროვინციები, მარგვისის ერისთავს, მაგ., ემორჩილებოდა ქვეყანა „ზემოთ“ ლიხის მთამდის, კახეთის ერისთავს — „არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე“ და სხ.. სპასპეტს კიდევ მან „მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარავანამდე, რომელ არს შიდა-ქარაღი. და ესე სპასპეტი ყოველადვე წინაშე მეფისა მთავრობდის, განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე აღგილთა და აღგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებული სამეფოსა სპარსთასა“. ამ ცნობიდან ცხადია, რომ ერისთავი იყო თავდაპირველად მხედრობის

უფროსი, თანამდებობაც მაშასადამე იყო სამხედრო ხასიათის. თუმცა ერთი მე-ნ საუკ. ნიშნავდა უკვე ხალხს (სახარება, მათ. 4₁₆, 9₃₃, 12₄₈, ლუკ. 23_{11,32}, 8₄, 20₁ და სხ.), მაგრამ მე-ნ საუკუნეშივე მხედართმთავარი იწოდებოდა ერისმთავრად და ერისთავად (მოც. 16_{20—38}, 28₁₈). ცხადია, რომ ერისმთავარი და ერისთავი ძლიერ ძველი და ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილი ტერმინი უნდა იყოს ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ერთი ნიშნავდა სპეციალურად შეიარაღებულ ხალხს, ჯარს. ერისთავების უფროსი სპასპეტი უკვე წმინდა სპარსულ სახელის მატარებელი იყო. ძველს სპარსეთშიც სპაჰბედი ყველა სამხედრო ძალების უფროსად ითვლებოდა. ხოსრო I-მდის, ტაბარის სიტყვით, სპარსეთში იყო ერთი სპასპეტი. ამ მხრივ, მაშასადამე, თანახმად ფარნავაზის ც-ბის ავტორისა, ძველი ქართლის და სპარსეთის წყობილების შორის ვაოულობთ სრულს ანალოგიას.

ერისთავების ხელთქცევით იყვნენ სპასალარნი და ათასისთავები. სპასალარი—სპარსული ტერმინი (ჯარის თავი),—სამხედრო წყობილებასთან არის დაკავშირებული. სულ სხვაა ათასისთავი, რომელიც, ცხადია, უდრის სპარსულს და სომხურს ჰაზარაბედ, ჰაზარაპეტ და ამ ტერმინების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. უკვე გამოკვეთილია, რომ ჰაზარაბედი სამოქალაქო მართველობის სათავეში მდგომი პირი იყო. სასანიდების დროის სპარსეთის ჰაზარაბედს მიჰრ-ნერსეს ტაბარი ამ წოდებულობის გარდა ეძახის ბუზურგ-ჭრამადარ-ს, რაც მისივე თარგმანით დიდს ვეზირს ნიშნავდა. სომხეთში ჰაზარაპეტობა საკმაოდ გარკვევით ხასიათდება. ფაუსტი ჰაზარაპეტობას ახასიათებს როგორც *აქსარასთხა ქნსამაქაილქჩან* (ქვეყნის ზედა-მზრუნველობა), რომელიც ვრცელდებოდა სოფლის მოსახლეობაზე (*ქხჩასილქჩან*). ჰაზარაპეტის თანამდებობის მქონე გუნის გვარი შინაკანაშენ-ად იწოდება, ე. ი. აქაც ჰაზარაპეტობა მიწის მომუშავე მოსახლეობასთან არის დაკავშირებული (ნ. აღონცი, დასახ. შრ., 445—44). ჰაზარაპეტობა ამ გვარად დაპირდაპირებული იყო სპასპეტობასთან. სპასპეტობა ეხებოდა მართველობის სამხედრო დარგს, ჰაზარაპეტობა კიდევ—სამოქალაქოს.

ანალოგიურ მდგომარეობას ვხედავთ ძველს ქართლშიაც, მხოლოდ ერთგვარი თავისებურობით. ერისთავებს ემორჩილებოდნენ სპასალარები და ათასისთავები. პირველნი სამხედრო ძალების უფროსები იყვნენ, ხოლო მეორენი კი სამოქალაქო მართველობის მოხელენი. „მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო“ (ფარნ. ც-ბა). აღსანიშნავია, რომ სახარებაში (მარკ. 6₂₁ აღიშ.) ათასისთავი უდრის ბერძნულს *οικονομος* (მართველი, ხაზინადარი). ჯუანშერი ვახტანგ გორგასალის შესახებ თხრობაში ათასისთავებს ერისთავების შემდგომად იხსენიებს. „განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მა-

ლალთა. ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა და ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერთი წარმოადგესზე“ (ქ. ცხ. I, 113).

ამგვარად სახელმწიფოებრივ წყობილების ცალკე ფაქტებშიდაც, ისე როგორც საგვარო ცხოვრების საერთო მომართვასა და სარწმუნოებრივ ცხოვრებაში (ცეცხლთაყვანისმცემლობა), ძველი ქართლი თავისი განვითარების მთავარი ხაზებით დამოკიდებული იყო სპარსეთისაგან. საინტერესოა მხოლოდ აღინიშნოს, როდის უნდა დაწყებულიყო სახელმწიფოებრივ ცხოვრების ახალ პირობებთან შეთანხმებან ერისთავების და ათასისთავების ინსტიტუტის შექმნით. (ნოზილია, რომ სტრაბონის დროს მხედართმთავრობა იბერიაში ეკუთვნოდა მეფუის შემდეგ პირველს პირს, რომელიც იმავე დროს უზენაეს მოსამართლედაც იყო. შესაძლებელია ეგრედწოდებული ორმეფობა სწორედ ამ მდგომარეობის შემდეგდროინდელი ლიტერატურული გამოხატულება იყოს. (შეად. ს. გორგაძე, წერ. საქართვ. ისტორ., ძველი საქართ. I, 59 — 61). ამის დადასტურებას ჩვენ ვპოულობთ მარიანეშიც. სახელდობრ ამასაჰ და დეროკის შემდეგ მეფეებად დაჯდნენ „არმაზს ფარსმან ქუელი და შიდა-ქალაქს პირდატ“ (ქ. ცხ. I, 51; მარ., 36). პირდატის სპარსეთს აქცევს შემდეგ შიდაქალაქს დაჯდა სპასპეტი ფარნავაზ. „იყო მაშინ სპასპეტი ფარსმან ქუელისა, ეგრეთვე ქუელი და გოლიათი, სახელით ფარნავაზ. ესე ფარნავაზ ძუძუხმტე იყო ფარსმანისი, სარწმუნო, ერთგული და მისანდობელი. იგი დაადგინა შიდა-ქალაქსა ადგილსა პირდატისასა და ყოვლადვე იყვის ფარნავაზ სპასპეტი ქართლსა შინა“ (ქ. ცხ. I, 52; მარ. ვარ., 37). ამის შემდეგ ორმეფობის მაგივრად ქართლში მყარდება ერთმეფობა და სპასპეტი იქერს წინანდელ მეორე მეფის ადგილს. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სპასპეტი წარმოადგენს სტრაბონის დროინდელ მეფის მეორე პირის როლის განვითარებას. რადგანაც მხედართმთავარი მე-5 საუკუნეშიც, როგორც ვნახეთ, ერისმთავრად და ერისთავად იწოდებოდა, შესაძლებელია ამიტომ, რომ იბერიაშიც მეფის მეორე პირი არა იმდენად თავისი მდგომარეობით, რამდენადაც თავისი ფუნქციებით ერისმთავრად და ერისთავად იწოდებოდა. ასეთივე ერისთავები იქნებოდნენ მაშინ ცალკე სახლების უფლებიც მხედართმთავრულ ფუნქციების შესრულების დროს. ამნაირად ფარსმან ქველის დროს, როგორც ვხედავთ, საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებრიობის ახალს ნორმებს. ჩნდება თანამდებობა სპასპეტისა და ამავე დროს ალბად მოხდა ქვეყნის ადმინისტრაციულად დანაწილება საერისთავოებად. ეს ერისთავები იყვნენ დანიშნული პირნი და, როგორც სჩანს, საკმაოდ ფართო ფუნქციებით, უმთავრესად სამხედრო, მაგრამ აგრეთვე სამოქალაქო ვალდებულებათა დაკისრებით.

ყოველს შემთხვევაში ასეთი დასკვნა შეიძლება გამოტანილ იქმნას ფარნავაზის ც-ბის ავტორის ცნობებიდან.

რომ მარალაც ფარსმან ქველის ხანა ქართულ სახელმწიფოებრიობის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ამას უჩვენებს ის გარემოებაც, რომ სწორედ ფარსმანის შემდეგ მყარდება ნაცვლად წინაჲ მეფობის უზუცესზე გვარში გადასვლისა ახალი წესი მეფობის მექვიდრობისა მამიდან შეილზე (იხ. ზემოდ თავი I). ამ მნიშვნელობის მაჩვენებელი უნდა იყოს აგრეთვე ფარსმანის სახელის დიდი პოპულიარობა შემდეგ თაობებში. ამას ამტკიცებს ერთი რომ მისი ეპიტეტი — ქველი და გარდა ამისა მეჰატიანეს მიერ ხალხურ ებოსის ზედგავლენით ჩაწერილი ცნობა ფარსმანის სიკვდილის გლოვის შესახებ. „იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართველთასა წარჩინებულთაჲს ვადრე გლახათადმდე. იტყებდეს თავთა მათთა ყოველნი და ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, შეკრბიან ყოველნი და აკსენებდიან სიმკნესა და სიქუელესა, სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა და იტყოდინ: ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგუძინა სევმან ბოროტმან“ და სხ. (ქ. ცხ. I, 53).

ქართლის აღმანისტრატურულად დაყოფა საერისთაოებად იყო ერთი მძლავრი გამოხატულება პატრიარქალურ წყობილების დაშლის პროცესისა და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ახალს გეზზე მომართვისა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ფარნავაზის ც-ბის ავტორი უძველეს დროიდანვე გულისხმობს რვა ერისთავს და სპასპეტს. თავისთავად იგულისხმება, რომ საერისთაოების ჩამოყალიბება ისე, როგორც ეს ფარნავაზის ც-ბაშია წარმოდგენილი, შემდეგ დროებს მიეკუთვნება, მე-4 საუკ. მეორე ნახევარსა და მე-5 საუკუნეს. კახეთის ერისთავი, მაგ., შეიძლება მხოლოდ მე-4 საუკ. ნახევრიდან გაჩენილიყო, რადგან მანამდის კახეთი ქართლში არ შედოდა. უნდა აღინიშნოს ამასთანავე, რომ ფარნავაზის ც-ბა „ქართლს და ეგრეს“ ფაქტიურად ერთ სამეფოდ გულისხმობს. შესაძლებელია აქ ჩვენ გვქონდეს არა მარტო ხელოვნური, ლიტერატურული გამოხატულება ქართველ-მეგრელთა ტომობრივ ერთობისა, არამედ იმავე დროს მონაგონარი განსაზოვრულ ხანის პოლიტიკურ მდგომარეობისაც. შესაძლებელია, მარგალებს გადაჯგუფებისას სამცხიდან ლიხთ-იმერეთის ტერიტორიაზე და ამ გადაჯგუფების შედეგად ჩიონის აუზის ქვეყნებში დამყარდა ქართლის პოლიტიკური პრაორიტეტიც 1 საუკ. მეორე ნახევრისა და მეორე საუკუნის სიგრძეზე და ქართლის ამ პოლიტიკურ უპირატესობის მონაგონარს, რომელსაც შემდეგ დაემატა ქართული ენის კულტურული როლი ზოგად-ქართველ ტომების ცხოვრებაში, უნდა წარმოადგენდეს პარველად „ფარნავაზის

ცხოვრების“ ავტორის მიერ და შემდეგ „მეფეთა ცხოვრების“ შემდგენლის მიერ განვითარებული პერსპექტივა ზოგად-ქართველ ტომების საერთო გზების შესახებ საისტორიო მოქმედების ასპარეზზედ.

ყველაფერი ზემოდ მოხსენებული საშუალებას იძლევა ზოგიერთ, ზემოდ უკვე აღგილ-აღგილ ჩამოყალიბებულ დასკვნების განსავითარებლათ.

ზოგად-ქართველ ტომების უძველესი საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდებოდა საგვარო წყობილების ნორმების მიხედვით. ზოგად-ქართველ ტომების განვითარების ერთ-ერთი საინტერესო ფორმაციათაგანია ისტორიულ სამცხე-აბთაჲ-შავშეთის ტერიტორიაზე არის საძებარი, რომლის ფარგლებში ან ახლო რაიონებში ეროვნულ-კულტურულ ცხოვრების გაჩაღების უწინარეს ახლო-ხანებში საფიქრებელია ყოფილიყო შენასკვი ქართველ და მეგრელ ტომებისა. უკვე ისტორიულ ხანაში, 2—1 საუკუნეში ქრ. წ., ეს ქვეყანა ატარებდა ქართლის სახელს (სტრაბონის ხორძენე). ეს სახელი (ქართლი) იყო ალბად გამომხატველი ქართველთ სახლების პოლიტიკურ პრიმატობისა ამ ტერიტორიაზე, რომელიც საზოგადოდ, საფიქრებელია, სხვადასხვა ლინგვისტურ თვისებათა მატარებელ სახლებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. თვით „ქართველი“ სახელის მატარებელ სახლების ეთნიური და ლინგვისტური ვითარება შესაძლებელია არც თუ ერთნაირი ყოფილიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ მეცნიერებაში ჯერ კიდევ არსებული აზრით, რომლის გამომხატველია აკად. ნ. მარჩი, სახელი ქართველი წარმოებული უნდა იყოს ტერმინიდან ხადდი. ეს ტერმინი, ქართველებისთვის უცხო. შეთვისებული უნდა ჰქონდეთ ქართველებს მათში შერეულ ხალხისაგან. ამ, ქართველებთან შერეულ ხალხის ხადდის ხალხური ღვთაება იყო ამავე სახელის (ხადდი) მატარებელი (Н. Марр, Надпись Сардура II). უკანასკნელი გარემოება მტკიცდება, გარდა თვით ნ. მარჩის მიერ მოყვანილ საბუთებისა, სხვათა შორის, „მამ. და ნათ. ც-ბის“ ავტორის მოწმობით, რომელიც გადმოგვცემს, რომ „უფროსი საფიქარი (ქართლოსიანთა) იყო საფლავი ქართლოსისა“ (ქ. ცხ. I, 21), ხოლო ქართლოსის საფლავი იყო „თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი“ (იქვე, 19). ამნაირად ქართველები თავისი სახელით არიან ისტორიული მემკვიდრენი ხალდების ცნობილ ვანის სამეფოსი. ხალდების პოლიტიკურ ბატონობის დადასტურებას ჩრდილოეთის მიმართულებით ვპოულობთ როგორც რუსა I-ის მიერ დატოვებულ კილან-კირლაპის წარწერაში, ისე აგრეთვე სარდურ II-ის წარწერაში, რომელიც დაშ-კერპში, ჩალდირის ტბის ნაპირზე არის ნაპოვნი. პატრიარქალურ წყობილების დროს ცალკე სახლების გადაჯგუფება და მათი შეჯგუფდინება არა თუ ხელს უწყობდა ახალ სოციალურ პირო-

ბების განვითარებას, არამედ იმავე დროს შესაძლებლად ხდიდა ლინგვისტურ ფენათა თანდათან ცვალებადობას განსაზღვრულ ტერიტორიის ფარგლებში. უმთავრესი იმედები ამ საკითხების გარდაწყვეტისა ლინგვისტურ ძიებებზე და განსაკუთრებით იათეტურ ენათ-მეცნიერების განვითარებაზე უნდა დავამყაროთ. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ამ გარემოებას—პატრიარქალურ წყობილების დროს ცალკე სახლების ლინგვისტურ და ტომობრივ თავისებურებათა ფაქტს—უნდა ჰქონოდა გარდამწყვეტი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესშიდაც. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ უძველესი ქართული საისტორიო წყარო: შესაძლებელია ქრისტიანობის წელთ-აღრაცხვის დაწყების დროიდან მომდინარე, უჩვენებს აზოს მიერ მცხეთის ქვეყანაში 8 და 10 სახლის მოყვანას. „წარმოიყვანა (ქართლიდან) რვა სახლი და ათნი სახლნი მამამძღვთანნი და დაჯდა ძუელ მცხეთას“ (Опс. II, 709). რა' ნიშნავს ცალკე მოხსენება რვა სახლისა და ათი სახლის, ძნელი სათქმელია. საყურადღებოა მაინც, რომ 500 წლის ახლო ხანებში ამ უძველეს წყაროს შინაარსის მომთხრობელი ამ აღვიღოს გადმოგვცემს შემდეგნაირად: „წარვიდა მაშინ აზო ქართლად არან მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბი უფლისა და კ'დ ათი სახლი მთავართაგან და ყოველით დედაწულით მათით მოიყვანნა და დააშენნა ქართლს“ (ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 170). რვა სახლის ათას სახლად გადაკეთება, ზე მგონი, უნდა წარმომდგარაყოს დამწერლობის ნიადაგზე ხუცური 3 და 4 არევისაგან, ასე რომ ამ აღვიღას მართლაც რვა სახლი უნდა იყოს საგულისხმებელი. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ პირველ რვა სახლს ინტერპრეტატორი უწოდებს „მდაბი უფლისა“ ხოლო მეორე ათ სახლს „მთავართაგან“-ს. საჭიროა ამასთანავე მოვიგონოთ, როგორც ზემოდ ნაჩვენები იყო, რომ აზო სემიტურ მანთონის კერპების მომყვანად სჩანს, ხოლო აზოს მემკვიდრედ მოხსენებული ფარნავაზი უკვე არმაზის თაყვანისმცემელია, მაშასადამე ზოროასტრის სჯულის მიმდევარი. შეთანხმება ამ ორი გარემოებისა იძლევა დასკვნას, რომ არაგვ-მტკვრის რაიონში მოსული სახლები ორ ჯგუფად ყოფილან გაყოფილი და პირველი რვა სახლის მეთაური საკუთრივ აზო იქნებოდა. აზოს შემდეგ, როგორც სჩანს, მომხდარა პრიმატულ ძალის გადაჯგუფება და ქართლს სათავეში მოყოლია უკვე მეორე ჯგუფის—ათი სახლის მეთაური ფარნავაზი, რომლის სახლი სპარსულ კულტურულ ორიენტაციისა ყოფილა. ამ ორიენტაციას ადასტურებს არა მარტო არმაზის კულტი, რომელსაც ეს სახლი მისჯევდა, არამედ ამ სახლის მეთაურთა სახელებიც: ფარნავაზი, ფარნაჯობ, არსოკ (არშაკ). ფარნავაზით ამგვარად იწყება ახალი ხანა არაგვ-მტკვრის ქართველების ცხოვრებაში და გასაგებია ამიტომ,

რომ ქართული ისტორიული შემეცნება შემდეგს დროებში მის სახელს უკავშირებდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაწყებას.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ მოსე სორენელის მიხედვით გუგარქის ძველ პიტიაშბთა გვარი თავისს თავს სპარსეთთან დაკავშირებულად სთვლიდა. საყურადღებოა, რომ მე-4 საუკ. დასასრულიდანაც ქართლის პიტიაშბობა სპარსეთის სამეფო სახლის ერთი შტოს ხელში იმყოფებოდა (ფეროზი და მისი შთამომავლობა). სპარსული გავლენა ამგვარად ქართულ სახელმწიფოებრიობის და საზოგადოებრივ ცხოვრების ჩამოყალიბებაში მართლაც თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო.

ზემოდ მოხსენებულ ცნობაში რვა სახლის, — ინტერპრეტატორის წაკითხვით ათასი სახლის, „მდბად უფლისა“ მოხსენება და ათი სახლის მთავართა გვარეულობებთან დაკავშირება უნდა იყოს, სოციალური დაჯგუფების ამგვარი ჩვენებით, შემდეგდროინდელი მდგომარეობის დაახლოვებით მაინც გამომხატველი. ამ მხრივ ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ მთავართა და მდბადო სახლების რიცხვს შორის მე-5 საუკ. დასასრულისთვის პროპორცია, მაშასადამე, საგულისხმებელი ყოფილა 10:1.000 ანუ 1:100. სახლი აქ უკვე გაგებულ უნდა იქმნას ოჯახის მნიშვნელობით. მაინც ზემოდ მოყვანილ განმარტების მიხედვით ყოველს შემთხვევაში უხადია, რომ არაგვ-მტკვრის რაიონში მოსული სახლები მე-2 საუკ. ქრ. წ. თავისი კულტურული თვისებების მხრივ ერთიან სურათს არ წარმოადგენდნენ და ამიტომ ისინი არ იქნებოდნენ ერთი და იმავე ლინგვისტურ თვისებათა მატარებელნიც. თავისთავად იგულისხმება, რომ ზენებულ 18 სახლის მოსვლა არ შეიძლება დაკავშირებულ იქმნას მხოლოდ მცხეთის რაიონთან. საფიქრებელია, აქ რეალურად საგულისხმებელი იყოს უფრო ვრცელი რაიონი, რომელიც დაკავებულ იქმნა ქართველ სახლების მიერ. სახლების დამკრაც ახალი მიმართულებით მოხდებოდა რასაკვირველია არა ერთგზის და წყაროში აღნიშნული მოსვლა აზოსი 18 სახლითურთ შესაძლებელია იყოს ნხოლოდ ერთი, თუკა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი ქართველ ტომების ნიგრაციისა ვანსაზღვრული მიმართულებით. ამ ნიგრაციის ხასიათის გასაგებად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მცხეთის რაიონში, როგორც ენახეთ, 1 საუკუნეშიდაც ქრ. წ. ჯერ კიდევ სვანურთან დაახლოვებული კილო უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ეს კილო, რომელიც აზოს მოსვლამდისაც უნდა ყოფილიყო აქ ფეხმოკიდებული — აქას ამტკიცებს სახელი მცხეთას არსებობა აზოს მოსვლისასაც, მცხეთას კიდევ მატარებელია აფხაზური თვისებების — შემდეგ თანდათან ადგილს უთმობდა ქართულ კილოს. სვანურის შესატყვისი კილოს მატარებელი იქნებოდა განსაზღვრული სახლი, ქართული კილოსი კიდევ სხვა სახლი. საგვარო წყობილება გულისხმობდა ამგვარად პატარა

სივრცეზედაც თვალსაჩინო ლინგვისტურ სხვაობათ. ამ სხვაობათა დასახასიათებლად საინტერესო უნდა იყოს, მაგალითად, ისეთი გეოგრაფიული ტერმინი როგორიც არის ორბეთი, შემდეგ დროინდელი სამშვილდე („ციხე ორბისა, რომელსა აწ ქუიან სამშვილდე“ — მამ. და ნათ. ცხა). როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, აქაც მეორე სახელი, წმიდა ქართული ფორმის მატარებელი, უნდა წარმოადგენდეს პირველის თარგმანს. მართლაც პუთ ხუნძურში ეხლაც ნიშნავს მშვილდს, ან არის მეგრულ-ქანური თავსართ ადგილის წარმოებისა მეგრულისთვისვე ჩვეულებრივ მ-ს ნართავით. მ-რ ბეთი ამგვარად მართლაც არის იგივე სამშვილდე, მხოლოდ მეგრულ-ქანურის რომელიღაც ძველი შესატყვისი კილოზე წარმოებული. ამ ფაქტიდან ერთი რომ ვლებულობთ კიდევ ერთს დადასტურებას უძველეს ხანაში მტკვრის აუზში ხუნძურის შესატყვისი კილოს არსებობისა და მეორეს მხრივ ახლოს ცნობას ხუნძური კილოს ტერიტორიის მეგრულ-ქანურის რომელიღაც შესატყვისი ძველი კილოს მიერ დაკავების შესახებ, რის ნაშთს წარმოადგენდა სახელი ორბეთი. ესევე ხუნძური სახელი იმავე რაიონში ცნობილი ყოფილა ქართულად მოლაპარაკე სახლის მიერ ამ ტერმინის ქართული თარგმანით — სამშვილდე, რომელ სახელმაც შემდეგ მოიპოვა საბოლოო გამარჯვება. რას უნდა ნიშნავდეს ეს თუ არა იმას, რომ ამ რაიონშიც ერთ დროს ერთი მეორის ახლოს უნდა იყოს საგულისხმებელი როგორც მეგრულ-ქანურის შესატყვისი კილოზე, ისე საკუთრივ ქართულად მოლაპარაკე სახლები?

ამ ფაქტის მიხედვითაც ცხადი უნდა იყოს, რომ ქართულ მოდგმის სახლების მიგრაცია აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რომელიც არ განისაზღვრებოდა, რასაკვირველია, ახლოს მიერ მოყვანილ სახლებით და არც მართა ამ ეპოქით, წარმოადგენდა მეტად რთულ პროცესს, თუნდაც სახლების სხვადასხვაობათა გამო. ეს სხვადასხვაობა პოულობდა თავისს გამოხატულებას კილოების საკითხშიდაც. ამით აიხსნება, რომ საგვარო წყობილების ეპოქაში ისტორიულ ქართლს უნდა ჰქონოდა ენის და კილოების მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანი სახე. ცალკე სახლები წარმოადგენდნენ ალბად ლინგვისტურადაც ცოტად თუ ბევრად განკერძოებულ ერთეულებს. პატრიარქალურ წყობილების თანდათანობით რღვევისას ეს მდგომარეობაც სახლების ენის შესახებ თანდათან ირღევოდა და უფრო სოციალური უნარ და კულტურულ სახლების ენაც პოულობდა მეტს გავრცელებას. I საუკ. ქრ. წ. მცხეთის რაიონში, მაგალითად, როგორც ენახეთ, ქართული კილო ჯერ კიდევ ებრძოდა ამ რაიონში მოკიდებულ სვანურის შესატყვისს ერთ-ერთ ძველს კილოს.

კილოების გადაჯგუფებისა და სახალხო ენების შექმნის პროცესში

აღბად მიიღო ტერმინაც სამეხი თავისი გარკვეული მნიშვნელობა. სამ-
ხითი, — ძველი ბოლნისის და ქვეშის ხეების მოცულობით, ცნობილი
გეოგრაფიული ტერმინია. ქართველი ხალხის შემეცნებით სომხითად
იწოდებოდა ტერიტორია სამხრეთიდან თითქმის ტფილისის მიდგამდის,
ანუ ძველი მანგლისის ხევის და პარუარის ნაწილიც. ზემოდ განვითა-
რებულ პერსპექტივის მიხედვით საგულისხმებელია, რომ სამეხი პრე-
ფიქსით სო (=სა) წარმოებული (როგორც სო-ფედი), იქნებოდა ერთ-
ერთ რე-ის ჯგუფის ტომის სახელი, რომელი ტომიც პაიურ კილოს
სახალხო ენად ჩამოყალიბების შემდეგ გაჰაიების გზას დაადგა, რის გა-
მოც მისი სახელი ქართულში დარჩა ყველა არმენოჰაიების აღსანიშნავად.

პატრიარქალურ წყობილების დაშლისა და ახალი წესების და-
მკვიდრების ეპოქაში სახელმწიფოებრივ ცხოვრების განვითარება
ხელს უწყობდა დაწინაურებულ ენის გავრცელებას და მისი სახალხოდ
ქცევას. ფარსმან ქველის დროით თარიღდება, როგორც ენახეთ, ქარ-
თულ სახელმწიფოებრივ აპარატის ახალ პირობებთან შეგუებით გარ-
დაქმნა, მეფობაში ტახტის მამიდან შეილზე გადასვლით მეშვედრეობის
ახალი წესის განმტკიცება და ამ დროსვე უნდა ეკუთვნოდეს ქართული
ენის საბოლოოდ გამარჯვება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მისი სა-
ხალხო ენად ქცევა. პატრიარქალური წყობილების ნორმები ნამოგო-
ნართა საშუალებით ამის შემდეგაც ღიბხანს იყო ცოცხალი — ეს ცხა-
დად სჩანს მე-4 — 6 საუკ. ქართლის აღმინისტრაციულ სტრუქტურის
მიხედვითაც, მაგრამ ქართველი ხალხის კულტურული მთლიანობა უკვე
სავსებით გამორკვეული ფაქტი იყო და ეხლა საჭიროებდა მხოლოდ
ქართველ ხალხის კულტურულ როლის გამო რეალურად მეტს გეოგრა-
ფიულ მოცულობას. შემდეგ საუკუნეებში სწარმოებდა კიდევ, როგორც
ეს ცალკე შემთხვევებში ზემოდ ნაჩვენები იყო, ქართული ენის გავრცე-
ლება უფრო ფართო სივრცეზედ — ჩრდილოეთით სტრაბონის მიერ
სარმატების მონათესავედ მოხსენებულ სახლებსა და ტომებში, აღმო-
საფლეთით კახეთის მიმართულებით და დასავლეთით მაღვისის ტერიტო-
რიაზე. პარალელურად ამისა ვითარდებოდა ჩამოყალიბებულ ქართულ
სალიტერატურო ენის ყველა ქართულ მოდგმის ტომების მეწინავე
წრეებისთვის საერთო კულტურულ-ეროვნულ ენად გარდაქცევის პრო-
ცესი. ყველაფერი ეს კიდევ ხელს უწყობდა ქართველი ხალხის ჩამოყა-
ლიბებას ეროვნულ-კულტურულად.